

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კულტურის კვლევები

ნინო ტაბეშაძე

2008 წლის აგვისტოს ომი როგორც კოლექტიური ტრავმა

ნაშრომი შესრულებულია კულტურის კვლევების დოქტორის
აკადემიური ხარისხის (PhD) მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი ნინო ჩიქოვანი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
კულტურის კვლევათა ინსტიტუტის პროფესორი



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

თბილისი
2016

ანოტაცია

კოლექტიური ტრავმის ფენომენი მეცნიერების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა ინტერესის საგანია. ეს არის საზოგადოების ან მისი ნაწილის მტკივნეული გამოცდილება, რომელიც იწვევს იდენტობის გადახედვას, ხშირ შემთხვევაში კი – იდენტობის კრიზისს. ჩვენი ნაშრომის მიზანია კოლექტიური ტრავმის ფენომენის შესწავლა 2008 წლის აგვისტოს ომის მაგალითზე. რამდენად შესაძლებელია 2008 წლის აგვისტოს ომი კოლექტიურ ტრავმად განვიხილოთ? რა მახასიათებლები აქვს კოლექტიურ ტრავმას? როგორია პოსტ-ტრავმული საზოგადოების მდგომარეობა, ან როგორ ცდილობს საზოგადოება კოლექტიურ ტრავმაზე პასუხის მონახვას? ეს არის ძირითადი კითხვები, რომელზეც პასუხის გაცემას შევეცდებით. წარმოდგენილ ნაშრომში 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტი, როგორც კოლექტიური ტრავმა, შესწავლილია მისადმი მიძღვნილი ტექსტური ნარატივების, მემორიალების, ომისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენებისა და ვიდეოთამაშების ანალიზის საფუძველზე; გაანალიზებულია სხვადასხვა სახის ნარატივის მნიშვნელობა კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებისა და გადაცემის პროცესში. ჩვენი ინტერესის საგანია აგრეთვე კოლექტიური ტრავმის გამოწვევაზე პასუხების ძიების პროცესი.

კოლექტიური ტრავმა ქმნის სტრესულ გამოცდილებას, რომელმაც, შესაძლოა, ახალი ღირებულებები წარმოშვას. საკითხის კვლევის მნიშვნელობა განპირობებულია იმ ეფექტით, რომელსაც კოლექტიური ტრავმა საზოგადოებაზე ახდენს. ტრავმის შემდგომი სტრესული გამოცდილების დაძლევა და მასზე პასუხი საზოგადოებისთვის უმთავრესი ხდება. პოსტ-ტრავმული სტრესი დაძლევადაც და სათანადო გააზრების შემთხვევაში ტრავმის მსხვერპლს სრულფასოვანი ცხოვრების გაგრძელება შეუძლია.

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, ჩვენ გვყავს ეთნოკონფლიქტებისა თუ სამოქალაქო ომების შედეგად დაზარალებული მრავალრიცხოვანი მოსახლეობა, რომელსაც საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაცია სჭირდება. მოცემული კვლევა ამ მიმართულებით, ჯერჯერობით, პირველია. იმედი გვაქვს, რომ მკვლევართა ინტერესი კოლექტიური ტრავმის მიმართ გაიზრდება და ამ ფენომენის კვლევის პროცესში შემდგომი ნაბიჯები გადაიდგმება. 2008 წლის აგვისტოს ომის

განხილვა კოლექტიურ ტრავმად საფუძვლიანი და მიზანშეწონილია. კოლექტიური ტრავმის შედეგები რთული დასაძლევია, თუმცა ეს შესაძლებელია, თუ გვეცოდინება თავად ამ კულტურული ფენომენის ბუნება და მისი მახასიათებლები. კოლექტიური ტრავმის გაანალიზება და დაძლევა საზოგადოების განვითარებისა და თვითშესწავლის მთავარი წინაპირობაა.

Annotation

The thesis aims at representing of *Collective trauma* as the important phenomenon of scholarly interest. Collective trauma is a stressful experience for the society and causes important changes: that is the re-thinking of identity, which is often followed by the identity crisis. We discuss the war of August 2008 as collective trauma as well as its outcomes for the Georgian society. Searching for the answers on the challenge of *Collective Trauma* is the main topic of our study. Can we consider 2008 August war as a *Collective Trauma*? What are the characteristics of *Collective Trauma*? How does society respond to *Collective Trauma* and tries to cope with the post-traumatic stress disorder?

The study is based on the analysis of the novel by Tamta Melashvili “Calculation” and the project “Heroes”, as well as the monuments dedicated to the war of August 2008 – Mass Grave and Monument of Heroes in Tbilisi, also video games and photo exhibitions dedicated to August War 2008. On the basis of the analysis, the paper tries to determine the meaning of the above-mentioned narratives in establishing and transmitting the collective memory. Thesis tries to study the responses created by society in order to cope with traumatic experience.

The importance of the research of Collective Trauma for the Georgian society is defined by the results of traumatic experience. Collective trauma creates post-traumatic stress disorder which destroys old set of values and creates the new one. Coping with trauma and overcoming the traumatic experience becomes the most important for the society. It is possible for the victim to cope with trauma and return to daily routine.

After the civil war, ethnic conflicts and the war of August 2008, a great number of refugees (not only those of the first generation) face the problem of overcoming the traumatic memory. Understanding of collective trauma as a phenomenon could be considered as an important stage on this way. The thesis represents the first attempt of investigating the Georgian case of *Collective Trauma* in the post-Soviet period. We hope that the scholarly interest towards the study of collective trauma will increase. It is hard to cope with traumatic experience, but it seems quite possible if we are able to understand its' nature and characteristics.

შინაარსი

შესავალი.....	5
თავი 1. კოლექტიური ტრავმა - კვლევის თეორიული ჩარჩო.....	16
თავი 2. აგვისტოს ომისადმი მიძღვნილი ნარატივები	28
§ 1. 2008 წლის აგვისტოს ომი როგორც კოლექტიური ტრავმა	29
ა) არადომინანტი ნარატივები	34
§ 2. ზაზა ბურჭულაძე. “ადიბასი“.....	34
§ 3. ლაშა ბულაძე. „ლიტერატურული ექსპრესი“	47
§ 4. თამთა მელაშვილი. “გათვლა”	58
§ 5. ანა კორძაია-სამადაშვილი „მე მომკლეს, დე...“.....	62
§ 6. ჟურნალისტების ჩანაწერები.....	67
ბ) დომინანტი ნარატივები	87
§ 1. თამარ ფხაკაძე. “გმირი”.....	89
თავი 3. მემორიალები.....	101
§ 1. ძმთა სასაფლაო.....	101
§ 2. “გმირთა მონუმენტი”	110
§ 3. წეროვანი.....	120
თავი 4. ტრავმის დაძლევის სხვა ხერხები	133
§ 1. ფოტოგამოფენა „აგვისტოს ომი“	133
§ 2. კომპიუტერული თამაშები.....	135
დასკვნა.....	143
ბიბლიოგრაფია.....	159

შესავალი

2008 წლის აგვისტოს ომი საქართველოს თანამედროვე ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული მოვლენაა. ეს არის ტრავმა, რომელმაც დიდი კვალი დაამჩნია არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ თითოეული მოქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებას. ნაომარი საზოგადოება, ფიზიკურად და მენტალურად, ჯერაც ტრავმული გამოცდილების დაძლევის პროცესშია.

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის არცთუ შორეული წარსულისა და დღევანდელი მტკივნეული მოვლენები მუდმივად მიაპყრობს მკვლევართა ყურადღებას კოლექტიური ტრავმის ფენომენისა და მისი დაძლევის გამოცდილებისაკენ. საკითხის შესწავლის მნიშვნელობას ის გარემოებაც განსაზღვრავს, რომ ტრავმის მომდევნო, პოსტ-ტრავმული მდგომარეობა, სათანადო შესწავლის შემთხვევაში, დაძლევადა და ხელს უწყობს ინდივიდის საზოგადოებაში სრულფასოვან (რე)ინტეგრაციას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტრავმის მსხვერპლთათვის, ვინაიდან მათ საზოგადოებაში ცხოვრება უნდა გააგრძელონ.

საბჭოთა კავშირის დაშლა და ცივი ომის დასრულება სამეცნიერო ლიტერატურაში *მკვეთრი სოციალური ცვლილების ტრავმის* სახელით იხსენიება (Sztompka 2004: 36). საქართველოს შემთხვევაში, პოსტსაბჭოთა პერიოდის სირთულეებს აღრმავებდა რამდენიმე განსაკუთრებით მტკივნეული მოვლენა - სამოქალაქო ომი, ეთნოტერიტორიული კონფლიქტები და მათი მოუგვარებლობა, რთული საგარეო პოლიტიკური ვითარება და, ბოლოს, 2008 წლის აგვისტოს ომი. თითოეული ეს მოვლენა საყურადღებოა კოლექტიური ტრავმის თეორიის თვალსაზრისით, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, მათი გააზრება მნიშვნელოვანია როგორც პოსტ-ტრავმული სინდრომის დაძლევის, ასევე მომავალში ამ გაკვეთილების გათვალისწინების თვალსაზრისით. ჩვენი ნაშრომის მიზანია კოლექტიური ტრავმის ფენომენის შესწავლა 2008 წლის აგვისტოს ომის მაგალითზე. რამდენად შესაძლებელია 2008 წლის აგვისტოს ომი კოლექტიურ ტრავმად განვიხილოთ? რა მახასიათებლები აქვს 2008 წლის აგვისტოს ომს, როგორც კოლექტიურ ტრავმას? როგორია პოსტ-ტრავმული საზოგადოების მდგომარეობა, როგორ ცდილობს საზოგადოება კოლექტიურ ტრავმაზე პასუხის

მომეხმას? ეს არის ჩვენი ნაშრომის ძირითადი საკვლევე კითხვები. საკითხი შესწავლილია აგვისტოს ომისადმი მიძღვნილი ტექსტური ნარატივების, მემორიალების, დევნილთა დასახლების, ფოტოგამოფენებისა და კომპიუტერული თამაშების ანალიზის საფუძველზე.

ნაშრომში გაანალიზებულია 2008 წლის აგვისტოს ომით გამოწვეული კოლექტიური ტრავმა, როგორც კულტურული ფენომენი, მისი ძირითადი მახასიათებლები და შესწავლის მნიშვნელობა; განსაზღვრულია თეორიული ჩარჩო, რომლის ფარგლებში შესაძლებელია კოლექტიური ტრავმისა და მისი თანმდევი პოსტ-ტრავმული მდგომარეობის კვლევა; შესწავლილია არა მხოლოდ თავად ტრავმა, არამედ მასზე პასუხებიც, რადგან სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას ტრავმული მოვლენისადმი.

სამუშაო ჰიპოთეზა. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი უნდა განვიხილოთ, როგორც კოლექტიური ტრავმა. ესაა მტკივნეული გამოცდილება, რომლის დაძლევისაც ქართველი საზოგადოება სხვადასხვა ხერხით (მონუმენტის შექმნა, წიგნის დაწერა, დევნილთა დასახლების შექმნა და სხვ.) ცდილობს. 2008 წლის შემდეგ საზოგადოება ჯერაც პოსტტრავმული სტრესის მდგომარეობაშია.

სამუშაო ჰიპოთეზის შემოწმებას ემსახურება ნაშრომის ძირითადი ნაწილი, რომელიც ეთმობა საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებებისა და სხვა *მეხსიერების არეების* ანალიზს, კერძოდ, ესენია: თამთა მელაშვილის “გათვლა”, თავო ფხაკაძის “გმირი”, ზაზა ბურჭულაძის რომანი „ადიბასი“, ლაშა ბუღაძის „ლიტერატურული ექსპრესი“, ანა კორძაია-სამადაშვილის „მე მომკლეს, დე...“, „აგვისტოს დღიურები“ და ორი მემორიალი: მუხათგვერდის “მმათა სასაფლაო” და “გმირთა მონუმენტი” თბილისში, ასევე ფოტოგამოფენა „აგვისტოს ომი“, დევნილთა დასახლება წეროვანი და კომპიუტერული თამაშები. სწორედ ისინი წარმოადგენდნენ ძირითად წყაროს ჩვენი ნაშრომისათვის. ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია საკვლევე საკითხის შესწავლის შედეგები.

ნაშრომი წარმოადგენს კოლექტიური ტრავმის თეორიის ჭრილში 2008 წლის აგვისტოს ომის კომპლექსური განხილვის პირველ მცდელობას. მასში გაანალიზებულია კოლექტიური ტრავმის კვლევის სფეროში არსებული

ლიტერატურა, შესწავლილია აგვისტოს ომი, როგორც კოლექტიური ტრავმა - განსაზღვრულია მისი მახასიათებლები და დადგენილია კოლექტიური ტრავმის ნიშნებთან მათი შესაბამისობა; გამოკვლეულია საზოგადოების რეაქცია, რომელიც ასახულია ტექსტურ ნარატივებსა და მონუმენტებში, ფოტოგამოფენებში, როგორც მეხსიერების ადგილებში. ტრავმის მსხვერპლად განვიხილავთ მთელ საზოგადოებას. 2008 წლის აგვისტოს ომიდან მხოლოდ შვიდი წელია გასული და საზოგადოება ჯერაც ტრავმის დაძლევის პროცესშია. ამას ემატება ოკუპირებული ტერიტორიებიდან წამოსულ დევნილთა დიდი რაოდენობა, რომელსაც საზოგადოებაში სრულფასოვანი ცხოვრების გაგრძელება სჭირდება. ამისთვის კი კოლექტიური ტრავმა უნდა დაიძლიოს. ეს ფაქტორები ჩვენი ნაშრომის აქტუალობას განაპირობებს.

ნაშრომის **თეორიულ ჩარჩოს** წარმოადგენს კოლექტიური ტრავმის თეორია, რომლის თანახმად, დროში შეზღუდულმა, შოკისმომგვრელმა მოვლენამ, შესაძლოა, განმსაზღვრელი ეფექტი იქონიოს საზოგადოების ცხოვრების მრავალ მხარეზე. კოლექტიური ტრავმა საზოგადოების ყველა წევრს ეხება და ის ცხოვრების ჩვეულ რიტმს არღვევს, იწვევს პოსტტრავმულ სტრესს, მელანქოლიას, დეპრესიას. კოლექტიური ტრავმა საზოგადოების ყველა წევრისთვის გასაგებია და მნიშვნელოვანი. ტრავმირებული საზოგადოება პოსტტრავმული სტრესის დაძლევის მრავალი სხვადასხვა ხერხით ცდილობს. ეს შეიძლება იყოს მეხსიერების არეების/ადგილების შექმნა. მეხსიერების არეები ის ადგილებია, სადაც კოლექტიური მეხსიერება (მათ შორის, ტრავმაც) ინახება და სიმბოლიზდება საზოგადოების მიერ. ჩვენი აზრით, 2008 წლის აგვისტოს ომის განხილვა კოლექტიური ტრავმის თეორიის კუთხით საინტერესო უნდა იყოს როგორც წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით, ასევე ტრავმული გამოცდილების დაძლევის ხერხების დადგენისთვისაც.

კვლევის მეთოდები. ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებული იყო კვლევის თვისებრივი მეთოდი - შინაარსობრივი ანალიზი - და ე.წ. შემთხვევის შესწავლა (Case study). ამ უკანასკნელს ჩვენთვის 2008 წლის აგვისტოს ომი წარმოადგენდა; მისი, როგორც კოლექტიური ტრავმის ერთ-ერთი მაგალითის შესწავლისათვის გამოვიყენეთ ზემოთ დასახელებული ტექსტური ნარატივებისა და

მეხსიერების მონუმენტური არეების შინაარსობრივი ანალიზის (content analysis) მეთოდი.

სამეცნიერო ლიტერატურაში განასხვავებენ დომინანტ და არადომინანტ ნარატივებს. დომინანტი ნარატივის მიზანი მომხდარი ისტორიული მოვლენის შესახებ გაბატონებული აზრის შექმნაა. არადომინანტი ან, სხვანაირად, არასოციალური ნარატივებისთვის დამახასიათებელია პირად ისტორიებზე აგებული თხრობა მეტი ინდივიდუალური ელემენტით, თუმცა მათში მთელი საზოგადოების მდგომარეობაც აისახება. არადომინანტ ნარატივებში ცალკე შეიძლება გამოიყოს პოსტ-ტრავმული სტრესის გამომხატველი ტიპური ტექსები, რომლებიც მეტად ემოციურია და ყურადღებას საზოგადოების მდგომარეობაზე ამახვილებს.

გასაანალიზებელი ტექსტების მოკლე მიმოხილვა. გასაანალიზებელი ტექსტები და მონუმენტები სრულად აკმაყოფილებს პოსტტრავმული სტრესის შედეგად შექმნილი ნარატივების მახასიათებლებს. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოში შეიქმნა დომინანტი და არადომინანტი ნარატივები.

არადომინანტი ნარატივის ტიპური მაგალითია ზაზა ბურჭულაძის „ადიბასი“ რომელშიც, თუ ლებოუს თეორიას მოვიშველიებთ, ტრავმის იგნორირების მცდელობა გამოჩნდა. რომანში საზოგადოება ტრავმის იგნორირებას ახდენს, რაც ლებოუს აზრით, პოსტტრავმულ ნარატივს ახასიათებს.

საზოგადოების რიგითი წევრის თვალთ დანახული კოლექტიური ტრავმა აისახა ლაშა ბუღაძის “ლიტერატურულ ექსპრესშიც“. ეს ნაწარმოები კოლექტიური ტრავმის ამსახველი ნარატივების ერთ-ერთ დისკრიპტორს ამჟღავნებს, კერძოდ, ავტორი მომხდარ მოვლენასთან კავშირს იუმორითა და პირადი გამოცდილებით ამყარებს.

აგვისტოს ომის შემდეგ შექმნილ ნარატივთა შორის არის თამთა მელაშვილის „გათვლა“, რომელიც არასტრუქტურირებული თხრობით გამოირჩევა. ომი ამ წიგნში ბავშვების პირითაა გადმოცემული. ავტორი იყენებს არაორგანიზებული ტრავმული ნარატივის მოდელს და ცდილობს ქაოტური თხრობით გააცნოს მომხდარი ტრაგედია მკითხველს.

არადომინანტ ნარატივთა რიცხვს განეკუთვნება ანა კორძაია-სამადაშვილის „მე მომკლეს, დე...“ ეს არის პატარა ჩანახატი, სადაც ომის მსხვერპლი ქმნის მტრის

ხატს და ღიად ასახელებს კონფლიქტში დამნაშავეს, რაც ტრავმის ამსახველი ნარატივის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოში ძალიან საინტერესო დომინანტი ნარატივიც შეიქმნა: წიგნი „გმირი“ კოლექტიური ტრავმის ამსახველი ნარატივის რამდენიმე ნიშანს აკმაყოფილებს. აქ ჩანს ტრავმის უარყოფაც, შეგუებაც, მტრის ხატიც, ფროიდისეული მელანქოლიაც და დეპრესიაც. თავად წიგნი კი ტრავმის დაძლევის პირველი მეთოდის, ტრავმაზე წერის, მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

ომის შემდეგ შეიქმნა არამხოლოდ ტექსტური ნარატივები. ტრავმის დაძლევა ხდება მისთვის პატივის მიგებითაც, რაც შეიძლება მონუმენტის აღმართვაში გამოიხატოს. მოცემულ კვლევაში განხილულია ორი მონუმენტი, რომელიც სახელმწიფოს ხელშეწყობით შეიქმნა.

ტრავმისთვის პატივის მიგებისა და მისი სიმბოლიზების მიზნით შეიქმნა მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოს მემორიალური კომპლექსი. მემორიალი სახელმწიფო და საეკლესიო სიმბოლიკას აერთიანებს, სასაფლაოს კი „ძმათა სასაფლაო“ ჰქვია. მემორიალებისა და მონუმენტების აღმართვა ტრავმის დაძლევის ერთ-ერთი ხერხია.

კიდევ ერთი სახელმწიფო დონეზე შექმნილი მონუმენტია „გმირთა მემორიალი“ გმირთა მოედანზე. მისი დიზაინისა და არქიტექტურის ირგვლივ მრავალი მითქმა-მოთქმის მიუხედავად, „გმირთა მემორიალი“ საქართველო-რუსეთის ომებში დაღუპულ ქართველ გმირებს მიაგებს პატივს და, ამავე დროს, ერთგვარ ვიზუალურ მედიუმად, ინფორმაციის გადამცემად იქცევა.

ტრავმული გამოცდილების დაძლევაში დიდი მნიშვნელობა აქვს მტრის ხატს. უნდა არსებობდეს მკაცრი გამყოფი „ჩვენ“ ჯგუფსა და „სხვებს“ შორის. მტრის ხატის ვიზუალიზაციის ერთ-ერთი ხერხია კომპიუტერული თამაშები, რომლებიც ქართველ ისტორიულ ფიგურას, ქაქუცა ჩოლოყაშვილს რუს ჯარისკაცებთან აპირისპირებს.

პოსტტრავმული სტრესის დაძლევისთვის უმნიშვნელოვანესია იმ ადამიანების დახმარება, რომლებიც ტრავმული მოვლენების უშუალო მონაწილეები იყვნენ. მათი ერთად დასახლება, შესაძლოა, ტრავმული გამოცდილების დაძლევისთვის საჭირო ბიძგად იქცეს. ნაშრომში განსახილველად არჩეულია

დევნილთა ყველაზე დიდი დასახლება წეროვანი, რომლის ანალიზი გვაჩვენებს პოსტრავმული სტრესის რამდენიმე ნიშანს: დეპრესიას, მელანქოლიას, ტრავმის უარყოფას, შეგუებას.

ძირითადი ლიტერატურის მიმოხილვა. 2008 წლის აგვისტოს ომის, როგორც კოლექტიური ტრავმის, სხვადასხვა სფეროში მისი გამოვლინებისა და დაძლევის მცდელობათა შესახებ სულ ორიოდ სამეცნიერო გამოკვლევა არსებობს. მათგან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ლიკა ქენქაძის ნაშრომი „დევნილთა დასახლებები კულტურული ტრავმისა და კოლექტიური მეხსიერების თეორიათა ჭრილში (2008 წლის საქართველო-რუსეთის ომი)“ (ცივილიზაციური ძიებანი, # 11, გვ. 7-32). როგორც სათაურიდან ჩანს, ავტორი აგვისტოს ომით გამოწვეულ ტრავმას დევნილთა დასახლებების მაგალითზე იკვლევს. ის ყურადღებას ამახვილებს ომის შედეგად დევნილი მოსახლეობის განწყობასა და დამოკიდებულებაზე დევნილთა დასახლებებში. ლიკა ქენქაძე ხაზს უსვამს დევნილთა დასახლებებში წარმოქმნილ პრობლემებს - შიდა დაპირისპირებას გორელ და ახალგორელ დევნილთა შორის (მიზეზით - ვინ უფრო მეტად დაზარალდა ომის შედეგად), ახალგაზრდების აღზრდის პრინციპს (არ დაგვავიწყდეს დაკარგული ტერიტორიები).

ჩვენთვის საყურადღებოა ჯეიმს ვერჩის ნაშრომი *Spinning the past: Russian and Georgian accounts of the War of August 2008* (Wertsch 2008: 4), რომელშიც აგვისტოს ომი განხილულია *ნარატივის სქემატური ნიმუშის* თეორიის ჭრილში და გაანალიზებულია ქართული *ნიმუშის* (დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ) გავლენა აგვისტოს ომისადმი მიძღვნილი საისტორიო ნარატივის ორგანიზებაზე. ჯეიმს ვერჩი განიხილავს და აპირისპირებს ნარატივის ორ სქემატურ ნიმუშს, ქართულსა და რუსულს. თუ ქართულ ნიმუშში საქართველო დიდი და ძლევამოსილი მტრის წინააღმდეგ მებრძოლი გმირი ქვეყანაა, რუსულ ნიმუშში საქართველო დიდი შეთქმულების თეორიის ნაწილია.

დანარჩენი ნაშრომები, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის, კოლექტიური ტრავმის თეორიულ ასპექტებს, ტრავმისა და იდენტობის მიმართების საკითხებს, ტრავმის ამსახველ *მეხსიერების არეებს* და პოსტრავმულ სტრესს ეხება.

კოლექტიური ტრავმის საკითხი ძალიან აქტუალურია თანამედროვე მეცნიერებაში. მას საინტერესო კვლევები მიუძღვნეს ჯეფრი ალექსანდერმა, დომინიკ

ლაკაპრამ, პიოტრ შტომპკამ და სხვებმა. თითოეული მათგანი აღნიშნულ საკითხს განსხვავებული კუთხით იკვლევს. ალექსანდერისთვის მეტად საინტერესოა კოლექტიური ტრავმის კონკრეტული გამოხატულება, კერძოდ, ომები, ხოლო ლაკაპრასთვის მნიშვნელოვანია თავად კოლექტიური ტრავმის ბუნების კვლევა. დასახელებული მკვლევართა ნაშრომები ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის კვლევის პროცესში.

ფსიქონალიზის ფუძემდებელ ზიგმუნდ ფროიდს ეკუთვნის რამდენიმე საინტერესო დებულება კოლექტიურ ტრავმასთან დაკავშირებით. მის თეორიაზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა პოსტ-ტრავმული სტრესის მაჩვენებელი ნარატივების გამოყოფა და მათი დაჯგუფება.

ზიგმუნდ ფროიდმა ტრავმის კვლევა ინდივიდუალური დონიდან დაიწყო. მისი აზრით, ტრავმაზე პასუხის გაცემა ყველა ინდივიდს ძალუძს, თუმცა ტრავმულ მოვლენას ხანგრძლივი ეფექტი აქვს ინდივიდის ცხოვრებაზე. ტრავმული მოვლენა იწვევს ემოციების გადაჭარბებულ გამოხატვას. თავდაპირველად ინდივიდი ტრავმის საწინააღმდეგოდ ფსიქოლოგიურ ფარს აღმართავს, ამ დროს იგი ყურადღებას სხვა რამეზე მიმართავს. ამ პროცესში ყალიბდება პათოლოგიური დაცვის ინსტინქტი. ფიზიკურად ეს შეიძლება დეპრესიაში გადაიზარდოს. თუ ინდივიდი ემოციის ჩახშობას გადაწყვეტს, ის განწირულია ტრავმასთან დასაბრუნებლად. ფროიდის აზრით, ინდივიდის მეხსიერებაში ტრავმული მოვლენა სამუდამოდ ილექება და ემოციური რეფლექსების დათრგუნვით მსხვერპლი მუდმივად უბრუნდება მომხდარ მოვლენებს. მეხსიერება ტრავმულ მოვლენას ისტერიულს ხდის და შედეგად ჩნდება შიში და სხვადასხვა ტიპის ფობია.¹

კვლევის შემდგომ ეტაპებზე ფროიდი დაინტერესდა არა მხოლოდ ინდივიდუალური ტრავმით, არამედ კოლექტიურითაც. მან კოლექტიურ ტრავმას „ომის ტრავმა“ უწოდა და მას, ძორითადად, პირველი მსოფლიო ომის მაგალითზე იკვლევდა. მისი დაკვირვებით, კოლექტივის პასუხი ტრავმულ მოვლენაზე ინდივიდის მსგავსია: დეპრესია, თავდაცვა, ნევროზი. ტრავმის დაძლევა მდებარე მსხვერპლი აუცილებლად უბრუნდება ტრავმას რაიმე სახით. ყველაზე უწყინარი ამ შემთხვევაში სიზმარია. მსხვერპლი ძალიან ხშირად სიზმარში უბრუნდება ტრავმის

¹ Sigmund Freud, Joseph Breuer “Studies on Hysteria”, 1895 (ხელმისაწვდომია ბმულზე) https://archive.org/stream/studiesonhysteri037649mbp/studiesonhysteri037649mbp_djvu.txt

ადგილს და ტრავმულ მოვლენას. მეორე ხერხი ტრავმასთან მისაბრუნებლად და მის დასაძლევად მოვლენათა სიმულაციაა, ანუ იმ ტრავმული მოვლენის გამეორება, რომელმაც ინდივიდი დააზარალა. მოვლენათა განმეორება შეიძლება მოხდეს განზრახულად და გაუცნობიერებლად. ზიგმუნდ ფროიდის აზრით, კოლექტიური ტრავმის დაძლევა ყველაზე რთულია, ვინაიდან ეს ტრავმები არავის ეკუთვნის, არამედ მთელი ერის ტკივილს წარმოადგენს.

თავის ნაშრომში „ყოველდღიური ყოფის ფსიქოპათოლოგია“ (The Psychopathology of Life, Berlin 1900) ზიგმუნდ ფროიდი კოლექტიური ტრავმის ორმაგ ბუნებაზე საუბრობს: ერთი მხრივ, ის საზოგადოებებს შიშით ავსებს და ერებიც ტრავმის ზოგ ასპექტს ივიწყებენ, მეორე მხრივ კი საზოგადოებებს სჭირდებათ მიბრუნება ტრავმასთან იმისთვის, რომ მომხდარი უკეთ გაიგონ, სიტუაცია გააკონტროლონ. ტრავმა ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომელიც ბატონობს ინდივიდზე/საზოგადოებაზე. ტრავმასთან მიბრუნების მიზანი კი ამ მდგომარეობაზე ინდივიდის/საზოგადოების გაბატონებაა.²

ჩვენი კვლევის მიმართულებისა და თეორიული ჩარჩოს განსაზღვრისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დომინიკ ლაკაპრას წიგნი „Writing History, Writing Trauma“ (Baltimore 2001), რომელიც გვთავაზობს კოლექტიური ტრავმის მეცნიერულ განმარტებას, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის კოლექტიური ტრავმის ბუნებაზე, მის ზოგად მახასიათებლებსა და თავისებურებებზე. ლაკაპრა ერთმანეთისაგან განასხვავებს ისტორიულ და სტრუქტურულ ტრავმას. სტრუქტურულია ტრავმა, რომელიც ინდივიდის დაკარგვითაა გამოწვეული და დაღს ასვამს საზოგადოების მცირე რგოლს. ისტორიულია ტრავმა, რომელიც საზოგადოებას ძირფესვიანად ცვლის და მთელ საზოგადოებას აყენებს ზიანს - მაგალითად, ომი ან ატომური ბომბის აფეთქება. ლაკაპრას მოსაზრებებმა დიდი დახმარება გაგვიწია ჩვენი ნაშრომის თეორიული საფუძვლის განსაზღვრაში.

მეორე უმნიშვნელოვანესი ავტორი ჯეფრი ალექსანდერი ნაშრომში „Cultural Trauma and Collective Identity“ (London 2004) განსაზღვრავს კოლექტიური ტრავმისადმი მიძღვნილი ნარატივების მახასიათებლებს. მის მიერ შემუშავებული კრიტერიუმების წყალობით, შესაძლებელი გახდა ჩვენ მიერ გასაანალიზებელი ნარატივების

² <http://zenfloyd.blogspot.com/2009/08/notes-on-trauma.html> (ხელმისაწვდომი იყო 4/10/2014).

იდენტიფიცირება და აგვისტოს ომისადმი მიძღვნილი კონკრეტული ნარატივების განხილვა. მათი ანალიზი ჯეფრი ალექსანდერის მიერ შემოთავაზებულ კრიტერიუმებს ეყრდნობა.

დღობოთეა კრუკი და რიჩარდ ო'კერნი ჩვენი ნაშრომისთვის ასევე ძალიან ღირებული და მნიშვნელოვანი მკვლევრები არიან. ორივე მკვლევარი, ჯეფრი ალექსანდერის მსგავსად, ტრავმის დაძლევაში ნარატივების როლს იკვლევს. ორივე მათგანი გვთავაზობს ტრავმული ნარატივების დისკრიპტორებსა და ამ ნარატივების ამოსაცნობ კრიტერიუმებს, რაც ჩვენ მიერ გაანალიზებული ნარატივების განხილვაში დაგვეხმარა.

კოლექტიური ტრავმის გავლენა კოლექტიური იდენტობის ჩამოყალიბებაზე შესწავლილია პიოტრ შტომპკას მიერ, რომლის ნაშრომი „Society in Action: the Theory of Social Becoming“ (Chicago 1991) კოლექტიური ტრავმის სრულიად სხვა მახასიათებელზე ამახვილებს ყურადღებას. პიოტრ შტომპკასთვის საინტერესოა პოსტტრავმული სტრესი და ის ცვლილება, რასაც კოლექტიური ტრავმა საზოგადოებაში იწვევს. პოსტტრავმული სტრესი ჩვენი ნაშრომის ერთ-ერთი საკვანძო საკვლევო საკითხია: ვცდილობთ გავიგოთ, როგორ გამოიხატება აგვისტოს ომის შემდგომი სტრესი ქართულ საზოგადოებაში.

პიერ ნორას *მეხსიერების არეების* თეორიის მეშვეობით, შესაძლებელი გახდა ომის შემდგომ შექმნილი მონუმენტების დაკავშირება კოლექტიურ ტრავმასთან. სწორედ ნორას კონცეფციის დახმარებით შევძელით გმირთა მონუმენტისა და მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოს განხილვა კოლექტიური ტრავმის ჭრილში. კოლექტიური ტრავმა კოლექტიური მეხსიერების ნაწილია, შესაბამისად, *მეხსიერების არეების* კვლევა კოლექტიური ტრავმის ბუნების შესწავლისთვის აუცილებელია.

პოსტტრავმული სტრესის აღწერა და მისი თავისებურებების დანახვა ნაიჯელ ჰანტის ნაშრომების (*War and Trauma*, Cambridge 2010) წყალობით გახდა შესაძლებელი. სწორედ მან შენიშნა, რომ კოლექტიურ ტრავმაზე არა მხოლოდ ინდივიდის პასუხი არსებობს, ხშირ შემთხვევაში კოლექტიურ ტრავმას მთელი საზოგადოება პასუხობს. ნაიჯელ ჰანტის ნაშრომები დაგვეხმარა, დაგვენახა კოლექტიური ტრავმა როგორც

გარდამტეხი მოვლენა მთელი საზოგადოებისთვის. ჰანტის ნააზრევზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა ტრავმაზე კოლექტიური პასუხის გაანალიზება.

რიჩარდ ლებოუ, ვულფ კანსტეინერი და კლაუდიო ფოგუ ნაშრომში “The Politics of Memory in Postwar Europe” (London 2009) განასხვავებენ მეხსიერების შესწავლის თავისებურებებს სხვადასხვა დონეზე. მოცემულმა ნაშრომმა დაგვანახა, რომ მეხსიერება 3 ძირითად დონეზე შეისწავლება, რომელთაგან ჩვენ ერთ-ერთი - კოლექტიური დონე გვინტერესებდა.

ვამიკ ვოლკანი ფსიქიატრია, რომელიც კოლექტიური მეხსიერებას იკვლევს. მისთვის განსაკუთრებით საინტერესოა ტრავმის კონცეფცია. მისი მრავალი ნაშრომიდან ნაწილი კავკასიის რეგიონს ეხება. ნაშრომში „The Next Chapter: Consequences of Societal Trauma” (Cambridge 2009) ვოლკანი პოსტტრავმულ სტრესსა და მისი დაძლევის ხერხებს სწავლობს. ამ გამოკვლევამ საშუალება მოგვცა, გავცნობოდით ტრავმის დაძლევის მაგალითებს სხვა კულტურებში (თურქეთი, კვიპროსი, რუმინეთი).

რობერტ ჯეი ლიფტონი და ერიკ ოლსონი ნაშრომში „Living and Dying” ყურადღებას ამახვილებენ კოლექტიური ტრავმის ფსიქოლოგიურ ეფექტზე. ორივე მკვლევარი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ტრავმის უგულვებელყოფის ან მისი საკრალიზების შესახებ. მათი კვლევა იმის შესახებ, რომ კოლექტიურ ტრავმას ზებუნებრივ მოვლენად აღიქვამენ, დაგვებმარა გაგვეგო კოლექტიური ტრავმის მსხვერპლთა პოზიცია.

დანაკარგის შესახებ წერს ანთროპოლოგი ჰანს ბელტინგი ნაშრომში „An Anthropology of Images“, სადაც მკვლევარი ხაზს უსვამს მატერიალური ნივთების მნიშვნელობას ტრავმის დასაძლევად. მისი თეორიის მიხედვით, ადამიანები ტრავმის დაძლევისთვის და დანაკარგის ასანაზღაურებლად ვიზუალურ ხატებს ქმნიან. ეს შესაძლოა იყოს მონუმენტი, ფოტო ან რაიმე ნივთი, რომელიც დანაკარგთან ასოცირდება.

მარდი ჰოროვიცი ნაშრომში „Stress Response Syndroms” (Plymouth 2011) გვთავაზობს პოსტტრავმული სტრესის დაძლევის ხერხებს. თავად ტერმინი *პოსტტრავმული სტრესი*ც მას ეკუთვნის. მარდი ჰოროვიცი პოსტტრავმულ სტრესს

ტრავმის უშუალო მონაწილეების მაგალითზე იკვლევს. მისი თეორიები და კვლევა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ნაშრომისთვის.

ეკიათარ ზერუბაველი კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ავტორია ჩვენი ნაშრომისთვის. მისი ნაშრომი „Time Maps: Collective Memory and Social Shape of The Past” წარმოდგენას გვიქმნის წარსულთან ხიდის გადებაზე და ისტორიული მოვლენების აღქმის თავისებურებებზე. მისი თეორიის წყალობით შესაძლებელი გახდა ნარატივების სრულფასოვანი ანალიზი.

ყველა დასახელებული მკვლევრის ნაშრომის გათვალისწინებით განისაზღვრა ჩვენი ნაშრომის სტრუქტურა და შინაარსობრივი მხარე, შესაძლებლობა მოგვეცა, სხვადასხვა კუთხით დაგვეჩვენა კოლექტიური ტრავმა, როგორც კულტურული ფენომენი და მეტი წარმოდგენა შეგვექმნა მის შესახებ.

თავი 1. კოლექტიური ტრავმა - კვლევის თეორიული ჩარჩო

კოლექტიური ტრავმა კოლექტიური მეხსიერების ნაწილია. ფართოდ გავრცელებული მნიშვნელობით, მეხსიერება გულისხმობს ინდივიდების, ჯგუფებისა და სახელმწიფოთა მცდელობას, განსაზღვრონ საკუთარი რაობა ისტორიის ინტერპრეტაციით, დაგროვილი გამოცდილების ასახვითა და ღირსშესანიშნავად მიჩნეული მოვლენების დაფიქსირებით (Lebow, Kansteiner and Fogu 2006: 8). მეხსიერება შუამავალია წარსულსა და აწმყოს შორის, იგი სამ დონეზე შეისწავლება: კოლექტიურ, ინდივიდუალურ და ინსტიტუციურ დონეებზე (Lebow et al. 2006: 8).

რატომ არის მნიშვნელოვანი მეხსიერების შესწავლა? როგორც მეხსიერების კვლევათა მიმართულების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, ფრანგი მკვლევარი პიერ ნორა აღნიშნავდა, „ჩვენ ვცხოვრობთ მეხსიერების საყოველთაო ზეიმის ეპოქაში. უკანასკნელი ოცი თუ ოცდახუთი წლის მანძილზე ყველა ქვეყანაში, ყველა სოციალურ თუ ეთნიკურ ჯგუფში წარსულისადმი დამოკიდებულება არსებითად შეიცვალა: ისტორიის ოფიციალური ვერსიების კრიტიკა, ისტორიული პროცესის ადრე მივიწყებული ან მიჩქმალული მხარეების გახსენება, „წართმეული წარსულის“ დაბრუნება, „ფესვების კულტი“, მემორიალური ღონისძიებებისადმი განსაკუთრებული ყურადღება, წარსულთან „ანგარიშსწორება“... მსოფლიოს თავს დაატყდა მოგონებათა ნიაღვარი, რომელმაც რეალური თუ მოგონილი წარსულისადმი ერთგულება მჭიდროდ დაუკავშირა კოლექტიურ ცნობიერებას, მეხსიერებასა და იდენტობას“ (Hopa 2005: 391).

წარსულის გააზრება გვეხმარება არა მხოლოდ აწმყოს ინტერპრეტებაში, ის გვეუბნება, თუ ვინ ვართ ჩვენ. გაზიარებული გამოცდილება, მოგონებები და ღირებულებები ქმნიან ინდივიდებსა და საზოგადოებების იდენტობებს. საერთო წარსული, რომელიც ეფუძნება ტერიტორიას, რელიგიას, ენას, ისტორიას ან მათ კომბინაციას, ნაციონალიზმის საფუძველია. კანსტეინერი თვლის, რომ წარსულის გამოყენება აწმყოს ჩარჩოდ დიდი ხნის კულტურული პრაქტიკაა (Kansteiner 2006: 27). “ისტორიკოსები, პოლიტიკოსები, ფსიქოლოგები და ფსიქიატრები თანხმდებიან, რომ კოლექტიური და ინდივიდუალური მეხსიერებები სოციალური კონსტრუქციებია” (Kansteiner 2006: 32).

“კოლექტიური მეხსიერება” არის ინფორმაცია საზოგადოების შესახებ, რომელიც წლების მანძილზეა დაგროვილი და ერთგვარ სოციალურ ფონდს ქმნის (Hunt 2010: 5). კოლექტიური მეხსიერება, სხვა ფენომენებთან ერთად, დაკავშირებულია ტრავმებთან - მაგალითად, მონობასთან, ფაშიზმთან, მეორე მსოფლიო ომთან, გენოციდთან, ჰოლოკოსტთან.

ტრავმები იწვევს ცვლილებებს კოლექტიურ მეხსიერებაში. კოლექტიური ტრავმის ზოგადი განმარტება ასეთია: “კოლექტიური ტრავმა არის ჯგუფის წევრთა ან მთლიანად კოლექტივის მიერ გაზიარებული ფსიქოლოგიური ეფექტი. კოლექტიურ ტრავმაში შეიძლება ჩართული იყოს რამდენიმე ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი ან მთელი საზოგადოება” (Lebow et al. 2006: 6). რას ნიშნავს ადამიანთა ჯგუფი ან რამდენ ადამიანს უნდა მოიცავდეს ის? ფსიქოანალიზის მიხედვით, „ადამიანთა ჯგუფი“, სულ მცირე, 30 ადამიანს მოიცავს, რომელიც ერთმა და იმავე ტრავმამ გააერთიანა (Kernberg 2003: 123). უნდა ითქვას, რომ კერნბერგის განსაზღვრება სრულად ვერ ასახავს კოლექტიური ტრავმის ბუნებას, რომელიც გაცილებით ღრმა კვალს ტოვებს საზოგადოებასა და მის შემდგომ განვითარებაზე.

რა მახასიათებლები აქვს ტრავმას? პოლონელმა მეცნიერმა პიოტრ შტომპკამ გამოყო 4 ძირითადი კრიტერიუმი, რომლითაც მოვლენის კოლექტიურ ტრავმად კლასიფიცირება ხდება (Sztompka 2004: 158):

1) ტრავმული მოვლენა დროში შეზღუდულია, ის მოულოდნელად და სწრაფად ხდება.

2) ტრავმა მრავალი ადამიანის ცხოვრებას ეხება და ბევრ ადამიანზე ტოვებს კვალს. ტრავმული მოვლენა ყველასთვის გასაგებია: მაგალითად, ომი მთელ საზოგადოებას ეხება და ის ყველასთვის გასაგები მოვლენაა.

3) ტრავმულ მოვლენას ახლავს რადიკალური, ღრმა და ფუნდამენტური ცვლილებები. ისინი საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს და, ძირითადად, დეზორიენტაციისა და ღირებულებათა აღრევის სახით ვლინდება.

4) ტრავმული მოვლენა ქმნის შოკურ განწყობას: ის მოულოდნელი, წარმოუდგენელი და დაუჯერებელია.

კოლექტიური ტრავმა, ძირითადად, მოვლენები ან პროცესებია, რომელთაც საზოგადოება განსაკუთრებული პატივისცემით ეკიდება, აწმყოში შექმნილი მნიშვნელობის გამო. ტრავმის მსხვერპლად ითვლებიან არა მხოლოდ უშუალოდ ტრავმის მონაწილენი, არამედ მთელი საზოგადოება, სადაც ტრავმული მოვლენა ხდება. ტრავმის მსხვერპლთა შორის სოლიდარობის ხარისხი მაღალია.

კოლექტიური ტრავმა საზოგადოებებზე სხვადასხვანაირად მოქმედებს. მოვლენათა მსხვერპლმა, შესაძლოა, უარი თქვას ცხოვრების ჩვეულებრივ გაგრძელებაზე, რაც საზოგადოების მიერ აიხსნება როგორც “ტრავმის ერთგულება”. სპეციალისტებისთვის კი ეს პოსტ-ტრავმული სტრესია, რომელსაც განსაკუთრებული ნიშნები ახასიათებს. მათგან უმთავრესია ფსიქოლოგიური ფუნქციის დარღვევა, რაც ინტენსიური გამოცდილების შედეგია. ფსიქოლოგიური ფუნქციის დარღვევა გულისხმობს ფასეულობათა სისტემის მოშლასა და დეპრესიის წარმოშობას, რომელსაც საზოგადოება უნდა გაუმკლავდეს.

ტრავმული მოვლენა, როგორც წესი, მოულოდნელი და არასასიამოვნოა, მისი მონაწილეები თავს მსხვერპლად მიიჩნევენ. ტრავმული მეხსიერება უკავშირდება ინდივიდის პასუხს ტრავმაზე (Hunt 2010: 7). მსხვერპლს მელანქოლია ეუფლება, შესაძლოა, საზოგადოების დარჩენილი ნაწილის მიმართ აგრესიაც გამოავლინოს. აგრესიას ტრავმისა და ტრავმირებულთა „ღალატი“ იწვევს, რაც ცხოვრების ჩვეულებრივ გაგრძელებას გულისხმობს. ტრავმის კავშირი სიკვდილთან ზოგჯერ ახალ ღირებულებებს წარმოშობს. ამ შემთხვევაში, მტკივნეული მოვლენის გახსენება მონაწილისთვის არასასურველია, თუმცა აუცილებელი. ამ ფუნქციას ასრულებს, მაგალითად, მემორიალი ან ძეგლი, რომელიც ეძღვნება ტრავმას ან კავშირი აქვს მასთან. ინდივიდს უჩნდება გაუაზრებელი სურვილი – დარჩეს დაკავშირებული ტრავმასთან. ზოგი მკვლევარი ამას “გლოვას” უწოდებს. ეს დაუსრულებელი გლოვა, შესაძლოა, კარგიც იყოს ინდივიდის სოციალურ ცხოვრებაში თანდათან დასაბრუნებლად.

არსებობს გამარჯვების ტრავმაც: ცვლილებებს უკეთესისკენ, შესაძლოა, მოჰყვეს არასასურველი შედეგი. პიოტრ შტომპკა თავის ნაშრომში „Trauma of social change: a case of post-communist societies“ ამტკიცებს, რომ როდესაც საზოგადოება აცნობიერებს, რომ რაც კარგია ერთისთვის, შესაძლოა აღმოჩნდეს ცუდი სხვათათვის,

თავს იჩენს „გამარჯვების ტრავმა“. ის ცვლილებები, რომლისთვისაც წლების მანძილზე იბრძოდნენ, შეიძლება ძლიერი სტრესის წყაროდ იქცეს. „გამარჯვების ტრავმის“ მაგალითია საბჭოთა კავშირის დაშლა.

კოლექტიური ტრავმა, შესაძლოა, საზოგადოების ან გარკვეული ჯგუფისთვის იდენტობის წყარო გახდეს. ისეთმა დესტრუქციულმა მოვლენებმა, როგორცაა ჰოლოკოსტი ან ჰიროსიმა და ნაგასაკის დაბომბვა, გამოიწვია ტრავმები, რომელთა ნაწილი გარდაიქმნა ღირებულებად, ნაწილმა კი შექმნა ბაზისი ინდივიდისა და ჯგუფის იდენტობისთვის.

კოლექტიურ ტრავმას სხვანაირად მასობრივ ტრავმადაც მოიხსენიებენ. გამოყოფენ ბუნებრივ (ტროპიკული შტორმები, ცუნამი, ვულკანის ამოფრქვევა და სხვა) და ადამიანის მიერ გამოწვეულ (მაგალითად, 1986 წლის ჩერნობილის კატასტროფა) მასობრივ ტრავმას. ტრავმა შეიძლება ასევე გამოიწვიოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ან საზოგადოებრივი მოღვაწის გარდაცვალებამ; მაგალითად, ჯონ კენედის მკვლელობა ტრავმა იყო ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. სხვა კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ დაპირისპირებული ჯგუფის განზრახ მტრული ქმედებები ეთნიკურ, პოლიტიკურ და რელიგიურ კონფლიქტებში. ასეთი დაპირისპირებები შეიძლება წარმოიქმნას და დარჩეს ლოკალურ დონეზე ერთი ერის ფარგლებში, მაგრამ შესაძლოა გაფართოვდეს ტერორისტულ თავდასხმამდე და გენოციდამდე. ასეთ შემთხვევაში ერთი ჯგუფი, რომელიც თვითვიქტიმიზაციას ახდენს, თავგანწირვით ებრძვის მტერს (Volkan 1997: 25). როცა ხალხი იტანჯება, ისინი ტრავმას ღმერთის ნებად ან ბედისწერის გარდაუვალ მოვლენად აღიქვამენ (Lifton and Olson 1976: 7).

1980 წლიდან, როცა პოსტტრავმული სტრესი ფსიქიკურ დაავადებათა კლასიფიკაციაში შევიდა, ტრავმულ მოვლენებად ომი, კატასტროფა ან რაიმე სტიქიური უბედურება დასახელდა. ამოსავალი ის იყო, რომ ტრავმული მოვლენა არაორდინალური და ადამიანთა ყოფისთვის არადამახასიათებელია (LaCapra 2001: 9), იგი შოკისმომგვრელი და რადიკალურია.

როდესაც ვსაუბრობთ ფართო ჯგუფის ტრავმაზე, საჭიროა ვიცოდეთ, რომ კონფლიქტის მონაწილე ჯგუფები მკაცრად ინარჩუნებენ ორ პრინციპს:

1) ხაზს უსვამენ საკუთარ იდენტობას და აპირისპირებენ მას მტრის იდენტობასთან;

2) ცდილობენ, ნებისმიერ ფასად შეინარჩუნონ ფსიქოლოგიური საზღვარი ჯგუფებს შორის (Volkan 1988: 48).

როდესაც საზოგადოება და ელიტები ხვდებიან, რომ დაპირისპირება მწიფდება, ისინი ცდილობენ მოახდინონ თავისი ჯგუფის განსხვავებულობის რადიკალიზაცია, დამალონ ან მტერს მიაწერონ საკუთარი უარყოფითი თვისებები. შედეგად, დაპირისპირებული ჯგუფი არაადამიანურად სასტიკი და დაუნდობელი ხდება. ფსიქოლოგიური საზღვრის შენარჩუნება აბსოლუტურად აუცილებელია, ვინაიდან მსხვერპლთა ჯგუფმა საკუთარი თავი მკაცრად უნდა განასხვავოს მტრისგან და მასთან საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს. შესაძლოა, ვიქტიმიზაციამ ქრონიკული სახე მიიღოს კონფლიქტის შემდეგ, ანუ დაზარალებულმა და ტრავმის მსხვერპლმა საზოგადოებამ საკუთარი თავის მუდმივი შეცოდება დაიწყო. ზემოთ მოცემული ორი პრინციპი კი კონფლიქტის დასრულების შემდეგ ათწლეულების მანძილზე ისევ იმოქმედებს. ჯგუფისთვის აუცილებელია იმის ცოდნა, რომ მტრისგან სრულიად განსხვავებულია. ნებისმიერი რამ, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ტრავმირებული საზოგადოების განსხვავებულობას მტრისგან, გამოიწვევს აღელვებას და მასიურ პანიკას (Volkan 2003: 134).

ტრავმული მოვლენა მოქმედებს ინდივიდზეც და საზოგადოებაზეც. მდგომარეობა, რომელიც ტრავმის მონაწილეებს ექმნებათ, პოსტ-ტრავმული სტრესის სახელითაა ცნობილი.

არტურ ნილის აზრით, პოსტ-ტრავმული სტრესი „ინდივიდისა და კოლექტივის რეაქციაა ვულკანის ამოფრქვევის მსგავს მოვლენაზე, რომელმაც სოციალური ცხოვრების საძირკველი შეარყია“ (Neal 1998: 12). თავად ტერმინი *პოსტ-ტრავმული სტრესი* პირველად მარდი ჰოროვიცმა გამოიყენა, რომელიც ვიეტნამის ომის ამერიკელ ვეტერანებთან მუშაობდა. ჰოროვიცი ცდილობდა დაედგინა ვიეტნამის ომის, როგორც კოლექტიური ტრავმის გავლენა მასში მონაწილე ჯარისკაცებზე. მან დაასკვნა, რომ ტრავმულ სტრესს ერთი და იგივე მახასიათებლები აქვს, მიუხედავად ტრავმული მოვლენის ხასიათისა (Horowitz 1979: 218-219). სხვა სიტყვებით, ჰოროვიცისთვის არ აქვს მნიშვნელობა კოლექტიური

ტრავმის ტიპს და, მისი კვლევის მიხედვით, ყველა მსხვერპლს პოსტტრავმული სინდრომის ერთი და იგივე სიმპტომი აქვს.

სტრესის დაძლევის ერთ-ერთი ფორმაა მომხდარზე საუბარი, თუმცა კოლექტიური ტრავმის შემდეგ ინდივიდი მეტად ჩაკეტილი ხდება. შესაბამისად, სტრესის დაძლევა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. მრავალი წლის მანძილზე მეცნიერები ცდილობდნენ დაედგინათ, როგორ შეიძლება კოლექტიური ტრავმის მსხვერპლი მომხდარზე ავალაპარაკოთ. ანთროპოლოგ ბელტინგის აზრით, კოლექტიური ტრავმის დაძლევის ხერხია აგრეთვე დაკრძალვის ცერემონიებზე შექმნილი ფოტოები. ისინი გვიჩვენებენ ვილაცის არყოფნას, გადააქცევენ რა მას ახალი სახის ყოფნად. ადამიანები, ვინც დანაკარგს განიცდიან, ქმნიან მედიუმს დანაკარგის ასანაზღაურებლად, ეს მედიუმი კი, კონკრეტულ შემთხვევაში, ფოტოა.

გარდაცვალების წინ გადაღებული ჩვეულებრივი ფოტო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება, ვინაიდან ის გვიჩვენებს ვილაცის ნაკლებობას, ცარიელ ადგილს. სხვაგვარად, ესაა “ურთიერთობა ურთიერთობის გარეშე”, ურთიერთობა რადიკალურ ტრანსცენდენტურთან, რომელიც აღარ არის, სხვაა (Belting 2010: 26). დანაკარგი კოლექტიური ტრავმის თანმხლები ერთ-ერთი შედეგია.

კოლექტიური ტრავმა ორგვარია: ისტორიული და სტრუქტურული. ისტორიული ტრავმა დაკავშირებულია ისტორიულ არყოფნასთან და განსხვავებული სახით იჩენს თავს ყველა საზოგადოებაში (დედასთან განშორება, მშობლიური კულტურისგან გამოყოფა, “სხვათა” კულტურისგან გაუცხოება). ისტორიული ტრავმა შეიცავს ისტორიულ გაგებას და ეთნოპოლიტიკურ დისკურსს. იგი მოიცავს დანაკარგით დასრულებულ ისტორიულ მოვლენებს, როგორცაა, მაგალითად, ატომური ბომბის ჩამოვარდნა იაპონიაში. ამ მოვლენების პატივისცემა განაპირობებს ტრავმათა საკრალიზებას. ესაა “წარმომშობი” ტრავმა, რომელიც ხდება ჯგუფური ან პერსონალური იდენტობის წყარო, ერის რჩეულობის კონცეფციის, ერის ვიქტიმიზაციის საფუძველი. კონკრეტული ნაცია თავს სხვისი აგრესიის ან მოვლენათა თანმიმდევრობის მსხვერპლად წარმოაჩენს. თუმცა დიდი ისტორიული მოვლენები შეიძლება დანახულ იქნას აგრეთვე როგორც იდენტობის დაკარგვის ან შელახვის საფრთხე. ისტორიული ტრავმა შეიცავს ანაზღაურების სურვილს, რომელიც იბადება

დანაკარგის გამო. მსხვერპლს უჩნდება სურვილი, აღიდგინოს დანაკლისი და დაიბრუნოს დაკარგული (LaCapra 2001: 49). პოსტტრავმული სტრესი გამოიხატება იმ ლოზუნგებშიც, რომელიც დანაკარგის გამო ჩნდება, მაგალითად, „ჩვენ დავბრუნდებით!“ ან „აფხაზეთი ჩვენი ტკივილია“. ორივე მაგალითი კოლექტიური ტრავმის შედეგად წარმოქმნილი პოსტტრავმული სტრესის შედეგია. ორივე მათგანი ყურადღებას დანაკარგზე ამახვილებს.

ისტორიული ტრავმა სპეციფიკურია. ის განასხვავებს ნამდვილ მსხვერპლს “სუროგატისგან” და ნამდვილ მსხვერპლს “ხმის უფლებას ანიჭებს”. ის ქმნის ვირტუალურ გამოცდილებას, რომელიც გაზიარებულია, როგორც არასასურველი. თანაგრძნობა ძალიან მნიშვნელოვანია ტრავმისა და მსხვერპლის გაგებისთვის. ის ხშირად თავსდება ნარატივებში, რომლებიც უარყოფენ ტრავმას, გადააქცევენ რა მას მოვლენათა ჰარმონიული, ოპტიმისტური სცენარის შესაქმნელად (მაგალითად, “შინდლერის სია” – ფეტიშისტური ნარატივი). ისტორიული ტრავმის მდგომარეობიდან გამოსვლა შესაძლებელია მაქსიმალური დისტანციის შექმნით (შეგრძნებით, რომ ეს ტრავმა შორეულ წარსულს განეკუთვნება).

სტრუქტურული ტრავმა შოკისმომგვრელიც არის და მტკივნეულიც. აქ დიდია განსხვავება მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის. მსხვერპლი არ არის ფსიქოლოგიური კატეგორია, არამედ (შემთხვევების გათვალისწინებით) პოლიტიკური, სოციალური და ეთიკური კატეგორიაა. მოვლენის მიერ ტრავმირებული ყველა ინდივიდი არ არის მსხვერპლი. არსებობენ დამნაშავეები, რომელთა ტრავმაც (თვით)გაანალიზებული უნდა იყოს. მსხვერპლი დანარჩენ საზოგადოებაზე მძაფრად განიცდის კოლექტიურ ტრავმას და მის შედეგებს.

ისტორიული ტრავმა მოვლენაა, რომელიც დროში ლოკალიზდება, სტრუქტურული კი არა მოვლენა, არამედ მდგომარეობაა, რომელიც, შესაძლოა, ისტორიული ტრავმით იყოს გამოწვეული. როცა სტრუქტურული ტრავმა პიროვნებას ეხება ან ამბად გარდაიქმნება, ის უფრო მითის სახეს იძენს. ფროიდისთვის ტრავმა არის გამოცდილება, ძველი მოვლენების “განმეორება” ახალ მოვლენებში. თუ პირველად ინდივიდი არ იყო ამისთვის მზად, განმეორებისას ის უკვე მზად არის ტრავმაზე პასუხის გასაცემად. ფროიდისთვის

მელანქოლია (გლოვასთან ერთად) ჩაკეტილი პროცესის მახასიათებელია, რომელშიც დეპრესია, თვითგვემა და ტრავმირებული ეგო ჩაკეტილია მუდმივ განმეორებაში.

თავის მხრივ, გლოვა (ვინმესთვის, შესაძლოა, ეს იყოს რიტუალიზაცია), შეიძლება, ახალი ცხოვრების დასაწყისი გახდეს. ამას უკვე “ტრავმასთან შერიგებას” უწოდებენ. პოსტტრავმულ სიტუაციაში ინდივიდი ცდილობს წარსულის დავიწყებას, ითვალისწინებს განსხვავებას “მამინ”-სა და “ახლა”-ს შორის, აანალიზებს, რომ რაც მოხდა, წარსულშია, ინდივიდი კი ახლა ცხოვრობს და აქვს მომავალი შესაძლებლობები. რა თქმა უნდა, მოცემული ტრავმული გამოცდილება მუდმივად იარსებებს და ინდივიდს მის დასაძლევად ძალისხმევა დასჭირდება, თუმცა, პირველ რიგში, ტრავმის მსხვერპლი აანალიზებს, რომ მომხდარი წარსულში დარჩა და ყველაფრის გამოსწორება მომავალშია შესაძლებელი.

პოსტტრავმულ მდგომარეობას თავისი საფრთხეები ახლავს. პირველია პოსტულატი – “ყველაფერი ან არაფერი”, რომელსაც ტრავმირებული ცხოვრების დევიზად გაიხდის. ამგვარი ცხოვრების წესი გამუდმებულ რისკებს შეიცავს. ინდივიდი ხშირად დაუფიქრებლად და გაუანალიზებლად მოქმედებს, რაც მას კვლავ იმედგაცრუებულს ტოვებს. პოსტტრავმული სიტუაციის მეორე საფრთხეა წარსულ პრობლემათა დავიწყება. ტრავმული გამოცდილების იგნორირება არ ქმნის სრულფასოვანი სოციალიზაციის წინაპირობას. შედეგად, ინდივიდი სრულად ვერ იდენტიფიცირდება საზოგადოებასთან, რომელშიც ცხოვრობს. მას არ ძალუძს ტრავმული გამოცდილების აღიარება, გაანალიზება და სასარგებლო დასკვნის გამოტანა, შესაბამისად, შემდგომი საფრთხეების გათვალისწინებაც. ეს ყველაფერი ინდივიდს მოწყვლადს ხდის მომავალი ტრავმის წინაშე.

მკვლევართა ნაწილი ხაზს უსვამს ერთ საინტერესო გარემოებას: მათი აზრით, კოლექტიურ ტრავმაზე პასუხი არაერთგვაროვანია აღმოსავლურ და დასავლურ კულტურებში. მაგალითად, რიჩარდ ლებოუს აზრით, აღმოსავლური და დასავლური კულტურები, სხვა მახასიათებლებთან ერთად, ტრავმაზე პასუხითაც განსხვავდებიან: აღმოსავლური კულტურები ცდილობენ ფორმალურად შემოსაზღვრონ “ზნელი წლები” ან წარმოაჩინონ ისინი გაზიარებული ნაციონალური ისტორიისთვის ანომალიურ მოვლენებად. შესაბამისად,

აღმოსავლური კულტურები, გაუცნობიერებლად, ფროიდისეულ გლოვისა და მელანქოლიის ჩაკეტილ წრეში იმყოფებიან. დასავლეთი უარყოფს ტრავმაში მონაწილეობის ფაქტს და მის გამოსყიდვას ცდილობს (Lebow et al. 2006: 35). ამრიგად, დასავლური კულტურები მეტად მიდრეკილნი არიან იმისკენ, რომ იგნორირების ან უგულვებელყოფის გზით დააღწიონ თავი ტრავმულ გამოცდილებას. ლებოუს თეორია საინტერესოა კოლექტიური ტრავმის ბუნების მრავალფეროვნების დასანახად.

ზოგადად, არსებობს კოლექტიურ ტრავმაზე პასუხის რამდენიმე ხერხი. ტრავმის დაძლევის ხერხებად მიჩნეულია ცერემონიის განმეორება, მოვლენათა აღდგენა (სპექტაკლის მსგავსად), ტრავმული გამოცდილების გადალახვა მასზე საუბრით (მომხდარის ანალიზით) და მომხდარზე წერა (მემუარები, ნოველები, ისტორიული და დოკუმენტური ლიტერატურა). კოლექტიურ ტრავმაზე წერას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტრავმის დაძლევისათვის. ჯეფრი ალექსანდერი თავის ნაშრომში გვაცნობს კოლექტიურ ტრავმასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ თეორიას: კოლექტიური ტრავმის აღქმა მხოლოდ ჩვენს ქვეცნობიერს ძალუძს. ტრავმის იგნორირების მიზნით, ადამიანის ცნობიერი არ აანალიზებს მომხდარს, პირიქით, თავს აიძულებს, განზრახ დაივიწყოს იგი. ფსიქიკაზე ამგვარი ზეწოლა იწვევს პოსტტრავმულ სტრესს. სტრესი დაძლევადაა „მეხსიერების აღდგენის“ შემთხვევაში, ამაში კი ნარატივები უნდა დაგვეხმაროს. ნარატივები საშუალებაა დაზარალებულის თვალთ დასახული ტრავმული მოვლენის აღსაწერად. ამავე დროს, ნარატივები წარმოადგენს საისტორიო წყაროს მოვლენის შესწავლისთვის. ამიტომ არის ასე მნიშვნელოვანი ტრავმისადმი მიძღვნილი ნარატივების შესწავლა (Alexander 2004: 5). ერთი მხრივ, ისინი გვაწვდიან ზოგად ინფორმაციას მომხდარის შესახებ, მეორე მხრივ, მათში ჩანს კოლექტიური ტრავმის მონაწილე.

ტრავმაზე წერა ისტორიოგრაფიის, მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროებს განეკუთვნება. დომინიკ ლაკაპრა, რომელიც ხელოვნებაში პოეზიასა და ლიტერატურას გულისხმობს, თვლის, რომ ხელოვნებაში ტრავმა განსაკუთრებულად აისახება და ხაზს უსვამს ტრავმის ერთგვარი მითოლოგიზების, გაპოეტურების, შელამაზების შემთხვევებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტრავმამ, შესაძლოა, წარმოშვას ახალი ღირებულებები, ახალი

ფასეულობათა სისტემა. ამ ყველაფრის ორგანიზება კი ნარატივების მეშვეობით ხდება.

თანამედროვე ლიტერატურასა და ლიტერატურულ კრიტიკაში ტრავმულ ან პოსტტრავმულ მოვლენებზე წერა მნიშვნელოვან ნაკადს ქმნის. ეს ნაწარმოებები ასახავენ ტრავმის რწმენასა და მისადმი ერთგულებას, რითაც მივყავართ დაუსრულებელი მელანქოლიის, გლოვისა და დეპრესიისაკენ. ტრავმა ნარატივებში საკრალიზდება და ერთგვარ მითოლოგიურ ან ზღაპრულ იერს იძენს. ნარატივის შექმნა ტრავმის დაძლევისა და აღბეჭდვის მთავარ ხერხად ითვლება. ბამბერგისა და მაკაბის (Michael Bamberg, Allyssa McCabe) მიხედვით, ნარატივისადმი დამოკიდებულება ძალიან მნიშვნელოვანია: ადამიანები ქმნიან გარემოსა და სივრცეს, ამჟღავნებენ აქტორთა იდენტობას და ქმედებათა ფარდობითობას სცენათა მიხედვით. ამით ნარატორები მნიშვნელობას ანიჭებენ საკუთარ თავს, სოციალურ სიტუაციასა და ისტორიას. ნარატივებში ინდივიდი საკუთარი თავის ლოკალიზებას ახდენს სცენათა და ქმედებათა მიხედვით (Bamberg 1998: 3-5).

რობერტ ნეიმეიერი გამოყოფს ტრავმული ნარატივის რამდენიმე ფორმას (Neimeyer 2006: 82):

- არაორგანიზებული ნარატივი (ქაოსური, ფრაგმენტული ნარატივი, შექმნილი ტრავმის მსხვერპლის მიერ);
- არადომინანტი ნარატივი (პირადი ისტორიები, სოციალურ სიტუაციასთან დაუკავშირებელი ისტორია);
- დომინანტი ნარატივი (ტრავმის გაბატონებული ვერსია).

ნარატივი ეხმარება ინდივიდს, ჩამოაყალიბოს საკუთარი იდენტობა და ტრავმაში ადგილი მიუჩინოს საკუთარ თავს. ეს არის პერსონალური ცოდნის სისტემა. ინდივიდი თავის ემოციურ მდგომარეობას ნარატივად აქცევს. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ საიმონ ვესტონის წიგნი ფოლკლენდის ომზე, ან პაბლო პიკასოს „გერნიკა“. ნარატივი კოლექტიური ტრავმის მსხვერპლისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან მასში ინდივიდი საკუთარ როლს განსაზღვრავს და ხშირ შემთხვევაში იმას გვიჩვენებს, თუ რამდენად დააზარალა იგი კოლექტიურმა ტრავმამ.

ნარატივის შექმნა უმთავრესი საშუალებაა ტრავმის დასაძლევად (Herman 1992: 36). წერა, მატერიალიზება ეხმარება ტრავმირებულს განცდების დაძლევაში. მაგალითად, ოლივერ სტოუნის შემოქმედების დიდ ნაწილს ტრავმაზე (ვიეტნამის ომზე) შექმნილი ფილმები წარმოადგენს.

მკვლევართა ნაწილი ცდილობს გაარკვიოს ტრავმის გავლენა ნარატივზე. დოროთეა კრუკი აღნიშნავს ცხოვრებისეული ტრაგედიის მნიშვნელობას ლიტერატურაში და გამოყოფს მის ეტაპებს: 1) სირცხვილი/შიში მომხდარი გამო; 2) ტანჯვა, რომელიც კოლექტიურმა ტრავმამ მოიტანა; 3) გაცნობიერება იმისა, თუ ვინ არის დამნაშავე მომხდარში; 4) შეგუება და იმედი იმისა, რომ ყველაფერი გამოსწორდება (Krook 1969: 120).

რიჩარდ ო'კერნის მიხედვით, ტრავმული ნარატივისთვის დამახასიათებელია ოთხი ძირითადი ნიშანი: 1) ემოციური მგრძობიარობა და სიმყიფე; 2) ფრაგმენტირებული თხრობა (მოვლენათა გახსენება არასისტემური სახით); 3) არეული დროითი კონტექსტი (არასისტემურობა იწვევს დროის კატეგორიის აღრევას, მოვლენათა გადაადგილებას); 4) დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ (როგორც წესი, ნარატივში ჩანს ინდივიდის დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი) (O'Kearney 2006: 86-93).

თითოეული ნარატივის (ვერბალური იქნება ეს თუ არავერბალური) მიზანია, გამართლება მოუნახოს ტრავმას, აჩვენოს, რომ მოცემული ტრავმული მოვლენა საჭირო იყო რაიმე დიადი გეგმის განსახორციელებლად. საქმე ის არის, რომ თუ ტრავმის მსხვერპლს სჯერა, რომ მის ტანჯვას აზრი არ ჰქონდა, მაშინ იმედგაცრუება ისადგურებს. ტრავმის მსხვერპლმა საკუთარი ტანჯვის მნიშვნელობა უნდა იცოდეს – ტანჯვა ინტერპრეტირდება როგორც ცივილიზაციის გადარჩენისთვის გაღებული მსხვერპლი ან სასარგებლო სამუშაო (Krankl 1963/84: 45).

ტრავმისადმი მიძღვნილი ნარატივის ღირებულება სპეციფიკური დესკრიპტორების მეშვეობით დგინდება:

- ორიენტაცია – ნარატივი გადმოსცემს მთავარ პრობლემატიკას და გამოაქვს ლოგიკური დასკვნები;

- სტრუქტურა – ნარატივი ელემენტებს ეპიზოდების სისტემაში აერთიანებს. ნარატივი უნდა მოიცავდეს: ტრავმული მოვლენის აღწერას (მინიშნებას), პასუხს (ან პასუხის მცდელობას) და შედეგს;
- გავლენა – ნარატივი რაიმეს გვეუბნება მთხრობელზე, მთხრობელი აფასებს მოვლენას. მკითხველთან, აუდიტორიასთან დასაკავშირებლად ნარატივი იყენებს დაძაბულობას, დრამას, იუმორს ან პათოსს.
- ინტეგრაცია – ნარატივი მოიცავს ცალკეული ელემენტების გამაერთიანებელ კონტექსტს (Baeger 1999: 69-96).

მკვლევრებმა გამოყვეს კოლექტიური ტრავმის ამსახველი ნარატივების მახასიათებლთა კიდევ ერთი ჯგუფი, რითაც ვსაზღვრავთ, ნარატივი კოლექტიური ტრავმის დაძლევის ეძღვნება თუ არა (Alexander 2004: 53):

- 1) მოცემული ნარატივის ტექსტმა მოვლენა უნდა ასახოს, აჩვენოს, რა მოხდა.
- 2) ნარატივმა მკაფიოდ უნდა ასახოს დაზარალებული ჯგუფი.
- 3) ნარატივმა უნდა გვაჩვენოს, რომ ტრავმული მოვლენამ არა მხოლოდ ერთ ჯგუფზე, არამედ მთელს საზოგადოებაზე მოახდინა გავლენა.
- 4) ნარატივმა უნდა წარმოადგინოს, ვინ არის დამნაშავე მომხდარში, ვინ უნდა აგოს პასუხი.

მოცემული კრიტერიუმები ნათელი და მკაფიოა, ამიტომ ისინი გამოვიყენეთ ჩვენ მიერ განსახილველი ნარატივების იდენტიფიცირებისთვის. ამ მახასიათებლების გათვალისწინებით და ზოგად თეორიულ ჩარჩოზე დაყრდნობით, ანალიზისათვის შევარჩიეთ რამდენიმე ნარატივი, რომელსაც დაწვრილებით განვიხილავთ და, მოცემული კრიტერიუმებით, შევეცდებით მათი ბუნების განსაზღვრას.

თავი 2. აგვისტოს ომისადმი მიძღვნილი ნარატივები

აგვისტოს ომის კოლექტიურ ტრავმისადმი მიძღვნილი ტექსტური ნარატივებიდან, ზემოთ დასახელებული მახასიათებლების მიხედვით, გავანალიზეთ თამთა მელაშვილის „გათვლა“, თაკო ფხაკაძის „გმირი“, ზაზა ბურჭულაძის „ადიბასი“, ლაშა ბუღაძის „ლიტერატურული ექსპრესი“ და ანა კორძაია-სამადაშვილის „მე მომკლეს, დე...“

თავდაპირველად შევხებით 2008 წლის აგვისტოს ომს კოლექტიური ტრავმის კრიტერიუმების გათვალისწინებით და შევეცდებით დავადგინოთ, შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ აგვისტოს ომი კოლექტიურ ტრავმად.

შემდეგი ნაბიჯი იქნება 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად შექმნილი ნაწარმოებების განხილვა, იმ ელემენტების გამოვლენა, რომლებიც ფროიდისეულ ტრავმასთან მუდმივ დაბრუნებასა და მელანქოლიას უსვამს ხაზს. ამავე დროს, შევეცდებით დავადგინოთ, აქვს თუ არა რაიმე საერთო ყველა ამ ნარატივს. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შექმნილი ნარატივების მიზანი არა მხოლოდ ტრავმის დაძლევა ან მის შესახებ დეტალური ინფორმაციის მოწოდებაა; ტრავმაზე წერა, ზოგადად, გულისხმობს საზოგადოების ფსიქოლოგიურ-მენტალური მდგომარეობის გადმოცემასაც. ზუსტად ამას ცდილობს ჩვენ მიერ არჩეული ყველა ნარატივი.

ნარატივებს გარკვეული კანონზომიერების მიხედვით დავალაგებთ. კერძოდ, თავდაპირველად განვიხილავთ არადომინანტ ნარატივებს და შევეცდებით მათ კლასიფიცირებას, შემდეგ ყურადღება დომინანტ ნარატივებზე გამახვილდება. არადომინანტი ნარატივებისთვის, რომლებიც სხვაგვარად არასოციალური ნარატივების სახელით არის ცნობილი, დამახასიათებელია პირად ისტორიებზე აგებული თხრობა მეტი ინდივიდუალური ელემენტით. მიუხედავად პირადი გამოცდილებისა, თითოეული ავტორი ტრავმის მონაწილე და ტრავმული გამოცდილების თანაზიარია, შესაბამისად, მათ ნაწარმოებებში, გარკვეული დოზით, მთელი საზოგადოების მდგომარეობაც აისახება. ასეთი ნარატივებია ზაზა ბურჭულაძის „ადიბასი“ და ლაშა ბუღაძის „ლიტერატურული ექსპრესი“.

არადომინანტ ნარატივებში ცალკე შეიძლება გამოიყოს პოსტ-ტრავმული სტრესის გამომხატველი ტიპური ტექსტები. ამგვარი ნარატივები მეტად ემოციურია

და ყურადღებას საზოგადოების მგდომარეობაზე ამახვილებს, მაგალითად, თამთა მელაშვილის „გათვლა“ და ანა კორძაია-სამადაშვილის „მე მომკლეს, დე...“

დომინანტი ნარატივის მიზანი მომხდარი ისტორიული მოვლენის შესახებ გაბატონებული და საყოველთაოდ მიღებული აზრის შექმნაა. ასეთი ნარატივია თავო ფხაკაძის წიგნი „გმირი“.

§ 1. 2008 წლის აგვისტოს ომი როგორც კოლექტიური ტრავმა

რამდენად შესაძლებელია, 2008 წლის აგვისტოს ომი კოლექტიურ ტრავმად მივიჩნიოთ? ამ შემთხვევაში, ჩვენთვის ამოსავალია პიოტრ შტომპკას ზემოთ ნახსენები თეორია. ეს მკვლევარი კოლექტიური ტრავმის ოთხ მთავარ მახასიათებელს გამოყოფს:

1) ტრავმული მოვლენა დროში შეზღუდულია, ის მოულოდნელად და სწრაფად ხდება.

აგვისტოს ომის მთელი ქრონოლოგია 1 აგვისტოდან 13 აგვისტომდე ექცევა. აქედან 1 აგვისტოდან 7 აგვისტომდე დაპირისპირების ესკალაცია ხდებოდა, თავად ომი კი 7 და 8 აგვისტოს მიმდინარეობდა.

ევროკავშირის დაფინანსებული მისიის მიერ 30 სექტემბერს გამოქვეყნებულ დასკვნაში ნათქვამია, რომ “ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო შეიარაღებული ძალების მიერ 7-8 აგვისტოს ღამით ცხინვალის დაბომბვით.”³

„ცეცხლის ორმხრივ შეწყვეტაზე სააკაშვილის წინადადების შემდეგ თავდასხმებმა ქართულ სოფლებზე უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. სოფელი ავნევი თითქმის სრულიად განადგურდა, თამარაშენი და ფრისი დაიბომბა, ხოლო სანაკოვეის ადმინისტრაციის შენობა - ქურთას პოლიციის სადგური, არტილერიის ინტენსიური ცეცხლის ქვეშ მოექცა. მშვიდობიანი მოსახლეობა სოფლებიდან გაიხიზნა.“⁴ როგორც ჩანს, მოსახლეობისთვის ომის დაწყება მართლაც მოულოდნელი იყო, ვინაიდან მათ საკუთარი სოფლების დატოვება მხოლოდ ინტენსიური დაბომბვის შემდეგ გადაწყვიტეს.

³ <http://www.civil.ge/geo/article.php?id=21826>

⁴ “Heavy fighting in South Ossetia“, BBC News, 2008-08-08. (ხელმისაწვდომი იყო 14/09/2015)

ის, რომ აგვისტოს ომი დროში შეზღუდული იყო, ცხადია: საომარი მოქმედებები მხოლოდ ორ დღეს - შვიდ და რვა აგვისტოს მიმდინარეობდა. 10 აგვისტოსთვის ქართულმა ჯარებმა ცხინვალისა და სხვა ტერიტორიების დატოვება დაიწყეს, ხოლო 12 აგვისტოს საერთაშორისო დიპლომატიურმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და რუსეთმა ცეცხლი შეწყვიტა. ამრიგად, პირველი მახასიათებელი შეესაბამება 2008 წლის აგვისტოს ომს.

2) ტრავმა მრავალი ადამიანის ცხოვრებას ეხება და ბევრ ადამიანზე ტოვებს კვალს. ტრავმული მოვლენა ყველასთვის გასაგებია.

რა თქმა უნდა, თავად ცხინვალისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის ომის შესახებ ბევრად ადრე გახდა ცნობილი, ვიდრე მთელი საზოგადოებისთვის. 1 აგვისტოდან დაიწყო ქართული სოფლებზე შეტევა. 2 აგვისტოდან კონფლიქტის ზონიდან ქალებისა და ბავშვების ევაკუაცია დაიწყო. 3 აგვისტოს დევნილთა მეორე ტალღა მოჰყვა: ადგილობრივი მოსახლეობით დატვირთულმა ავტობუსებმა ცხინვალის რეგიონი დატოვეს. მოსახლეობის ინტენსიური გამოსვლა ტერიტორიიდან 7 აგვისტოს უკავშირდება, როცა რუსულმა ძალებმა ერედვი, ფრისი, ავნევი, დვანი და ფრონეს ხეობა დაბომბეს. ადგილობრივებმა თავშესაფრის ძიება დაწყეს, ვინაიდან კონფლიქტის ზონაში გაჩერება სახიფათო იყო. 9 აგვისტოსთვის, როცა რუსული სამხედრო ძალები ყველა ქართულ სოფელს აკონტროლებდნენ, ქართულმა მხარემ ერგნეთში დერეფანი შექმნა, რათა დევნილები მშვიდობიანად გამოეყვანათ ომიდან. 7 აგვისტოს მთელი საზოგადოებისთვის ცხადი გახდა, რომ საქართველოში ომი იყო. ამას ხელი შეუწყო საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის რამდენიმე სატელევიზიო მიმართვამ:

„კონფლიქტის ზონაში ამჟამად სნაიპერული ომი მიმდინარეობს სოფლის მცხოვრებთა წინააღმდეგ და ამ მომენტში ინტენსიური სროლები მოდის არტილერიიდან, ტანკებიდან და ხელსატყორცნი არტილერიული სისტემებიდან, რომლებიც კონფლიქტის ზონაში არალეგალურადაა შემოტანილი“ (7 აგვისტო).⁵

„ჩვენ მტკიცედ ვიცავთ ჩვენს პოზიციებს. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ საქართველოს ჰყავდა ასეთი თავდადებული ჯარი. დღეს რუსეთის

⁵ <http://ghn.ge/com/news/view/136444> (ხელმისაწვდომი იყო 13/12/2014)

ავიაცია ახორციელებდა დარტყმებს, დაბომბვებს ცხინვალსა და მის შემოგარენში, რასაც ახლავს მსხვერპლი.

რასაც რუსეთი აკეთებს, ესაა გამოწვევა ჩვენთვის და მთელი მსოფლიოსთვის. დღეს, როგორც არასდროს, მინდა გთხოვოთ: უნდა აღმოვჩნდეთ მოწოდების სიმალლეზე, არ უნდა დავნებდეთ და უნდა გავიმარჯვოთ. რუსეთი ღიად, დაუფარავად ცდილობს საქართველოსთვის ბოლოს მოღებას, განადგურებას. მე მინდა გთხოვოთ თქვენ, ქართველ საზოგადოებას, გავხდეთ ჩვენი ჯარისკაცების თავდადების და მათი გმირობის ღირსი. დღეს წყდება საქართველოს ბედი“ (8 აგვისტო).⁶

ის ფაქტი, რომ ომი საყოველთაო მოვლენა გახდა, დასტურდება ქართველი ხალხის მიერ ორგანიზებული აქციით, რომელიც ევროპელი ქვეყნების ლიდერების დასახვედრად შედგა. ათიათასობით ადამიანი ქვეყნის მთავარ მოედანზე შეიკრიბა და გაერთიანდა აგრესიის წინააღმდეგ:

„პოლონეთის პრეზიდენტი, ოთხი სახელმწიფოს მეთაურთან ერთად, თბილისში ღამით ჩამოფრინდა. თბილისის თავზე რუსული თვითმფრინავები დაფრინავდნენ. ათიათასობით ადამიანი კი აღმოსავლეთ ევროპელი ლიდერების ჩამოსვლას რამდენიმე საათს ელოდა. პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმ ქართველ ხალხს მიმართა: “აქ ჩვენ საბრძოლველად ვართ. ჩვენმა მეზობელმა ძალზე დიდი ხნის განმავლობაში პირველად გამოაჩინა თავისი სახე, რომელსაც ჩვენ რამდენიმე ასწლეულია, ვიცნობთ. ჩვენი მეზობელი ფიქრობს, რომ მეზობელი ხალხები უნდა ემორჩილებოდნენ. პასუხად ჩვენ ვამბობთ - არა! რადგან ვიცით, რომ დღეს საქართველო იქნება, ხვალ - ბალტიის ქვეყნები, შემდეგ კი ჩემი ქვეყნის - პოლონეთის ჯერი დადგება!“⁷

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი მთელი საზოგადოებისთვის გასაგები მოვლენა იყო. მართალია, საზოგადოების თავდაპირველი დამოკიდებულება ომის მიმართ გულგრილი იყო, თუმცა საფრთხის რეალურად დანახვის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა.

⁶ <http://marshalpress.ge/?p=9286> (ხელმისაწვდომი იყო 15/12/2015)

⁷ <http://www.24hours.ge/weekend/story/5095-lekh-kachinski-gartvelebi-unda-davitsvat> (ეკა ჯანაშიას სტატია ხელმისაწვდომი იყო 12/03/2014)

3) ტრავმულ მოვლენას ახლავს რადიკალური, ღრმა და ფუნდამენტური ცვლილებები. ისინი საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს და, ძირითადად, დეზორიენტაციისა და ღირებულებათა აღრევის სახით ვლინდება.

საზოგადოების დეზორიენტაცია ყველაზე ადვილი დასაწახნია აგვისტოს ომის მაგალითზე. მთელ საზოგადოებას გაუჭირდა ომის აღქმა. 6 აგვისტოს, როდესაც ქართული სოფლები იბომბებოდა, თბილისში ზოგი ვაკის საცურაო აუზზე იყო, ზოგიც კუს ტბაზე დარბოდა.

„გაგანია ომი იყო, როცა ერთმა რესპონდენტმა, რომელსაც რამდენიმე დღის განმავლობაში გულს ვუწუხებდი რეკვით, ბოლოს და ბოლოს, შეხვედრა დამითქვა, მაგრამ დილის 6 საათზე, თანაც - კუს ტბაზე. - იქ ვვარჯიშობ ხოლმე და დროსაც გამოვძებნი, რომ დაგელაპარაკო. კუს ტბაზე მისული გაოცებული ვიყურებოდი - რომელ "სუფთა ჰაერზე" იყო ლაპარაკი, როცა შესასვლელი სავსე იყო მანქანებით და თქვენ წარმოიდგინეთ, მანქანის გასაჩერებელი ადგილიც კი ძლივს ვიპოვე. იმდენი ხალხი დამხვდა, ალბათ სუფთა ჰაერის "ყლაპვაც" მორიგეობით უწევდათ.“⁸

როდესაც საომარი მოქმედებები უფრო ინტენსიური გახდა, რუსების ბომბი 11 აგვისტოს თბილისს, კერძოდ, მახათას მთაზე განლაგებულ რადარებს მისწვდა. „როგორც ჩანს, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსმა სამხედროებმა უკვე უკეთესად მომზადებულებმა შეუტიეს იმ მძლავრ ქართულ რადიოლოკატორს, რომელიც ცხინვალის თავზეც აკონტროლებდა საჰაერო სივრცეს. რუსმა პილოტებმა, მეთაურმა, მაიორმა სერგეევმა და შტურმანმა, კაპიტანმა შპიტონკოვმა ღამით Cy-24M ტიპის საფრონტო ბომბდამშენიდან “ჰაერი-რადიოლოკატორის” კლასის X-58Y ტიპის მართვადი ორი რაკეტით მწყობრიდან გამოიყვანეს ნაწრეტ-შავშვების მონაკვეთზე განთავსებული ქართული 36Д6-M ტიპის რადიოლოკაციური სადგური.“⁹

⁸ <http://www.gzapress.ge/life/2002-kus-tbis-vnebani-agvistos-omis-dros.html> (მარიამ ჯაფარიძის სტატია ხელმისაწვდომი იყო 09/09/2013)

⁹ <http://www.kvirispalitra.ge/military/26101-vin-agvifethqa-radarebi-agvistos-omshi.html> (ხელმისაწვდომი იყო 13/10/2015)

ამას მოჰყვა დევნილთა ტალღები თბილისის მიმართულებით და ომი მთელს საზოგადოებაში განზოგადდა. ის ლოკალური ტრავმიდან საერთო საზოგადოებრივ მოვლენად იქცა.

4) ტრავმული მოვლენა ქმნის შოკურ განწყობას: ის მოულოდნელი, წარმოუდგენელი და დაუჯერებელია.

ის, რაც საქართველოში ომის საყოველთაობის გაცნობიერებას მოჰყვა, ზუსტად შეესაბამება კოლექტიური ტრავმის მახასიათებლებს. მოსახლეობა პანიკაში იყო, ტრავმა იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ყველამ სხვადასხვა ზომების მიღება დაიწყო:

„ჩემი დეიდაშვილი კი 11-ში ჩამოფრინდა ქენევიდან ჩერეზ ბაქო (ვიღაც ორმა აზერმა, რომ გაიგეს რომ ქართველები იყვნენ, ეგრევე დაუთმეს ბილეთები ბაქოს რეისზე). მახსოვს 11 აგვისტოს, შუაღამისას წერილი რომ მომწერა მობილზე: თბილისის მიმართულებით მარტო ჩვენი მანქანა მოძრაობსო, მანქანების მთელი კოლონა აზერბაიჯანის საზღვრისკენ მიდიოდა. არასდროს არ დამავიწყდება იმ ღამეს ვაკე-საბურთალოს გადასასვლელი - ბენზინ გასამართებთან ოთხრიგად მანქანების რიგები“.¹⁰

„მიუხედავად ადრიანი დილისა, ქალაქში საკმაოდ ბევრი მანქანა მოძრაობდა. ისიც შევნიშნე, რომ თითქმის ყველა მანქანას ჭიანჭველასავით ტვირთი ჰქონდა წამოკიდებული - ზოგს ხილი და ბოსტნეული, ზოგს ტუალეტის ქაღალდით სავსე ჰქონდა საბარგული“.¹¹

მოცემულ ამონარიდებში კარგად ჩანს, როგორ შოკში იყო საზოგადოება ომის გამო. სწორედ ამიტომ შეიძლება ვთქვათ: აგვისტოს ომი აკმაყოფილებს კოლექტიური ტრავმის მეოთხე ნიშანსაც. ჩამოთვლილი მახასიათებლები სრულად შეესაბამება 2008 წლის აგვისტოს ომს, ამიტომ თამამად შეგვიძლია, ეს ომი კოლექტიურ ტრავმად განვიხილოთ. მან ყველა ადამიანზე იქონია დიდი გავლენა და, რა თქმა უნდა, უდიდესი კვალი დაამჩნია ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებას.

კოლექტიური ტრავმისადმი საზოგადოებას სრულიად განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს. კოლექტიური ტრავმა ახალ ფასეულობათა სისტემას

¹⁰ <https://forum.ge/?f=29&showtopic=33944895&st=180> (ხელმისაწვდომი იყო 12/10/2015)

¹¹ <http://www.gzpress.ge/life/2002-kus-tbis-vnebani-agvistos-omis-dros.html> (ხელმისაწვდომი იყო 10/10/2014)

აყალიბებს და ძველს არღვევს. ის გარდაქმნის საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებას, დისონანსი შეაქვს მასში.

შესაბამისად, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად შექმნილი ნარატივები მიეკუთვნება ტრავმულ ნარატივებს. თითოეული ნარატივი საინტერესოა და სხვადასხვა კუთხით განიხილავს ტრავმულ მოვლენას. თავდაპირველად არადომინანტ ნარატივებს განვიხილავთ, რომლებშიც თხრობა პირად ისტორიებზეა აგებული.

ა) არადომინანტი ნარატივები

§ 2. ზაზა ბურჭულაძე. „ადიბასი“

ზაზა ბურჭულაძე ქართული ლიტერატურის ეპატაჟურ მწერლად ითვლება. ის ზოგადად არ ერიდება თამამ სიუჟეტებსა და სკანდალურ კომენტარებს. ერთი მხრივ, გასაკვირი იყო, როდესაც სრულიად აპოლიტიკურმა მწერალმა აგვისტოს ომზე გადაწყვიტა ყურადღების შეჩერება. შედეგად შეიქმნა „ადიბასი“, რომელიც ჩვენი ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი თემაა. პოსტ-ტრავმული სტრესის ერთ-ერთი ნიშანი ტრავმის იგნორირება/უგულებელყოფაა. თუ პროექტი „გმირი“ ტრავმასთან გამკლავებას და მის დაძლევას ცდილობს, ზაზა ბურჭულაძის პერსონაჟები ომის იგნორირების გზას ადგებიან.

რომან „ადიბასზე“ მუშაობა 2009 წელს დასრულდა და მისი პრეზენტაცია იმავე წლის 17 დეკემბერს შედგა. წიგნის წერა ავტორმა ზუსტად 2008 წლის 8 აგვისტოს დაიწყო: „ზუსტად იმ დღეს, როდესაც გავრცელდა ხმა, რომ თბილისზე მოდის რუსის არმია, დავჯექი და დავიწყე წერა, რადგან მივხვდი, რომ ამაზე ძლიერი სტიმულატორი მე არ მექნებოდა.“

სახელი „ადიბასი“ თვითირონიასა და თვითკრიტიკაზე მიგვანიშნებს. „ადიბასი“ „ადიდასის“ ჩინური ანალოგია, ნაყალბევი პროდუქციის სახელი. წიგნის გარეკანსაც „ადიბასის“ ლოგო ამშვენებს. ერთ-ერთ ინტერვიუში ავტორმა სათაური თავად განმარტა: „გამოვიტანე სამზეოზე ის, რაც ისედაც კარგად ჩანს, ანუ ჩვენი ყოფა, ყოველდღიურობა, ის სინამდვილე, რაც იმალება აი, ამ ფასადის მიღმა,

რომელიც ძალიან აბრჭყვიალდა. გგონია მართლა "ადიდასი" და რომ ჩააკვირდები, შეგრჩება "ადიბასი" - ძალიან სუნიაანი, ჩამყაყებულნი, სამწუხარო რეალობა."¹²

„წიგნმა თავისი თავი დაწერა“, - ასეთია თავად ზაზა ბურჭულაძის შეფასება. იგი იმასაც აღნიშნავს, რომ მთავარი მოტივი ქართველი საზოგადოების კრიტიკაა. ავტორმა სცადა გადმოეცა ომის დღეები და საზოგადოების მდგომარეობა, პირველ რიგში კი საკუთარი გამოცდილება და შთაბეჭდილებები 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ.

„რა თქმა უნდა, მე დიდი დოზით ვარ ამ წიგნში, დავცინი ჩემს თავს, პირველ რიგში. თვითირონია ისედაც არასოდეს მაკლდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ მაინც კრებიითი სახე გამოვიდა ჩემი გმირი“¹³, ამბობს ავტორი.

მართლაც, წიგნის წაკითხვისას ჩნდება ემოცია, რომ წიგნი ომზეა, თუმცა თავად 2008 წლის აგვისტოს ომის მასში ნაწყვეტ-ნაწყვეტადაა წარმოდგენილი, რაც თხრობას კიდევ უფრო დრამატულს ხდის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ადიბასი“ მეტად ქართველი საზოგადოების კრიტიკაა, ვიდრე ომისადმი მიძღვნილი რომანი, თუმცა ომი ნაწარმოების პირველსავე თავში გვხვდება:

„პულტით 'იმედზე' ვრთავ. ტანკების კოლონა რაღაც ტრასაზე მიემართება. კადრს მიღმა დიქტორი სხაპასხუპით ამბობს: „გენერალი კულახმეტოვი დეზინფორმაციას უწოდებს და კატეგორიულად უარყოფს რუსული ტანკების თბილისში შესვლის ფაქტს. ამის მიუხედავად, დიდ დილომში უკვე ერთი საათია ისმის ინტენსიური სროლები...“.

მოცემული საზოგადოებისთვის აგვისტოს დღეები მშვიდი და როგითია, თუმცა ომის შესახებ ცნობები ახალი ამბების მეშვეობით ვრცელდება:

„ზალიდან ტელევიზორის ხმა ისმის: '...მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ქალაქის ცენტრისკენ კიდევ მიემართება ორმოცდამეორე დივიზიის მოტომსროლელი ბატალიონი. მათ შორის ოთხმოცი ერთეული მძიმე ტექნიკა და ოცდაათი ტანკი...“

ომი ნაწარმოების სრულფასოვანი პერსონაჟია, რომელიც მოულოდნელად ჩნდება და ერთგვაროვან ყოფით სურათს მრავალფეროვნებას ანიჭებს:

¹² <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1907936.html> (ხელმისაწვდომი იყო 16/04/2013)

¹³ იქვე.

*„ტაქსის დინამიკებიდან დიქტორის ხმა ისმის:
‘...რუსული არმიის ქვედანაყოფები მტკვრის მარჯვენა
სანაპიროზე მიემართებიან. ბლოკ-საგუშაგოებია გახსნილი
პეკინის ქუჩის დასაწყისში, სპორტის სასახლესთან და
‘საზოგადოებრივ მაუწყებელთან’...“*

მთელი წიგნი ომის სურათებითა და ცნობებითაა სავსე. მათ მოსაწყენი ქალაქის მონოტონურ ცხოვრებაში მუხტი შეაქვთ:

*„...ცოტა ხნის წინ რუსულმა სამხედრო ავიაციამ
თბილისის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე კიდევ რამდენიმე
ბომბი ჩამოაგდო. იწვის ორი ჰექტარი ტყის მასივი...“*

ამ ქალაქში მიმდინარე მოვლენები არავის ანაღვლებს, ტელევიზორიდან კი ხმა ისმის:

*„...შეგახსენებთ, რომ დანაღმულია სახელმწიფო
უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია, ვარაზისხევის
აღმართი ზოოპარკის მხრიდან და კოსტავას ქუჩა კინოთეატრ
‘ამირანთან’...“*

ომის სურათების ამგვარი ფრაგმენტულობით მრავალი ჟურნალისტიც დაინტერესდა და ავტორს ამგვარი გადაწყვეტის მიზეზი ჰკითხა: „თუ წიგნი ომზეა, რატომ არის ის ასე ფრაგმენტულად წარმოდგენილი მასში?“

”ომი იყო ტელევიზორიდან, რადიოდან, კომპიუტერის ეკრანიდან, ჰაერში, ყველას სამეტყველო აპარატში, მაგრამ ომი არ იყო სინამდვილე, ეს არ იყო თბილისური ომი, ომი იყო სადღაც და, მიუხედავად იმისა, რომ ხალხი დაიღუპა და საშინელება იყო, ეს არ იყო თბილისური ომი, ეს იყო ომი მედიაში, მედიაომი“, - განაცხადა მწერალმა.

ზაზა ბურჭულაძის რომანში ომი განზოგადებულ სახეს ქმნის. ეს არ არის მხოლოდ ქართული ომი, ეს ომის ზოგადი სახეა, ხოლო საზოგადოების რეაქცია ნებისმიერი სხვა საზოგადოების რეაქციის მსგავსია.

რით არის გამორჩეული ზაზა ბურჭულაძის „ადიბასი“? ამ რომანში აგვისტოს ომი არავის ანაღვლებს. ჩვენ მიერ ნანახი და წაკითხული სხვა ნაწარმოებები ასეთ გულგრილობას არ ამჟღავნებენ. პირიქით, თამთა მელაშვილის „გათვლაში“ ომი შემზარავი და შიშისმომგვრელია, „გმირში“ კი ომი ოჯახთა უბედურების მთავარი

მიზეზი და უდიდესი ბოროტებაა. „ადიბასში“ ომი ერთგვარი ფონია, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებას მრავალფეროვანს ხდის. პერსონაჟები ომის იგნორირებას ირჩევენ და ფროიდისეულ ჩაკეტილ წრეში ექცევიან. კოლექტიური ტრავმის დამღვეისთვის ჯერ ტრავმის გააზრებაა საჭირო. ამას კი ზაზა ბურჭულაძის მიერ აღწერილი საზოგადოება თავს არიდებს.

ძალიან საინტერესოა იმ საზოგადოების მდგომარეობა, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს თბილისშია. ავტორი ცდილობს ქართველი საზოგადოების იმ ნაწილის მდგომარეობა გადმოსცეს, რომელიც ცხოვრების სტილს ოდნავადაც არ იცვლის და ტრავმის უარყოფის გზას ირჩევს. ისინი ისე ცხოვრობენ, თითქოს არც არაფერი მომხდარა. აქ ძალაუნებურად ფროიდის ფსიქოლოგიური ფარი გვახსენდება. იგნორირება საზოგადოების მცდელობაა - თავი დაიცვას. ეს, ერთი მხრივ, შეიძლება მოქალაქეთა გულგრილობად ჩავთვალოთ, მეორე მხრივ კი - პოსტ-ტრავმული სტრესის სინდრომად. საზოგადოებას უჭირს იმისი აღიარება, რომ მისი ცხოვრება იცვლება და ყოველდღიური ჩვეული პრაქტიკაც უნდა შეიცვალოს. ამიტომ ომის ციებ-ცხელებისას თბილისელები ვაკის საცურაო აუზზე ერთობიან:

„ვაკის საცურაო აუზზე ბლომად ხალხია: ბანდიტების ქვრივები სილიკონის მკერდით, ბიზნესმენების ცოლები წელზე ცელულიტით, ბარბი-გოგონები მზის უზარმაზარი სათვალეებით, დედიკოს ბიჭები ახდენილი ოცნებებით, ახალგაზრდა ჯანიანი სხეულები პირდაპირ ევროვიზიის კონკურსზე გასამგზავრებლად გამზადებულები... დილიდან მოთენთილი თბილისელები აუზის გარშემო შეზღონგებზე ტენტის ქვეშ ყრიან.“

გასაკვირია ის გულგრილობა, რომლითაც თბილისელები ავიაგამანადგურებელს უყურებენ:

„მზარდი გუგუნის უცბათ თავის პიკს აღწევს და უცბათვე ქრება. ავიაგამანადგურებელი ისე დაბლა მიფრინავს, რომ მის ბორტზე მიბმული ქარი და ჩრდილი აუზს ზედ უვლის. ბართან მღვარი ზონდები მძიმედ ირხევა... არავინ არაფერს იმჩნევს.“

მხოლოდ გამხდარი ქალი სკამიდან გვერდზე იხრება, ცაში იყურება“.

საგაზეთე ჯიხურთან მისულ გმირს რადიოს ხმა ესმის:

„... რუსული ავიაციის მიერ დღეს უკვე მეორედ დაიბომბა ვაზიანის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია. დაუზუსტებელი ინფორმაციით საჰაერო შეტევის შედეგად დაიღუპა რვა და დაიჭრა ოცამდე ადამიანი“.

ჯიხურის გამყიდველი ამ დროს ერთ-ერთ ბულვარულ ჟურნალს კითხულობს და საერთოდ არ უსმენს რადიოს.

„გამყიდველი დანით პურს ჭრის. პარალელურად ავტომატის კაკანი და აფეთქების ხმა ისმის. რადიოში კი აცხადებენ: ‘ეს წუთია რუსეთის სამხედრო ვერტმფრენებმა გაგარინის მოედნის და საბურთალოს ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე საერთაშორისო კონვენციით აკრძალული ჭურვები და კასეტური ბომბები ჩამოყარეს...“

ქალაქი განგებ უარყოფს და უგულვებელყოფს საფრთხეს, რომელიც მათ უბანში, მათ გვერდითაა. ზაზა ბურჭულაძის პერსონაჟები სახინკლესა და აუზებზე კლავენ დროს, ომი კი მათთვის საჭიროაო თემაა. საინტერესოა ავტორის მიერ თხრობის ორგანიზებაც: საკმარისია მკითხველმა ყურადღება მოადუნოს და დაივიწყოს ის ვითარება, რაც ქალაქშია, რომ მწერალი მაშინვე რაიმე ხერხით ახსენებს ომს. აგვისტოს ომთან მიბრუნება წიგნის მუდმივი ტენდენციაა.

შაკო (მთავარი პერსონაჟი) შემზარავ სცენას ხედავს:

„ვიტრაჟიდან კედელზე დამონტაჟებულ ეკრანზე ვხედავ, როგორ გდია სისხლით სახემოთხვრილი ვიღაც ბებია ცეცხლწაკიდებული კორპუსის წინ და კამერისკენ უმწეოდ იშვერს ხელეხს. იქვე წითელი ჯვრის მანქანაა აყირავებული, გვერდით ცარიელი მიკროავტობუსი ბოლავს - ბორბლები დამწვარი აქვს. შუა კადრში სტალინის ძეგლი ხელუხლებლად დგას. როგორც ჩანს, გორის კადრებია. ბელადის ძეგლს

*დღესდღეობით მარტო იქ თუ ნახავ. სადღაც უკან ჯარისკაცი
მირბის ავტომატის კაკანით.“*

ევრანის ქვეშ კი ბანკის სარეკლამო წარწერა ჩნდება.

წიგნი რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული მოთხრობისგან შედგება. ყველა მათგანში წიგნის მთავარი პერსონაჟი ტრავმის იგნორირებას ირჩევს, ის ერთი თბილისელი ბიჭი/კაცია, რომლისთვისაც ომის მოვლენები არც საინტერესოა და არც საგანგაშო. ის ომზე საერთოდ არ ფიქრობს. ომი მისთვის აბსტრაქტული და უინტერესო მოვლენაა. თუმცა ომი მაინც ჩნდება, ეს შეფარულად ხდება, ხან ტელევიზიის რეპორტაჟების წყალობით, ხან გოგონას ტატუს მეშვეობით: „ორი კვირის წინ შუა კეფაზე პატარა მიზანი დაიხატა: დიამეტრით ორსანტიმეტრიან წრეში ჩასმული კიდევ ერთი წრე თავისი ჯვრით“, ხანაც ტატუს არჩევის დროს: „*ომის ღმერთი მომეწონა - უიცილოპოპტლი, რომელიც სინამდვილეში კოლობრი აღმოჩნდა. თავით ფეხებამდე შეიარაღებულს რაინდის აბჯარი ეცვა“.*

ომის აჩრდილი ქუჩაშიც გვხვდება და საინტერესოა, რომ მთავარი გმირი არც კი ინტერესდება, არც კი კითხულობს, რა ხდება:

*„ქუჩაში ორი ბეტერი დგას. ერთი ლენინგრადის, მეორე
კამოს ქუჩას კეტავს. ზედ ქართული დროშებია აღმართული...
ვერ ვხვდები, ასე ემზადება არმია ქალაქის თავდაცვისთვის თუ
მხოლოდ თავდაცვის იმიტაცია იქმნება“.*

ავტორი სასოწარკვეთილად ცდილობს გაარღვიოს ის ბურუსი და ფსიქოლოგიური კედელი, რომელიც ქალაქის მაცხოვრებლებსა და რეალობას შორისაა აღმართული, თუმცა ამაოდ. „ადიბასის“ პერსონაჟები უდრტვინველად განაგრძობენ ცხოვრებას, ემზადებიან ფოტოსესიებისთვის, სამეზობლოში აზარტული თამაშებით ერთობიან.

„საიდანღაც ძალიან ახლოს აფეთქების ხმა ისმის. ტაქსის ოდნავ ანჯღრევს“. თუმცა არც ინსპექტორი და არც ტაქსის მძღოლიც არაფერს იმჩნევენ. გმირის სიტუაციაში ერთადერთი დისონანსი სარეკლამო ბანერს შეაქვს: „აირჩიე შენი რეზერვი!“

ყოველი ამგვარი ეპიზოდის წაკითხვისას მკითხველს წინასწარ განწირული მოლოდინი იპყრობს: განუწყვეტლივ ჩნდება სურვილი, ვინმეს თვალი აეხილოს და

რომელიმე პერსონაჟმა რაიმე მოიმოქმედოს, თუნდაც, აირჩიოს რეზერვი. სამწუხაროდ, მთელი წიგნის მანძილზე ეს მხოლოდ მკითხველის სურვილად რჩება. საზოგადოება ტრავმას საერთოდ არ ცნობს, თითქოს ის მათ ქალაქში საერთოდ არ ხდება. სწორედ ამიტომ უჭირს შაკოს თოლიას გარჩევა ავიამზვერავისგან:

„ვერ ვხვდები, ჭადრაკის სასახლის თავზე მართლა უპილოტო მზვერავი-თვითმფრინავი ტრიალებს თუ მხოლოდ თოლიაა“.

საბოლოოდ გმირის შიში მართლდება, ვინაიდან ეს რუსული სადაზვერვო თვითმფრინავი აღმოჩნდა. მეუზოვე მთავარ გმირს დასხივებისგან გადაარჩენს და შემდეგ პლაზმურ ეკრანზე მთავარი გმირი ხედავს:

„ჯერ შავი ‘მერსედესის’ კაპოტი ჩანს. მანქანის ერთ ფრთაზე პოლონური, ხოლო მეორეზე ქართული დროშაა მიმაგრებული. ვხვდები, ‘მერსედესი’ აეროპორტის ტრასაზე თბილისისკენ მოძრაობს. მინიდან ჩანს, რომ წინ ესკორტი მიუძღვის. კადრში წამით პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი და დაცვის რამდენიმე ჯანიანი ტიპი ჩნდება... ესკორტის წინა მანქანები რამდენიმე მხრიდან ერთდროულად იცხრილება... ბოევიკები მორბიან. ერთ-ერთს შუბლზე მწვანე ზონარი უკეთია. ზედ დაკლაკნილი თეთრი ნაქარგიით... მომდევნო კადრში კაჩინსკი შუა ტრასაზე მუხლებზე დგას, ხელები თავზე უწყვია. ბოევიკებს ავტომატები აქვთ მიშვერილი. კადრში ერთ-ერთი ბოევიკის გაქეცილი სამხედრო ბათინკის ცხვირი ჩანს“.

ამის შემდეგ კი შაკო ერთ-ერთ თავის მეგობარს შარდენის ფოტოსესიაზე უთანხმდება. არანაირი თანაგრძნობა, არც რეალიზმის განცდა. ზაზა ბურჭულაძის თბილისისთვის ომი ჭორების მთავარი მოვლენაა, უცხოელი პრეზიდენტები - ერთგვარი გასართობი მარიონეტები, რომლებიც თბილისურ „ბომონდს“ სალაპარაკო თემას უქმნიან.

ქალაქის ჭორიკნები თბილისის დაბომბვაზე ლაპარაკობენ:

„-აბა ვაკე დაბომბესო?“

-არ დაუბოძბიათ-მეთქი.

-ქალაქში რა ხდება, პანიკაა?“

„აქურ ნიუსებში აცხადებენ, თბილისში აირწინალებს არიგებენ, შეიძლება ქიმიური შეტევა დაიწყოსო“.

თბილისურ „ბომონდს“ არც უცხოელი პრეზიდენტები რჩება ყურადღების მიღმა:

„-იცი, რომ პუტინს ბერლუსკონიმ არ დააბოძბინა თბილისი?“

-სარკოზი როდის ჩამოდის?

-ბერლუსკონი კალაძის ძმაცაცია.

-ბუში ოლიმპიადიდან ამერიკაში დაბრუნდა.

-შეიძლება ამერიკამ რუსეთს დაარტყას - საქართველოს გამო“.

წიგნში მოცემულია ორი ქალის სატელეფონო საუბარი. ერთ-ერთი ხუთწლიანი ემიგრაციის შემდეგ ზუსტად 2008 წლის აგვისტოში გეგმავს ქალაქში დაბრუნებას, რადგან თბილისი უწყნარეს ქალაქად მიაჩნია. მეორე ქალბატონმა კი არჩევანი შემდეგი სიტყვებით მოუწონა:

„აბა რაა. იცი, დღეს დილით თბილისში საფრანგეთის, პოლონეთის, უკრაინის, ესტონეთის და ლიტვის პრეზიდენტები ჩამოვიდნენ საქართველოს მხარდაჭერის პონტში“.

თბილისელები უყურადღებოდ არ ტოვებენ პარლამენტის შენობის წინ ხალხის შეკრებას, თუმცა მხოლოდ იმდენად ახსენებენ, რამდენადაც ეს საინტერესო ახალი ამბავია, რომელიც ქალაქის მონოტონურ ცხოვრებას ახალისებს.

ავტორი უყურადღებოდ არც ეკლესიას ტოვებს. ეს ერთადერთი ადგილია ნაწარმოებში, სადაც გაურკვეველი ცერემონია მიმდინარეობს. ვაკის ეკლესიაში პროცესიაა, რომელსაც მთავარი გმირი ადევნებს თვალს. ის დაბნეულია, თუმცა სიმართლის გარკვევას არც კი ცდილობს: *„არ ვიცი, რამე საეკლესიო დღესასწაულია, თუ ომში დაღუპულებს უხდიან სამოქალაქო პანაშვიდს“.* შაკო არაფერს ამბობს, არაფერს ეკითხება გარშემომყოფთ და, საბოლოოდ, ავტობუსით სახლში მიემგზავრება. მთავარ პერსონაჟს ნაკლებად აინტერესებს მიმდინარე მოვლენები და

ტრავმის იგნორირება ურჩევნია. ნიშანდობლივი უნდა იყოს ის, რომ წიგნში ცხადი მინიშნებები კეთდება საქართველოს პოლიტიკურ ორიენტაციაზე:

„ავტობუსს მთელს ბორტზე დიდი ასოებით აწერია: 'შემდეგი გაჩერება - ნატო'. ტექსტის ორივე მხარეს ქართული ხუთჯვრიანი და ნატოს ვექტორიანი დროშები ერთმანეთს კიდევებით ხვდება“.

სწორედ ამის გამოა ომი თბილისში. აღფრთოვანებას არ იწვევს, თუმცა შაკოსთვის ნამდვილად აღსანიშნავია საქართველოს მხედართმთავრის პლაკატი. ის ხომ საზოგადოებისა და ქვეყნის ლიდერია ამ მძიმე წუთებში. შაკო მასში არ ხედავს ჩვეულებრივ ადამიანს, ეს ზეკაცია და რაღაცით ჩვეულებრივ მოკვდავებს აღემატება:

„ვუყურებ და ვხვდები, რომ სწორედ ასეთი მხედართმთავარია საჭირო ომში. მარტო გათეთრებული კბილებითაც რომ დაიცავს ჯარს და თითოეულ ჯარისკაცს. ეს ბელადის ღიმილია. წმინდანობის ზღვარზე მყოფი ბელადის. ეს უკვე ზეკაცია“.

ამ თითქოს უმტკივნეული მომენტშიც ავტორი ომს ახსენებს. ქვეყნის ლიდერის პლაკატი იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც ის ომისთვის გამოსადეგია. ომი „ადიბასის“ დამოუკიდებელი პერსონაჟი და საზომია. ომის გამო შესაძლოა გარკვეული მუსიკალური კომპოზიცია გახდეს პოპულარული: „პატრიოტულ პონტში დილიდან ჩარკვიანის საქართველოს ვუსმენ“.

ქართველ საზოგადოებას, ისევე როგორც საქართველოს ხელისუფლებას, მხოლოდ ეს შეუძლია: თავდაცვის ილუზიის შექმნა, პატრიოტიზმის დასამტკიცებლად ჩარკვიანის მოსმენა და მტრისთვის პასუხის გასაცემად საერთაშორისო საზოგადოების ლოდინი:

„...საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, უმკაცრესი შეფასება მისცეს რუსეთის მიერ განხორციელებულ ქმედებებს საქართველოს ტერიტორიაზე და აიძულოს ის, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ცეცხლი“.

არის თუ არა ნახსენები კონკრეტულად თარიღი? საინტერესოა, რომ წიგნის ერთ-ერთ თავს 08/08/08 ჰქვია. ამ თავში დაწვრილებითაა მოთხრობილი უბანში მცხოვრები ბიჭების ერთი რიგითი დღე. მათ ერთადერთ უხერხულობას პოლიციის მანქანა უქმით. პოლიციელების მიზანი კი უსახლკაროთათვის საჭირო საკვებისა და ნივთების შეგროვებაა. ის, რაც ამ მერვე თავში ჩნდება, ცხადად უკავშირდება სხვა კოლექტიურ ტრავმას.

დომინიკ ლაკაპრასა და პიოტრ შტომპკას მიხედვით, კოლექტიურ ტრავმაზე წერა აუცილებლად იწვევს ისტორიული ანალოგების მოხმობის საჭიროებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხშირია სხვა, უფრო ადრეული კოლექტიური ტრავმის გახსენება. თავო ფხაკადის პროექტ „გმირში“ ამონარიდების ერთი ნაწილი ეძღვნება პარალელებს აგვისტოს ომის გმირობებსა და აფხაზეთის ომის მოვლენებს შორის. მსგავსი სიტუაციაა ზაზა ბურჭულაძის „ადიბასშიც“. პირველად ეს მერვე თავში ჩნდება, რომლის სათაურიცაა 08/08/08. ისტორიული ანალოგია საჭიროა იმის ხაზგასასმელად, რომ საზოგადოება პირველად არ განიცდის მსგავს ტრავმას. რომ ეს უკვე მოხდა წარსულში და საზოგადოებას კოლექტიური ტრავმის დაძლევის გამოცდილება აქვს.

პოლიციის მანქანა, რომელიც უსახლკაროთათვის ნივთების შეგროვებას იწყებს, ეზოში ჩერდება, სადაც უბნის ბიჭები აზარტული თამაშებით ერთობიან. მანქანის ფანჯრიდან ისმის სიმღერა: „*გამარჯობა, აფხაზეთო, შენი...*“

წიგნის მთავარი გმირი შაკო კი წინადადებას გონებაში ასრულებს. აფხაზეთი წიგნში არაერთხელაა ნახსენები და ყოველთვის აგვისტოს ომის პარალელურად. ეს კიდევ ერთი ტრავმული მოვლენაა საზოგადოებისთვის, რომელიც მაშინაც ისევე გულგრილი იყო, როგორც ახლა, 2008 წელს. აფხაზეთის ხსენება რომანში შემთხვევითი არ უნდა იყოს. აფხაზეთის ომიც ისეთივე კოლექტიური ტრავმა იყო საზოგადოებისთვის, როგორც 2008 წლის აგვისტოს ომი. თანაც აფხაზეთის ომი აგვისტოს კოლექტიური ტრავმასთან ქრონოლოგიურად ახლოს დგას.

სახინკლე „ლურჯ ხავერდში“ მყოფი თბილისური ბომონდი გულგრილია გარეთ მომდინარე მოვლენების მიმართ. საომარი მდგომარეობა უკან რჩება: „*სადღაც უკან ვერტმფრენების გუგუნის ისმის*“. ყველაზე მნიშვნელოვანი მათთვის ლხინია, ლხინი ომის დროს. აქვეა გიგი, ბოჰემური პერსონა, რომელსაც მხოლოდ

შეზარხოშებულს ახსენდება პატრიოტიზმი და შაკოს შეტყობინებას უგზავნის: *„აფხაზეთი ჩემი ტკივილია“*.

ძველი ტრავმული მოვლენის გახსენების კვალდაკვალ, ავტორი არც საერთო მტრის ხატს ივიწყებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს მახასიათებლები, რომლითაც ტრავმული ნარატივების იდენტიფიცირება ხდება. ზაზა ბურჭულაძის „ადიბასში“ მოთხრობილია ომის ისტორია, სატელევიზიო ახალი ამბების, რადიოგადაცემების და ჭორების მეშვეობით. ეს ტრავმული ნარატივის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია: ნარატივმა უნდა ასახოს რა მოხდა. ჩანს მსხვერპლიც, რომელიც ომის მსვლელობისას დაზარალდა, ისიც მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტად. უფრო მეტად კი ჩანს საზოგადოება, რომელიც მოვლენის უგულვებელყოფის გზას ადგება და საერთოდ არ აღიარებს პრობლემის არსებობას. თუმცა ეს საზოგადოება ტრავმირებულია, შესაბამისად, დაკმაყოფილებულია ტრავმული ნარატივის მეორე ნიშანი: ნარატივმა უნდა ასახოს დაზარალებული ჯგუფი.

კიდევ ერთი საჭირო ელემენტი მტრის ჩვენებაა, ვისაც ეკისრება პასუხისმგებლობა მომხდარის გამო. ზაზა ბურჭულაძის „ადიბასში“ გვაქვს კონკრეტული მინიშნება: რუსული ტანკები შემოდიან ქალაქში, რუსული ავიამხვერავები და ავიაგამანადგურებლები უტევენ მოსახლეობას. საინტერესოა, რომ მთავარი გმირები არც ერთხელ არ აკონკრეტებენ მტრის ვინაობას, არც კომენტარს აკეთებენ მათ ქმედებებზე. ის, რომ დამპყრობელი რუსია, მკითხველისთვის ცხადი სატელევიზიო რეპორტაჟებისა და რადიოგადმაცემების წყალობით ხდება. ავტორი მაქსიმალურად ცდილობს საკუთარი თავის დისტანცირებას, თუმცა ომის შესახებ ცნობებს სხვადასხვა მედიუმების საშუალებით გვაწვდის.

თავად ავტორი იხსენებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბუშის სტუმრობას და თვლის, რომ მტრის ხატის შექმნას საზოგადოება მაშინდელი ტერაქტის შემდეგ შეეცადა.

თუ ნაციას გასაერთიანებლად მტრის ხატი სჭირდება, ეს ხატი ტერორისტებსა და ტერაქტს არ უნდა ეფუძნებოდეს, - ასეთია მთავარი პერსონაჟის, შაკოს პოზიცია, ლოგიკა კი მარტივია: თბილისი იმდენად ყალბი ქალაქია, რომ მასში საერთოდ არ არსებობს გმრობა. თბილისის საზოგადოება ყალბი ფასეულობებითა და ყალბი

ცხოვრებით არსებობს. აქ შეიძლება თბილისური „ბომონდის“ წევრი პატენტი ტანსაცმლით გახდეს, რომლითაც საზოგადოებაში გარკვეულ იდენტობას იქმნი. ამიტომ ამ ყალბ ქალაქში ნამდვილი გმირობისთვის ადგილი არ რჩება: „Noone can be hero in a fake city.“ და სანამ „ადიბასის“ პერსონაჟები ფილოსოფიური დისკუსიებით ირთობენ თავს და ერთმანეთს ნანახ სიზმრებს უყვებიან, ტელევიზორში ომის საზარელ კადრებს უჩვენებენ:

„კრანი წრიპინებს, კადრში ჩანს, როგორ ტოვებს ცაზე

შავ კვალს ცეცხლმოკიდებული ავიაგამანადგურებელი“.

ზაზა ბურჭულაძე საუკეთესოდ გადმოსცემს საზოგადოების იმ ნაწილის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რომელმაც ტრავმაზე თავისებური პასუხი გამონახა: მოვლენათა უგულვებელყოფა, თითქოს არაფერი მომხდარა. ომზე წიგნში არცერთი პერსონაჟი საუბრობს, რითაც ვხვდებით: ამ საზოგადოებისთვის ჩვეული ცხოვრების წესში დისონანსის შეტანა პანიკას გამოიწვევს. მათთვის ტრავმის იგნორირება ერთგვარი თავდაცვითი მექანიზმია.

შესაძლოა, ავტორი ამ ყველაფერს განზრახ არ წერს, თუმცა ისიც ტრავმირებული საზოგადოების ნაწილია, რომელიც 2008 წლის 8 აგვისტოს თბილისში იყო. ეს ნაწარმოები მისი ინდივიდუალური პასუხიცაა აგვისტოს მოვლენებზე.

რომან „ადიბასს“ აურზაური მოჰყვა. სკანდალური ავტორის წიგნი არაერთგვაროვნად მიიღეს. ”ადიბასის” დაბეჭდვაზე რამდენიმე გამომცემლობამ უარი თქვა. ბოლოს ავტორმა რომანი ბაკურ სულაკაურს გადაუგზავნა. პასუხი მალევე მიიღო - ვბეჭდავთო. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაში ორი კრიტერიუმის მიხედვით იღებენ წიგნის დაბეჭდვის გადაწყვეტილებას: „ან მე უნდა მომწონდეს პირადად, ან შეიძლება მაინცდამაინც არ მომწონდეს, მაგრამ ობიექტურად გარკვეული ლიტერატურული ღირსებები უნდა გააჩნდეს და რაღაცაზე დაბლა მწერლის ოსტატობა არ უნდა იყოს”, - გვეუბნება ბაკურ სულაკაური. იგი ამბობს, რომ ზაზა ბურჭულაძის ამ რომანის დაბეჭდვას რამდენიმე ფაქტორმა შეუწყო ხელი. პირველი: ”აბსოლუტურად სხვანაირად არის აღწერილი ომი - არა ისე, როგორც აღწერილია ხოლმე საერთოდ ომები ლიტერატურაში.” მეორე მიზეზი ავტორის დახვეწილი ლიტერატურული ენა გახდა: ”ზაზა არის ყველა დროის ერთ-

ერთი საუკეთესო სტილისტი ქართულ ლიტერატურაში. მან მოახერხა ძალიან დახვეწილი ქართული ენით შეექმნა კოსმოპოლიტური ნაწარმოები.”

გამომცემლის ზოგადი შეფასება კი ასეთია: ”ძალიან ტრაგიკული წიგნია. და ეს ყველაფერი გარკვეული სევდითაა გადმოცემული. და მიუხედავად იმისა, რომ მასში აღწერილი ამბები ირონიას იმსახურებს, იმდენად დიდი ტრაგიზმია ფონად - არა მხოლოდ ომი, არამედ ომის ფონზე ‘ლხინი ჟამიანობისას’.”

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წიგნის პრეზენტაცია 2009 წლის 17 დეკემბერს შედგა. თითქოს ზაზა ბურჭულაძის წიგნის აღმასვლა ამით უნდა დასრულებულიყო, თუმცა რომანს დიდი წარმატება 2011 წელს ხვდა წილად. ამ წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებული მთარგმნელობითი კონკურსის ფარგლებში გამოიცა „ადიბასის“ პოლონური და რუსული თარგმანები. რუსულად რომანი თარგმნა გურამ სანიკიძემ და გამოსცა გამომცემლობამ Ad Marginem. პოლონურად რომანი გამოსცა გამომცემლობამ Claruscuro. რომანს თან დაერთო არაერთი უცხოური რეცენზია, პოლონელმა კრიტიკოსებმა „ადიბასს“ ჰაერის გამწმენდი შეარქვეს და მიიჩნიეს, რომ მოცემული ისტორია კავკასიის ყველა ომსა და საზოგადოებაზე შეიძლება გავრცელდეს.¹⁴ „*აქ ომი ზოგადი სახითაა წარმოდგენილი. აღწერილი ქართული ომი არაქართული ხდება ნაწარმოების ზოგად კონტექსტში. ომი ზოგადსაკაცობრიო მოვლენაა და სწორედ ამ განზოგადებას ვხედავთ „ადიბასში“.*“¹⁵

ამრიგად, „ადიბასი“ კოლექტიური ტრავმის საფუძველზე შექმნილი ნარატივია. ის მიეკუთვნება არასოციალურ ნარატივთა რიცხვს. არასოციალური ნარატივისთვის დამახასიათებელია პირად ისტორიებზე აგებული თხრობა, რომელიც არც უშუალოდ მსხვერპლის მიერ იწერება და არც დომინანტ (გაბატონებულ) ნარატივს წარმოადგენს. მთხრობელი ერთი რიგითი თბილისელი მამაკაცია, რომელიც თავისი ცხოვრებით კმაყოფილია და მკითხველიც მიმდინარე მოვლენებს მისი თვალით ხედავს, აფასებს.

¹⁴ http://www.book.gov.ge/index.php?option=com_content&view=article&id=177%3Aburchuladze-adibas&catid=39%3Apublications&Itemid=75&lang=ka (ხელმისაწვდომი იყო 14/08/2014)

¹⁵ http://wyborcza.pl/1,75475,9930246,Czacza_w_Gruzji.html (ხელმისაწვდომი იყო 15/09/2014)

§ 3. ლაშა ბულაძე. „ლიტერატურული ექსპრესი“

ავვისტოს ომს სხვა ნაწარმოებებიც მიეძღვნა. ერთ-ერთი მათგანი ლაშა ბულაძეს ეკუთვნის. მისი „ლიტერატურული ექსპრესი“, ზაზა ბურჭულაძის რომანის მსგავსად, არადომინანტ ნარატივს წარმოადგენს, რომელშიც თხრობა პირად ისტორიებზეა აგებული. კერძოდ, ნაწარმოები ერთი რიგითი ქართველი მწერლის ევროპაში მოგზაურობას მოგვითხრობს, ომი კი მთელ ნაწარმოებს ასევე ფონად გასდევს. ახალგაზრდა ქართველი მწერლისთვის შთაგონების წყარო ზაზა ბურჭულაძის „ადიბასი“ გახდა. ამ რომანის წაკითხვის შემდეგ ლაშა ბულაძემ თავისი მდგომარეობა გაიხსენა: ”ზაზას წიგნებს რომ კითხულობ, ძალიან რთულია იპოვო ზუსტი რეაქცია შენში, რადგან ძალიან მრავალნაირია ხოლმე ეს რეაქცია. მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნში არის პროვოკაციული მომენტები, სერიოზული ნაღმებია ჩადებული, რაზეც შეიძლება აფეთქდე, რეალურად ეს არის ძალიან ტრაგიკული წიგნი.”¹⁶

წიგნმა ლაშა ბულაძემ აპოვნინა ის ფობიები, რაც მასაც განუცდია ავვისტოს ომის დროს. „ჩვენ რეალურად გვეგონა, რომ ვკვდებოდით, - ამბობს იგი, - რომანში არის საოცრად დიდი ძალით მოწოდებული ვნება, ოღონდ, მე ვიტყვოდი, ვნება ვნების გარეშე, რაღაც გამომიგნულ ვნებას დავარქმევდი. ომის ფონზე რაღაც დამთრგუნველი სექსუალობაა თითქოს წარმოდგენილი და, თითქოსდა, ეს ადამიანები ძალიან ცოცხლები არიან. წიგნი რომ დავხურე, გამიჩნდა შთაბეჭდილება, რომ მე წავიკითხე წიგნი მკვდრებზე. ამ წიგნში გადარჩენა შეუძლებელია ამ ადამიანებისთვის, ვინც აქ არიან.”

2010 წელს ლაშა ბულაძემ მკითხველებს თავისი ახალი რომანი „ლიტერატურული ექსპრესი“ წარუდგინა. ეს წიგნიც ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ გამოსცა. თავდაპირველად წიგნი მხოლოდ ქართველი მკითხველისთვის იყო განკუთვნილი, თუმცა შემდეგ ის რამდენიმე სხვა ქვეყანაშიც გამოქვეყნდა. ნაწარმოების სიუჟეტი მარტივია: მთავარი გმირი მატარებლით სხვა მწერლებთან ერთად ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობს. ამ დროს კი საქართველოში ომია. მთავარი პერსონაჟი მომხდარ მოვლენებს მეგობრებისა და მშობლების წყალობით ეცნობა.

¹⁶ <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/2036664.html> (ხელმისაწვდომი იყო 08/08/2015)

თავად ლაშა ბუღაძის თქმით, წიგნი, გარკვეულწილად, დოკუმენტურია და რეალურ ფაქტებს ასახავს, ვინაიდან 2000 წელს მწერალმა, ლაშა ბაქრაძესა და აკა მორჩილაძესთან ერთად, მართლაც იმგზავრა მატარებლით, მოინახულა ევროპის რამდენიმე ქვეყანა. სწორედ ეს გახდა წიგნის მთავარი სიუჟეტი. თუმცა 2008 წლის მოვლენებმა განაპირობა ის, რომ ომი ლაშა ბუღაძის ნაწარმოების პერსონაჟად იქცა. „ლიტერატურული ექსპრესი“ ლიტერატურაზე, ავტორის პრობლემებზე, სიყვარულსა და ომზეა. „ეს რომანი არის ლიტერატურაზე და თანამედროვე ლიტერატურის პრობლემებსაც შეეხება. მაგრამ მეორე მხრივ იგი არის ერთგვარი რეფლექსი იმ შოკის, რომელიც პირადად მე და ალბათ ყველა ჩვენგანმა მიიღო 2008 წლის ომისგან. მოქმედება რომანში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ხდება. ამ ნაწარმოებში ეს ყველაფერი ჩემგან და ამ პერსონაჟის პრიზმიდან დანახული ომია.“¹⁷

„მიუხედავად იმისა, რომ მასში თანამედროვე მწერლის ამბავია მოთხრობილი, მთავარი გმირი მე არ ვარ. ამ რომანში არც ლაშა ბაქრაძე და აკა მორჩილაძე არიან. რომანი ლიტერატურის პრობლემატიკაზე, ომზე და სიყვარულზეა. ჩემს რომანში არის რეალობა. ეს არის რეაქცია აგვისტოს ომზე, იმიტომ რომ ჩემი რომანის გმირი მიდის ლიტერატურულ სემინარზე, რომელიც არაორდინალური სემინარია. „ლიტერატურულ ექსპრესში“ ეს ფაბულა გამოვიყენე. ჩემი პერსონაჟი მოგზაურობს ევროპაში და ეს მოგზაურობა ხდება აგვისტოს ომის შემდეგ. ბუნებრივია, ეს შთაბეჭდილებები მისთვის არის ძალიან ცოცხალი. ცხადია, იგი ამ ომით არის მოცული, ნაწარმოები ომის რეფლექსიებით არის აღსავსე და შესაბამისად ის ცდილობს, რომ ეს ომი გახადოს აქტუალური სხვებისთვისაც. მთავარი გმირი ხშირად ეჯახება გულგრილობას, მოჩვენებით ინტერესს თუ გულწრფელ ინტერესს - როგორც ხდება ხოლმე.“¹⁸

ნაწარმოები შემდეგი წინადადებით იწყება:

„აგვისტოში რუსები გვბომბავდნენ. სექტემბერში ელენე დამშორდა. ოქტომბერში ლისაბონში წავიდი. მეც რომ უნდა ვმჯდარიყავი ლიტერატურულ ექსპრესში, ეს უკვე გაზაფხულზეც ვიცოდი, მაგრამ მაშინ ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ აგვისტოში რუსები დაგვბომბავდნენ. ჯერ

¹⁷ <http://www.opentext.org.ge/index.php/index.php?m=4&y=2010&art=10427> (ხელმისაწვდომი იყო 13/04/2014)

¹⁸ იქვე.

მითხრეს, რომ 100 მწერალთან ერთად მომიწევდა ევროპაში მოგზარობა, მერე აღმოჩნდა, რომ თურმე რუსულმა ბომბებმა უნდა მომკლან... რუსულმა ბომბებმა ძალა გამომაცალეს“ (გვ. 1).

ნაწარმოების დასაწყისიდანვე ცხადი ხდება, რომ ომის შთაბეჭდილებები მწერლის მუდმივი თანამგზავრია. რომელ ქალაქშიც არ უნდა ჩავიდეს, იქნება ეს ლისაბონი თუ ლონდონი, ომის აჩრდილი მუდმივად აწუხებს.

მწერლის შთაბეჭდილებები ყველა უცხოურ ქალაქზე იმით არის განპირობებული, რამდენი ომი გადაუტანია ამა თუ იმ ადგილს. ომის პრიზმა მთავარია, მართალია, აგვისტოს ომის აღწერა რომანში არ გვხვდება, თუმცა ომი ერთგვარ მენტალურ ჩარჩოს წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც ავტორი ყველა სხვა ქალაქს განიხილავს.

„ლიტერატურული ექსპრესი“ გამორჩეულია კოლექტიურ ტრავმაზე შექმნილ ნარატივთა შორის, რადგან გამოხატავს არა მხოლოდ თავად მთავარი გმირის ემოციებს, არამედ, შეძლებისდაგვარად, გადმოგვცემს ევროპელების დამოკიდებულებასაც აგვისტოს ომისადმი. მწერალი ცდილობს გავიდეს ჩარჩოს გარეთ და არ დაკმაყოფილდეს მხოლოდ ქართველი საზოგადოების რეაქციის გადმოცემით.

2008 წლის აგვისტოს ომის გახსენება თავდაპირველად მოწყენილობას იწვევს მთავარ გმირში: *„სხვათა შორის, მაშინაც ლოგინში ვიწექით, როცა რუსულმა თვითმფრინავმა მახათას მთაზე ჩამოაგდო ბომბი“*. ამ ნიშნით „ლიტერატურული ექსპრესი“ ზაზა ბურჭულაძის რომანს ემსგავსება. ავტორისთვის ომი და არეულობა მოსაწყენია. „ადიბასის“ მსგავსად, ომი „ლიტერატურული ექსპრესის“ დასაწყისში ჩვეული მოვლენაა, ერთგვარად, მონოტონური ყოფის გამრავალფეროვნების მცდელობაა:

„დილის 5 საათი იყო. მე და ელენე აფეთქების ხმამ გაგვადვიდა. მეგონა, ფუნქულიორის სატელევიზიო ანძა ააფეთქეს (ანძა კი პრაქტიკულად სახლს ედგა თავზე) და მე წარმოვიდგინე, როგორ დაემხობოდა რკინის ცეცხლმოკიდებული, გახლეჩილი მონსტრი ჩვენს პატარა სახლს“ (გვ. 3).

თავდაპირველი შთაბეჭდილება მალევე ქრება, როდესაც მთავარი პერსონაჟი ისეთ ბუნებრივ ემოციას განიცდის, როგორც შიშია. აქ პირველად ვხედავთ ადეკვატურ რეაქციას ომზე და ტრავმულ მოვლენაზე:

„თუ კიდევ დაგვბომბავენ, კიბის ქვეშ შევძვრეთ“ (გვ. 3).

„მახსოვს, ძალიან ვცდილობდი, რომ დავმშვიდებულიყავი: ხმაურით ვამთქნარებდი, ვხუმრობდი, ელენეს ვეუბნებოდი, ესე სწრაფად თუ შეგეძლო ჩაცმა, არ მეგონა-მეთქი“ (გვ. 4).

„ორი თვის წინანდელმა ომმა, ელენეს წასვლამ, გამოუძინებელმა მგზავრებმა, გასაბერმა ჟილეტმა იმდენად დამთრგუნეს, რომ მახსოვს, ფეთიანი ქართველი მამაკაცებისთვის დამახასიათებელმა შფოთმა მომიცვა“ (გვ. 6).

2008 წლის აგვისტოს ომი დროის ერთგვარი საზომია. ყველაფერი „ლიტერატურულ ექსპრესში“ ომამდე ან ომის შემდეგ ხდება. ამაში ცხადად ჩანს, რომ მთავარი გმირი ტრავმირებულია. მისთვის ომი დროის საზომი და გარდამტეხი ხდება. ომის დროის საზომად გამოყენება ლაშა ბულადის ინდივიდუალური ლიტერატურული გადაწყვეტილებაა იმისთვის, რომ მკითხველს აგვისტოს ომი გამუდმებით შეახსენოს: „მაკა აგვისტოს ომის დროს გავიცანი სკაიპში“ (გვ. 4).

ომი ის რეალობაა, რომლის იგნორირებითაც მთავარი პერსონაჟი ტრავმის დაძლევის ცდილობს, თუმცა ომი თავს მუდმივად ახსენებს. ამიტომ მალე იგი სხვა ხერხს მიმართავს: ლიტერატურული კონკურსის მონაწილე ქართველი შემოქმედი ტრავმაზე წერის გადაწყვეტილებას იღებს.

„სადმე უნდა წამელო ომი. ამიტომ თვითმფრინავშივე გადავწყვიტე შთაბეჭდილებების ჩამეწერა“ (გვ. 4).

„ის ღამე უნდა დამეწერა, როცა ბომბი ჩამოადგეს თბილისში“ (გვ. 36).

ამ ფონზე გასაკვირი აღარ უნდა იყოს მთავარი გმირის გადაწყვეტილება: ლიტერატურული კონკურსისთვის ის აგვისტოს ომის ქრონიკას წერს. „ომის დღიურია. ერთი დღე. დილიდან ღამემდე“ (გვ. 39).

ლიტერატურული ექსპრესით ევროპაში ჩასულ ქართველ მწერალს მრავალი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლის გაცნობა უწევს, მათ შორის არიან რუსებიც. ჩანს *სხვა* ჯგუფისადმი დამოკიდებულება. კოლექტიური ტრავმის ნარატივების მიზანი მტრის ხატის შექმნა ანუ მტრის იდენტიფიცირებაა. ვინ იყო მტერი და ვინ გამოიწვია ის უბედურება, რომელიც მწერლის ქვეყანას დაატყდა თავს? საინტერესოა, რომ ლაშა ბუღაძის რომანში პოსტტრავმული ნარატივის ყველა ნიშანი შეფარულია. არ არის ომის მიმდინარეობის ზუსტი აღწერა, მტრის ხატი დელიკატურად იქმნება, სხვა პერსონაჟების მონათხრობის წყალობით. თავად მთავარი პერსონაჟი ბოლომდე ვერ იაზრებს შექმნილ ვითარებას, ვინაიდან ის საქართველოში არ არის. საერთოდ, ევროპაში ჩასულ მწერალს რუსების მიმართ არ აქვს გაღიზიანება, თუმცა ლიტერატურულ კონკურსზე პირველივე რუსის დანახვისას სრულიად მტრული რეაქცია უჩნდება:

„ის რუსები, წარმოდგენაც არა მქონდა, რა სათნოებათა მფლობელები იყვნენ, მაგრამ მაინც მეზიზღებოდნენ. ბომბების ხალხი. ეგენი არ გვხოცავდნენ მე და ელენეს ამ ერთი თვის წინ?“ (გვ. 10).

თუმცა იქვე ჩნდება დაკონკრეტების სურვილი. მომხდარში მთელი ერი უნდა დავადანაშაულოთ თუ ვინმე კონკრეტული პიროვნება? *„პუტინი გვბომბავს, ჩვენ პუტინი გვკლავს“ (გვ. 12).*

პოსტტრავმული მდგომარეობის გამოხატულებაა ის ქმედება, რასაც ქართველი მწერალი სჩადის: თავდაპირველად ის 2008 წლის აგვისტოს ომზე დაწერას გადაწყვეტს, შემდეგ კი ამაზე საუბარს იწყებს მწერალთა შეხვედრაზე.

„ეხლა ნამდვილად ვერ შევძლებ ლიტერატურულ თემებზე საუბარს. ჩემს ქვეყანაში რუსული ტანკები დგას და დღევანდელი შეხვედრა იმისთვის უნდა გამოვიყენო, რომ მოვიყვებ, როგორ ბომბავდნენ რუსები საქართველოს“ (გვ. 31).

ავტორი აღწერს მსხვერპლს, ანუ იმ ჯგუფს, რომელიც აგვისტოს ომის შედეგად დაზარალდა. ეს პოსტტრავმული ნარატივების კიდევ ერთი მახასიათებელია: ნარატივმა უნდა ასახოს დაზარალებული ჯგუფი.

„ეს არ არის პოლიტიკა, ეს ადამიანების ცხოვრებას ეხება... რუსებმა მშვიდობიანი მოქალაქეები დაგვიხოცეს... ეხლაც დგანან მათი ტანკები ქართულ სოფლებში. უზნეობაა, რომ ამას პოლიტიკა ვუწოდოთ... რატომ გვეშინია რუსების! რატომ არ შეიძლება ხმამაღლა ვისაუბროთ მათ დანაშაულებებზე?“ (გვ. 25).

ყურადღება მახვილდება იმ ფაქტზეც, რომ ქართველებს რუსები ისედაც ყოველთვის ავიწროვებდნენ და ჩვენი ერი მუდმივად იჩაგრებოდა მტერი რუსეთის მიერ. *„რუსები აგერ უკვე მესამე წელია, რაც რუსეთში წასასვლელ ვიზებს არ აძლევენ ქართველებს (ასე გვსჯიან მათი უფროსები)“ (გვ. 40).*

თუმცა ჩვენი მტერი, წიგნის მიხედვით, ბევრი სხვა ერის მტერიცაა. ეს სხვა ჯგუფი ყველგან ისეთივე საძულველია, როგორც საქართველოში. ავტორი ცდილობს დაგვანახოს, რომ რუსები მხოლოდ საქართველოს მტრები არ არიან. ყველამ იცის მათ შესახებ:

„რუსებს ვერსად იტანენ, ბრძნულად დაასკვნა ზვიადმა“ (გვ. 22).

„იაპონელებს არ უკრძალავდნენ ფოტოს გადაღებას, რუსებს კი უყვირეს“ (გვ. 22).

“ზვიადი მზად იყო, იმ წუთას ყველა რუსული ცოდვა დაევიწყებინა ამ კაცის ხათრით: ქართულ ბინებში შემოფრენილი და კარადებში გაჩხერილი „ისკანდერებით“ დაწყებული და რუსული ტანკების მოლოდინში მყოფი, ათი აგვისტოს ისტერიული თბილისით დამთავრებული“ (გვ. 70).

„გიჟები არიან, გიჟები და ნაძირლები! ორი ათასი კაცი მოკლეს, ცხინვალი დაბომბეს, ტანკით გადათელეს სამი წლის ოსი ბავშვი, ქალები და მოხუცები კი ეკლესიაში შეყარეს და ცოცხლად დაწყეს“ (გვ. 88).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლაშა ბულაძის „ლიტერატურულ ექსპრესს“ ბევრი საერთო აქვს სხვა არადომინანტ ნარატივებთან. სხვა ტრავმული ტექსტების მსგავსად, ის ნათლად აღწერს დაზარალებულ ჯგუფს, რომელიც მომხდარში არ არის

დამნაშავე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლაშა ბულაძე ერის ვიქტიმიზაციას ახდენს, ანუ მას *სხვა ჯგუფის* აგრესიის მსხვერპლად წარმოაჩენს. ქართველი ერი მის რომანში მუდმივად დაჩაგრულ ერთან ასოცირდება, რომელსაც გამუდმებით ავიწროებენ.

„იქ ოსები არც ცხოვრობდნენ, ყოველთვის ქართველების იყო... მაგრამ ეხლა რუსებმა ეგ ქალაქიც დაიპყრეს. ესე იგი, ახალგორი დღემდე რუსების ოკუპაციაშია, გესმით, ხომ? ამ დროს, 40 წუთის სავალზეა თბილისიდან. რომ მოუნდეთ, ორმოც წუთში თბილისში იქნებიან. 40 წუთში გაგვანადგურებენ“ (გვ. 12).

„როგორც აღმოჩნდა, მარტო ჩვენ, ქართველები ვიყავით დათრგუნულები. რა საწყლები ვართ ქართველები?! ყველა მხრიდან ხიფათს ველოდებით და ამიტომ წინასწარ ვიბღვირებით“ (გვ. 18).

არ არის გასაკვირი, რომ პოეტი ასეთი ქვეყნიდან კოლექტიური ტრავმის მსხვერპლია და პოსტტრავმულ სტრესს განიცდის.

„აი, პოეტი დაბომბილი ქვეყნიდან, მისი გლოვა აქტუალური და კონკრეტულია. რა ქვეყანაა ეს? აჰ, საქართველოა? ხო, ხო, რუსები რომ გვბომბავდნენ ორი თვის წინ... ახლა გასაგებია, რატომ ეტირება პოეტს!“ (გვ. 24).

ერის ვიქტიმიზაციის კიდევ ერთი მცდელობაა იმის ხაზგასმა, რომ საქართველოში პოსტსაბჭოთა პერიოდში უკვე მრავალი ომი იყო. ქართველი მწერალი ცდილობს უცხოელებს აუხნას ქართველი ერის მდგომარეობა და სურათს კიდევ უფრო ამძიმებს, მაგალითად, ბოლო ოც წელიწადში ოთხ ომზე საუბრობს.

„ამ ოც წელიწადში ოთხი ომი იყო საქართველოში. მოთხრობებიც ამ ომების მიხედვით მაქვს დანომრილი“ (გვ. 35).

„იცით თბილისის ამბები? მოვითხოვო პოლიტიკური თავშესაფარი? თუ თბილისში ისევ შემოდიან რუსები, ბარემ დავრჩები აქ...“ (გვ. 68).

„ეხლა აქ ჩამოსულ რუსებზე უნდა ვიძოთ შური, _ ვამბობ მე და ვიციანი (გვ. 11).

როდესაც განვიხილავთ კოლექტიურ ტრავმაზე შექმნილი ამ ნარატივის განხილვისას კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ ისტორიული ანალოგია. როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, 2008 წლის აგვისტოს ომისადმი მიძღვნილი ეს რომანიც იხსენებს აფხაზეთის ომს, ანუ იმ კოლექტიურ ტრავმას, რომელიც საქართველოს უკვე გადატანილი აქვს. თუ ზაზა ბურჭულაძე აფხაზეთის ომს ერთ თავში ახსენებს, ლაშა ბულაძესთან აფხაზეთის ომი დროდადრო ჩნდება, როგორც ქართველი ერის ჩაგრულობის დამამტკიცებელი საბუთი. ქართველებს იქაც რუსები ებრძოდნენ და ქართველები მაშინაც დაიჩაგრნენ:

„აფხაზეთში და ოსეთში ჯარები შეყავთ. ოსეთი სად არის იცით? საქართველოს ცენტრში, შუაგულში. ახალგორი... ქალაქია ასეთი“ (გვ.12).

ლაშა ბულაძე არ უარყოფს, რომ აფხაზეთის ომიც მისთვის ტრავმა იყო:

„სამუდამოდ შემაშინეს 90-იანი წლების ღამეებმა, ფოიეში ბევრად უსაფრთხოდ ვგრძნობ თავს“ (გვ. 26).

„პირველი ომი ქალაქის ცენტრში იყო და მარტო იქაურებს დაეწვათ სახლები, მე გარეუბანში ვცხოვრობდი. ამ მეოთხემ შემაშინა ცოტა...“ (გვ. 35).

ტრავმული გამოცდილების ასახვისთვის საჭიროა მედიუმი. ზაზა ბურჭულაძის „ადიბასში“ ტელევიზიას, რადიოს და ტელეკომუნიკაციის ყველა საშუალებას დიდი მნიშვნელობა აქვს. „ადიბასში“ საზოგადოება ომს არ ცნობს და მათთვის რეალობის შეხსენება მასმედიის მთავარი ფუნქციაა. მასმედია ერთგვარი სარკეა, რომელშიც საზოგადოებამ რეალობის ანარეკლი უნდა დაინახოს. ამ კუთხით საინტერესოა ლაშა ბულაძის „ლიტერატურული ექსპრესიც“: მასში ავტორი ტელევიზიას ომის კიდევ ერთ ფრონტად წარმოაჩენს. საზღვარგარეთ სამოგზაუროდ წასული მწერლისთვის მასმედია ინფორმაციის ერთ-ერთი მთავარი წყაროა: ტელევიზიის მეშვეობით ის იგებს დედაქალაქში მომხდარი ამბების შესახებ. მედია ომი მისთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ნამდვილი, ფიზიკური ომი. მიზეზი, შესაძლოა, ის იყოს, რომ ინფორმაცია ომის შესახებ საზოგადოებებს მასმედიის საშუალებით მიეწოდებათ. „ლიტერატურული ექსპრესის“ მთავარი

პერსონაჟიც ომის შესახებ მასმედიის წყალობით იგებს და ისიც მედიის ინფორმაციის გავლენის ქვეშ ექცევა.

„რუსულ საინფორმაციოებს თითქმის იგივე ეფექტი ჰქონდათ, რაც რუსულ ბომბებს“ (გვ. 30).

„მამაჩემი გაზაფხულზე გამებუტა და დღემდე არ შევრიგებულვართ. ომსაც კი ვერ შეგვარიგა. ერთადერთხელ დამირეკა, თბილისის დაბომბვის დღეს - აინტერესებდა, რუსულ არხებს თუ უჩვენებდა ჩემი ტელევიზორი“ (გვ. 28).

„ბარათაშვილის ხიდი პრეზიდენტის რეზიდენციასა და დანარჩენ ქალაქს აკავშირებს ერთმანეთთან - დემონსტრანტებს სწორედ ამ ხიდის გადაკეტვა უნდათ, დედაჩემი კი ტელევიზორთან ზის და ნერვიულობს“ (გვ. 32).

მასმედია ის მედიუმიც არა მხოლოდ რეალობას აღწერს, არამედ საზოგადოების განწყობასაც ქმნის. ის გალენას ახდენს მოსახლეობის მიერ ტრავმული მოვლენის აღქმაზე:

„გამახსენდა ჩვენს უბედურებებზე და ბედნიერებებზე მყეფარე ქართული ტელევიზორები და ომით შემინებული ბრაზიან-ხალისიანი ხალხი“ (გვ. 35).

ევროპული მოგზაურობიდან დაბრუნებულ მწერალს თვალში ისევ პლაკატები და ბილბორდები ხვდება - ომის ქრონიკა, რომელსაც ტრავმირებული საზოგადოების წევრი ვერსად გაექცევა. ეს უკვე ომის შედეგია: ლოზუნგები, პლაკატები, ბილბორდები, რომლებიც დაბრუნებისკენ მოგვიწოდებს და ჯიუტად ახსენებს გამვლელ-გამომვლელს 2008 წლის აგვისტოს ომს:

„აეროპორტის გზაზე ალაგ-ალაგ ვეებერთელა ბილბორდები მხვდებოდა - აგვისტოს ომის ფოტო-ქრონიკა. ჰაერი ისევ პოლიტიკით და ომით იყო გაჟღენთილი“ (გვ. 112).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლაშა ბუღაძის „ლიტერატურული ექსპრესი“ ამჟღავნებს ტრავმული ნარატივისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, თუმცა მას აქვს ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ელემენტი: „ლიტერატურული ექსპრესი“ სხვადასხვა პერსონაჟების პირით ევროპის გულგრილობას აკრიტიკებს. ზაზა

ბურჭულაძე თავის რომანში არ ეხება ევროპის და სხვა ქვეყნების პოზიციას. ლაშა ბულაძე კი ცდილობს, სხვა პერსონაჟთა მეშვეობით თავისი სათქმელი გადმოგცეს. ევროპის გულგრილობა მისთვის მიუღებელია. ავტორი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ევროპა მომხდარის გამო მხოლოდ ზრდილობის გამო წუხს. მართალია, მათ უხარიათ საქართველოს გადარჩენა, მაგრამ თავად მზად არ არიან კონფლიქტის მონაწილენი გახდნენ:

*„კარგია, რომ ცოცხლები ხართ, საუბარში ერთვება რედი,
- თქვენს ომზე აქ ბევრს ლაპარაკობენ.*

სწორედ ასე ამბობენ: თქვენს ომზე!

*ხო, რუსები რომ გბომბავდნენ, ძალიან ვინერვიულეთ, -
ეთანხმება ჰაინცი, - საშინელება იყო“ (გვ. 29).*

*„რა საშინელებაა, - ოხრავს ჰაინცი. ზრდილობის გამო
სწუხს“ (გვ. 12).*

*„იმპოტენტები არიან ეს ევროპელები - უფრო უნდა
მოგვაწვნენ რუსებს, ფეხებით უნდა შეგვდგნენ და ყოველდღე
ახალ-ახალი სანქციები დაგვიწესონ... ოღონდ ჩვენ კი არა,
უბრალო ხალხს, აი, ამ დეპუტატებს, მათ ცოლებს, ნაყარ-
ნუყარს... მერე სახლებში შეუგდებენ ბომბებს ერთმანეთს“ (გვ.
68).*

ევროპა წუხს საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე, თუმცა კავკასიელებზე მათაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ. ნაწარმოები ცდილობს დაგვანახოს, რომ რუსებიც და ქართველებიც ევროპისთვის უცხო ჯგუფებია. ამ სამ ჯგუფს ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვს. ევროპის „ჩვენ ჯგუფში“ ვერც საქართველო ერთიანდება და ვერც რუსეთი. სწორედ ამის გამო, აგვისტოს ომი მათთვის ორი უცხო ერის ომია. ნაწარმოების თითქმის ყველა პერსონაჟს საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ახსნა სჭირდება. მიუხედავად მათი უდავო ინტელექტისა, ევროპელმა მწერლებმა არ იციან, სად არის საქართველო. მეტიც, კავკასიელები ევროპელებისთვის ძალადობასა და სისხლისღვრასთან ასოცირდება:

„გაბრაზდით, რომ კრემი დაიღვარა სისხლის მაგივრად?

*- თქვენ ხომ კავკასიელები ხართ! - სიცილით თქვა ჰაინცმა“
(გვ.102).*

„ლიტერატურული ექსპრესი“ არასოციალური ნარატივის ტიპური მაგალითია. მატარებელში მყოფი ასი მწერალი თავისი პირადი ისტორიებით ქმნის რომანს, რომელშიც აგვისტოს ომი მხოლოდ შეფარული პერსონაჟია. მთლიანად რომანი მოგზაურობას ეძღვნება და არა ომს, თუმცა პირადი ისტორიებისა და შეფარული ფონის წყალობით, მკითხველი აგვისტოს ომის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას იღებს. ლაშა ბუღადის ნაწარმოები ყველა იმ ნიშანს ამჟღავნებს, რომელიც ტრავმული ნარატივისთვისაა დამახასიათებელი: ის გვიჩვენებს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მომხდარ მოვლენებს. ნაჩვენებია ომი და მისი თანხლები ყველა უბედურება. „ლიტერატურული ექსპრესი“ გვიჩვენებს, ვინ არის დაზარალებული ჯგუფი, ვინ გახდა აგრესიის მსხვერპლი. ნაწარმოებში ასევე ნათლად არის ასახული, ვინ არის დამნაშავე მომხდარში. მკაფიოდაა ნაჩვენები „სხვა“ ჯგუფი და ავტორი არც მათ დასახელებას ერიდება: რუსები. ნაწარმოები იმასაც გვიჩვენებს, რომ დაზარალდა მთელი საზოგადოება და არა მხოლოდ ერთი ჯგუფი. ლაშა ბუღადე არც წარსულთან ხიდის გადებას ივიწყებს და ახსენებს აფხაზეთის ომსაც. ყველა ამ ნიშნის გათვალისწინებით, ლაშა ბუღადის „ლიტერატურული ექსპრესი“ შეიძლება ჩავთვალოთ კოლექტიური ტრავმის ამსახველ ნარატივად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლაშა ბუღადისა და ზაზა ბურჭულაძის ნარატივები არადომინანტ/არასოციალურ ნარატივთა რიცხვს მიეკუთვნება. ორივე რომანის ფორმა დღიურს მოგვაგონებს: მთავარი მოქმედი პირები თავად წერენ მომხდარის შესახებ. კოლექტიური ტრავმა და ტრავმული მოვლენა მათ რომანებში პირადი გამოცდილების მეშვეობით აღიქმება. ორივე მწერალი ასახავს საზოგადოების მდგომარეობასაც, თუმცა მათთვის მეტად მნიშვნელოვანი ინდივიდთა რეაქციები და ინდივიდუალური პოზიციებია. ორივე ნაწარმოებში ნაკლებად ჩანს გლოვა და მეტია ტრავმის იგნორირების ან უგულებელყოფის მცდელობა.

2008 წლის აგვისტოს ომზე შექმნილ ნარატივთა შორის არის ისეთებიც, რომლებიც პოსტტრავმულ მდგომარეობას ასახავს. ასეთი ნარატივები მეტად ორიენტირდება და ყურადღებას ამახვილებს საზოგადოების მდგომარეობაზე.

პოსტრავმული მდგომარეობის ამსახველი ნარატივების ასახვის საგანი დაზარალებული ჯგუფია, რომელიც ტრაგედიას არ მალავს და დანაკარგის გლოვითაა დაკავებული. ასეთი ნარატივებია თამთა მელაშვილის „გათვლა“ და ანა კორძაია-სამადაშვილის „მე მომკლეს, დე...“. ორივე მათგანი მთელი სიცხადით წარმოაჩენს ომის ტრაგიკულობასა და 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გაჩენილ დანაკარგს.

§ 4. თამთა მელაშვილი. „გათვლა“

თამთა მელაშვილის „გათვლა“, რომელიც ტრავმულ გამოცდილებაზე შექმნილი ტექსტების რიცხვს მიეკუთვნება, 2010 წელს გამოიცა. 2011 წელს მან მიიღო ლიტერატურული პრემია „საბა“, რასაც მოჰყვა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა და ნაწარმოების გერმანულ ენაზე თარგმნა-გამოცემა. „გათვლა“ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართული რომანი გახდა, რომელიც საზოგადოებისა და მმათველი წრეების უდიდესი მხარდაჭერით სარგებლობდა.

„გათვლა“ 13 წლის ორ გოგონაზე მოგვითხრობს, რომლებიც კონფლიქტის ზონაში ცხოვრობენ. თხრობა სწორედ მათი პირით ხდება და ისინი რომანის მთავარი პერსონაჟები არიან. წიგნი ორი თავისგან შედგება: „კონფლიქტის ზონა“ და „სასაზღვრო ზონა“. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ნარატივი არაორგანიზებულია. ამაში ვგულისხმობთ, რომ თხრობა ბავშვის პირით ხდება, ამბები, ერთი შეხედვით, დაუკავშირებელია, თუმცა წიგნი კვირის დღეების მიხედვითაა სტრუქტურირებული. პოსტრავმული სტრესის გაძლიერება სწორედ იმის წყალობით ხდება, რომ თხრობა არაორგანიზებულია და ბავშვების ემოციებზეა აგებული. რეპლიკების მთელი წყება მიგვანიშნებს ტრავმულ მოვლენაზე:

“ეს რა ომია, ეს ომი არ არის; ესენი აქეთ, ისინი იქეთ, შუაში კიდე არაფერი”, “ბაბუა, შედი სახლში, ხო ხედავ, დაფრინავენ”, “ამოგვჟუჟავენ”, “მთავარ ქუჩაზე გამოვედით, ცარიელ ქუჩაზე”, “წინ მინდორი იყო, დიდი მინდორი, დანადგომი მინდორი” (გვ.34).

„გათვლამ“ კრიტიკოსთა და რეცენზენტთა არაერთგვაროვანი შეფასება დაიმსახურა. ყველა მათგანი თანხმდება, რომ „გათვლა“ აგვისტოს ომზეა. აქვე მოვიყვან ქართული კრიტიკოსების აზრს „გათვლის“ შესახებ:

“ესაა წიგნი ომის შესახებ, სადაც არც ერთი გასროლის ხმა არ ისმის, სადაც სულ რამდენიმე ზარმაცი მეომარი ჩანს, მაგრამ, ამის მიუხედავად, იგი მთელი თავისი სიმძაფრით გვიჩვენებს ომის საშინელებას, რადგან საქმე ბავშვებს ეხება. როგორც თავად ავტორი ამბობს, ამით მას სურდა ომის მეორე, დაფარული მხარე ეჩვენებინა: “ომი ზოგადად აღიქმება პოლიტიკოსების და სამხედროების საქმედ, ანუ მამაკაცების საქმედ. ამ ტექსტით კი მე მინდოდა მეჩვენებინა, რომ არსებობს ომის მეორე, დაფარული მხარეც, ანუ ქალებისა და ბავშვების გამოცდილება, ჩვეულებრივი ადამიანების გამოცდილება კონფლიქტის ზონაში ან ომში. და მე მინდოდა დამენახებინა, რომ ეს მეორე მხარე, თავისი ტრაგიკულობითა და სიმძაფრით, არანაკლებია, ვიდრე პირველი, უშუალოდ ფრონტის ხაზი, სადაც უშუალოდ სამხედროები და პოლიტიკოსები არიან ჩართული”¹⁹

თამთა მელაშვილის პერსონაჟები ტრავმის არაპირდაპირი მსხვერპლის კატეგორიას განეკუთვნებიან. ესენი არიან კონფლიქტის ზონაში მცხოვრებნი, მშვიდობიანი მოსახლეობა და არა ომში უშუალოდ მონაწილე ჯარისკაცები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოლექტიური ტრავმა მთელს საზოგადოებაზე ახდენს გავლენას და მხოლოდ უშუალო მონაწილეები არ შეიძლება ჩაითვალოს ტრავმის მსხვერპლად.

“გათვლა” ომზე მოგვითხრობს, უფრო სწორად, გვიჩვენებს ომს ორი 13 წლის გოგონას თვალთ. აქ ვერ ნახავთ საბრძოლო მოქმედებებს, სისხლისღვრას. თუმცა, ბლომადაა ის, რაც ომს შედეგად მოსდევს – დაუმარხავი, გახრწნილი გვამი, რომელიც “ჩვენიანი არაა” და ამიტომ არ უნდა დაიმარხოს; უკაცებოდ დარჩენილი სოფელი, სადაც ქალები გამეტებით იბრძვიან თავისა და სხვების გადასარჩენად და ელიან მამების, ძმების, ქმრების ომიდან დაბრუნებას, ხშირად – ამაოდ; მშვიერი ჩვილი ბავშვი, რომლისთვისაც ხელოვნურ საკვებს ვედარ შოულობენ; ნარკობიზნესში ჩართული სამხედროები. თუმცა ომი, როგორც ობიექტური, ადამიანებს გარეთ არსებული რეალობა, თავისი სტატისტიკით, გეოგრაფიითა და ეკონომიკით, ამ შემთხვევაში ტექსტის მეორე პლანზე ინაცვლებს. ავტორი ერთხელაც არ ასახელებს არცერთ გეოგრაფიულ პუნქტს, არცერთ თარიღს, რაც ტექსტს გარკვეულ დროით ჩარჩოში მოაქცევდა და ა.შ. აქ

¹⁹ http://arili2.blogspot.com/2011/07/blog-post_12.html (ხელმისაწვდომი იყო 26/02/2012)

არის მხოლოდ ორი გოგონას შემზარავი თავგადასავალი, მათი ნაადრევი “ქალური ინიციატივა”.²⁰

მიუხედავად კრიტიკოსთა შეთანხმებული აზრისა იმის შესახებ, რომ წიგნში ამბავი განზოგადებულია და კონკრეტულად აგვისტოს მოვლენებს არ ეხება, ქართული სახელები – ზაური, ლამარა, დოდო, ნინო, ქეთევანი – და მტრის აღწერილობა – ათლეთური, ცისფერთვალა ჯარისკაცები – ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ომის (წიგნის მიხედვით, კონფლიქტის) ლოკაციასა და მონაწილეებზე.

ნაწარმოებში “ჩვენ” ჯგუფის მძლავრი განცდაა და მტერი მესამე პირის ნაცვალსახელებით მოიხსენიება: “ისინი”, “ის”, “მან” და ა.შ. მართალია მტერი რომანში კონკრეტულად არ არის დასახელებული, თუმცა ზიზლი და შიში მტრის მიმართ ყოველ ნაბიჯზე ჩანს. „ჩვენ“ ჯგუფი სრულიად განსხვავებულია „მათგან“, რომლებიც „ჩვენ“ ჯგუფს ანადგურებენ, ხოცავენ და არაადამიანურად ექცევიან. წიგნის მონაკვეთების მთელი რიგი ამ “სხვა” ჯგუფისადმი დამოკიდებულების ჩვენებას ემსახურება:

“ეტყობა ვერ დაინახეს იმათ და არ წაუღიათ”, “გიჟი ხარ? იმათთან იყავი?”, “იმათ მკვდარს მიწა არ უნდა ეღირსოს”, “ხო, იმათიანია, მაგიტომაც არის დაუმარხავი”, “როდის ამოგვწყვიტავენ, არავინ ვიცით”.

“ნეტა ყველანი მოვკვდებოდეთ; ასე რო ფრენენ, ფრენენ, ერთხელ ჩამოაგდონ, ჩამოაგდონ და ამოგვწყვიტონ”, “მესვრიან ესენი, მესვრიან, რაც არ უნდა ვიკვილო, მაინც მესვრიან, აქეთ მოდიან და მესვრიან” (გვ. 56).

მთელ წიგნს გასდევს ტრავმის მძაფრი განცდა. ომი არა მხოლოდ მათთვისაა, ვინც იბრძვის, არამედ მათთვისაც, ვინც ვერ გაიქცა და კონფლიქტის ზონაში ცხოვრობს. აღსანიშნავია, რომ წიგნის პერსონაჟებისთვის ომი ჩვეული პრაქტიკაა და ის ქცევის გარკვეულ წესებს ამკვიდრებს. კონფლიქტის ზონაში მაცხოვრებელთა ჩვევები ომის მიხედვით იცვლება, შესაბამისად, ომი ყოველდღიურ პრაქტიკასა და ჩვევებს ცვლის.

²⁰ <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/2284527.html> (ხელმისაწვდომი იყო 12/03/2012)

“სად დადიხართ, გოგო? წადით სახლებში! ვინმემ რამე გიქნათ, არ გეშინიათ?”

“ომია, ესენი კიდე, აივლიან, ჩაივლიან, აივლიან, ჩაივლიან, სეირნობენ აქ”.

“ამ გაგანია ომის დროს საქმე მეტი ვერაფერი ნახე?”

(გვ. 7).

მართალია, ახალ თაობას “ძველი” ომები არ ახსოვს, თუმცა უწინდელი გამოცდილების არსებობის შესახებ იციან: *“წინა ომი მე არ მახსოვს”*. ამგვარი მონაკვეთებით ავტორი ქართველი ერის ვიქტიმიზაციას ცდილობს და გვარწმუნებს, რომ ეს აგვისტოს ომი საზოგადოებისთვის პირველი არაა. მათ ბევრი მსგავსი რამ უკვე გადაუტანიათ, თუმცა 13 წლის გოგონებს ის ძველი ტრავმები არ ახსოვთ. ამის მიუხედავად, ავტორი მიგვანიშნებს, რომ იყო სხვა ომებიც, სხვა ტრავმული გამოცდილებებიც.

ტრავმას თან ახლავს პოსტტრავმული სტრესი, რომელსაც, თავის მხრივ, ახასიათებს დანაკარგის მძაფრი განცდა. თამთა მელაშვილის ნაწარმოებში დანაკარგის განცდა დიდია. ნაჩვენებია იმ ოჯახების მდგომარეობა, რომლებმაც წევრები ომში დაკარგეს. ტრავმის გაანალიზება და გლოვა აქვე ხდება:

“ეგ ლოცვა ჩემი გოგიტასთვის მინდა, ლოცვას მაინც

წავუკითხავ, სხვას ველარაფერს ვუკეთებ” (გვ. 54).

სულისშემძვრელია ერთ-ერთი პერსონაჟის ქმედება: დაღუპული ქმრისა და შვილის ტანსაცმლის დაწვა მას გლოვას უცვლის. ეს ტრავმასთან გამკლავების, ტრავმის დაძლევის მცდელობაა. ნაწარმოებში სრულადაა ასახული პოსტ-ტრავმული სტრესის დამახასიათებელი ნიშნები: გლოვა, დანაკარგის განცდა, იმედგაცრუება, ტრავმის იგნორირება (*“მამაჩემი ღმერთია, მამაჩემს რა მოკლავს”*). „გათვლის“ პირველი თავი მთლიანად პოსტტრავმული სტრესის მაჩვენებელია. ის ტრავმირებული საზოგადოების მდგომარეობასა და ტრავმასთან გამკლავების მცდელობებს გვიჩვენებს.

წიგნის მეორე ნაწილის სახელია “სასაზღვრო ზონა”. ეს ყოფილი კონფლიქტის ზონაა, რომელიც ოცი წლის შემდეგ უკვე სასაზღვროდ იქცა – საზღვრად “ჩვენ” და “სხვა” ჯგუფებს შორის. გარდა საზღვრისა, ის კიდევ ერთი

კუთხითაა მნიშვნელოვანი: სასაზღვრო ზონა ყოფილი კონფლიქტის ზონაა. აქ ყველაზე ნათლადაა შესაძლებელი ტრავმის შემდგომი მდგომარეობის დანახვა.

მიუხედავად დიდი იმედგაცრუებისა და ომისა, პერსონაჟთა განწყობა კანონზომიერად ოპტიმისტურია, რაც მთელი წიგნის ერთ ფრაზაში ჩანს: *“ომი დამთავრდება, ყველაფერი გვექნება”* (გვ. 78).

თამთა მელაშვილის „გათვლა“ იმ ნარატივებს მიეკუთვნება, რომლებიც მკაფიოდ უკავშირდება კოლექტიურ ტრავმას: მთელი წიგნი ეძღვნება ტრავმული პერიოდისა და გამოცდილების გახსენებას (მახასიათებელი 1 – მოვლენათა აღწერა). ამავე დროს, ხაზი ესმება ამ გამოცდილების უკვე არსებობას (მოცემული ტრავმა პირველი არ არის საზოგადოებისთვის). დაზარალებული ჯგუფის ასახვა: მართალია წიგნი უშუალოდ ჯარისკაცების ცხოვრებას არ ასახავს, თუმცა, ავტორის თანახმად, მიზანი კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ქალებისა და ბავშვების ცხოვრების ჩვენება იყო (მახასიათებელი 3 – ტრავმის განხილვა არა მხოლოდ მიზნობრივი ჯგუფის საშუალებით). ამრიგად, ნაჩვენებია ტრავმის არაპირდაპირი მსხვერპლის მდგომარეობა. პოსტტრავმულმა ნარატივმა უნდა გვიჩვენოს, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა. წიგნში ნათლადაა ასახული დამნაშავეც: ავტორი აღწერს მაღალი, ტანადი, ცისფერთვალეა „სხვების“ არაადამიანურ ქმედებას, თუმცა კონკრეტულად რუსი ნახსენები არ არის (მახასიათებელი 4 – დამნაშავეის ჩვენება შეფარულად თუ ცხადად). ამრიგად, თამთა მელაშვილის „გათვლა“ კოლექტიური ტრავმის ამსახველ ნარატივთა რიგში დგება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თამთა მელაშვილის „გათვლა“ არადომინანტი ნარატივია, რომელიც ომის სურათს პირადი ისტორიებისა და თხრობის მეშვეობით გადმოგვცემს. ამასთან ერთად, ტრავმული საზოგადოების მდგომარეობის დაწვრილებით გადმოცემა ამ წიგნს პოსტტრავმული სტრესის ამსახველ ნარატივთა რიგში აყენებს.

§ 5. ანა კორძაია-სამადაშვილი „მე მომკლეს, დე...“

თამთა მელაშვილს ამ კატეგორიაში უერთდება ანა კორძაია-სამადაშვილი თავისი ჩანახატით „მე მომკლეს, დე...“, რომელიც ასევე პოსტტრავმული სტრესის ამსახველ ნარატივებს მიეკუთვნება. ეს მოკლე მოთხრობა/ჩანახატი სახელწოდებით

„მე მომკლეს, დე...“ ავტორის ბლოგზე 2011 წლის 2 აგვისტოს გამოქვეყნდა. მოქმედება 2008 წლის აგვისტოში თბილისში ხდება. ჩანახატი ავტორის სიზმარია, რომელიც მან ნახა, მაგრამ რომელიც არ დამთავრდა. თხრობისას რთულია გარკვევა, სად მთავრდება სიზმარი და სად იწყება რეალური ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი 3 წლის დასრულებული იყო, თხრობა მთელი ტრაგიზმით გადმოსცემს ომით შეძრული საზოგადოების მდგომარეობას.

„მართალია, ამ ზაფხულს არსად წასულა, თავის სამყოფი მწირი თანხის მოსაპოვებლად მუშაობდა, თავაულებლად, და სწორედ ამიტომ გაიგო მხოლოდ ღამით, რომ ომი დაიწყო.“²¹

პერსონაჟთა ცხოვრების ჩვეული წესი, ყოველდღიური ცხოვრება მყისიერად იცვლება ომის გამო (ისევე, როგორც „გათვლაში“):

„ისედაც ექვსის მერე არ ჭამდა - ომამდე.“

„ისინი ისხდნენ ერეკლეს ქუჩაზე, ჭამით თავს იკლავდნენ და ყველაფერს სვამდნენ, ზემოთნახსენები პრინციპით: ომია. თუ დაგვბომბეს, ფული რად გვინდა.“

გმირები ლუდს ყიდულობენ, რის თანხაც ჩვეული ცხოვრებისას არ ექნებოდათ და დასძენენ, რომ ომია. ომის დროს მათთვის ყველაფერი შეიძლება. მათ ჰგონიათ, რომ მალე აღარ იქნებიან, მტრის ბომბი მათაც მისწვდებათ, ამიტომ ახლა ყველაფრს უფლება აქვთ. ეს ტრავმული განწყობის მაჩვენებელია. მოთხრობის განწყობა პესიმისტურია: ყველა გრძნობს საფრთხეს:

„მარლენი ნელ-ნელა მისკენ ჩოჩდებოდა. იჩოჩა, იჩოჩა, სანამ გვერდზე არ აეკრო და ცუდი ხმით ჰკითხა: „მოგვკლავენ, დე?“

მალევე ცხადი ხდება პოსტტრავმული ნარატივის ნიშანი: ღიად სახელდება მტერი, სხვა ჯგუფი, რომელიც არსებული შიშის გამომწვევია. ეს „სხვა“ ჯგუფი თამთა მელაშვილთან უფრო ზიზღს გამოიწვევს, ანა კორძაია-სამადაშვილთან კი ისინი შიშს ნერგავენ მკითხველსა და პერსონაჟებში: „ვინ ყოფილან ეს რუსები!“

²¹ <http://samadova.wordpress.com/2011/08/02/%E1%83%9B%E1%83%94-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%94/> (ხელმისაწვდომი იყო 13/04/2014)

ამ მოკლე ჩანახატში ეს ავტორიც არ ივიწყებს ერთხელ უკვე გადატანილ ტრავმას და, შედეგად, აფხაზეთი აქაც ჩნდება. ისტორიული ანალოგია აქაც ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან საზოგადოებას მსგავსი ტრავმა უკვე გადატანილი აქვს. საზოგადოების ნაწილს გადარჩენის გამოცდილება აქვს და შეუძლია მტრის ქმედებებზე იმსჯელოს. მტერი იმავეს იზამს ამჯერად, რაც ერთხელ აფხაზეთში უკვე ქნა.

„9.08.2008.11:40

თუ თბილისს დაბომბავენ, არ შეგეშინდეს, ეს მაგათი სისუსტის და წარუმატებლობის ბრალია, მე ეგ აფხაზეთიდან ვიცი, დაბომბავენ „ობიექტებს“, მოიფიქრეთ, ეგ რა შეიძლება იყოს (თავი შორს გეჭიროთ), მეტრო საუკეთესო თავშესაფარია, გერმანელები ინგლისს თვეობით ბომბავდნენ, ლონდონელები მიწისქვეშეთმა გადაარჩინა.“

მოთხრობაში დეტალურადაა აღწერილი რამდენიმე პერსონაჟის ქმედება, რომლებმაც ქვეყანა დატოვეს: ზოგმა აზერბაიჯანს შეაფარა თავი, ზოგმაც სტამბოლს მიანიჭა უპირატესობა. თუმცა ომმა ყველაზე მოახდინა გავლენა. კოლექტიური ტრავმის თეორიის მიხედვით, ომი ყოვლისმომცველი და ყველასთვის გასაგებია. ანა კორძაია-სამადაშვილის მოთხრობის თითოეული პერსონაჟი ქართველი საზოგადოების გარკვეული ნაწილის რეაქციასა და პოზიციას გამოხატავს. ზოგს ერჩივნა რუსის ჯარს ჩაბარებოდა, ზოგი გარბოდა, ზოგიც პანიკაში იყო:

„ობივატელი გულით ლოცულობდა, მამულიშვილი რუსის ჯარს ჩავარდნოდა ხელში“.

„თავისუფლების მოედანს მანქანები წრეებს ურტყამდნენ, ფანჯრიდან ქალები წელამდე გამოჩრილიყვნენ, ქართული ფეტიში - სილიკონის ველი, ხელში - დროშა. ყველა ღრიალებდა, ოღონდ რას - უფალმა უწყის.“

ამ მონაკვეთით მწერალი გვიჩვენებს, რომ აგვისტოს ომმა მთელი საზოგადოება მოიცვა. საზოგადოების ცხოვრების ჩვეული წესი მკვეთრად შეიცვალა და ქართველებიც მოქმედებენ. თითოეული მათგანი თავის პოზიციას რაიმე ქმედებით გამოხატავს. ომი სრულდება, თუმცა ომის შედეგები თავად პროცესზე

ტრაგიკულია. ომის დასასრული რამდენიმე ძალიან ეფექტური ფრაზით გამოიხატება, რომელიც სრულად ასახავს აგვისტოს ომის შედეგებს, დანახულს ქართველი ერის თვალთ. თითოეული ფრაზა ომის შედეგს გვიჩვენებს, სხვადასხვა პოზიციის მქონე ადამიანის განწყობას გადმოგვცემს. ისინი შეიცავს ტრავმის იგნორირებას: ჩვენ არ მოგვკლეს, კოდორის ხეობაში დროშები ფრიალებს (მერე რა, რომ ეს ჩვენი დროშები არაა), ნაძალადევ ოპტიმიზმს: რუსებმა თბილისი არ აიღეს, ყველამ გაიგო, რომ რუსები ცუდები არიან. საბოლოოდ, ყველა ეს ფრაზა საზოგადოების პოსტტრავმულ მდგომარეობას ასახავს:

„ყველგან რუსული პოპი ჟღერს: Мы с тобой теперь уже не пара, не пара!

ტაში!

ჩვენი ბიჭები „ბალტიკას“ „ს გორლიშკა“ სვამენ და ყვირიან:

საქართველოს გაუმარჯოს!

ტაში!

კოდორის ხეობაში დროშები ფრიალებს, ჩვენი არა, მაგრამ მაინც!

ტაში!

რუსებმა თბილისი არ აიღეს და გადავრჩით სევანის ტბასა და კასპიის

ზღვაზე დასვენებას!

ტაში!

ეს დევნილები ჩვენ არ ვართ!

ტაში!

ჩვენ არ მოგვკლეს!

ტაში!

ყველამ გაიგო, რომ რუსები ცუდები ყოფილან, ჩვენ – კარგები!

ტაში!

მომავალ წელს ისევ მოვიგებთ იურმალაში!

ტაში!“

მოთხრობის დასასრულს ავტორის პესიმიზმით სავსე ორი ფრაზაა, რომელიც ომსა და ადამიანურ ტრაგედიას მთელი სიცხადით წარმოაჩენს:

„ვითომ, ნორმალურია ასეთი სიზმრები? ნეტა, გამელვიძება?“

*„მთავარია, რომ სამივენი ბედკრული საქართველოს
შვილები არიან.*

უფრო სწორად, იყვნენ. ისინი ხომ მოკლეს.“

ანა კორძაია-სამადაშვილის მოთხრობა სრულად ეძღვნება 2008 წლის აგვისტოს ომს და მისი ტრაგიკულობის ჩვენებას ემსახურება. დაბნეული ქართული საზოგადოება, პესიმიზმით სავსე ხალხი და ქალაქში გაბატონებული პანიკა მწერლის წარმოსახვითი სიზმრის ნაწილია. ეს წარმოსახვითი სიზმარი ძალიან ჰგავს 2008 წლის რეალობას. ანა კორძაია-სამადაშვილის ჩანახატიც არადომინანტ ნარატივებს მიეკუთვნება. მასშიც თხრობა პირადი ისტორიის, სიზმრის მეშვეობით ხდება. პერსონაჟები ომის შესახებ ინფორმაციას პირადი გამოცდილებით გვაწვდიან.

ამრიგად, ჩვენი მიზანი არადომინანტი ნარატივების მიმოხილვა იყო. გვინდოდა დაგვენახა, არის თუ არა ამ ნარატივებში რაიმე საერთო და უკავშირდებიან თუ არა ისინი ფროიდისეულ ტრავმის გაგებას, ტრავმასთან მიბრუნებასა და დაძლევას. სწორედ ამ მიზნით განვიხილეთ ზაზა ბურჭულაძის რომანი „ადიბასი“, თამთა მელაშვილის „გათვლა“, ლაშა ბუღაძის „ლიტერატურული ექსპრესი“ და ანა კორძაია-სამადაშვილის „მე მომკლეს, დე...“ პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ თითოეული ეს მწერალი თვითონ არის ქართველი საზოგადოების წევრი; თუ ვამბობთ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი კოლექტიურ ტრავმას წარმოადგენდა მთელი ქართული საზოგადოებისთვის, ეს მწერლებიც ამ საზოგადოების წევრები არიან. შესაბამისად, ტრავმამ მათზეც ისეთივე გავლენა მოახდინა, როგორც მთელ საზოგადოებაზე.

ნარატივებს ერთმანეთისგან წლები აშორებს. ყველაზე გვიანდელი („მე მომკლეს, დე...“) 2011 წელს არის შექმნილი. გამოდის, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის ტრავმა აქტუალურია წლების შემდეგაც, და არამხოლოდ ამ ომის. გასაკვირი არაა, რომ საზოგადოება 3-4 წლის წინანდელ ტრავმას უბრუნდება, მაგრამ როდესაც ყველა ამ ნაწარმოებში ნახსენებია აფხაზეთიც, რომელიც ათეული წლებითაა დაშორებული თანამედროვე საზოგადოებას, ფროიდისეული ტრავმასთან მიბრუნების იდეა კიდევ უფრო მეტ აზრს იძენს.

ყველა ამ ნარატივში წარმოჩენილია მსხვერპლი და ის ყოველთვის ქართული საზოგადოებაა. ჩვენ ჯგუფი მუდმივად ხდება სხვების (რუსების) აგრესიის

მსხვერპლი. შესაბამისად, ჩვენ ჯგუფი ყველაზე ნეიტრალურ ნარატივებშიც („ლიტერატურული ექსპრესი“) კი თანაგრძნობას იმსახურებს.

კიდევ ერთი საერთო ელემენტი სხვა ჯგუფის კონკრეტული დასახელება და მტრის ხატის წარმოჩენაა. ყველა ამ ნარატივში ცხადია, რომ მტერი, რომელიც ტრავმულ მოვლენას იწვევს და რომელიც ყველა ტრაგედიის მიზეზია, რუსეთია. შესაძლოა, თავად ერი ან პოლიტიკოსი ნარატივში ნახსენები არ იყოს, თუმცა აუცილებლად მოცემული იდენტიფიცირების რაიმე საშუალება (მაგალითად, „რუსული ტანკი“ რომან „ადიბასში“).

ყველა ეს საერთო ელემენტი გვიჩვენებს, რომ განხილული ნარატივები აკმაყოფილებს კოლექტიური ტრავმისადმი მიძღვნილი არასოციალური ნარატივების კრიტერიუმებს, რომლებზეც ჯეფრი ალექსანდერი საუბრობს: ეს არის ინდივიდუალურ ისტორიებზე დაფუძნებული თხრობა; იგი არ არის დაკავშირებული დომინანტ ნარატივთან; არ არის შექმნილი დევნილის ან ისეთი ადამიანი მიერ, რომელიც კოლექტიური ტრავმული მოვლენის პირდაპირი მსხვერპლია (Alexander 2004: 128).

საერთო ნიშნების მიუხედავად, მოცემულ ნარატივებს შორის მრავალი განსხვავებაა: თითოეული მათგანი საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის რექციას გვიჩვენებს. თუ ზაზა ბურჭულაძის რომანში წარმოჩენილია თბილისური ბომონდი და მათი რეაქცია ომზე, თამთა მელაშვილის „გათვლაში“ აქცენტი კონფლიქტის ზონაში მაცხოვრებელ მოსახლეობაზე კეთდება, ლაშა ბულაძე და ანა კორძაია-სამადაშვილი კი ტრაგედიის ინდივიდუალურ განცდაზე, ინდივიდების ისტორიაზე ამახვილებენ ყურადღებას.

§ 6. ჟურნალისტების ჩანაწერები

ჩვენი აზრით, მწერალთა მიერ შექმნილი ნარატივების გარდა, საინტერესოა ჟურნალისტების პირადი ჩანაწერებისა და ნარატივების განხილვა, რომლებიც ასევე არასოციალურ ნარატივთა რიცხვს მიეკუთვნება. ჟურნალისტები აწვდიდნენ ინფორმაციას საზოგადოებას ომის შესახებ, ისინი ერთგვარი მედიუმები არიან, რომელთა წყალობითაც ინფორმაცია ვრცელდება. 2013 წელს ერთ-ერთ ბლოგზე განთავსდა ჟურნალისტთა პირადი ჩანაწერები არაორგანიზებული, არასოციალური

ნარატივის სახით, რომელსაც ჰქვია „აგვისტოს დღიურები“. აქ სხვადასხვა სატელევიზიო არხის ჟურნალისტები გვიზიარებენ თავიანთ ისტორიებს. აგვისტოს ომიდან 5 წლის თავზე შექმნილი ეს ჩანაწერები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოსტტრავმული სინდრომის დანახვისთვის.

„დავით ჩხიკვიშვილი (რუსთავი 2): იმ დღეს პირველად ჩავიცვი ლონდონში ნაყიდი ახალი ფეხსაცმელი... და ომი დაიწყო. იმის მერე აღარ ჩამიცვამს...“

ოფისში დაახლოებით 12 საათზე მივედი, ნინო ივანიშვილმა (ჩვენი პროდიუსერია) მითხრა, რომ ცხინვალში რაღაც ხდებოდა და გასარკვევად უნდა წავსულიყავი. ვიცოდი, რომ თემურ იაკობაშვილი იყო ცხინვალში და ვიფიქრე, რომ რაღაც გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. ეჭვიც არ გამჩენია, რომ ომი იწყებოდა. ამ მიზეზით თან არაფერი წამიღია ბიგანის (ინტერნეტთან დასაკავშირებელი სატელიტური თეფში) გარდა. ოფისში ყოველთვის მაქვს სათადარიგო ტანსაცმელი და საჭმელი, მაგრამ არც დამიშვია, რომ დამჭირდებოდა, მეგონა, რომ უკან რამდენიმე საათში დავბრუნდებოდი. მეღვრეკისამდე დაუბრკოლებლად მივედი. იქ ერთ-ერთი რუსული პოსტი იყო... მგონი პირველი... ან მეორე... არ მახსოვს. ჟურნალისტები ქართული არხებიდან უკვე იქ იყვნენ. სიმშვიდე იყო, არავინ მოელოდა რამე განსაკუთრებულს. იაკობაშვილის გამოსვლა გადავიღეთ... არც ამ დროს ჩავვითვლია, რომ მნიშვნელოვანი ამბავი ხდებოდა, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის გადაღებული მასალა ერთ-ერთ სათაო ოფისს გადავუგზავნეთ. ამ დროს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ულტიმატუმი გამოცხადდა, ამიტომ გადავწყვიტეთ მოგვეცადა, თბილისში ჯერ არ დავბრუნებულიყავით.“²²

²²<https://sshorena.wordpress.com/2013/08/06/%E1%83%90%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/> (ხელმისაწვდომი იყო 15/08/2014)

დავით ჩხიკვიშვილის ჩანაწერის პირველსავე ნაწილში ვხვდებით კოლექტიური ტრავმის ერთ-ერთ ნიშანს: ტრავმა მოულოდნელად ატყდება თავს გარშემომყოფთ და მათ ცხოვრებისეულ რუტინას ცვლის. წინასწარ არავინ ელის ისეთი ტრავმული მოვლენის დაწყებას, როგორც ომია. ომი ერგვარი დროის საზომი ხდება, ასეა მოცემულ შემთხვევაშიც.

„აფეთქების ხმამ გამომალვია... მოულოდნელობამ ბევრი პანიკაში ჩააგდო. ზოგიერთი მანქანისკენ გაიქცა, უფრო გამოცდილები დარჩნენ და მდგომარეობაში გარკვევა სცადეს. ძალიან ძნელი იყო იმის დადგენა, თუ საიდან მოდიოდა აფეთქების ხმა... დარჩენილები შეთანხმებულად ვმუშაობდით. მიმართულებებს ვინაწილებდით და შემდეგ ერთმანეთს ვუცვლიდით მასალებს ღამის განმავლობაში. სათაო ოფისს შვიდჯერ გადავუგორე კადრები. დილისკენ დროებით შეწყდა აფეთქებები, გამთენიისას კი უფრო ინტენსიურად დაიწყო სროლა, აფეთქება, თვითმფრინავების ფრენა... ამ დროს უკვე მარტო ჩვენი ჯგუფი იყო ადგილზე, დანარჩენები სადღაც წავიდ-წამოვიდნენ.“

მეორე ამონარიდშიც მკაფიოდ ჩანს პანიკა და გაურკვეველობა. კოლექტიური ტრავმის ერთ-ერთი ნიშანი - სამიზნე ჯგუფის დეზორიენტაცია და დაბნეულობა - აშკარაა.

„12 საათზე ცენტრალურ გზაზე ქართული ტანკების კოლონამ ჩაიარა, ჯარისკაცებით სავსე პიკაპებიც იყო... თითქმის საზეიმო განწყობა ჰქონდათ... რატომღაც ყველა გამარჯვების ეიფორიით იყო მოცული, მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობაც. თითქოს დარწმუნებულები იყვნენ რომ ბრძოლა გამარჯვებით დასრულდებოდა.“

ამ დროს თვითმფრინავებმა გადაგვიფრინეს. ორი “შტურმავიკი” იყო, გვიან მივხვდით, რომ ჩვენს სოფლებს ბომბავენ – ჩვენი თვითმფრინავები არ იყო! საზეიმო ეიფორია რამდენიმე წუთში მძიმე განწყობამ შეცვალა, ამ დროს

ბიგანმაც “გამიჭედა”, ყველა იქ მყოფი ჯგუფი იყენებდა ინტერნეტს და ალბათ ამიტომ პირველი არხის თევზით სარგებლობა მომიწია, თბილისს ვუგორებდით მასალას...

ლონდონმა პირდაპირი ჩართვა მომთხოვა, რომელიც სამი საათისთვის დავნიშნეთ... ამ დროს დავინახეთ, რომ ცხინვალის მხრიდან დიდი სიჩქარით მოდის სატვირთო მანქანა, როდესაც ჩავვიარა, ძარიდან გადმოკიდებული ადამიანების ფეხები დავინახეთ... პირველად ამ დროს გავაცნობიერეთ, რომ ომი დაიწყო... ადამიანები კვდებიან ახლა და აქ ეს კადრი ვერც ერთმა გადამღებმა ჯგუფმა ვერ გადაიღო... ზედმეტად შემზარავი იყო.“

კოლექტიური ტრავმისთვის არ არსებობს პროფესია ან საქმიანობა. ტრავმული მოვლენისგან არავინაა დაცული, შესაბამისად, ის საზოგადოების ყველა წრისთვის შოკისმომგვრელი და შემზარავია.

„ლონდონისთვის დაგეგმილ ჩართვას ჩვენი ჯარის უკანდახევა დაემთხვა. ჯარისკაცები, რომლებიც 3 საათის წინ აჟიტირებულები გამარჯვების მოლოდინით გავაცილეთ, უკან წაშლილი სახეებით ბრუნდებოდნენ, მოდიოდნენ მანქანებით და ფეხით... იყვნენ დაჭრილებიც, ზოგიერთს იარაღიც აღარ ჰქონდა. იმდენად შოკისმომგვრელი სურათი იყო, რომ კადრები მხოლოდ პირდაპირი ეთერით გავიდა: ვერც თბილისში და ვერც სათაო ოფისში ჩაწერა ვერ მოახერხეს.

ჩვენმა ფოტოგრაფმა, დათო მძინარიშვილმა დამირეკა და მითხრა, რომ გორი იბომბება. იქ მყოფ ჟურნალისტებს ვუთხარი, ნანა ინჭკირველმა არ დამიჯერა “არა, არა... არ შეიძლება ეს ხდებოდეს,” – იმეორებდა...

ნინომ მითხრა, რომ დრო იყო თბილისში დავბრუნებულიყავი, ჩვენს უსაფრთხოებაზე ის აგებს პასუხს. ვუპასუხე, რომ “აქ ახლა იწყება ყველაფერი!” ასეთ

ვითარებაში ყოველთვის აქტირებულია ადამიანი და რაციონალურად ვერ აზროვნებს, ამიტომ საჭიროა რომ ვინმემ “აზრზე მოიყვანოს”... ეს ნინოს ევალეზა, ამიტომ გამიმეორა, რომ დაბრუნების დრო იყო... მეორე დღეს დაბადების დღე მქონდა და შვებულება მეწყებოდა... მივხვდი, რომ აღარც ერთი იქნებოდა და აღარც მეორე...²³

მარცხით გამოწვეულ იმედგაცრუებას ტრავმული მოვლენის გაცნობიერება მოსდევს. ჟურნალისტის რეაქციაც ბუნებრივად ემთხვევა ტრავმულ მოვლენის აღქმას: უფულებელყოფას იმისა, რაც მოხდა. ამ ჩანაწერის დასასრულს კი ტრავმული მოვლენის მიღება ხდება, ავტორი აღიარებს, რომ მისი ცხოვრება ამ მოვლენის გამო შეიცვალა. მეორე ჟურნალისტი, რომელიც აგვისტოს დღიურებს წერს, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ტელესახე შორენა ცხოვრებაში იყო. მის ჩანაწერში აგვისტოს ომს მისტიური შეფერილობა აქვს. ავტორს ზედმიწევნით ახსოვს 7 აგვისტო:

„ახლა 7 აგვისტოა, ოღონდ 2010 წელი, უკვე ღამის თორმეტის ნახევარია. ორი წელი გავიდა, მაგრამ ყველაფერი ძალიან კარგად მახსოვს: ზუსტად 2 წლის წინ 7 აგვისტოს ნენე ზღვაზე პირველად წავიყვანე, მას მერე არც ვყოფილვართ, რა შუაშია ახლა?! უბრალოდ გამახსენდა...“²⁴

ავგვისტოს ომი აქაც დროის საზომად იქცა. ავგვისტოს ომის შემდეგ ადამიანთა ცხოვრება შეიცვალა და შორენა ცხოვრებაში იყო ჩანაწერიც ამაზე მიუთითებს.

„მთელი ღამე ცუდად მეძინა, ჯერ იყო და ჩემს მასპინძლებს შუადამისას მთვრალი ნათესავი დაადგათ და ღრიალებდა. უძილო ღამის მერე მაინც ადრინად გამეღვიძა, ქალაქი ჯერც არ შემშრალიყო ამდენხნისანი გადაუღებელი წვიმის შემდეგ და ჩვეული ინსტინქტი ავამუშავე (რაც დღემდე მაქვს), ტელევიზორი ჩავრთე და საინფორმაციო გადაცემის ძებნა დავიწყე. წამყვანი არ მახსოვს, არც არხი.“

²³ <https://sshorena.wordpress.com/2013/08/06/%E1%83%90%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/> (ხელმისაწვდომი იყო 15/08/2014)

²⁴ იქვე.

მახსოვს, რომ მთელი ღამის მანძილზე ბრძოლა გრძელდებოდა, ქართველებმა, რამდენიმე მნიშვნელოვანი პოზიცია დაიკავეს. ტელევიზორისთვის თვალი არ მომიშორებია ისე, დედაჩემის ტელეფონის ნომერი ავკრიფე: დედა, სასწრაფოდ ჩამოდი, დღესვე! რამდენიმე დღით სამსახურში უნდა დავბრუნდე, შენ ნენე დაიტოვე და მეც რამდენიმე დღეში დავბრუნდები. როგორი გულუბრყვილობაა... იმ დღეს ზღვაზე აღარც გავსულვართ...”

ამ ჩანაწერში ომს მისტიური იერი აქვს. თითქოს ავტორმა იგრძნო, რაც ხდებოდა და სწორედ ამიტომ დაიწყო საინფორმაციო გადაცემის ძიება. შორენა ცხოვრებაშვილის ჩანახატში მოცემულია საზოგადოების სხვა ნაწილის რეაქციაც, რომელიც დაახლოებით იმავე სახისაა, რაც ზაზა ბურჭულაძის „ადიბასში“ გვხვდება:

„სახლში რომ ავედი, ისევ ტელევიზორს მივუჯექი. მახსოვს: ომის შოკის გარდა, კიდევ ერთი შოკი მივიღე, როცა აღმოვაჩინე, რომ ჩემს მასპინძლებს საერთოდ არ აღელვებთ რა ხდება ქვეყანაში, უფრო მეტიც, დიასახლისი მეუბნება, რომ ჩემი შვილი, რომელიც რეზერვისტების ერთ-ერთი მეთაურია, 3 დღეა ქეიფობს და არ სჯერა, რომ ასეთი ამბავია და რომ დარეკავს, იქნებ თქვენ დაელაპარაკოთ და აუხსნათ, თქვენი მოერიდება და სმას შეწყვეტს. მახსოვს, პირი გამელო და ისე შევხედე ამ ქალს, ვეუბნები: იცით, თუ სამხედრო მოსამსახურეა, მაშინ მისმა ხელმძღვანელობამ შეაწყვეტინოს სმა.“

ამ ნაწყვეტის წაკითხვისას გვახსენდება ზაზა ბურჭულაძის რომანში ქართული საზოგადოების რეაქცია ომზე. თითქოს ის, რაც მხოლოდ მწერლის ფანტაზია უნდა ყოფილიყო, მოცემული ნაწყვეტით რეალობად იქცა. ჟურნალისტი იხსენებს, როგორი გაოცებული იყო ამგვარი რეაქციით, თუმცა თავისთავად საინტერესოა საზოგადოების მდგომარეობა, რომელიც უგულვებელყოფს ტრავმულ მოვლენას და ამით პოსტტრავმული სტრესის ერთ-ერთ ნიშანს ამჟღავნებს.

„დასაძინებლად რომ გავემზადეთ უკვე გვიანი იყო, ლაპარაკს შევყევით, ნენეს უკვე ეძინა, უცებ ირეკება დედაჩემის ტელეფონი, მე ვიღებ და მესმის ჩვენი ყოფილი მეზობლის ისტერიული კივილი: შორენააააააააა, რა გინდა მანდ, ახლავე ჩაალაგეთ ყველაფერი და თბილისში წამოდიოთ! ფოთი დაბომბეეეეს, მსხვერპლი არ ვიცი არის თუ არა. ხმა ვერ ამოვიღე. ტელეფონი გაითიშა და სინათლე ჩაქრა. ისევ ზარი, ამჯერად ჩემს ტელეფონზე, სოფო რეკავდა: ფოთი დაბომბესო... და აი დამეწყო ისტერიკა. მახსოვს, რომ გადავეფარე მძინარე ელენეს (ნენეს შვილი), მერე ხელში მინდოდა აყვანა და ქუჩაში გაქცევა, დედაჩემი არ მანებებდა, მახსოვს ვყვიროდი: სინათლე რატომ ჩაქრა მთელს ქობულეთში-თქო, დედაჩემი მიხსნიდა, იმიტომ რომ ზემოდან არ გამოჩნდესო, მაინც ერთსა და იმავეს ვიმეორებდი და ნენეს ხელში აყვანას და სადმე სარდაფში გაქცევას ვცდილობდი. ჩვენს მასპინძლებს ტკბილად ეძინათ“.

„არასდროს დამავიწყდება იმ სამი “ვაჟკაცის” სახე, რომელიც, სანამ სასწრაფო ჩემს გამოკეთებას ელოდებოდა, იქვე მდებარე დუქნიდან ჭიპამდე ჩახსნილი პერანგებითა და დარდიმანდული სიმღერების ღრიალით გამოვიდნენ. ალბათ სმის დროს საქართველოს სადღეგრძელო არაერთხელ დალიეს და გულზე მჯილიც დაირტყეს!“

აშკარად ჩანს კოლექტიურ ტრავმაზე ორგვარი რეაქცია: სრული პანიკა, დეზორიენტაცია, დაბნეულობა და, მეორე მხრივ, სრული უგულებელყოფა და მშვიდი ძილი დაბომბვის ფონზე.

„ჩანთები იქვე დავყარეთ დედაჩემთან და მე, სოფო და ჩემი ძმა პატრულისკენ გავიქეციით. ვუთხარით, რომ ჩვენ ტელევიზიაში ვმუშაობთ და თბილისში დღესვე აუცილებლად უნდა გავემზავიოთ. ის ცოტა ხანი ცდილობდა

აეხსნა, რომ გორი ამ წუთებში იბომბებოდა, მაგრამ ბოლოს შევთანხმდით, რომ მათ რომელიმე მანქანას გაგვაცოლებდა. ისევ დედაჩემთან დავბრუნდი და ვუთხარი, რომ პატრული გაგვიშვებდა: შენ ავად ხარ, რას აკეთებ, ბავშვი სად მიგყავს, მე არსადაც არ წამოვალ, ბავშვი ჩემთან იქნება, ბორჯომში წავალთ! ძლივს დავურეკეთ ბიძაჩემს და ვუთხარით, რომ დედაჩემისა და ნენესთვის ხაშურის ცენტრალურ მოედანზე მიეკითხა და თან სასწრაფოდ, ყველა ჩანთა დედას დავუტოვე, ჩემი დასვენებისთვის შენახული ფულიც მივაჩეჩე: მე ეს არაფერში არ მჭირდება და აბა შენ იცი, საჭმელი მოიმარაგე-თქო და უკან გამოვიქეცი... გამოვიქეცი სოფოსკენ და ირაკლისკენ, შუა გზაში გავჩერდი და უკან გავიხედე. დედა და ნენე იდგნენ მზის გულზე და მიყურებდნენ, დედაჩემი ხვდებოდა, ნენე ვერა, მაგრამ ორივეს რაღაცნაირი საცოდავი სახე ჰქონდა. მივხვდი, რომ ბავშვს არც გამოვმშვიდობებოვარ, მივბრუნდი, ჩავკოცნე და ისევ უკან გამოვიქეცი.“

გამომშვიდობება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ტრავმული მოვლენის დროს, ის ერთგვარი რიტუალი ხდება, ვინაიდან მოვლენათა მონაწილე, შესაძლოა, ცოცხალი ვეღარ დაბრუნდეს.

„გორი ცარიელი იყო, ქუჩაში კაციშვილი არ ჭაჭანებდა, მხოლოდ დიდი მანქანები დაქროდნენ. მათ დაჭრილები გადაჰყავდათ. სადაც არ მივედით, ყველა გზა გადაკეტილი იყო, მძლოლი გორელი იყო და ქალაქს ხელისგულივით იცნობდა. გორიდან გამოვედით, მგონია ნელა მივდივართ-თქო.“

რიცხვები და მოვლენების თანმიმდევრობა ამერია. ახლა უბრალოდ გავიხსენებ: თამუნა ურუშაძე რომ დაჭრეს, რამდენიმე წამით კადრიდან გაქრა და ეს საუკუნედ მომეჩვენა. საშინელი შეგრძნება იყო: ბორჯომის ხეობა

იწვოდა, დედაჩემი მირეკავდა, ფანჯარას ვერ ვაღებთ ისეთი ბული დგასო. მე ნინო თარგამაძის ოთახში გავრბოდი და ვტიროდი, გორიდან ევაკუაცია დაიწყო, ვახო ჩართვიდან გაგვექცა, მერე ისევ მობრუნდა. ჩემი ძმა გორის საავადმყოფოში იყო და დაჭრილების გადმოყვანაში ეხმარებოდა. ევაკუაციის დროს ვერაფრით ვერ დაუკავშირდი, ტელეფონს არ პასუხობდა. მე ვტიროდი, მის ნომერზე ყველა რეკავდა.“

რიცხვებისა და მოვლენების აღრევა არაორგანიზებული და პირად თხრობაზე დაფუძნებული ნარატივებისთვის ბუნებრივია. ისინი პირად გამოცდილებას მოგვითხრობენ, ისეთი ტრავმული მოვლენის დროს კი, როგორც ომია, ინდივიდი დიდ ზეწოლასა და სტრესს განიცდის. შესაბამისად, მისთვის ტრავმული მოვლენების გახსენება და მათზე საუბარი-წერა მარტივი არ არის. „ახლა აღარ მინდა, მერე ალბათ კიდევ გავაგრძელებ...“

შემდეგი ნაწყვეტი კი ნათლად გვიჩვენებს იმავეს, რაც ანა კორძაია-სამადაშვილის ჩანახატშიც შეგვხვდა - როგორ იცვლება ადამიანთა ცხოვრება, როგორ ხდება ომი ყოვლისმომცველი: „თქვენ იცით, ქვეყანაში ომია და რა შინაგანაწესზე მელაპარაკები, ადამიანი ცუდად არის, წნევის აპარატს როგორ არ მათხოვებო!“

სამხედრო ჟურნალისტის, გიორგი ცხვიტავას ჩანაწერებში, ზემოაღნიშნულთან ერთად, ჩანს კიდევ ერთი ნიშანი: ცხადად არის მოცემული მტერი: ეს რუსეთია, რომელთანაც საქართველოს არაერთი სხვა კონფლიქტი ჰქონია.

„8 აგვისტო გათენდა. ვიცი, რომ საბრძოლო მოქმედებებში რუსეთია ჩართული, სხვაგვარად ვერ იქნება, ბოლო ოცი წელი ყველა მცირე ინტენსივობის მოქმედებაშიც კი რუსეთი იყო ჩართული. თუმცა ამ თემაზე 8-ში ყველა დუმს, მაგრამ ჩემებს ვეუბნები, რომ მაქსიმალურად ყურადღებით იყვნენ. ჩვენ ჩვენს საქმეს ვაკეთებთ.“

ავიაცია გამოჩნდა, ჯერ ჩვენი.... მერე კი რუსეთის.

გამახსენდა, ვინც აკონტროლებს ცას ...“²⁵

საინტერესოა, რომ ავტორი არც უშვებს რუსების გარდა სხვა მტრის ყოლის შესაძლებლობას. საქართველოსთვის რუსეთი უკვე ჩვეული მტერია და ამას აღარც აღნიშნავენ საგანგებოდ 8 აგისტოს. ომში იკვეთება, რომელია ჩვენ ჯგუფი და რომელი - სხვა. გიორგი ცხვიტავას ჩანაწერები ამ კუთხით ძალიან საყურადღებოა. ის ყველგან ქართველი ჯარისკაცების კვალდაკვალ ახსენებს „ჩვენებს“, ჩვენს მხარეს, ჩვენს ჯარისკაცებს და ა.შ.

„ჩვენებს შევხდვი - ჩვენს ჯარისკაცებს. უამრავი მეგობარი და ნაცნობი მყავს, შევედით სიღრმეში გარკვეულ წერტილამდე, რაღაც დროის შემდეგ გამოვედით....“

გორში დავბრუნდი, რიცხვები არეული მაქვს. სადღაც ჰოსპიტალთან ჩვენი მეგობარი და კოლეგა ალექსანდრე ელისაშვილი შემხვდა. ფორმაში და იარაღით. რეზერვში იყო. მარტო იყო და რომელიმე ქვედანაყოფზე მიმაგრებას ცდილობდა. პატრონი არავინ იყო. “

როგორც ყველა არაორაგნიზებულ ნარატივში, გიორგი ცხვიტავასთანაც პოსტტრავმული სტრესი იმდენად ძლიერია, რომ მოვლენათა და რიცხვების აღრევა ხდება: „*რიცხვები ისევ ამერია.*“

არის კიდევ ერთი ძალიან საინტერესო ნიშანი, რითაც გამოირჩევა გიორგი ცხვიტავას ჩანაწერები: ის ყურადღებას ამახვილებს პოსტტრავმულ სტრესზე და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ჟურნალისტები, ისევე როგორც საზოგადოების ნაწილი, თავს არიდებდა ტრავმაზე საუბარს. ეს შეგვიძლია ავხსნათ პოსტტრავმული სტრესის გამოვლინებითა და ტრავმის უგულებელყოფის მცდელობით. ტრავმის დაძლევა მხოლოდ მისი გაცნობიერების შემდეგ ხდება შესაძლებელი, გაცნობიერებისთვის კი ერთ-ერთი ყველაზე კარგი ხერხი გამოცდილების გაზიარებაა. მეგობართა დუმილი ომზე მტკივნეულ მოვლენებზე საუბრისთვის თავის არიდებით აიხსნება.

²⁵<https://sshorena.wordpress.com/2013/08/06/%E1%83%90%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/> (ხელმისაწვდომი იყო 15/08/2014)

„რამდენიმე თვეში ჩვენმა მეგობარმა მთხოვა, იქნებ შევიკრიბოთო, ომზე კითხვები დაგვისვა რაღაცეები. რომ გამოვედით, ზვიადი მეუბნება თხელიძე, ომის თემაზე ჩვენშიც არ ვსაუბრობთო და მართალი იყო. ყველანი იქ ვიყავით, შალვა შენგელი, ზვიად თხელიძე, გიორგი მანჯავიძე, გიორგი სიგუა და ბიჭები, მაგრამ ერთმანეთში არ ვსაუბრობდით...“

კიდევ ერთი ჟურნალისტი, რომელიც აგვისტოს დღიურებს წერს, მარიკა ბაკურაძეა ტელეკომპანია „იმედიდან“. მასთანაც, ისევე როგორც სხვებთან, აგვისტოს ომი რაღაც მოვლენასთანაა დაკავშირებული და დროით საზომს წარმოადგენს:

„სამშობიაროში კონსულტაციაზე მივედი და ექიმმა რამდენიმე დღეში დაველოდებო. იმ რამდენიმე დღეში ომიც დაიწყო.“

მარიკა ბაკურაძე აღნიშნავს, რომ, დროთა განწვლვაში, საზოგადოება ეგუება განცდილს და ცხოვრებას განაგრძობს, რაც პოსტტრამული სტრესის დაძლევის დასაწყისია:

„ფაქტია, რომ იმ ზაფხულს ყველამ ერთი რამ გამოვიარეთ, მაგრამ ისე როგორც ყველაფერი, ნელ-ნელა წლებმა ეს მდგომარეობაც ჩვეულებრივად აქცია. კი, განვიცდით და არ ვეგუებით, მაგრამ ფაქტია რომ ყოველდღე ამაზე აღარ ვფიქრობთ...“

მარიკა ბაკურაძე ხედავს 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგს, დაცარიელებულ დასახლებებსა და ხალხს, რომელიც ტრავმულ მოვლენასთან გამკლავებას ცდილობს:

„სამსახურიდან ერგნეთში გამიშვეს, ერთი შეხედვით უსაფრთხო გადაღებაზე. მე და ჩემი ოპერატორი ჩემი მანქანით წავედით... ქალაქში სულ იმას ვჩივით, რომ ამდენი ხმაურის და რეჟიმის გაძლება აღარ გვაქვს. ამ მხრივ ერგნეთი სამოთხესავითაა, იქ სიმშვიდეა, არავინ შეგაწუხებს, ღამითაც მშვიდად დაიძინებ, მაგრამ ეს სიმშვიდე არ იყო... ერთი ღამით დავრჩი ერგნეთში. ნახევრად დაცლილ სოფელში

მეზობლის არსებობას ვერ იგრძნობ. რა მეზობელი - გვერდით მხოლოდ დამწვარი სახლებია. კარს თუ გინდა ნურც ჩაკეტავ, ან რა აზრი აქვს - მომსვლელი არავინაა, ან ისეთი მოვა, რომელსაც კარი ვერც შეაკავებს. იქ სხვანაირი სიჩუმეა - აუტანელი. სიცოცხლის ხმა არ ისმის, არც ძაღლის ყეფა, არათუ ადამიანის. ერგნეთში დღეები ძირითადად ერთნაირია...“

„იმედის“ ჟურნალისტის ჩანაწერები საყურადღებოა იმ კუთხითაც, რომ მათში ომის შემდეგ ერგნეთში დარჩენილი მოსახლეობის ცხოვრება და მდგომარეობა აღწერილი. ერგნეთშიც, ისევე როგორც წეროვანსა და სხვა დასახლებებში, იარაღი და ომი ბავშვებისთვის ჩვეული რეალობა გახდა. 2008 წლის აგვისტოს ომიც არ არის პირველი ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ისინი შეეჩვივნენ კიდევ:

„5 წლის გიორგი სოფელში ძირითადად სამხედროებს ხვდება.

როცა ჩაივლიან, ეკითხება:

— ოსი ხარ?

პასუხი: არა.

— რუსი ხარ?

პასუხი: არა.

— ქართველი ხარ?

პასუხი: კი,

— აუ, ავტომატზე ხელი მომაკიდებინე რაა...“

„ღამით ოპერატორს სიგარეტი მოუნდა და მოშორებით ერთი მეზობელი ვიპოვეთ. გვიანი იყო მაგრამ არც ისე. კარზე მიუკაკუნა, „ერთ ღერი გექნებაო“. ბავშვები ავტომატურად, თითქოს ასეთი წესიაო, მაგიდის ქვეშ შეძვრნენ. აღოჩნდა, რომ ყველა ხმაურზე და გასროლაზე ასეთი რეაქცია აქვთ. ერგნეთელები ამბობენ, რომ მათთვის ომი 91-ში დაიწყო, და 20 წელია ასე არიან. უკვე შევეჩვიეთო.“

როგორც ვხედავთ, მოცემულ ნაწყვეტში ხაზი ესმება იმ ფაქტს, რომ ერგნეთელები უკვე დიდი ხანია ომს შეეჭვივნენ, ეს მათთვის ახალი მოცემულობა არ არის. ამავე დროს, ისინი აგვისტოს ომს აკავშირებენ უფრო ადრინდელ ტრავმასთან - აფხაზეთის ომთან. აქ ჩანს ისტორიული ანალოგიის გზით ხიდის გადება ორ ტრავმას შორის. ორივე ომი საქართველოს დაატყდა თავს და ცხოვრების ჩვეული წესი დაარღვია. ორივე გახდა წარმომშობი ტრავმა, რომელმაც საზოგადოებაში ახალი ფასეულობები გააჩინა.

„მოამბის“ ჟურნალისტის, სოფო კვინტრადისთვის დაუჯერებელი იყო ომის დაწყების ამბავი. ის თავად არის ტრავმის უგულვებელმყოფი, რომელსაც რეალობისთვის თვალის გასწორება გაუჭირდა:

„ბათუმში რომ მივდიოდით, მთელი გზა ტელეფონი რეკავდა, ხან მე, ხან შორენა, ხან გეგე ვიგებდით ახალ ამბებს, რომ ცხინვალში სიტუაცია დაიძაბა, თუმცა ერთი წამითაც არ მიფიქრია, რომ შეიძლებოდა ომი დაწყებულიყო: ბათუმში ერთი ღამე გავათენეთ, მეორე დღეს ისევ თბილისში დავბრუნდით, ძალიან ცუდად ვიყავი ჯერ იმის გამო, რაც ხდებოდა. ბოლომდე მაინც ვერ ვაცნობიერებდი, რომ ჩემს ქვეყანაში ომი დაიწყო... ალბათ შოკური მდგომარეობა ხელს მიშლიდა ყველაფერი გამეანალიზებინა. ძალიან ბევრი გაოგნებული ადამიანი ცდილობდა თბილისში ჩადწევას, ძალიან ძნელი იყო იმის გაცნობიერება, რომ ეს ყველაფერი სინამდვილეში ხდებოდა. თავი მძაფრსიუჟეტის ფილმის გმირი მეგონა.

მძლოლმა სიჩქარეს უმატა, ჩვენ ფანჯრებს ვიყავით მიკრულები და ვათვალიერებდით ქალაქს, რომელიც სულ რამდენიმე წუთის წინ დაბომბეს. აქა-იქ შენობებიდან შავი კვამლი ამოდებდა, ქუჩები ძირითად ცარიელი იყო, თუმცა მაინც ვხედავდით ადამიანებს, რომლებიც დიდი ჩანთებით, ბავშვებზე ხელჩაკიდებულები გარბოდნენ. ეს მართლაც

*ჰგავდა კინოს, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო ჩვენი აგვისტოს
ომი!*²⁶

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ომი ტრავმული მოვლენაა, რომელიც გარკვეულ ფასეულობებს წარმოშობს. ომში ყოფნა ნებისმიერი ჟურნალისტისთვის უდიდესი გამოცდა და გამოცდილებაა. ამიტომ, ზოგი ჟურნალისტი ომის დადებით მხარესაც ხედავს:

„ხშირად ვფიქრობ ერთ რამეს: რა თქმა უნდა, ომი ყველაზე დიდი ბოროტებაა ამჟვეყნად. მას უდიდესი უბედურება და ტკივილი მოაქვს ადამიანებისთვის, მაგრამ თუ შეიძლება ვინმემ სარგებელი ნახოს ამ ომისგან, ეს ჟურნალისტია. ცხადია, ის ჟურნალისტი, ვისაც გაუმართლა და გადარჩა. შევეცდები ავხსნა, რასაც ვგულისხმობ: ყველა იმ ჟურნალისტს და ოპერატორს პატივს მივაგებ, ვინც აგვისტოს ომში ან ნებისმიერი სხვა საომარი მოქმედების დროს დაიღუპა. ჟურნალისტისთვის უდიდესი სკოლაა ომის დროს მუშაობა და საომარი მოქმედებების გაშუქება. მით უმეტეს, თუ ეს ომი შენს ქვეყანაში ხდება. ამ დროს ბეწვის ხიდზე გადიხარ: სუბიექტური ხარ, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე, მაგრამ ობიექტური უნდა იყო, როგორც ჟურნალისტი. ეს ყველაფერი კი ფასდაუდებელ გამოცდილებას გძენს, რომელსაც ვერასოდეს შეიძენდი, შენს ქვეყანაში ომი რომ არ ყოფილიყო, ამიტომ ვთქვი ზემოთ: მეც და ყველა ჩემს კოლეგას, ვინც 2008 წელს პირველი არხის საინფორმაციო სამსახურში მუშაობდა, გაგვიმართლა., ჩვენ გადავრჩით მრავალი სახიფათო მომენტების მიუხედავად, ბეწვის ხიდზე გავიარეთ და უდიდესი გამოცდილება მივიღეთ, როგორც ჟურნალისტებმა!“

²⁶ <https://sshorena.wordpress.com/2013/08/06/%E1%83%90%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/> (ხელმისაწვდომი იყო 15/09/2014)

თეიკო ანჯაფარიძე („საზოგადოებრივი მაუწყებელი“) კიდევ ერთი ჟურნალისტიკა, რომელმაც აგვისტოს ომზე დაწერა. თუმცა მისი ჩანახატი უფრო მეტად შვებულების მოლოდინსა და გაცრუებულ იმედს, იმ კატასტროფას ეხება, რომელიც საზოგადოებას მოულოდნელად თავს დაატყდა, ვიდრე შედეგებს. ჩანახატი ორად არის გაყოფილი. პირველ ნაწილს ჰქვია „კლასობანა“ და სწორედ იმ იმედებზე მოგვითხრობს, რომელიც ახალგაზრდა ჟურნალისტს აგვისტოს მოახლოებისას ჰქონდა.

„მახსოვს, როგორ ამოვიღე ცალკე ჩაწყობილი ზამთრის ტანსაცმელიდან კრემისფერი ჟაკეტი. არც ცხელოდა, არც ციოდა. ჰაერში სიმძიმე იგრძნობოდა. თითქოს ცა დედამიწას ეხუტებოდა, უფრო კი ეჩხუბებოდა. „ნიუს-რუმში“ შევედი, კიდევ უფრო დამძიმებული გარემო დამხვდა. ამ გრძნობას ალბათ გაურკვეველობა ჰქვია. ჯერ ვერავინ ხვდებოდა, რა ხდებოდა. ის, რაც გუშინ მნიშვნელოვანი იყო, დღეს უმნიშვნელო და სასაცილო გახდა. თითქოს ცხოვრება გაჩერდა და უჩვენოდ გრძელდებოდა.“²⁷

აქაც გვხვდება ტრავმული მოვლენისადმი იგივე დამოკიდებულება: ერთგვარი მოწიწება და დროითი აღრევა. ეს ორი მახასიათებელი თეიკო ანჯაფარიძის ჩანაწერს მუდმივად მიჰყვება:

„პირველი გადაღება ვაკის პარკთან ჩაიშალა. ისევ ვერაფერს ვხვდებოდი, უფრო ვერ ვიჯერებდი. რეალობა ვერ გავაცნობიერე მაშინაც, როცა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისგან პირველ კომენტარებს ვწერდი და დღის 4 საათზე მათ აღშფოთებასა და შეშფოთებაზე პირდაპირ ეთერში ვსაუბრობდი. უფრო გვიან, როცა ჩემმა კრემისფერმა ჟაკეტმა უკვე ზომაზე მეტად შემაწუხა, რამდენიმე დასკვნა გავაკეთე:

²⁷<https://sshorena.wordpress.com/2013/08/06/%E1%83%90%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/> (ხელმისაწვდომი იყო 15/09/2014)

1. დიდ პოლიტიკას „პატარა“ ადამიანები აკეთებენ!
2. ყველაზე სამართლიან ბრძოლაშიც გამარჯვებული არავინაა“.

ტრავმის უფლებელყოფა ამ ჩანაწერშიც ისევე ხდება, როგორც ჩანაწერთა უმრავლესობაში. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: თეიკო ანჯაფარიძე ახსენებს ერთ სხვა, დროით მეტად დაშორებულ ტრავმას, რომელშიც მოწინააღმდეგე მხარე ასევე რუსეთი იყო:

„მერე კი წავიდა. რიცხვები ერთმანეთში მერევა, მაგრამ არ მავიწყდება ის შეგრძნებები, სიჩუმის ხმაური... იყო ცხოვრების ხუთი დღე ნიღბის გარეშე. მახსოვს, რა ისტერიულად გვეცინებოდა მე და ჩემ მეგობარს და კოლეგას, ნონას, როცა 1921 წლის ოკუპაციაზე სიუჟეტის მონტაჟის დროს გამოვიხედეთ და დაცარიელებული დერეფანი დაგვხვდა. არც ერთმა ისტორიკოსმა ჩაწერაზე უარი არ გვითხრა. რეპორტაჟი ასე სრულდებოდა: ბრძოლას მეომრები, ომს კი პოლიტიკოსები იგებენო!“

სიმბოლოურია ის, რომ სამხედრო ჟურნალისტ გიორგი ცხვიტავას მსგავსად, „საზოგადოებრივი არხის“ ჟურნალისტიც იხსენებს სხვა ისტორიულ ტრავმას, კერძოდ, საქართველოს ოკუპაციას რუსეთის არმიის მიერ. კვლავ საქმე გვაქვს ისტორიულ ანალოგიასთან, როცა ავტორი ცდილობს, უკვე არსებული ტრავმა მიმდინარესთან დააკავშიროს და სცადოს ახსნას მიმდინარე პროცესები. თეიკო ანჯაფარიძესთან ნახსენებია ისტორიაც, ისტორიის სახელმძღვანელოები, რომლებითაც მომავალმა თაობებმა აგვისტოს ომის შესახებ უნდა შეიტყოს:

„სულ მემახსოვრება დანადმული ქალაქი, დაცარიელებული ქუჩები, ნანგრევებში მოყოლილი ნივთები და სათამაშოები. გადამწვარი სოფლები, სადაც მხოლოდ ძაღლები დარჩნენ. დამწვარი ვაზი! ეს კადრები ისტორიის სახელმძღვანელოების ფურცლებზე აღმოჩნდება, ისტორიის, რომელიც ჩვენ გამოვაირეთ და რომელიც საუკეთესო გაკვეთილი გახდა. ამ გაკვეთილში აუცილებლად მოხვდება

*ლოლოვილთა ბანაკიც. ბანაკი, სადაც უბრალო და უსახელო
გმირები დროებით გაჩერდნენ!*“

მოცემულ ჩანაწერებში კარგად ჩანს ჟურნალისტთა დამოკიდებულება აგვისტოს ომის მიმართ, ბევრმა მათგანმა განიცადა აგვისტოს ომის ტრაგედია, როგორც საზოგადოების რიგითმა წევრმა. მათ შორის არის „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტი სოფო მდინარაძეც.

*„დასაძინებლად გავემზადე, მაგრამ გონებაში
კადრები ტრიალებდა – შიში და ბოღმა ძილის საშუალებას არ
მძლევდა. ამ დროს ტელეფონმაც დარეკა – უფროსი
მატყობინებდა, რომ დილით შვიდ საათზე იგოეთში უნდა
ვყოფილიყავი – ტრასაზე, იქ, სადაც, რუსი ოკუპანტები
ცენტრალურ მაგისტრალს და ქალაქ გორს
აკონტროლებდნენ... დავალებამ სტიმული მომცა,
დაძინებასაც აზრი აღარ ქონდა...“*

ჟურნალისტი გადმოგვცემს სხვა ჯგუფს, მათ ქმედებას და იმას, თუ როგორი უწყსრიგოები არიან ისინი და როგორი დაბნეულები:

*„საკუთარი თვალით ხედავ უცნაურ
გადაადგილებებს, ჯარისკაცების ჩანაცვლებას, ზოგის
ცხინვალის მიმართულებით გაწვევას. ჩემს თვალწინ უცებ
იშლება რამდენიმე კადრი და ვერ ვხვდები, რომელია
მნიშვნელოვანი... უწყსრიგო რუსული სამხედრო
დისციპლინა – ჯარისკაცების და ოფიცრების გაურკვეველი
ქცევები: ბარჯის ჩალაგება, გამოუსადეგარი ნივთების იქვე,
გზაზე გადაყრა, უაზრო შეძახილები... ჩემი თვალის
ობიექტივში უცებ ორი სამხედრო მოხვდა, რომლებიც
ერთმანეთს სახლში დაბრუნებას ღიმილით ულოცავდნენ...
უცნაური სიხარულის გრძნობა დამეუფლა, მიდიოდნენ და
მივხვდი, რომ ერთ-ერთი პირველი ვიქნებოდი, რომელთა
წასვლას მე გადავიღებდი... „*

სხვა ჯგუფის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო სახეს გვიხატავს სამხედრო ჟურნალისტი გიორგი მანჯავიძე:

„11 ან 12 აგვისტოს, ველარ ვიხსენებ რიცხვს, გორის შესასვლელთან უკვე რუსები იდგნენ. მე და ჩემი მეგობარი მათთან ვიდექით და ვცდილობდით ჯარისკაცებს გავსაუბრებოდით, რათა მათგან ინტერვიუ აგვეღო: ოპერატორი რაღაც კადრებს იღებდა, მე კი ამ დროს ერთ-ერთი რუსი ოფიცრის ინტერვიუზე დათანხმებას ვცდილობდი. რთულია შენს ქვეყანაში მომხდარი კონფლიქტის გაშუქება, უცებ ჩემი ოპერატორის ხმა გავიგე „ჟორა, ჟორა მოდი ბიჭო, შეხედე დროზე!“

რუსებს ტანკი გაფუჭებოდათ და მის ამუშავებას ცდილობდნენ. ტანკზე ზევიდან ვიღაც ბინძური ტიპი იჯდა (ჯარისკაცს მას ვერ ვუწოდებ), რომელსაც სამხედრო ფორმა და ფეხზე ჩუსტები ეცვა. ვერაფრით მივხვდი, რა დაინახა ჩემმა ოპერატორმა ამ ტიპში უცნაური. მისი ჩაცმულობა და იერი არ გამკვირვებია, რადგან იმ ომში ბევრი ვნახეთ მსგავსი იერით: ჭუჭყიან სამხედრო ფორმაში და ჩუსტებში გამოწყობილ რუს „ჯარისკაცს“ მხარზე ქართული ზურგჩანთა ჰქონდა გადაკიდებული, რომელსაც ქართული ასოებით ჩვენთვის ნაცნობი ინიციალები ეწერა!“

მოცემული ჩანაწერიდან ცხადი ხდება ჟურნალისტის დამოკიდებულება სხვა ჯგუფის მიმართ. მოცემულ შემთხვევაში ავტორი არა იმდენად ჟურნალისტია, რამდენადაც კონფლიქტის ერთ მხარეს მდგარი ქართველი. შესაბამისად, მისთვის რუსი ყველაფერ ცუდთან ასოცირდება, მაშინ, როცა ქართველი კარგი ვაჟკაცი და სამშობლოსთვის თავდადებული სამხედრო მოსამსახურეა.

„აგვისტოს დღიურების“ ბოლო ჩანაწერი რადიო „იმედის“ ჟურნალისტ გურამ როგავას ეკუთვნის. მისი ჩანაწერიდანაც ნათელია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი მოულოდნელი იყო როგორც საზოგადოებისთვის, ასევე ჟურნალისტებისთვის.

„ყოველთვის მაინტერესებდა, როგორ იყო ჟურნალისტისთვის ომში მუშაობა. ხშირად წარმოვიდგენდი საკუთარ თავს ერაყში, მაგრამ არასდროს მიფიქრია, რომ საქართველოში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირების გაშუქება მომიწევდა. ამ თემისადმი ჩემი გულუბრყვილო დამოკიდებულება 2008 წლის აგვისტოში დასრულდა, როცა რადიო „იმედიდან“ დამირეკეს და მითხრეს, რომ ერგნეთთან სროლის ხმა ისმოდა და მეც იქ უნდა წავსულიყავი“.²⁸

მოცემულ მონაკვეთში ჩანს კოლექტიური ტრავმის ერთ-ერთი ნიშანი: ტრავმული მოვლენა მოულოდნელი და შოკისმომგვრელია. უმწეობის შეგრძნება თან ახლავს ნებისმიერ კოლექტიურ ტრავმას. ამ შემთხვევაშიც ასეა:

„მერე იყო ცეცხლში გახვეული გორი და სახეები, სახეები, სახეები... უამრავი დანაწევრებული სხეული ჩემს ფეხებთან და მე უმოძრაოდ ვიდექი, მყარად, ჯანმრთელი და უბედური, ვერავის გავუწოდებდი დახმარების ხელს, უბრალოდ ვიდექი.“

მოცემული მონაკვეთი ტრავმის მატარებელი ჯგუფის მდგომარეობას ასახავს. ის ასევე წარმოადგენს კოლექტიური ტრავმის ამსახველი ნარატივების ერთ-ერთ მახასიათებელს.

შემდეგი ნიშანია მოწინააღმდეგის ჩვენება. გურამ როგავას ჩანაწერი ნათლად წარმოაჩენს დამნაშავე ჯგუფს:

„არ მეშინოდა! არა, ბოლმა უფრო მეტი იყო მაშინ ჩემში და შიშისთვის არც დამრჩა ადგილი, ბოლმა მახრჩობდა, როცა მივხვდი, რომ ამ ომში ვერავინ გაიმარჯვებდა, ვერც ჩვენ.“

მერე კობა ლიკლიკაძემ მომიყვა, რომ როცა რუსულმა მოიერიშე თვითმფრინავებმა დაბომბვა დაიწყეს, მე გაუნძრევლად ვიდექი და ვერავინ შეძლო ჩემთან მოახლოება, რომ მიწაზე დავეწვინე. გამაოცა ამდენმა

²⁸<https://sshorena.wordpress.com/2013/08/06/%E1%83%90%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A1-%E> (ხელმისაწვდომი იყო 12/12/2014)

რეალობამ, ასეთი ჭარბი დოზით, დაუზარელად რომ დამაყარა თავზე ვიღაც უგულო პილოტმა «რასიიდან». ცხოვრებაში პირველად ვხედავდი ასეთ რეალურ სურათს“.

ამ მონაკვეთის მიხედვით, რუსი პილოტი უგულოა, შესაბამისად, მოწოდება ჟურნალისტისადმი - „ემოციების გარეშე ჩაგვეერთე“ - აზრს კარგავს: „... მერე იყო ზარი რადიოდან და გაფრთხილება: „გურამ, ემოციების გარეშე ჩაგვეერთე!“

ჟურნალისტისთვის ობიექტურობის დაცვა და ემოციებზე მაღლა დადგომა ეთიკის საქმეა. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, ნებისმიერი ჟურნალისტი საზოგადოების წევრია, რომელიც ისევე განიცდის პოსტტრავმულ სტრესს, როგორც რიგითი მოქალაქე.

ყველა განხილულ ჩანაწერს აქვს პოსტტრავმული ნარატივის მახასიათებლები: პირველ რიგში, ყველა ჩანაწერი ეფუძნება პირად ისტორიას და პირად გამოცდილებაზეა აგებული. არადომინანტი ნარატივისთვის ეს ტიპური ნიშანია. „აგვისტოს დღიურების“ ყველა მწერალი სხვადასხვა არხის ჟურნალისტია, თუმცა ყველა მათგანი ერთნაირად აღწერს მომხდარს - მოულოდნელ, შოკისმომგვრელ და თავზარდამცემ მოვლენას, რაც კოლექტიური ტრავმის მახასიათებელია. ჟურნალისტების უმრავლესობა დაზარალებულ ჯგუფს აღწერს და საკუთარ თავსაც ამ ჯგუფს მიაკუთვნებს. დაზარალებული, ტრავმის მატარებელი ჯგუფის ჩვენება პოსტტრავმული ნარატივის ერთ-ერთი ნიშანია. კიდევ ერთი მახასიათებელი, რაც ჩანაწერთა უმრავლესობაში დავინახეთ, პასუხისმგებლობის მატარებელი ჯგუფის ჩვენებაა. ჟურნალისტები ერთხმად მოიხსენიებენ ასეთ ჯგუფად რუსეთსა და მის ჯარისკაცებს.

ამ მახასიათებლებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ჟურნალისტთა ჩანაწერები თამამად მივაკუთვნოთ არასოციალურ/არადომინანტ ნარატივთა ჯგუფს.

ბ) დომინანტი ნარატივები

ჩვენ მიერ განსახილველი შემდეგი ნარატივი - თამარ ფხაკაძის “გმირი” - დომინანტ ნარატივებს მიეკუთვნება და აგვისტოს ომის ოფიციალურ ვერსიას გვთავაზობს.

დომინანტი ნარატივის მიზანი მომხდარი ისტორიული მოვლენის შესახებ გაბატონებული და საყოველთაოდ მიღებული აზრის შექმნაა. დომინანტი ნარატივები კოლექტიური მეხსიერების ამსახველი საუკეთესო მედიუმებია. როგორც ევიათარ ზერუბაველი აღნიშნავს, ნარატივები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოების კოლექტიური მეხსიერების ფორმირებაში, განაპირობებენ იმას, თუ როგორ ვიმახსოვრებთ ამა თუ იმ მოვლენას: „ჩვენ, ჩვეულებრივ, ვავითარებთ და ვაყალიბებთ მენტალურ ხატებს სწავლის პროცესში და ვიმახსოვრებთ მოვლენებს სოციალურად შესაფერისი ხერხებით“ (Zerubavel 2001:5).

ამ ხერხებს შორის ზერუბაველი ასახელებს ლოზუნგებს, რომლებიც ტრავმის შემდეგ იქმნება და მის დამახსოვრებას უწყობს ხელს. მას მაგალითად მოჰყავს ცნობილი ლოზუნგი „გვახსოვდეს ალამო!“²⁹ აქ, ცხადია, გვახსენდება ის ლოზუნგები, რომელიც საქართველოში აფხაზეთის კონფლიქტის შემდეგ გაჩნდა: „გვახსოვდეს აფხაზეთი!“ ან „ჩვენ დავბრუნდებით!“ ან „აფხაზეთი ჩემი იერუსალიმია!“

კიდევ ერთი ხერხია ხიდის გადება წარსულ მოვლენებთან, რათა ისტორიამ უწყვეტი ნარატივის სახე მიიღოს, შევინარჩუნოთ დისკურსული უწყვეტობა (დისკურსული უწყვეტობა, მაგალითად გულისხმობს წარსულთან კავშირის აღდგენას ძველი სახელების დარქმევით ან ნებისმიერი ხერხით, რომელიც დროში დაშორებულ ისტორიულ მოვლენებს ახლოს მდგომად გადააქცევს).³⁰ „იმისთვის, რომ ისტორიული მოვლენები ერთიანი ამბის მაგვარი ნარატივი გახდეს, საჭიროა დავინახოთ კავშირი სხვა მოვლენებთან, რომლებიც წარსულში მოხდა“ (Zerubavel 2001: 14). ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როდესაც საზოგადოება ტრავმული

²⁹ ალამოს ბრძოლა 1836 წლის 23 თებერვალს დაიწყო და 6 მარტს დასრულდა. ეს ბრძოლა ტეხასის რევოლუციის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა. ალამოს ბრძოლის შემდეგ ტეხასელებმა თავისი ტერიტორია სრულად გაათავისუფლეს მექსიკელი სამხედროებისგან.

³⁰ Zerubavel, Eviatar <http://soc.sagepub.com/content/39/1/181.extract>

გამოცდილებითაა დამძიმებული: უნდა „გაიდოს ხიდი“ წარსულთან, ჩვენს შემთხვევაში - წარსულ ტრავმასთან. ამით აიხსნება ნარატივებში წარსულის ტრავმების გახსენება და მასთან ახლანდელი მდგომარეობის დაკავშირება. ჩვენს მიერ განხილულ ყველა ნარატივში 2008 წლის აგვისტოს ომთან ერთად აუცილებლად ნახსენებია აფხაზეთის ომი; ეს, როგორც ჩანს, განპირობებული იყო იმით, რომ 1) აფხაზეთის ომი აგვისტოს ომთან ქრონოლოგიურად ყველაზე ახლოს დგას. ჯერ არ იყო დაძლეული აფხაზეთის ომის ტრავმა. 300 ათასი დევნილი, რომელიც აფხაზეთის ომის შემდეგ გაჩნდა, საზოგადოებაში რეინტეგრაციას ცდილობდა. ამ დროს კი ახალი კონფლიქტი დაიწყო; 2) აფხაზეთის ომში, ისევე როგორც აგვისტოს ომში, დაპირისპირებული მხარე, „სხვა ჯგუფი“ რუსეთი იყო, მსხვერპლი - საქართველო, ანუ ეს ორი ტრავმა ერთმანეთთან საერთო მტერმაც დააკავშირა.³¹ აფხაზეთის ომის ასეთი ხშირი გახსენება ტრავმის განცდას უმსუბუქებს საზოგადოებას: მას ერთხელ უკვე გადატანილი აქვს ტრავმული მოვლენა და კიდევ ერთხელ გაუძლებს ამას. ეს არის ისტორიული ანალოგია, რომელიც საზოგადოებამ ტრავმის დაძლევისთვის შეიძლება გამოიყენოს.

ზერუბაველის თანახმად, ომი, ყველა კრიტერიუმის მიხედვით, კოლექტიური ტრავმაა. მას დიდი დანაკარგი მოჰყვება. ამას ემატება საზოგადოების მიერ იდენტობის გადახედვა და ომში განცდილი დანაკარგის გლოვა. დანაკარგს და ამ დანაკარგით გამოწვეულ განცდას პოსტტრავმულ სტრესს უწოდებენ. ტრავმა საზოგადოებისთვის იმდენად მნიშვნელოვანი ხდება, რომ ხალხი მის დამახსოვრებასა და სიმბოლიზებას, მატერიალიზებას ახდენს. ტრავმული მოვლენისადმი მიძღვნილი ლიტერატურული და ხელოვნების ნაწარმოების შექმნა სიმბოლიზების ხერხად ითვლება. ჩვენი შემდგომი განხილვის საგანი ლიტერატურული თხზულების და მეხსიერების სხვა ადგილების სახით შექმნილი დომინანტი ნარატივია.

³¹ აგვისტოს ომისადმი მიძღვნილ ნარატივებში თითქმის არ იხსენიება 1990-იანი წლების კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში (მაშინდელ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზი მტრის განსაზღვრის სირთულეა (როგორც აღვნიშნეთ, ტრავმის ამსახველმა ნარატივებმა დამნაშავეც უნდა გვიჩვენოს): მტერი საბჭოთა კავშირი იყო, რუსეთი თუ ავტონომიის სტატუსის მომხრე ადგილობრივი მოსახლეობა?

§ 1. თამარ ფხაკაძე. “გმირი”

თამარ ფხაკაძის ინიციატივით, თავი მოუყარეს ქართველ ჯარისკაცთა ისტორიებს და ისინი ერთ წიგნში გააერთიანეს, რომელსაც “გმირი” დაარქვეს. წიგნი 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ ჯარისკაცებს ეძღვნება და დეტალურად მოგვითხრობს ომში გამოჩენილი გმირების ამბებს.

“გალა”, “პროფილი” და “ოქროს პერგამენტი” – ეს ის პრიზებია, რომლითაც 2010 წელს წიგნი “გმირი” დაჯილდოვდა. საზოგადოებამ უკვე ისტორიადქცეული წიგნი მიიღო და იგი მისთვის ფასეული გახდა. ეს ჯილდოები მხოლოდ წიგნს არ ეკუთვნის, ისინი წიგნის არსმა და კონცეფციამ დაიმსახურა. “აგვისტოს ბიჭების” გმირული ისტორიები დღეს უკვე ყველა ქართველმა იცის. საზოგადოებამ დაღუპული ჯარისკაცების სახელების უკვდავყოფა სცადა. „გმირი“ დომინანტ ნარატივად, აგვისტოს ომის ოფიციალურ ქრონიკად იქცა. მან დაამკვიდრა და გაავრცელა აგვისტოს ომის საყოველთაოდ გაბატონებული ვერსია. წიგნი „გმირი“ 2008 წლის აგვისტოს ომის ოფიციალურ ქრონიკად იქცა.

“გმირმა” პირველად ლიტერატურული კონკურსის “გალას” პრიზი ნომინაციაში “წლის საუკეთესო სამაგიდო წიგნი” მიიღო. ეს ძალიან საინტერესო ნომინაციაა. „სამაგიდო წიგნი“ ის ნარატივია, რომელიც ყველა ოჯახში უნდა იყოს. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კი ასეთად „გმირი“ ჩაითვალა. გამარჯვებულად წიგნი დავით ბაქრაძემ დაასახელა: „ძალიან კარგია, რომ ამ ფორმით ხდება მწერლობის წახალისება. ეს ღონისძიება შედგა და აქ გამარჯვებული თითოეული ნომინანტი ნამდვილად ღირსეულია. მართალი გითხრათ, ვლელავ კიდევ... გილოცავთ ამ გამარჯვებას...“ აღსანიშნავია, რომ წიგნის რეკლამირებით ქართველი პოლიტიკოსები იყვნენ დაკავებული. შესაბამისად, სამართლიანი იქნება აღვნიშნოთ, რომ „გმირს“ სახელმწიფოს სრული მხარდაჭერა ჰქონდა.

თამარ ფხაკაძემ განაცხადა: „რადგან ეს წიგნი “წლის საუკეთესო სამაგიდო წიგნად” აღიარეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ სულ გვემახსოვრება ქვეყნისთვის დაღუპული გმირები და მათი ვაჟკაცობის ისტორია...“³²

³²http://www.ptpress.ge/index.php?option=com_content&view=article&id=1358:2011-01-03-11-24-13&catid=3:0103sazogadoeba&Itemid=3 (ხელმისაწვდომი იყო 15/03/2012)

“გმირი” ჩვენთვის საინტერესოა იმით, რომ თავად ეს პროექტი და მასში შესული ისტორიები კოლექტიური ტრავმის საკრალიზებას ემსახურება. წიგნში გაერთიანებული ისტორიების უმრავლესობა თავად ჯარისკაცთა ოჯახის წევრების მიერაა დაწერილი, ეს კი ხელს უწყობს ტრავმის დაძლევის: ტრავმაზე საუბარი მისი დაძლევის ერთ-ერთი უმთავრესი ხერხია; დაზარალებული ჯგუფი ტრავმაზე წერს და ამით ტრავმული გამოცდილებისგან თავისუფლდება. თავად წიგნი ერთგვარი კრებულია, რომელშიც მოკლედ მოთხრობილია ტრავმის მონაწილეთა ბიოგრაფიები. მათში ხაზგასმულია ის დიადი მისია, რომელიც ქართველ გმირებს დაეკისრათ. წიგნის პრეზენტაციის დროს, 2010 წელს გამართულ პრესკონფერენციაზე თამარ ფხაკაძემ განაცხადა: “წიგნში ყველას სახელი და გვარია, ვინც საქართველოს მთლიანობისთვის ბრძოლაში გაწირა თავი.”³³ წიგნი „გმირი“ ერთგვარ ანთოლოგიას წარმოადგენს: მასში ერთიანდება ომის ისტორია და ამ ომში დაცემული ყველა ჯარისკაცის პირადი ისტორია.

წიგნის პრეზენტაციაზე შესრულდა გია ყანჩელის ნაწარმოები “პატარა იმბერი”, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შთაგონებით შეიქმნა და ამ შემთხვევამდე საქართველოში არ შესრულებულა. პრეზენტაციის დღესვე დაიწყო “ხსოვნის კვირეული”, რომლისთვისაც დიზაინერმა ყაყაჩოს ემბლემა სპეციალურად შექმნა. ემბლემა ომის სიმბოლოდ იქცა და დღესაც 2008 წლის ომის გასახსენებლად გამოიყენება.

ერთი შეხედვით, წიგნის ამგვარი რეკლამა და მთელი ყურადღების ომზე მობილიზება ბუნებრივია, თუმცა ომის ასეთი სიხშირით გახსენება, განსაკუთრებული მუსიკალური გაფორმება და სპეციალური სიმბოლიკის შექმნა უფრო კოლექტიურ გლოვას დაემსგავსა. თითქოს, მთელი საზოგადოება კოლექტიურ გლოვაში ჩაერთო და მასიური მიბრუნება ტრავმასთან ისევ აქტუალური გახდა.

ტრავმის გახსენებისა და დაძლევის თვალსაზრისით, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ წიგნი მურმან ლებანიძის ლექსით იწყება:

“უფლისციხესთან

სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი

არა დაღვრილის, –

³³<http://www.epn.ge/?p=21543> (ხელმისაწვდომი იყო 22/03/2012)

დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა...

არავითარი

სხვა სამშობლო, ამაზე მეტი,

არ გამაჩნია!”(გვ. 2)

წიგნის სტრუქტურა მარტივია: ქართველ ჯარისკაცთა სახელებსა და გვარებს მათი ფოტოები მოსდევს, შემდეგ კი – გმირობის ისტორია. თავდაპირველად მოთხრობილია მათი ბიოგრაფია, შემდეგ კი 2008 წლის აგვისტოს კონკრეტული ისტორია.

წიგნი „გმირი“ ტრავმული ტექსტის ყველა მახასიათებელს ავლენს. ამასთან ერთად, „გმირში“ ნათლად ჩანს ორი მთავარი პრინციპი, რომელსაც საზოგადოება ემორჩილება: მტრის მაქსიმალური დისტანცირება და საკუთარი უპირატესობის, საკუთარი გმირობის ხაზგასმა, მტრისთვის ყველა უარყოფითი თვისების მიკუთვნება. ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ ყველა ის ნიშანი, რომლითაც უნიკალურია მოცემული წიგნი.

პირველ რიგში, გვხვდება მთელი რიგი გამოთქვამებისა, რომლებიც ქართველების ვაჟკაცობას უსვამს ხაზს და ამით ცდილობს მათ უკვდავყოფას; ქართველ ჯარისკაცთა გმირობამ მტერზეც კი მოახდინა შთაბეჭდილება და ბევრი მათგანი გააოცა. მათი საქციელი “სხვისთვის”, მტრისთვის, უცხო იყო (მტერს ამგვარი გმირობა არ შეუძლია):

“შეიძლება ფილმი გეგონოთ, ან რაინდობის დროინდელი ამბავი. მართლა რთულია დაჯერება, რომ ეს დღეს მოხდა... ორმა კაცმა თითქმის გაანადგურა მტრის ასეული... ამ ამბის მომსწრე რუსი ოფიცერი დღემდე გაკვირვებული ყვება თურმე ამ ისტორიას”.

“ასეთი გმირობა მარტო ქართველს თუ შეუძლია. მათ მტერი საათნახვერის განმავლობაში შეაჩერეს შინდისთან და, საკუთარი სისხლის ფასად, ყველაზე დიდი დანაკარგიც მოუტანეს რუს აგრესორებს. ერთ-ერთ ინტერვიუში რუსი ჯარისკაცი ყვება, ჩვენმა უფროსმა გვითხრა, ასეთი ჯარისკაცები მე რომ მყოლოდა, ძალიან ამაყი ვიქნებოდიო და ბრძანება გაუცია, რომ ეს გარდაცვლილი ბიჭები არ გაემარცვათ. მათ საამაყოდ იბრძოლეს თავისი ქვეყნისთვის”.

“მნახველები გაკვირვებულები ყვებიან, როგორ გაიხადა ჯავშანჭილეთი სერჟანტმა ბრძოლისას და თავის თვრამეთი წლის თანამებრძოლს ჩააცვა. ის ბიჭი გადარჩა, ხოლო სერჟანტი – ვერა”.

არის ტიპური პოსტ-ტრავმული სტრესის მიმანიშნებელი მონაკვეთები: გარდაცვლილის სიზმარში ნახვა, ბოლო სიტყვებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება, ზებუნებრივი მოვლენების შემჩნევა.

ფროიდის მიხედვით, ამგვარი ზებუნებრივი იერის მინიჭება მოვლენებისთვის პოსტ-ტრავმული სტრესის ნიშანია. მსხვერპლს ჰგონია, რომ მოცემული მოვლენები ზუსტად ასე უნდა ყოფილიყო, შესაბამისად, არსებობდა ნიშნები და ზებუნებრივი მინიშნებები, რომ ყველაფერი ზუსტად ასე მოხდებოდა.

“შინდისი შინდისფრად იმ დღეს გმირების სისხლით შეიღება. არ არსებობს ღამე, რომ სიზმარში არ ვნახო... ბედნიერი არა, მაგრამ ამაყი ვარ, რომ გმირის მეუღლე მქვია და გმირის შვილებს ვზრდი”.

“ცუდი წინათგრძნობა გვქონდა. იმ კვირაში, როცა ომი დაიწყო, გულზე ჩამოკიდებული ორი ჯვარი გამიტყდა”.

“დედამისს დღემდე არ სჯერა, რომ ის მკვდარია. დღემდე ელის შვილს...”

“მისი სახელი მარადისობამ მიისაკუთრა. დედამისს შავები არ ჩაუცვამს და არც აპირებს ჩაცმას - რადგან არ სჯერა, რომ ის მკვდარია...”

“მკვდარი არავის ენახა და იმედი მქონდა. სანამ ბიჭებმა არ მითხრეს, რომ მაჩვენებდნენ სურათებს, სადაც რეზო მკვდარი იყო, მანამ არ დავიჯერე”.

“ნ აგვისტოს ლექსი დაწერა. ეს ლექსი წინასწარმეტყველური აღმოჩნდა:

*“ძმათა საფლავზე ცეცხლი ინთება,
შინმოუსვლელი ძმები გახსოვდეთ!
დაუბრუნდება ბუდეს მერცხალი
ჩვენ კი ვერასდროს ვერ დავბრუნდებით”.*

“ბოლოს სახლიდან გასვლის წინ მამას გადაეხვია, “ჭკუით იყავითო”, დაიბარა და წავიდა. თითქოს უკვე იცოდა, რა ელოდა”.

“ბოლო დროს სულ გულჩათხრობილი დადიოდა, ვეკითხებოდი, ვთხოვდი აეხსნა, რა აწუხებდა, არაფერს მეუბნებოდა. თურმე ხვდებოდა, რა ელოდა მომავალში”.

“ბრძოლის წინ უთქვამს: “ნუ გეშინიათ, მეომრებო, თუ დავიღუპებით, იცოდეთ, არასდროს მოგვკვდებით. ჩვენ მუდამ ცოცხლები ვიქნებით. დღეს ნახავთ, ბიჭებო, ლამაზ სიკვდილს ბრძოლის ველზე”. ის დაეცა ბრძოლის ველზე. დაეცა გამირულად და ეს დაცემა არ იყო შემთხვევითი, მან იცოდა, სად მიდიოდა...”

“მისი ბოლო სიტყვები ეს ყოფილა: საქართველოსთვის, ბიჭებო, წინ, ჩვენი მიწა-წყლისთვის”.

ზეზუნებრივ მინიშნებებთან ერთად, გვხვდება ისტორიული გარდაუვალობის მონაკვეთებიც. გამირთა მისია თავიდანვე განსაზღვრული იყო. ამონარიდების შემდეგი ნაწილი ეხება “ფესვების გახსენებას”. ზოგი ჯარისკაცის ოჯახის წევრი გამირობას არა მხოლოდ ერთ პიროვნებას, არამედ მთელ გვარს, წარმომავლობას ან ფესვებს უკავშირებს. შემთხვევითი არ უნდა იყოს იმის აღნიშვნა, რომ ყოველ გამირ ჯარისკაცს საქართველოს ისტორია განსაკუთრებით უყვარდა. სწორედ გამირ წინაპართა სახელები და მათი ჩადენილი საქმეები შთააგონებდა ქართული არმიის მებრძოლებს. მათ სხვადასხვა მეფის ან ისტორიული გამირის სახელები ჰქვიათ. საქართველოს ისტორია ერთნაირად ძვირფასი იყო ქართველებისთვის და ქართულ არმიაში მეომარი ეთნიკური რუსებისთვისაც:

“ჯარისკაცობა უნდოდა, ძალიან უყვარდა ისტორია, ბევრს კითხულობდა და, ალბათ, აქედანაც მოდიოდა ეს სურვილი”.

“ორივე ბებია რუსი ჰყავდა, ოჯახშიც ძირითადად რუსულად საუბრობდნენ, მაგრამ, როგორც სერგეის დედა იტყვის, ქართველობა, სამშობლოს სიყვარული მათ ოჯახში უმთავრესი იყო. მოკლედ, მათი ოჯახი რუსულენოვანი ქართული ოჯახი იყო და არა გარუსებული ქართველებისა. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდა. “დედა, მე

მივდივარ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში” - იყო სერგეის სიტყვები და ის წავიდა...”

“პირველად ვარ გმირის ოჯახში. რაღაც უცნაური განცდა - თითქმის მოუხელთებელი, სენტიმენტებისგან, ჩვეულებრივი ცრემლებისგან დაცლილი, რაღაც გაუხუნარი სევდით მოსილი და ამაღლებული. ბავშვი უმამოდ გაიზრდება, მაგრამ მას მამის მაგალითი გაზრდის - საზღაპროდ ექნება მამის ბრძოლა და ომები. თავადაც ოდესღაც შენატროდა გმირი წინაპრის ამბებს. მის დიდ წინაპარს სარწმუნოების გამო მოჰკვეთეს თავი. ის საინგილოდან იყო. წინაპრის სისხლმა და გენმა ბედი წინდაწინვე განუსაზღვრა”.

“დედა ეროვნებით რუსია... დღეს მას პროტესტი აქვს რუსების მიმართაც და რუსული ენის მიმართაც: “შვირფასი ჩემთვის საქართველოა, მე აქ დავიბადე და გავიზარდე. სულ არ ვიცი, რუსეთი როგორია, რუსი ვარ, მაგრამ ჩემი შვილი ხომ ქართველია?”

“რუსეთის მიწაზე შობილს, რუსებმა მოუღეს ბოლო მშობლიურ ქართულ მიწაზე”.

“ის გმირია, დაიღუპა მამულისთვის, ის ვარიანელი იყო, იაკობის სოფლიდან. ზურა ამაცობდა, რომ ღმერთკაცის სოფლიდან იყო”.

“მთაში გაზრდილ ბიჭს ნადირობა და იარაღი იზიდავდა, ძველმა გენებმა იჩინა თავი”.

“მარაბდის ველი. დედა-შვილი მოდის... ბიჭუნა აქეთ-იქით აცეცებს თვალებს. გმირ წინაპართა ფარ-ხმალს დაეძებს. მისი საყვარელი ფილმი “მამაცი გული” იყო. ბოლო ზარის პერანგზე ეწერა “გმრობა -ვაჟკაცობა”.

წიგნი არა მხოლოდ განადიდებს ქართველ ჯარისკაცთა საქციელსა და გაღებულ მსხვერპლს, არამედ აქტიურად წარმოაჩენს “სხვა” ჯგუფის დასაგმობ საქციელს. ვამიკ ვოლკანის მიხედვით, აუცილებელია „ჩვენ“ და „სხვა“ ჯგუფს შორის მკაფიო საზღვრის გავლება, განსხვავება ცხადი უნდა გახდეს. „ჩვენ“ ჯგუფი, წიგნის მიხედვით, უმთავრესია. ის არის ყველაზე საკრალიზებული ელემენტი, სამშობლო, რომლისთვისაც გაღებული მსხვერპლი წმინდაა. ბრძოლა უმაღლესი დავალება და,

გარკვეულწილად, პატივიცაა. ვინ დგას მეორე მხარეს? მტერი, სხვა, უცნობი, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს. ეს სხვა ჯგუფი ომში მონაწილე მეორე მხარეა. მას არ შეუძლია გმირობის ჩადენა, ის მხოლოდ სასტიკი და ადამიანის სახის არმქონე ჯგუფია.

ტრავმული სტრესის დაძლევაში უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ ჩვენი დამსახურების წარმოჩენა, არამედ მოწინააღმდეგის დაკნინება. მსხვერპლისთვის გარკვეული შვებაა იმის გაგება, რამდენად სასტიკ და არაადამიანურ ძალას ებრძოდა მისი ოჯახის წევრი.

კოლექტიური ტრავმის ამსახველმა ნარატივმა უნდა წარმოაჩინოს მტრის არაადამიანობა და სისასტიკე. რუსი მთელ წიგნში სიკვდილთან, მტერთან ასოცირდება. ქართველთა უბედურება და დანაკარგი მათი ბრალია.

“მინდა ჩემს მტერს “სიურპრიზები” მოვუწყოო, ამიტომ წავიდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში”.

“დედა გალში წავიდა. გუდაუთელებს ბოლო სიტყვებით გაულანძღავთ გმირიც და დედაც. დედას შვილის სურათი გამოატანინეს: “აჰა, კრასავჩიკ, სდობ სუკა?”

“ბუფერულ ზონაში რუსი ჯარისკაცები იდგნენ, ჩვენი სამხედრო ფორმები ეცვათ, ბათინკები და მითხრეს, რად უნდა შენს შვილს ფორმა, უკვე დიდი ხანია მკვდარიაო...”

“ის ცხრა აგვისტოს დაიღუპა ცხინვალში – მტერმა მისთვის ოცზე მეტი ტყვია გაიმეტა”.

“მარტო ჩემი ბიჭი კი არ მოკლეს რუსებმა, ჩვენც მოგვკლეს, ის შვილებიც და მთელი შთამომავლობაც, რომელიც ჩემს შვილს უნდა ჰყოლოდა”.

“21 წლის ჭაბუკს რუსული ბომბის ნამსხვრევებმა წაართვა სიცოცხლე... და აზიარა უკვდავებას...”

“დედას სწამდა, რომ განგება ამ სიმწარეს აკმარებდა. მაგრამ არ აკმარა, რუსებმა შვილი მოუკლეს”.

“მან სამშობლოსთვის სიცოცხლე გაიმეტა, სამშობლოს მტერმა – კასეტური ბომბი მის გასანადგურებლად, სამშობლომ – ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი... დაღუპვის შემდეგ”.

“ვიცი, სამშობლოსთვის დაღუპული ადამიანი სამოთხეში ხვდება და მაგიტლა ვიმშვიდებ გულს”.

“რუსთაველი ეწოდა პირველი მაისის ქუჩას იოსებძის ქუჩა – რუსეთთან ბრძოლაში დაღუპული ლევან იოსებძის ხსოვნის უკვდავსაყოფად”.

წიგნში 2008 წლის აგვისტოს ომი რამდენჯერმეა დაკავშირებული აფხაზეთის დაკარგვასთან. ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი, რადგან ორივე მოვლენა ტრავმული იყო და ორივე მათგანმა გამოიწვია საზოგადოების დეზორიენტაცია. 2008 წლის აგვისტოს ომსა და აფხაზეთის მოვლენებსაც დევნილთა დიდი ტალღის გაჩენა მოჰყვა. ამ ადამიანებმა პოსტ-ტრავმული სტრესის მდგომარეობა და დანაკარგის გრძნობაც გამოსცადეს. ამრიგად, სხვა ნარატივთა მსგავსად, წიგნი „გმირიც“ იყენებს ისტორიულ ანალოგიას.

შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ განსაკუთრებულად ესმება ხაზი იმ ჯარისკაცთა გმირობას, რომლებიც აფხაზეთში იბრძოდნენ:

“მან თავისი სოხუმი დაიბრუნა ცხინვალში. ცხრა სოფელი ცხინვალამდე შეუსვენებლივ, შემახილით – წინ!!! არ შეუსვენია არც ერთი წამით”.

“მას აგვისტოს ომში იარაღით არ უბრძოლია, მაგრამ მთელი სიმამაცითა და თავგანწირვით იბრძოდა. არაერთი დაჭრილის სიცოცხლე იხსნა და გორის სამხედრო ჰოსპიტალი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ დაუტოვებია. მისთვის აგვისტოს ომი პირველი არ იყო, მას აფხაზეთი ახსოვდა”.

“ის ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს აფხაზეთის ომში და ველარ გადაურჩა შარშან რუსეთის თავდასხმას”.

“მშვიდობის სადღეგრძელოს არასდროს სვამდა – სანამ აფხაზეთსა და ცხინვალს არ დავიბრუნებთ, არც დავლევო”.

ასეთი ადგილები გმრობის საკრალიზებას ემსახურება. არ უნდა დაგვავიწყდეს ქართველ ჯარისკაცთა წმინდა მისია – ემსახურონ სამშობლოს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსხვერპლს მუდმივად უნდა ჰქონდეს განცდა, რომ მისი მსხვერპლი გამართლებულია, რომ მისი გმრობა მისია იყო. გმრობა გარკვეულ სიტუაციაში ვლინდება. ასეთი სიტუაციაა ომი, კოლექტიური ტრავმა, რომელიც წარმოაჩენს ინდივიდუალურ თვისებებს. ის აღიქმება, როგორც გმრობის წარმოსაჩენი ასპარეზი. ერთი შეხედვით, ეს არის ჯარისკაცის მოვალეობა: იდგეს ქვეყნის სადარაჯოზე, ნებაყოფლობით გაიღოს მსხვერპლი სამშობლოსთვის. ამ შემთხვევაში დანაკარგი მისი საკუთარი სიცოცხლეა. თუმცა ომსა და მტერთან დაპირისპირებაში ქვეყნის დაცვა მისია ხდება.

ომი ქმნის დანაკარგსაც და სიამაყესაც საკუთარი ერთ. იმის ცოდნა, რამდენი გმირი ყოფილა ქართველი, აღვიძებს ეროვნულ გრძნობებს და ხელს უწყობს ნაციონალური იდენტობის აღზევებას. მომავალი თაობებისთვის სწორედ ეს ხდება მაგალითის მიმცემი. ამიტომ კოლექტიური ტრავმის შესახებ ახალი თაობებისთვის ინფორმაციის მიწოდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

“მათზე ასე ამბობდნენ, ცხოვრებაში ორ შეცდომას უშვებენ, პირველი ამ პროფესიის არჩევაა და მეორე შეცდომას რომ უშვებენ, ისე იღუპებიან, მესამე შეცდომის დრო აღარ რჩებათო”.

“ამბობდა: უნდა წავიდე, დედა, სამშობლო – ცხინვალის გვიხმობსო”.

“იქ იდგა, სადაც გმირები ერთხელ და სამუდამოდ დგანან – სამშობლოს, საქართველოს სადარაჯოზე”.

“ცოლმა 10 აგვისტოსვე გაიგო ქმრის განუკვდავების ამბავი”.

“ადგა ჯარი”, – აღვიძებდა მამა ბიჭებს და როცა სამშობლოს გაუჭირდა, თავად ადგა და წავიდა მამულის დასაცავად”.

“საომარი მისიის დროს სწორედ ცხინვალში ეზიარა... ამჯერად უკვე გმრობას, უკვდავებას”.

“გამოიძახეს, ადგა, არც ბაქოში გაქცეულა და არც ბუჩქებში. წავიდა, გამოცხადდა პირნათლად და დაიღუპა სენაკში. გმრობისთვის სულაც არ არის აუცილებელი იარაღის კარგად ფლობა, გმრობისთვის ის სულისკვეთებაც საკმარისია, რომელიც ლევანს ჰქონდა”.

“ის მარადისობაში გადასახლდა”.

“ვფიცავ, რომ ერთ-ერთ პირველ რიგში ჩავდგები და დავიცავ ჩემს საყვარელ სამშობლოს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე და მჯერა, რომ საქართველოში დარჩებიან ბავშვები, რომლებიც ჩვენზე კარგები გაიზრდებიან და შურს იძიებენ ყოველი დაღვრილი სისხლის წვეთისთვის”, – ასეთი ყოფილა ჩანაწერი ჯარისკაცის დღიურში. ამბობენ, უარის თქმა არ შეეძლო. სამშობლოსაც არ უთხრა უარი...”

“გამოსულა, თუმცა მალევე შებრუნდა ცხინვალში, იქ, სადაც ელოდა ბედისწერა და მარადიული სტატუსი – სამშობლოსთვის თავდადებული გმირი”.

“რომ დაურეკავთ, ხმა ვერ ამოულია და ჯვარი მიიტანა პირთან... შტაბის წევრი იყო და არანაირად ევალებოდა ბრძოლის ველზე გაჭრა. მაგრამ მას საკუთარი თავი და სინდისი ავალებდა ასე მოქცევას”.

“ოცმეთაური იყო, ცოლ-შვილი არ ჰყავდა, ამიტომ ჯერ დასაოჯახებლებს მოუწოდა ბრძოლის ველზე წინ გაჭრა, მათ კი, ვისაც ოჯახი ჰყავდა, უკან მიყოლა უბრძანა: ამათ ცოლ-შვილი ელოდება სახლში და ჩვენ კიდევ არავინ გვრჩებაო”.

“სხვანაირი იყო: მამაცი, სამშობლოსთვის თავგანწირული. ერთი სურვილი დაგვიტოვა და ეს უკანასკნელი ნებაც ლექსად დაგვიწერა:

როცა მოვკვდები და აღარ ვიქნები,

რად მინდა თქვენი ვარდი და ია,

ჩემი საფლავის ქვაზე დაწერეთ

ჩემი მოკლული რუსების სია”.

“მართლაც სხვა მადლით უნდა იყო ცხებული, თავი რომ გაწირო სამშობლოსთვის და მით უმეტეს, ერთი თანამოდძისთვის, ასეთ ჟამს დათმო შენი ადგილი, სხვას მისცე სიცოცხლის ბილეთი და თავად მარადისობის გზას გაუყვე...”

წიგნი მნიშვნელოვანი გახდა არა მხოლოდ ტრავმის საკრალიზებისთვის, არამედ ნაციონალური სიამაყის, ნაციონალური იდენტობის ხაზგასასმელად. “გმირი” ქართველი ერის სამაგალითო სიმამაცეს უსვამს ხაზს და, პოსტ-ტრავმული

სტრესის დასაძლევად, ქართველ ჯარისკაცთა გმრობა წინაპრების დიად საქმეებს არის შედარებული.

“გმირის” წაკითხვის შემდეგ მკითხველს ეუფლება განცდა, რომ ქართველებს განსაკუთრებული მისია აქვთ და რომ ისტორიული გმრობა არა მხოლოდ წარსულში, არამედ დღესაც შესაძლებელია. წიგნი ხაზს უსვამს პოზიციას, რომელიც მხარდაჭერილი იყო საქართველოს ხელისუფლების მიერ.

მთელი პროექტი ამართლებს დებულებას: ტრავმის დასაძლევად და სასოწარკვეთისგან თავის დასაღწევად, მსხვერპლს უნდა გაუჩნდეს კანონზომიერების შეგრძნება, განცდა იმისა, რომ დიად დავალებას თავგანწირვა სჭირდება. როცა ოჯახი დარწმუნებულია, რომ მათ მიერ გაღებული მსხვერპლი სამშობლოს, თანამემამულეების გადარჩენისთვის აუცილებელი იყო, ტრავმის დაძლევა შედარებით იოლი ხდება.

„გმირი“ კოლექტიური ტრავმის ნარატივის ყველა მახასიათებელს შეესაბამება:

1) თითოეული ჯარისკაცის ოჯახის წევრი დეტალურად აღწერს მომხდარ მოვლენას, თავისი ნებით გადმოგვცემს ოჯახისა და ოჯახის დაღუპული წევრების ცხოვრებას 2008 წლის აგვისტოში (პირველი ნიშანი - ხდება მოვლენათა ზედმიწევნით აღწერა);

2) „გმირი“ ეძღვნება იმ ადამიანებს, ვინც აგვისტოს ომს შეეწირა, შესაბამისად, აქ ნათლად არის განსაზღვრული ის ჯგუფი, რომელიც კოლექტიური ტრავმის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა (მეორე ნიშანი - ნაჩვენებია დაზარალებული ჯგუფი);

3) ტრავმის დაკავშირება სხვა ჯგუფებთან და მისი განზოგადება იმ ოჯახის წევრების მეშვეობით ხდება, რომლებმაც დაწერეს მომხდარის შესახებ. ჯარისკაცთა გმრობის ამბები აღწერს არა მხოლოდ გმრობის ისტორიას, არამედ ოჯახების მდგომარეობას ომის დროს და ომის შემდეგ. ამით კი ტრავმული გამოცდილების განზოგადება ხდება. იქმნება სავსებით მართებული შთაბეჭდილება, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი მთელ საზოგადოებას შეეხო, ყველაზე მოახდინა გავლენა (კოლექტიური ტრავმის ნარატივის მესამე მახასიათებელი - იმის ჩვენება, რომ ტრავმის შედეგად მთელი საზოგადოება დაზარალდა);

4) ყოველგვარი შეფარვის გარეშე, მოცემულია მკაფიო განსაზღვრება: ყველა ამ უბედურებაში დამნაშავე რუსი დამპყრობლური ძალაა, შესაბამისად, ამ ნარატივში მტრის განსაზღვრა იოლია, მოცემულია „სხვა“ ჯგუფი, რომელთანაც დაზარალებულმა საზოგადოებამ საკუთარი თავი უნდა დააპირისპიროს (მეოთხე ნიშანი - დამნაშავეს მკაფიო ჩვენება).

ტექსტური ნარატივების განხილვის დასასრულს, დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აგვისტოს ომისადმი მიძღვნილი ნარატივები წარმოდგენას გვიქმნის საზოგადოების ფსიქოლოგიურ და მენტალურ მდგომარეობაზე ტრავმული მოვლენის მიმდინარეობის პროცესში და გვიჩვენებს კოლექტიური ტრავმის ბუნებასაც. კოლექტიურ ტრავმაზე შექმნილი ტექსტური ნარატივები ტრავმირებული საზოგადოების პასუხის ნაწილია და კოლექტიური ტრავმის სიღრმისეული შესწავლისთვის მათი კვლევა აუცილებელია.

“გმირმა” უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა ტრავმის დამახსოვრებისა და საკრალიზებისთვის, მაგრამ, ერთ-ერთი ცნობილი პოეტის, რობერტ მორგანის თანახმად, „ოცდამეერთე საუკუნეში ჩვენ ძალიან ბევრი ნარატივი გვაქვს, თუმცა მათი მკითხველები იშვიათადღა მოიძებნებიან“.³⁴ არსებობს კიდევ ერთი და, ალბათ, უფრო მასშტაბური ხერხი ტრავმის საკრალიზებისთვის; ესაა მემორიალების აღმართვა, რაც ჩვეული მოვლენაა პოსტ-ტრავმული საზოგადოებებისთვის.

³⁴<http://www.brainyquote.com/quotes/keywords/narrative.html>

(ხელმისაწვდომი იყო 11/12/2013)

თავი 3. მემორიალები

§ 1. ძმათა სასაფლაო

მემორიალების ფუნქცია ტრავმული მოვლენებისა და ამ მოვლენებში მონაწილე ადამიანების დამახსოვრებაა. თავად სიტყვა “მემორიალი” იტალიური სიტყვიდან მოდის და სამახსოვრო ჩანაწერს ნიშნავს (ჭაბაშვილი 1989: 304). მემორიალი მატერიალური კულტურის ძეგლია, რომელიც კოლექტიური ტრავმის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის. მისი მთავარი ფუნქცია კოლექტიური ტრავმის საკრალიზება-დამახსოვრება და მის შესახებ მომავალი თაობების ინფორმირებაა.

მემორიალები საზოგადოებისთვის იდენტობის წყარო შეიძლება გახდეს, ისევე როგორც ომის თემაზე შექმნილი ტექსტური ნარატივები. ინდივიდი საკუთარ თავს გარკვეულ კონტექსტში ათავსებს. ვინმეს ან რამის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალები შეიძლება აღიმართოს სახელმწიფოს ან ინდივიდთა მიერ, როგორც ნეიტრალურ (არასიმბოლიზებულ) ტერიტორიაზე, ასევე ბრძოლის ველზე (ყველაზე ცნობილი მაგალითია მეორე მსოფლიო ომის მემორიალი სომში, რომელიც ბრძოლის ველი იყო. იხ. დანართი, სურ. 1) (Wilson 2005: 227-236). ომის მემორიალებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მათი ვიზუალური მხარე უნდა დაგვეხმაროს, ჩავწვდეთ ომის მნიშვნელობას კონკრეტული საზოგადოებისთვის, რომლისთვისაც მემორიალი ტრავმის სიმბოლო უნდა გახდეს. მან, ერთი მხრივ, პატივი უნდა მიაგოს დაღუპულებს და ხელი შეუწყოს ტრავმული მოვლენის დამახსოვრებას, მეორე მხრივ კი უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მომხდარი მოვლენის შესახებ მომავალ თაობებს. ამიტომ მემორიალებს ყველა საზოგადოებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მემორიალები მეხსიერების მნიშვნელოვანი ადგილებია.

რას წარმოადგენს მეხსიერების ადგილები? “მეხსიერების ადგილია ის არე (არა აუცილებლად ბუნებაში), რომელიც, ადამიანთა სურვილის ან დროის გამოისობით, საზოგადოების მეხსიერების საგანძურის სიმბოლური ელემენტი გახდა” (Nora 1989: 7). ეს ადგილები ასახავენ გარკვეულ ისტორიულ მომენტს, ისინი „განახორციელებენ“ მეხსიერებას გარკვეულ ისტორიულ მონუმენტებში. სხვა

სიტყვებით, “აქ კულტურული მეხსიერება იწმინდება და ასაიდუმლოებს საკუთარ თავს”. ეს ადგილებია:

- არქივები, მუზეუმები, სასაფლაოები, სასახლეები და ობელისკები;
- კონცეფციები და აქტივობები: დღესასწაულები, რიტუალები;
- ობიექტები: მემკვიდრეობა, სახელობითი მონუმენტები, ემბლემები (Nora 1989: 30).

ამგვარი დაყოფით, მეხსიერების ადგილები გარკვეული სივრცეებია, რომლებიც ისტორიის მსვლელობას გადაურჩა. ომის შემდეგ ჩვენ ტრავმული მოვლენის აღნიშვნა და მისთვის პატივის მიგება გვრჩება. მემორიალები და სასაფლაოები მეხსიერების ადგილებს მიეკუთვნება, ვინაიდან ისინი ინფორმაციას ინახავენ და მომავალ თაობებს გადასცემენ.

გახსენებაც და პატივის მიგებაც ნოსტალგიას უსვამს ხაზს. ომის დამახსოვრება რიტუალის ფუნქციას იძენს. აქ ისევ გვახსენდება ზოგმუნდ ფროიდის ტრავმასთან მუდმივი მიბრუნებისა და გლოვის კონცეფცია. მსხვერპლი ტრავმის დაძლევაში მრავალჯერ უბრუნდება ტრავმულ მოვლენას და მის გახსენებას იწყებს, ცდილობს მომხდარში საკუთარი თავის იდენტიფიცირებას.

რატომ არის მემორიალები ასე მნიშვნელოვანი? ნორას მიხედვით, ადამიანებს აღარ აქვთ სპონტანური მეხსიერება, რომელიც დროის მსვლელობამ და ტექნიკურმა პროგრესმა შეიწირა; ამიტომ უნდა შევქმნათ არქივები, აღვნიშნოთ, გავიხსენოთ, ვინაიდან ეს ბუნებრივად აღარ ხდება. მით უმეტეს, კოლექტიური ტრავმის შემთხვევაში მსხვერპლი, შესაძლოა, ტრავმული მოვლენის იგნორირებით ან უგულებელყოფით იყოს დაინტერესებული, უარი განაცხადოს ცხოვრების წესის შეცვლაზე და აირჩიოს ტრავმის მუდმივი უგულებელყოფის გზა. ამის საშუალებას მას მეხსიერების ადგილი არ მისცემს. მემორიალი, როგორც მეხსიერების ადგილი, მუდმივად შეახსენებს საზოგადოებას კოლექტიური ტრავმის შესახებ.

ომის მემორიალების ნაციონალურ დონეზე გაჩენა პირველ მსოფლიო ომს უკავშირდება. მემორიალებს, დამახსოვრებისა და იდენტობის წყაროდ ქცევის ფუნქციების გარდა, კიდევ ერთი ფუნქცია აქვს: ისინი ერთგვარი სახელმძღვანელოებია მომავალი თაობებისთვის. ახალგაზრდობა სწორედ მემორიალებიდან იგებს კოლექტიური ტრავმისა და მისთვის შეწირული მსხვერპლის

მნიშვნელობას. მემორიალი ახალგაზრდებისთვის პირველი კონტაქტია კოლექტიურ ტრავმასთან. მემორიალი მარტივ და ყველაზე ზოგად ინფორმაციას გვაწვდის მომხდარის შესახებ.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გაჩნდა მემორიალები შინდისში, გორში, თბილისსა და სხვა ქალაქებში, რომლებიც პატივს მიაგებს ცალკეულ ადამიანებს ან მცირერიცხოვან ჯგუფს. ჩვენ საინტერესოდ მივიჩნით იმ მემორიალების განხილვა, რომელიც 2008 წელს დაღუპულ ყველა ადამიანს ეძღვნება და რომლებმაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა შეიძინა. ყველაზე დიდი მემორიალები საქართველოში სახელმწიფოს ინიციატივითა და დაფინანსებით შეიქმნა.

განხილვას მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოთი დავიწყებთ. სასაფლაო მეხსიერების ადგილია, რომელიც გარკვეულ მოგონებებთან ასოცირდება. ისევე, როგორც გარდაცვლილისთვის ფოტოს გადაღების ზემოთ ხსენებული მაგალითი, სასაფლაოც შეგვახსენებს ტრავმულ მოვლენას და არყოფნა-არქონის დანაკარგს სიმბოლურად ავსებს. სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა სახელსაც – ძმათა სასაფლაო. 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირები ერთსა და იმავე მისიას შეეწირნენ. ისინი ერთმანეთისთვის ძმები არიან, ერთი ერის შვილები იყვნენ და საქართველოს იცავდნენ. 2008 წლის აგვისტოს ომიდან რამდენიმე თვის შემდეგ, კონკრეტულად კი 2009 წლის 22 იანვარს გამოცხადდა კონკურსი “მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოს მოწყობის კონცეფციისა და საფლავის ტიპური ფორმის პროექტზე”.³⁵ მშენებლობა თებერვალშივე დაიწყო. გაიმარჯვა მამა-შვილ ხმალაძეების პროექტმა (დანართი, სურ. 2).

ჩვენთვის აღსანიშნავია რამდენიმე ფაქტი: თავდაპირველი პროექტის მიხედვით, უნდა შექმნილიყო მხოლოდ გმირთა სასაფლაო. თუმცა პროექტმა ცვლილება განიცადა და სასაფლაოს მემორიალი და ეკლესია დაუმატეს (დანართი, სურ. 3).

“მუხათგვერდის სამხედრო სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე ბაზილიკური ტიპის ტაძარი აშენდება. რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულ მეზობლთა სახელზე ეკლესიის მშენებლობას საფუძველი 2009 წლის თებერვალში ჩაეყარა. „კომპლექსი 1.560 კვ.

³⁵<http://www.mod.gov.ge/index.php?page=772&lang=0&type=0&Id=1177> (ხელმისაწვდომი იყო 25/03/2012)

*მეტრზე განთავსდება, რომლის მშენებლობის დასრულება ზაფხულისთვის იგეგმება. ტაძარი საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ასი ათასი მოწამის სახელობის იქნება.*³⁶

ასი ათასი მოწამის სახელზე აგებულ ეკლესიას სიმბოლური დატვირთვა აქვს და ხაზს უსვამს ძმათა სასაფლაოზე განსვენებულთა მოწამეობრივ აღსასრულს. ძმათა სასაფლაოს მემორიალი საუკეთესოდ ასახავს პოლიტიკისა და რელიგიის ურთიერთმიმართებას დღევანდელ საქართველოში. მემორიალში ეკლესიაც და სახელმწიფოც წარმოდგენილია, როგორც ორი რამ, რაც ყველაზე მეტ მსხვერპლს მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს კონფლიქტიდან მხოლოდ ერთი წელი გავიდა და მრავალი პრობლემა კვლავაც მოუგვარებელი იყო, მემორიალის აღმართვა, თითქოს, უმნიშვნელოვანესი გახდა. ალბათ იმიტომ, რომ ეს არა მხოლოდ სახსოვარი იყო, არამედ იმის გარანტიაც, რომ მის შემხედვარეთ მუდმივად გაახსენდებოდათ აგვისტოს ომი. მემორიალიც და სასაფლაოც კოლექტიური მეხსიერების ადგილებია, რომლებმაც 2008 წლის აგვისტოს ომის სიმბოლიზება და საკრალიზება მოახდინეს.

“სასაფლაოს ტერიტორია გეგმაში წაგრძელებულ მართკუთხა ტრაპეციას წარმოადგენს, რომელსაც ჯვრის ფორმა აქვს და ქვაფენილი ბილიკებით ოთხ ნაწილად იყოფა. საფლავებს ტერიტორიის მეოთხედი ეთმობა, დანარჩენი – გაზონია. ცენტრში, წრიულ ფორმაში მრადიული ცეცხლია, რომელსაც ოთხი მხრიდან ხუთჯვრიანი კომპოზიციის, წრიული ვარჯის მქონე ხეები იცავენ. ტერიტორია შემოსაზღვრულია კვიპაროსის ხეებით. ტრაპეციის სწორ გვერდთან მოთავსებულია უშუალოდ მემორიალი, ბრუტალური სამკუთხა პრიზმის სახით, რომელიც შუაზეა გაყოფილი ქართული ტაძრის სილუეტით და დგას მწვანე კვარცხლბეკზე.

მემორიალთან აღმართულია სამი შტანდარტი სახელმწიფო დროშით (დანართი 2, სურ. 4). ტიპური საფლავები სწორკუთხედებადაა ჩაჭრილი. საფლავის შავ ლაბრადორის ქვებს თავზე მემორიალის ფორმის თეთრი

³⁶<http://www.mod.gov.ge/index.php?page=772&lang=0&type=0&Id=1272> (ხელმისაწვდომი იყო 30/03/2012)

*ბეტონის ქუდები ადევთ. თეთრ ბეტონში წმინდა ნინოს ჯვრის ფორმის
ჭრილებია.*³⁷

მთლიანად მემორიალისა და სასაფლაოს კონცეფცია სახელმწიფოსა და სარწმუნოებას განადიდებს. ისედაც სიმბოლური ადგილი მრავალი დეტალით გამდიდრდა: მარადიული ცეცხლი, ხუთჯვრიანი კომპოზიციის შემქმნელი ხეები (უშუალოდ დაკავშირებული სახელმწიფო დროშასთან), ქართული ტაძრის სილუეტი. ამ ყველაფერმა სასაფლაოს საკრალიზება გამოიწვია. კიდევ ერთი აღსანიშნავი მომენტი: მემორიალი 2009 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გაიხსნა. რა თქმა უნდა, ესეც განზრახ მოხდა: 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა, საქართველოსთვის სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღე.

ზერუბაველის მიხედვით, მოვლენათა სერიას, რომელსაც არა აქვს რაიმე შინაგანი სტრუქტურა, მეხსიერება გარდაქმნის ურთიერთდაკავშირებულ ისტორიულ ნარატივებად, მოთხრობებად, რომელთა ეპიზოდებს წარსულის მოვლენები წარმოადგენენ. სწორედ ეს მოთხრობები სძენენ ამ მოვლენებს ისტორიულ მნიშვნელობას (Zerubavel 2004:36).

იმისათვის, რომ ისტორიული მოვლენები მოთხრობის მსგავს ნარატივებად იქცეს, საჭიროა მათ შორის კავშირის მოძებნა. აწმყოსა და წარსულის დასაკავშირებლად ვიყენებთ მათ შორის „ხიდის გადების“, კავშირის გაბმის (bridging) სხვადასხვა ხერხს. ეს მენტალური აქტია, თუმცა ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ მის დაფუძნებას მყარ და ხელშესახებ რეალობაზე. ერთ-ერთი ასეთი ხერხია „იგივე დროის“ გამოყენება წარსულის გასაცოცხლებლად. ისტორიული ფაქტების „გაცოცხლება“, წარსულთან პერიოდული „შერწყმა“ ხდება დღესასწაულების დროს (მაგალითად, შობა...). ეს კალენდრის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, იგი გვეხმარება კოლექტიური წარსულისკენ მიბრუნებაში. დღესასწაულებთან ისტორიული მოვლენების სინქრონიზაციის გზით, ჩვენ ვცდილობთ „ახლა“-სა და „მაშინ“-ს შორის სიმბოლური კავშირის გაბმას (Zerubavel 2004: 35). მემორიალის 26 მაისს გახსნა უნდა იყოს ხიდის გადება წარსულთან, რომელშიც 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას უკავშირდება.

³⁷http://pirweli.com.ge/index.php?option=com_content&task=view&id=19882&Itemid=45 (ხელმისაწვდომი იყო 03/04/2012)

2009 წლის 26 მაისს პატივი მიაგეს 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველოს თავისუფლების შენარჩუნებისთვის მებრძოლთა ხსოვნას. ცერემონიას საქართველოს პრეზიდენტი და სხვა მაღალჩინოსნები ესწრებოდნენ (დანართი, სურ. 5). ეს ფაქტი ხაზს უსვამს აგვისტოს ომის მნიშვნელობას სახელმწიფოსთვის. რამდენიმე თვით გვიან, აგვისტოში, მემორიალზე ეკლესიაც გაიხსნა. ამ ცერემონიასაც ესწრებოდნენ ქვეყნის პირველი პირი, მაღალჩინოსნები და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

2009 წელს სასაფლაოს გახსნას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გარდაცვლილებს პატივი დუმილით მიაგეს, ხოლო თავდაცვის სამინისტროს სასულე ორკესტრმა სამგლოვიარო მარში და საქართველოს ჰიმნი შეასრულა.³⁸ მემორიალის 26 მაისს გახსნით 2008 წლის აგვისტოს ომის კოლექტიური ტრავმა სხვა ისტორიულ მოვლენასაც დაუკავშირდა - 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს. 1918 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა რუსეთის საუკუნეზე მეტი ხნის მმართველობის შემდეგ მოიპოვა. „სხვა“ ჯგუფი ამ შემთხვევაშიც იყო რუსეთი. ამიტომ ძმათა სასაფლაოს 26 მაისს გახსნას რამდენიმე დატვირთვა ჰქონდა:

- 1) 2008 წლის აგვისტოს ომში მებრძოლები საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას იცავდნენ, ანუ იმ ღირებულებებს, რომელიც საქართველომ 1918 წლის 26 მაისს დაიბრუნა;
- 2) 2008 წლის აგვისტოს ომში ქართველები იბრძოდნენ რუსების წინააღმდეგ, ისევე როგორც 1918 წელს საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვებას რუსებისგან ცდილობდა.

“შესაძლოა ვთქვათ, რომ ეს მემორიალი არის პატივის მიგება აგვისტოს ომში დაღუპული ჯარისკაცებისთვის, მათი ოჯახებისთვის და, შესაბამისად, გარკვეული მოტივაციაც იმისთვის, რომ გააკეთონ უფრო მეტი, შეძლონ უფრო მეტი იმისთვის, რომ მათ მიერ დაწყებული საქმე ღირსეულად დასრულდეს,”³⁹ – ასეთი იყო თავდაცვის მინისტრის კომენტარი მემორიალის გახსნის დღეს. მან თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა მემორიალის აღმართვას, სასაფლაოს გახსნას, როგორც პატივის

³⁸<http://geonews.ge/category/8/politics/news/12662/mixeil-saakashvili-uwmindesi.html>

³⁹<http://www.palitrav.ge/akhali-ambebi/politika/7432-mukhathgverdis-dzmatha-sasaflao-saqarthvelos-prezidentma-da-patriarqma-gvirgvinith-sheamkes.html> (ხელმისაწვდომი იყო 03/04/2012)

მიგებას. საინტერესოა, რომ თავდაცვის მინისტრმა ყურადღება გაამახვილა მოტივაციაზე. ეს, უდავოდ, ახალგაზრდა თაობისადმი მიმართული გზავნილი იყო. აგვისტოს ომში დაღუპულ ჯარისკაცთა გმირობა არა მხოლოდ სახელმწიფოსთვის არის მნიშვნელოვანი, არამედ მომავალი თაობებისთვისაც, რომლებიც ამ გმირობის მაგალითზე უნდა გაიზარდონ და გმირების დაწყებული საქმე (საქართველოს მთლიანობის დაცვა) ღირსეულად გააგრძელონ.

“საბერძნეთში ამბობდნენ: რა უბედურებაა, რომ ადამიანს არ შეუძლია შესწიროს თავი სამშობლოს მეტჯერ, ვიდრე ერთხელ. როგორც ვიცით, ყველა ადამიანი მოკვდავია, ყველა ჩვენგანი, ადრე თუ გვიან გარდაიცვლება. მაგრამ ამ ხალხს, ვინც აქ განისვენებს, განგებამ გამორჩეული ბედი არგუნა; მათ სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს და ეს გამორჩეული ბედი არის ის, რაც მათ აქცევს გამორჩეული ღირსების, გამორჩეული პატივის მქონე ვაჟკაცებად,”⁴⁰ – კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ეს განცხადებაც ხაზს უსვამს მსხვერპლის საკრალურობას.

მემორიალის გახსნაზე გაკეთებულ განცხადებათა ავტორები სამშობლოსთვის გაწეულ მსხვერპლს დიდ პატივად მიიჩნევენ. მინისტრები სამშობლოსთვის შეწირულთა უპირატესობას აღიარებენ. სხვა რამეზე გაამახვილა ყურადღება საქართველოს პრეზიდენტმა:

“დღეს ჩვენ აღვნიშნავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, იმ დღეს, რომლის აღნიშვნა ჩვენი მტრის გეგმებში არ ეწერა. ეს ჩვენი სამხედროების დამსახურებაა, რომლებმაც სამშობლოს ინტერესების დასაცავად მსხვერპლად ყველაზე ძვირფასი, საკუთარი სიცოცხლე გაიღეს. მათი დაფასება ის იქნება, რომ საქართველო ევროპული და თავისუფალი ქვეყანა იყოს. ქართულ ჯარში ქართველებთან ერთად აფხაზები, ოსები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები მსახურობდნენ. უკან დახევის გადაწყვეტილება მივიღეთ იმის გამო, რომ არც ერთის თვალში, არცერთი ადგილობრივის თვალში არ დარჩენილიყო გრამი ეჭვიც კი, რომ ჩვენ დავიწყეთ პირველებმა სროლა.

ამას ჩვენი ისტორიისთვის აქვს დიდი მნიშვნელობა. მე მინდა გითხრათ, ძმებო, მეც ერთ-ერთი თქვენგანი ვარ. ყველა, ვისაც გვიყვარს სამშობლო,

⁴⁰<http://www.palitravt.ge/akhali-ambebi/politika/7432-mukhathgverdis-dzmatha-sasaflao-saqarthvelos-prezidentma-da-patriarqma-gvirgvinitsh-sheamkes.html> (ხელმისაწვდომი იყო 14/04/2012)

ჩვენ ყველა მზად ვართ თქვენთან ერთად გავაგრძელოთ ბრძოლა და, თუ საჭიროა, თავი გავწიროთ, რომ ბოლო უცხოელმა ოკუპანტმა დატოვოს ჩვენი ქვეყნის ტერიტორია... თითოეულმა აფხაზმა და ოსმა იცის, რომ მათ ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაცია არ გაუჭირდებათ, ისინი ჩვენი ძმები არიან.”⁴¹

გარდა ჯარისკაცთათვის მიგებული პატივისა, პრეზიდენტის სიტყვაში ჩანს, რომ 2008 წელს დაწყებულ ომს საკრალური მნიშვნელობა აქვს. შემთხვევითი არ არის, რომ აგვისტოს ომის მემორიალის გახსნის დროს წარმოთქმულ სიტყვაში ქვეყნის პირველმა პირმა აფხაზეთიც ახსენა. ისევ გამოჩნდა ისტორიული ანალოგიის მოხმობის სურვილი, კოლექტიური ტრავმის სხვა ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირების მიზნით. ასეთი კი კვლავ აფხაზეთის ომია. ორი კოლექტიური ტრავმა ერთმანეთს დაუკავშირდა საერთო მტრის გამო. საქართველოს პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ორივე კოლექტიური ტრავმის გამომწვევი, საქართველოს მტერი ერთი და იგივე იყო. საერთო მტერმა ნაციონალური იდენტობა უნდა გააღრმავოს და ერთიანობის შეგრძნება წარმოშვას: ჩვენი ჯარისკაცები ერთსა და იმავე მიზანს შეეწირნენ აფხაზეთშიც და ცხინვალშიც. ეს მტერი მთელი საზოგადოების მტერია, ამიტომ საზოგადოების ყველა ჯგუფი ერთი, საერთო მტრის წინააღმდეგ უნდა გაერთიანდეს.

“მემორიალი არის ის მცირედი, რაც შეგვეძლო ჩვენ ამ ბიჭების სამახსოვროდ შეგვექმნა. მართალია, იარაღის აღება ჩვენ ვერ დაგვცალდა, თუმცა ჩვენი იარაღი და სულის ამოდახილი ესაა,”⁴² - ასე შეაფასა თავისი ქმნილება არქიტექტორმა ლადო ხმალაძემ.

ერთ-ერთი ჯარისკაცის დედამ ასე განმარტა თავისი არჩევანი: *“მერჩივნა, რომ თავის თანამებრძოლებთან ერთად ყოფილიყო დაკრძალული, ასე მგონია, რომ აქ უფრო მეტად პატივს მიაგებენ”⁴³* დედის სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ ძმათა სასაფლაოზე შვილის ყოლა პატივია, აქ ყველას ეცოდინება, რას შეეწირა იგი და ღირსეულ პატივსაც სწორედ აქ მიაგებენ. სასაფლაო თავისთავად ასოცირდება დაღუპულებთან და მეხსიერების ადგილს წარმოადგენს, თუმცა ერთი ოჯახის

⁴¹<http://1tv.ge/news-view/4650> (ხელმისაწვდომი იყო 23/04/2012)

⁴²<http://1tv.ge/news-view/4650> (ხელმისაწვდომი იყო 23/04/2012)

⁴³<http://1tv.ge/news-view/4650> (ხელმისაწვდომი იყო 25/04/2012)

ტრაგედია ერთ ოჯახს ეკუთვნის და საერთო ტკივილის განცდა ნაკლებია. ამიტომ გმირი ჯარისკაცის დედას ურჩევნია, თავისი შვილის საფლავი საყოველთაო გლოვის ადგილზე, ძმათა სასაფლაოზე იყოს, სადაც დაღუპულს პატივს არა მხოლოდ მისი ნაცნობები, არამედ მთელი საქართველო მიაგებს. თუ ფროიდისეულ კოლექტიურ გლოვას გავიხსენებთ, მსხვერპლი ეკუთვნის მთელ ერს, შესაბამისად, კოლექტიური გლოვა მსხვერპლის ოჯახს დანაკარგის განცდას შეუმსუბუქებს. ეს ჰგავს სამშობლოსთვის შვილის საბოლოოდ შეწირვას: ჯარისკაცი ჯერ სიცოცხლეს გამოემშვიდობა, გარდაცვალების შემდეგ კი მისი სხეულიც სამშობლოს სამსახურში დარჩა - მისი საფლავიც სამშობლოს საკუთრება გახდა და სახელმწიფო მის გმირობას სათანადოდ აფასებს. ამით, გარკვეულწილად, კოლექტიური ტრავმის დაძლევა ხდება: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსხვერპლმა უნდა გააანალიზოს, რომ დანაკარგს აზრი ჰქონდა და ის ფუჭი არ იყო. ეკლესია და მემორიალი ეხმარება საზოგადოების იმ ნაწილს, რომელმაც თავის თავზე იწვნია 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები. სასაფლაო გამოხატავს იმ დანაკარგს, რომელიც საქართველომ 2008 წელს განიცადა, ამავე დროს, მატერიალურს, თვალთ დასანახს ხდის მსხვერპლს. სასაფლაოზე აღმართული მემორიალი ხაზს უსვამს იმ ორ მთავარ ინსტიტუციას, რომელთა დაცვასაც შეეწირნენ ჯარისკაცები: სახელმწიფოს და ეკლესიას. გარდა ამისა, ყველა სახელმწიფო დღესასწაულზე ძმათა სასაფლაოზე მაღალჩინოსნები მიდიან დაღუპულთა მოსაგონებლად, კიდევ ერთხელ იხსენებენ აგვისტოს ომს და ამით უერთდებიან მთელი საზოგადოების პოზიციას 2008 წლის აგვისტოს ომის აღსანიშნავად. მოცემული მაგალითიდან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, რომ ძმათა სასაფლაომ თავისი ფუნქცია შეასრულა და მსხვერპლთა ჯგუფს კოლექტიური ტრავმის დაძლევაში დაეხმარა.

სახელმწიფოს მიერ აგვისტოს ომთან დაკავშირებით განხორციელებული მეხსიერების პოლიტიკა ამით არ ამოწურულა. კოლექტიური ტრავმის თეორია ერთმანეთისგან განასხვავებს პირდაპირ და არაპირდაპირ მსხვერპლს. საქართველოს შემთხვევაშიც არსებობს პირდაპირი დაზარალებული ჯგუფი და მთელი საზოგადოება. მუხათგვერდის სასაფლაო ვერ იქნებოდა ტრავმის ერთადერთი სიმბოლო მთელი საზოგადოებისთვის, ამიტომ გადაწყდა სხვა მონუმენტის აღმართვაც, რომელიც უშუალოდ იქნებოდა დაკავშირებული ტრავმასთან და

ავვისტოს ომის სიმბოლო გახდებოდა მთელი საქართველოსთვის. ასეთ საკრალურ ადგილად ჩაიფიქრეს მეორე ძალიან ცნობილი ქმნილება - გმირთა მონუმენტი.

§ 2. “გმირთა მონუმენტი”

ჯერ კიდევ 2009 წელს არსებობდა იდეა, რომ ავვისტოს ომში დაღუპულთათვის სხვა მემორიალიც უნდა შექმნილიყო: უფრო მასშტაბური, ისეთი, რომელიც გამვლელებს მუდმივად შეახსენებდა გმრობის ამბავს. ამასთან ერთად, იგი იქნებოდა ინფორმაციის წყარო ახალი თაობებისთვის.

პირველი განცხადება ახალი მემორიალის თაობაზე 2009 წლის ბოლოს საქართველოს პრეზიდენტმა და თბილისის მერმა გაავრცელეს. მემორიალი გმირთა მოედანზე უნდა განთავსებულიყო. შემთხვევითი არ არის, რომ მემორიალის ადგილად ქალაქის ცენტრალური მოედანი შეირჩა. გმირთა მემორიალის აღმართვა გმირთა მოედანზე სიმბოლურ დატვირთვას შეიძენდა და მემორიალი ორმაგად გაიგივდებოდა 2008 წლის ავვისტოს ომთან.

პრეზიდენტის განცხადებით, ახალი მემორიალი სიმაღლით 30 მეტრზე მეტი უნდა ყოფილიყო, რაც შემდეგნაირად ახსნეს: ეს მემორიალი გმირთა მოედანს არქიტექტურულად შეკრავდა, ამავე დროს, მას მოედნის ყველაზე მაღალი შენობა, ხრუშჩოვის დროს აგებული თერთმეტსართულიანი საცხოვრებელი სახლი უნდა დაეჩრდილა.⁴⁴ გმირთა მონუმენტს 2008 წლის ავვისტოს ომის კოლექტიური ტრავმა უნდა აესახა და ის გმირთა მოედანზე ყველაზე გამორჩეული ნაგებობა უნდა ყოფილიყო. ამ ეფექტის მისაღწევად მონუმენტის სიმაღლე აუცილებელი გახდა.

2010 წელს გავრცელდა პროექტის პირველი ჩანახატები, რომლებიც დღეს არსებული მონუმენტისგან განსხვავდებოდა (დანართი, სურ. 6, 8). აღმოჩნდა, რომ მონუმენტის აგება გზის მშენებელ კომპანიას დაევალა. ამიტომ მონუმენტის თავდაპირველი კრიტიკა სწორედ გზების მშენებელ კომპანიას დაუკავშირდა: გმირთა მემორიალი უფრო გზის ნაწილსა და მის ცენტრს წარმოადგენდა, ვიდრე დამოუკიდებლად მდგომ მონუმენტს, რომელიც 2008 წლის ავვისტოს ომს ეძღვნებოდა.

⁴⁴<http://www.bfm.ge/society/1083-memoriali.html> (ხელმისაწვდომი იყო 03/05/2012)

გამოჩნდა სხვა პრობლემაც: გმირთა მოედანზე უკვე არსებობდა სხვა მემორიალი, რომელიც საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ ჯარისკაცებს მიეძღვნა, უფრო კონკრეტულად, აფხაზეთის ომში დაღუპულ მებრძოლებს. მემორიალის ოფიციალური სახელია “ერთიანი საქართველოსთვის” (დანართი, სურ. 9). ახალმა დარტყმამ - 2008 წლის აგვისტოს ომმა - უფრო გრანდიოზული მემორიალის შექმნის იდეა წარმოშვა.

2008 წელს, ომამდე, თბილისის მერიამ გამოაცხადა ტენდერი პარკებისა და მემორიალების მოვლა-პატრონობაზე. ტენდერის ერთ-ერთი ლოტი სწორედ გმირთა მოედანზე მდებარე მემორიალი “ერთიანი საქართველოსთვის” იყო. აგვისტოს ომის შემდეგ ამ მემორიალმა და მოედანმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, ამიტომ არა მხოლოდ შენარჩუნდა ძველი მემორიალი, არამედ დაემატა სრულიად ახალიც. შედეგად, ერთ მოედანზე ორი გმირთა მონუმენტი გაჩნდა: ერთი პატივს მიაგებს აფხაზეთის ომში, მეორე კი 2008 წლის ომში დაღუპულ ქართველ ჯარისკაცებს.

გმირთა მოედნის ახალი მონუმენტის პროექტმა საზოგადოების ნაწილის კრიტიკა დაიმსახურა. კრიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი სამშობლოსთვის თავგანწირულ ქართველთა საპატივცემულო მონუმენტის შექმნისათვის ესპანელი დიზაინერის ალბერტო დომინგო კაბოს მოწვევა იყო. ქართულ ინტერნეტ-სივრცეში გაიმართა დებატები და საზოგადოების ნაწილმა გააპროტესტა არაქართველი დიზაინერის ჩართვა პატრიოტულ პროექტში. ლოგიკა მარტივი იყო: არაქართველი არქიტექტორისთვის 2008 წლის აგვისტოს ომი ვერ იქნებოდა ისეთივე ტრავმული, როგორც თავად ქართველებისთვის, უცხოელისთვის გაუგებარი იყო დანაკარგი, რომელიც ჩვენმა ერმა განიცადა. ამ პოზიციის მიხედვით, ალბერტო დომინგო კაბო ქართველთა ტრაგედიის შესაბამის ძეგლს ვერ შექმნიდა.

თბილისის ერთ-ერთ ცნობილ ინტერნეტ-ფორუმზე გაიხსნა ახალი გზისა და მემორიალის მშენებლობისადმი მიძღვნილი თემა, სადაც აქტიურად და მწვავედ კამათობდნენ, ზოგადად, გმირთა მოედანზე რაიმე მონუმენტის აღმართვისა და ამისათვის უცხოელის მოწვევის მიზანშეწონილობაზე.⁴⁵ სახელმწიფო სტრუქტურები

⁴⁵<http://forum.ge/?f=51&showtopic=34118713&st=0> (ხელმისაწვდომი იყო 15/05/2012)

ესპანელი არქიტექტორის პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობაზე მიუთითებდნენ. საქმეში ჩაერთო მედიაც.

ამ ინტერნეტ აურზაურის შემდეგ ალბერტო დომინგო კაბოზე არაერთი სტატია გამოქვეყნდა, ყველა მათგანში ხაზი ესმებოდა ესპანელი არქიტექტორის უნაკლო განათლებას, აღინიშნებოდა, რომ იგი ფლობს სადოქტორო ხარისხს სამოქალაქო ინჟინერიაში და მაგისტრის ხარისხს სამშენებლო პროცესის უსაფრთხოებაში; სხვადასხვა დროს ასწავლიდა ვალენსიისა და ტოკიოს უნივერსიტეტებში. გარდა ამისა, საუბარი იყო მის ღვაწლზე საქართველოს წინაშე, სადაც ალბერტო დომინგო კაბოს არაერთი პროექტი ეკუთვნოდა. საქართველოს მთავრობას მისთვის უკვე შეკვეთილი ჰქონდა ბათუმისა და ანაკლიის ბულვარები, ანბანის კოშკი ბათუმში, პარლამენტის შენობა ქუთაისში და, აგრეთვე, გმირთა მონუმენტი თბილისში. აღმოჩნდა, რომ კაბო ძალიან ამაყობდა თავისი შემოქმედებით.

ალბერტო დომინგო კაბოსთან ყველაზე დიდი ინტერვიუ კი “ჯორჯია თუდეიმ” დაბეჭდა 2008 წელს. ინტერვიუს სათაურია “შეყვარება ერთი ნახვით.”⁴⁶ დიზაინერი აღნიშნავდა: “2008 წელს გადავწყვიტე, რომ საქართველო მომენახულებინა. ეს საქართველოს პრეზიდენტმა განაპირობა, რომელსაც მაშინ შევხვდი. ის ისეთი ენთუზიაზმითა და გატაცებით საუბრობდა საქართველოზე, რომ მაშინვე დავინტერესდი. უკვე იმ დროს პრეზიდენტს გარკვეული იდეები და პროექტების ჩანაფიქრები ჰქონდა. მიხეილ სააკაშვილის განწყობა გადამდები გახდა და საქართველოსთან სიახლოვე ვიგრძენი. ალბათ, შემთხვევითი არაა, რომ ორივეს, ესპანეთსაც და საქართველოსაც იბერია ჰქვია. შეხვედრიდან ორი დღის შემდეგ საქართველოში ჩამოვედი და ეს დაუვიწყარი გამოცდილება იყო. შეიძლება ვთქვა, რომ საქართველო ერთი ნახვით შემიყვარდა”.

ამგვარად, არქიტექტორმა თავის ინტერვიუში ხაზი გაუსვა ნათესაობას ქართველებსა და ესპანელებს შორის. ამ ნაბიჯით უცხოელი, თითქოს, “ჩვენ ჯგუფის” წევრი ხდებოდა, მისი იბერიელობა არგუმენტი უნდა ყოფილიყო ხალხისთვის, რომლისთვისაც კაბო მიუღებელი იყო. ამავე დროს, კაბომ თავის ინტერვიუში აღნიშნა, როგორ შეუყვარდა საქართველო და ქართველი ხალხი.

⁴⁶http://www.georgiatoday.ge/article_details.php?id=8781 (ხელმისაწვდომი იყო 15/05/2012)

არქიტექტორი ხაზს უსვამდა იმ ნათესაურ გრძნობებს ქართველების მიმართ, რაც ჩვენი ქვეყნის მონახულების შემდეგ გაუჩნდა. მთელი ინტერვიუ ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ესპანელი არქიტექტორი ცდილობდა საქართველოს სიყვარულით გაეწონასწორებინა თავისი ესპანელობა. კაბო აღნიშნავდა, რომ მონუმენტის პროექტზე დიდხანს იმუშავა და აზრი რამდენჯერმე შეიცვალა. დიზაინიც რამდენჯერმე გადაკეთდა. ერთი რამ უცვლელი დარჩა: მონუმენტი გმირთა მოედნის ყველაზე მაღალი ნაგებობა გახდა.

2009 წლის 17 თებერვალს მონუმენტის შესახებ დამატებითი დეტალებიც გაირკვა: კონსტრუქცია დაახლოებით 260 ტონას იწონიდა, დაპროექტების თავისებურების წყალობით, მას ცხრაბალიანი მიწისძვრისთვის და ძლიერი ქარისთვისაც უნდა გაეძლო.⁴⁷ რა თქმა უნდა, გმირთა მემორიალს სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა, თუმცა, ამავე დროს, ის არქიტექტურული ნაგებობა იყო: როგორც არქიტექტურის ნიმუშს, მას ბუნებრივი კატაკლიზმებისთვის გაძლება ევალებოდა.

მასალად ორგანული მინა და მეტაკრილატი გამოიყენეს. მინა ალამაზებს მონუმენტს, თანამედროვე მასალაა, გამძლე და თან – გამჭვირვალე. თუმცა მონუმენტის მასალა არა მხოლოდ ორგანული მინაა; მემორიალი მინისა და ლითონის კომპლექსს წარმოადგენს. გმირთა მონუმენტი ხელოვნების ნიმუშიცაა. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე აღმართული მემორიალი უდიდეს ყურადღებას დაიმსახურებდა, ამიტომ ის გამორჩეული უნდა ყოფილიყო. სტატიებში, რომელიც მონუმენტის შექმნასა და გახსნას ეძღვნება, წერია: “გმირთა მოედანზე აღმართება ყველაზე მაღალი მემორიალი, რომელზეც საქართველოს გასაბჭოებიდან დღემდე რუსეთის წინააღმდეგ დაღუპულ გმირთა სახელები და გვარები იქნება ამოტვიფრული”. რა საჭიროა სახელების ამოტვიფვრა მონუმენტზე? როგორც უკვე აღინიშნა, კოლექტიური ტრავმის უკვდავსაყოფად შექმნილი მემორიალის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია კოლექტიური ტრავმის საკრალიზებაა. ტრავმული მოვლენის უკვდავსაყოფად ტრავმაში ჩართული ადამიანების უკვდავყოფაც უნდა მოხდეს. ამისთვის საუკეთესო ხერხი მათი სახელების და გვარების იმ მემორიალზე მოთავსება გახდა, რომელიც ქალაქის ცენტრში დაიდგმებოდა.

⁴⁷<http://warreporter.wordpress.com/tag/>(ხელმისაწვდომი იყო 15/05/2012)

საინტერესოა კვლავ საერთო მტრის ხატის შექმნის მცდელობა და ის, თუ როგორ შეიძლება გმირთა მემორიალის თავდაპირველი ჩანაფიქრი. მონუმენტის შექმნის იდეის გაჟღერებისას მემორიალი მხოლოდ 2008 წლის ომში დაღუპულ გმირებს უნდა მიძღვნოდა. მაგრამ რადგან მონუმენტი ყველაზე დიდი და გამორჩეული უნდა ყოფილიყო, კონცეფციაც განზოგადდა და მემორიალიც რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ მეომარ ადამიანებს მიეძღვნა. გმირთა სახელების უკვდავყოფა რამდენიმე ხერხით მოხდა. აქ ისევ „მუშაობს“ კოლექტიური ტრავმის თეორია და ტრავმის დაძლევის ხერხები. საერთო მტრის ხატის შექმნა ხაზს უსვამდა სხვა ისტორიული ტრავმების დროს იმავე მტერთან ბრძოლაში დაღუპული ქართველების ღვაწლს. გმირთა მემორიალზე ასახულ ყველა ისტორიულ ტრავმაში საქართველოს მტერი რუსეთი იყო. საერთო მტრის ხატი საზოგადოებას დაეხმარებოდა გაეაზრებინა, რომ რუსეთი ჩვენი მტერი მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ომში არ ყოფილა, არამედ წლების მანძილზე და მასთან ომს მრავალი ქართველი შეეწირა. ამავე დროს, შეგვიძლია ვისაუბროთ ქართველი ერის თვითვიქტიმიზაციის მცდელობაზეც. ის ფაქტი, რომ 2008 წლის აგვისტო არ ყოფილა პირველი ისტორიული შემთხვევა რუსეთთან დაპირისპირებისა, ქართველ ერს უბიძგებდა საკუთარი თავის რუსეთის მსხვერპლად დანახვისკენ.

გმირთა მონუმენტი ბრუნვადი ვერტიკალური კოშკის ფორმით შეიქმნა, შესაბამისად, წარწერები მთელ მონუმენტზე, ყველა მხრიდან გაკეთდა. შეიძლება ვთქვათ, რომ მასზე თითქმის ყველა ის კოლექტიური ტრავმა აისახა, რომელიც საქართველოს უახლესი ისტორიის მანძილზე ყოფილა და რომელშიც მოწინააღმდეგე მხარე რუსეთი იყო. ამან, რა თქმა უნდა, გააძლიერა საერთო მტრის აღქმა. მონუმენტზე შეიძლება ვნახოთ 1921 წელს დაღუპული იუნკრების, 1924 წლის აჯანყების მონაწილეების, 1992-1993 წლებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დაღუპულთა, 2008 წლის აგვისტოს ომს შეწირულთა სახელები და გვარები. გმირთა სახელები ქართულადაა ამოტვიფრული ორგანული მინის ნაწილზე და საფუძვლიდან აჰყვება მონუმენტს. მემორიალის დანახვა ახალი გზის ყველა მხრიდან უნდა ყოფილიყო შესაძლებელი, შესაბამისად, გზა მის გარშემო აიგო. მონუმენტს ოთხი მხრიდან განათება დაუმონტაჟეს, რათა იგი ღამითაც განათებული ყოფილიყო. თავად კოშკიდან ზეცისკენ ნათლის სვეტი ადის, რასაც სიმბოლური

დატვირთვა აქვს: ეს დაღუპულთა ზეცისკენ ამავეალი სულებია (დანართი, სურ. 7). სხვა ვერსიითა და გააზრებით, მონუმენტი საქართველოს დამოუკიდებლობის ბრძოლაში დაღუპულთა სულებისთვის დანთებული სანთელია. განათებამ საკრალურობის შეგრძნება უნდა შექმნას, ამიტომ მემორიალის დანახვისას იქმნება გარკვეული მიუწვდომლობის, სიმორისა და სიწმინდის განცდა.

მემორიალი ნამდვილად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ის მთელ სიმაღლეზე განათებულია და, სინათლის სვეტის წყალობით, თითქოს ზეცამდე ადის. თავდაპირველად ბევრმა ჩათვალა, რომ მონუმენტი დაუსრულებელი იყო. ეს მემორიალის ზედა ნაწილის გაუგებარმა ფორმამ განაპირობა - მემორიალი ცისკენ მიმართული კომპურით სრულდება. კიდევ ერთი: წარწერებმა მონუმენტის მხოლოდ ნახევარი დაფარა, რამაც ასევე უკმაყოფილება და გაუგებრობა გამოიწვია. ზოგმა დარჩენილი ცარიელი ადგილები პირდაპირ ომში წასვლისა და სამშობლოსთვის თავის შეწირვის მოწოდებად ჩათვალა.⁴⁸ ამის გამო ძალიან გააკრიტიკეს საქართველოს ხელისუფლებაც, რომელიც მოცემული მემორიალის დადგმის ინიციატორი და დამფინანსებელი იყო, და ესპანელი არქიტექტორიც.

ალბათ, ყველაზე მეტი სიცხადე მონუმენტის კონცეფციაში საქართველოს პრეზიდენტმა შეიტანა მემორიალის გახსნაზე წარმოთქმული სიტყვით. მან აღნიშნა, რომ ქართველებმა თავი გაწირეს 2008 წლის აგვისტოს ომში და გმირებად იქცნენ. და თუ ეს ქვეყანას დასჭირდება, თავად ისიც და ბევრი ჩვენგანიც კვლავაც გაწირავს თავს ქვეყნის კეთილდღეობისთვის, ეს მემორიალი კი ყველა ასეთი ადამიანის უკვდავყოფას ემსახურება. მემორიალის ბიუჯეტთან დაკავშირებულ კითხვას კი პასუხი თბილისის მერიამ გასცა: მემორიალი გმირთა მოედნის გზის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი 800 მილიონი ლარის ფარგლებში დაფინანსდა,⁴⁹ ანუ გმირთა მონუმენტზე ცალკე თანხები არ დახარჯულა და პრეტენზიის საფუძველიც აღარ არსებობდა.

გმირთა სახელების უკვდავსაყოფად კიდევ ერთი რამ გაკეთდა: “მემორიალის ძირში განთავსდება კაფსულა, რომელშიც ჩაიდება სპეციალური ქალაქი გმირთა სახელებით”.⁵⁰ ეს კიდევ ერთი ხერხი იყო კოლექტიური ტრავმის დაძლევისთვის -

⁴⁸<http://portxlebi.wordpress.com/2011/05/26/26-ma/> (ხელმისაწვდომი იყო 20/05/2012)

⁴⁹<http://www.epn.ge/?p=13072> (ხელმისაწვდომი იყო 25/04/2012)

⁵⁰<http://warreporter.wordpress.com/> (ხელმისაწვდომი იყო 25/04/2012)

ტრავმული მოვლენის კიდევ მეტი სიმბოლიზებისთვის და გმირებისთვის პატივის მისაგებად.

სამშენებლო სამუშაოები განსაკუთრებით სწრაფი ტემპით მიდიოდა. ჯერ ერთი, ახალი გზა ყველასთვის იყო საჭირო, მეორე – გმირთა მონუმენტი 26 მაისს უნდა გაეხსნათ, შესაბამისად, არა მხოლოდ გზის მშენებლობა, არამედ მონუმენტიც რეკორდულ დროში უნდა დაესრულებინათ. როგორც ჩანს, გზის დამგებმა კომპანიამ ზუსტად იცოდა, როდისთვის უნდა ჰქონოდა მზად ახალი გმირთა მოედანი. შეიქმნა სპეციალური ვებ-გვერდი, რომელიც მშენებლობას პირდაპირ რეჟიმში გადასცემდა.⁵¹ ამ ყველაფერს სიმბოლიზური დატვირთვა ჰქონდა.

2010 წლის 26 მაისს გმირთა მონუმენტი გაიხსნის ცერემონია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ომისადმი მიძღვნილი მემორიალები და მონუმენტები საქართველოში 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს იხსნებოდა. ერთია კოლექტიური ტრავმისთვის მიძღვნილი მონუმენტები და მეორე - შესაფერისი დრო მათ გასახსნელად. დამოუკიდებლობის დღე ყველა სახელმწიფოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სახელმწიფოს დამოუკიდებლობა ის ღირებულებაა, რომლისთვისაც ყველანაირ მსხვერპლზე უნდა წავიდეთ. დამოუკიდებლობის დღეს მონუმენტის გახსნა ტრავმული მოვლენის საკრალურობას უსვამს ხაზს და განსაკუთრებულად მნიშვნელოვანს ხდის გაღებულ მსხვერპლს. დამოუკიდებლობის თარიღის გამოყენება სიმბოლიზურ კავშირს ამყარებს 1918 წლის 26 მაისთან, როდესაც საქართველომ რუსეთის იმპერიისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამ ქმედებით წარსულის გამოცდილებასა და აწმყოს ტრავმას შორის „ხიდი გაიღო“. 2008 წლის აგვისტოს ომშიც საქართველო რუსეთს (იგივე მტერს) ებრძოდა დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის.

როგორც ძმათა სასაფლაოს, ასევე გმირთა მონუმენტის გახსნის ცერემონიალსაც დაესწრო ყველა მაღალჩინოსანი. საქართველოს პრეზიდენტი გმირთა მოედანზე სამხედრო ფორმით მივიდა (დანართი, სურ. 10). 26 მაისს საქართველოს პირველი პირი აღნიშნავდა, როგორც რიგითი ქართველი ჯარისკაცი. პრეზიდენტმა, თითქოს, განასახიერა ერთი წლის წინ, ძმათა სასაფლაოს გახსნაზე

⁵¹<http://livefrom.ge/>(ხელმისაწვდომი იყო 15/05/2012)

ნათქვამი თავისივე სიტყვა: “მეც ერთ-ერთი თქვენგანი ვარ”. ამით პრეზიდენტს სურდა ეჩვენებინა, როგორ თანაუგრძნობდა 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულებს და როგორი საამაყო იყო მისთვის რიგითი ქართველი ჯარისკაცის ფორმის ტარება. რიგითი რეზერვისტის ფორმაში ჩაცმულმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ 26 მაისი ოცნებების ასრულების დღეა და აღნიშნა:

“აქ არის 4000 გმირის სახელი. არის ბევრი ცარიელი ადგილიც და ვისურვებდი, რომ აქ გვარები აღარ დაემატოს, მაგრამ თუ გვინდა, რომ არსებობდეს საქართველო, ყველანი მზად უნდა ვიყოთ, ჩავიცვათ ეს ფორმა. უნდა ვიყოთ მზად, გადამწყვეტ მომენტში ავიღოთ ხელში იარაღი და ყველანი უნდა ვიყოთ მზად, დავიცვით ჩვენს მიწაზე და ჩვენი სახელები დაეწეროს მონუმენტის ცარიელ ადგილებზე.”⁵²

საქართველოში ამ დრომდე არ იყო არცერთი ღირსეული მონუმენტი ჩვენი ჯარისკაცების, მემორიალი 1921 წელს დაღუპული იუნკრების, 1924 წლის აჯანყების მეთაურების, 1992-1993 წლებში აფხაზეთში და 2008 წლის აგვისტოში რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულ მეომართა ხსოვნას ეძღვნება. ამ ბიჭებმა, რომელთა სახელებიც ამ მონუმენტზეა ამოტვიფრული, დიდხანს იბრძოლეს საქართველოს ერთიანობისთვის, ისინი მარად დარჩებიან ჩვენს ისტორიაში. 2008 წელს ვლადიმერ პუტინს გეგმა რომ შეესრულებინა, ჩვენ აღვნიშნავდით არა 26 მაისს, არამედ 25 თებერვალს. მე კარგად მახსოვს 2008 წელი და ქართველი ბიჭების სახეები ცხინვალის მისადგომებთან, გორში, ამიტომ მაცვია დღეს მე ჯარისკაცის ფორმა, ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვატაროთ ეს ფორმა და დავიცვათ ჩვენი ქვეყანა მტრისგან.

ამ მონუმენტზე, ქართველების გარდა, სომხების, აზერბაიჯანელების, ებრაელების გვარებიც არის ამოტვიფრული. ისინი ყველანი ქართველები არიან, სომეხი, რომელმაც სისხლით დაიცვა საქართველო, ორმაგად ქართველია. საქართველო ის ქვეყანაა, რომლის გამოც ღირს სიკვდილი.

⁵²<http://www.mod.gov.ge> (ხელმისაწვდომი იყო 25/05/2012)

*ნურასდროს დაგვავიწყდება ჩვენი გმირები და საქართველო. წინ, გამარჯვებისკენ!!!*⁵³

თავის სიტყვაში საქართველოს პირველმა პირმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ყველა სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ქართველების გვერდით იბრძოდა ჩვენი ქვეყნის დასაცავად, რომ ყველა მათგანისთვის რუსეთი საერთო მტერია. აქაც გამოჩნდა საერთო მტრის კონცეფცია და მცდელობა იმისა, რომ ყველა ეთნიკური უმცირესობა გაერთიანებულიყო ქართველებთან ამ მტრის დასამარცხებლად.

პრეზიდენტმა მემორიალის მთავარ ფუნქციად გმირულად დაღუპული ვაჟკაცების არდავიწყება დაასახელა. მან კაფსულა დაღუპულ მეომართა სახელებით თავად მოათავსა მემორიალთან. რა თქმა უნდა, მონუმენტის გახსნას, პირველ პირთან ერთად, სხვა მაღალჩინოსნებიც ესწრებოდნენ. თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებიც არ იყვნენ ჩვეულებრივ ჩაცმული: მინისტრს ოფიციალურად ეცვა, მისმა სხვა კოლეგებმა კი არჩევანი ქართულ ჩოხებზე გააკეთეს. ეს იდენტობის ხაზგასმისთვისა და ქართველობით სიამაყისთვის გაკეთდა.

გახსნის ცერემონიაზე სიტყვა საქართველოს თავდაცვის მაშინდელმა მინისტრმაც წარმოთქვა:

*“ჩვენ ყველანი ვალდებულნი ვართ, დღენიადაგ გვახსოვდეს ეს ბიჭები. მე მინდა ვთქვა, რომ აქ არიან როგორც 2008 წლის აგვისტოში დაღუპული გმირები, ასევე 90-იან წლებსა და უფრო ადრინდელ დროს დაღუპული ჩვენი მეომრები. სწორედ ამ ბიჭების დამსახურებაა, რომ საქართველო დღეს დამოუკიდებელია და ადგას განვითარების გზას”*⁵⁴

გახსნის ცერემონიაზე ესწრებოდნენ დაღუპული ჯარისკაცების ოჯახის წევრები. მაღალჩინოსნების ყურადღება გმირთა მონუმენტს არც გახსნისას და არც შემდეგ მოჰკლებია. გმირთა მოედანი ჩვენი ქალაქის განსაკუთრებულად სიმბოლური ადგილი გახდა.

გმირთა მონუმენტის აღმართვას რამდენიმე მიზანი ჰქონდა:

⁵³<http://www.epn.ge/?p=13072> (ხელმისაწვდომი იყო 15/05/2012)

⁵⁴<http://mod.gov.ge/#> (ხელმისაწვდომი იყო 17/05/2012)

1. პირველ რიგში, ეს საქართველოსთვის შეწირულ ადამიანთა უკვდავსაყოფად გაკეთდა, თუმცა მონუმენტი უფრო 2008 წლის აგვისტოს ომს შეწირულ ახალგაზრდებს დაუკავშირდა, ვიდრე 1924 წლის აჯანყებას ან იუნკრებს. შესაძლოა, ეს გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ მემორიალი 2010 წელს შეიქმნა, ანუ მასთან ქრონოლოგიურად ყველაზე ახლოს სწორედ აგვისტოს ომია. იმავე გმირთა მოედანზე კი აფხაზეთის ომში დაღუპულთა მემორიალიცაა, ანუ გმირთა მონუმენტის მთავარი მიზანი 2008 წლის აგვისტოს ომის დამახსოვრება/შეხსენებაა.
2. მონუმენტზე განთავსდა 1921, 1924, 1992-1993, 2008 წლის მოვლენების მსხვერპლთა სახელები, რაც *ჩვენ* ჯგუფის იდენტობის გამძაფრებას უნდა ემსახურებოდეს. საერთო მტერი, *უცხო*, *სხვა* ჯგუფი *ჩვენ* ჯგუფის იდენტობას ამძაფრებს, საერთო მტრის განცდა კი ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ალბათ, სწორედ ამიტომ შეირჩა ისეთი ისტორიული მოვლენები, რომელშიც საქართველოს მტერი ერთი და იგივე იყო.
3. მომავალი თაობებისთვის გასახსენებელი მოვლენის აღბეჭდვა: საქართველოს პრეზიდენტს თავის გამოსვლებში არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება ისტორიის მნიშვნელობაზე, შესაბამისად, გმირთა მონუმენტი დამახსოვრებისა და მომავალი თაობის განათლების საუკეთესო საშუალებაა.
4. და ბოლოს - ვიზუალიზაცია: მიჩნეულია, რომ რაიმე მოვლენის აღქმა უფრო იოლია, თუ მის ვიზუალიზაციას მოვახდენთ. ამრიგად, გმირთა მონუმენტის შექმნით საქართველომ მოახდინა აგვისტოს ომის ვიზუალიზაცია უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა მოვლენისა. ალბათ, ესეც იყო მიზეზი, რომ გმირთა მონუმენტი უფრო 2008 წელს დაუკავშირდა.

გმირთა მონუმენტს მემორიალის ფუნქცია აქვს, თუმცა ის საინტერესოა როგორც ხელოვნების ნიმუშიც. შეიძლება ითქვას, რომ როგორც მემორიალი, გმირთა მონუმენტი თავის ფუნქციას ასრულებს, თუმცა როგორც ხელოვნების ნიმუში, ის გმირთა მოედანს კომპოზიციურად ნამდვილად ვერ კრავს. ამ

თვალსაზრისით, მას სერიოზულად აკრიტიკებდნენ: მოედანთან, როგორც კონტექსტთან შეუსაბამობის, გამოყენებული მასალის, თავდაპირველი პროექტის შეცვლისას რიგი ფაქტორების გაუთვალისწინებლობის, მემორიალთან მიახლოების პრობლემურობის⁵⁵ და სხვა მიზეზთა გამო. მონუმენტის კონცეფცია ბევრისთვის გაუგებარი დარჩა, თბილისის მოსახლეობას გარკვეული დრო დასჭირდა მასთან შესაგუებლად.

როგორც სიმბოლო, გმირთა მონუმენტი ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან კოლექტიურ ტრავმას უკვდავყოფს. ეს არის მონუმენტი, რომლის შექმნაშიც მთავარი ინციატივა ხელისუფლებას და მმართველ ელიტას ეკუთვნოდა და, ამდენად, ოფიციალურ ნარატივთა რიგს განეკუთვნება. მონუმენტის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ის მრავალი ინტერნეტ-დებატის მთავარი საგანი გახდა, ყოველი დეტალი საჯაროდ განიხილებოდა და დიდ ინტერესს იწვევდა. გმირთა მოედნის ცენტრში აღმართული გმირთა მონუმენტი გამორჩეული გახდა სხვა ნაგებობათა შორის და 2008 წლის აგვისტოს ომი უკვდავყო.

§ 3. წეროვანი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოლექტიურ ტრავმას აუცილებლად ახლავს დანაკარგი. 2008 წლის აგვისტოს ომმა ორგვარი დანაკარგი გამოიწვია: ერთი მხრივ, ესაა ადამიანების სიცოცხლე (ადამიანური დანაკარგი), მეორე მხრივ კი, ის ტერიტორიები, საცხოვრებელი ადგილები, რომელიც ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა აგვისტოს ომის შედეგად დაკარგეს. თუ პირველი დანაკარგის საკრალიზებისთვის შეიქმნა მონუმენტები, მეორე სახის დანაკარგს ანაზღაურება სჭირდებოდა.

მეორე ტიპის დანაკარგი (ადამიანთა საცხოვრებელი ადგილები) ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა. კოლექტიური ტრავმის ჩამოყალიბება იწყება

⁵⁵ ის არ არის ადვილად მისადგომი, ვინაიდან ყველა მხრიდან გზითაა გარშემორტყმული. ეს ფაქტორი განსაკუთრებით მწვავე დავის საგანი გახდა ინტერნეტ-დებატებში. საქმე ისაა, რომ მემორიალის ფუნქციაში ფართო მასებისთვის მომხდარი მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაც შედის. თუ მემორიალთან მოხვედრა ადამიანს გაუჭირდებოდა, მონუმენტის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია შეუსრულებელი დარჩებოდა. მაგრამ არქიტექტორისა და მერიის პოზიცია გამოკვეთილი იყო: მონუმენტთან მისვლა შესაძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ ის ესტაკადის, ანუ ახალი გზის ცენტრში მოთავსდა. მონუმენტის გარშემო გააკეთეს გამწვანება და მონუმენტი კიდევ უფრო გამორჩეული გახდა.

ტრავმაგანცდილი ჯგუფის მიერ მოვლენათა თავისებური აღქმითა და წარმოჩენით. ეს ჯგუფი ტრავმის მატარებელი ჯგუფია (carrier group), ანუ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ტრავმულ მოვლენაში უშუალოდ ჩართული იყო (Alexander 2004: 12). მათთვის ტრავმა განსაკუთრებით მძიმე დასაძლევია, რადგან ამ ჯგუფებს პოსტტრავმული სტრესი მთელი სიმწვავეთ ეხება. ეჭვქვეშ დგება მათი იდენტობა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფროიდისეული ტრავმასთან დაბრუნება და მელანქოლია. ხშირად ადამიანებს უჩნდებათ სურვილი, მუდმივად დარჩნენ ტრავმასთან. ტრავმირებული ადამიანები დაუსრულებელი გლოვის პროცესში ხვდებიან (Freud 1961: 24).

მეორე ტიპის დანაკარგის ანაზღაურებისადვის - ომის შედეგად დევნილთა დასასახლებლად - შეიქმნა რამდენიმე სოფელი, კომპაქტური დასახლება, რომელიც დევნილებს გააერთიანებდა. წეროვანი დევნილთა ერთადერთი დასახლება არ არის, თუმცა ის ყველაზე დიდია. აქ ცხოვრობენ დევნილები ახალგორიდანაც და გორის რაიონის სოფლებიდანაც. წეროვანის განხილვას აგვისტოს ომის, როგორც კოლექტიური ტრავმის, კონტექსტში შევეცდებით.

გაზიარებული გამოცდილება საუკეთესო გარემოს ქმნის კოლექტიური ტრავმის გაანალიზებისა და მისი დაძლევისთვის (Kansteiner 2006: 31). წეროვანის დასახლებამ თავი მოუყარა აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას. აქ მათ საკუთარი ისტორიების ერთმანეთისთვის გაზიარების საშუალება მიეცათ. ტრავმის ერთგულება გულისხმობს მასთან მუდმივი კავშირის დამყარებას მოგონებების, ნივთებისა და სხვა მედიუმების საშუალებით. წეროვანში ტრავმასთან მიბრუნება მუდმივი პროცესია.

კოლექტიური ტრავმა, შესაძლოა, ჯგუფური იდენტობის წყარო გახდეს. ტრავმის მსხვერპლთა შორის სოლიდარობის ხარისხი მაღალია, შესაბამისად, იქმნება „ჩვენ“ ჯგუფი, რომელიც საზოგადოებას გამოეყოფა (Hunt 2010: 34). ასევე ყალიბდება ჯგუფური იდენტობა წეროვანში, რომლის მაცხოვრებლები დანარჩენი საზოგადოებისთვის დევნილები არიან. თავად სოფელი სხვადასხვა უბნად იყოფა, თუმცა საზოგადოებრივის ისინი 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დევნილები არიან.

ფართო ჯგუფის ტრავმა განაპირობებს ტრავმის მატარებელი ჯგუფის განსხვავებულ ქმედებას: ისინი მუდმივად აპირისპირებენ საკუთარ თავს მოწინააღმდეგესთან (Volkan 1988: 54). ასევე იქცევიან წეროვანის მაცხოვრებლები: ისინი რუსებში მტერს ხედავენ და საკუთარ თავთან აპირისპირებენ. ისინი მოწინააღმდეგე მხარის დემონიზებას ახდენენ და მათ ყველა უარყოფით თვისებას მიაწერენ.

ტრავმასთან შერიგება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი ან ინდივიდი აანალიზებს, რომ მომხდარი წარსულში დარჩა. ჯგუფი ან ინდივიდი ხედავს მომავალ შესაძლებლობებს. მართალია, ტრავმული გამოცდილება მასთან რჩება, თუმცა ტრავმასთან შერიგება რესოციალიზაციის წინაპირობაა (LaCapra 2001: 45). ეს ნიშანი ნათლად ჩანს წეროვანის დასახლებაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღმოსავლური და დასავლური კულტურები ტრავმაზე პასუხით განსხვავდებიან (Lebow 2001: 78). აღმოსავლური კულტურისთვის დამახასიათებელია გლოვისა და მელანქოლიის ხანგრძლივი პროცესი. მომავალი თაობებისთვის ტრავმული გამოცდილების ზედმიწევნით ზუსტად გადაცემა. ამ ტენდენციას ჩვენ ვხვდებით წეროვანში, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ჩვენს საკვლევ დასახლებას.

მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანში მშენებლობა სწრაფი ტემპით წარიმართა. აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულ 25 ათას ადამიანს საცხოვრებელი სჭირდებოდა. 2008 წლის ნოემბერ-დეკემბერში სულ აშენდა 2002 კოტეჯი, რომელშიც 6 ათას 593 ადამიანი დაასახლეს.⁵⁶ ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ ჩატარებულ კვლევაში ვკითხულობთ, რომ კოტეჯების აშენებასა და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობაზე დახარჯული თანხა მთლიანად 133,3 მილიონ ლარს შეადგენს. როგორც ცნობილია, ამ კოტეჯების მშენებლობა ომის დასრულებიდან ორ თვეში დაპროექტდა და მათი მშენებლობაც რეკორდულ დროში დასრულდა⁵⁷.

დევნილები მათ ყოფილ სახლებთან ახლოს დააბინავეს. დაკარგულ სახლთან ფიზიკური სიახლოვე შეამსუბუქებს სტრესს და ქმნის სწრაფად დაბრუნების იმედს.

⁵⁶http://www.idp.ge/geo/index.php?option=com_content&view=category&layout=blog&id=28&Itemid=72&lang=ka (ხელმისაწვდომი იყო 04/11/2014)

⁵⁷იქვე.

დიდი ყურადღება მიექცა სახლების დიზაინს. ყველა სახლი ერთნაირია (რათა რომელიმე საცხოვრებელმა უთანასწორობის განცდა არ წარმოშვას). ყველა მათგანი ღია ფერადაა შეღებილი: ღია ფერებით დევენილთა ცხოვრებაში მეტი იმედი და სიცოცხლის ხალისი უნდა შემოსულიყო. ღია ფერებს ამ შემთხვევაში ერთგვარი ფსიქოლოგიური და თერაპიული დატვირთვა აქვს.

სახლების რიგებს და თავად სახლებსაც ერთმანეთისგან ნომრები განასხვავებს. სოფელ წეროვანში ყველაფერი უნიფიცირებულია, ყველაფერი გაერთგვაროვნებულია და შექმნილია იმისთვის, რომ არავინ გამოირჩეს. აქ ყველა ერთნაირია – ყველა 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დევენილია. გარეშე მაყურებლისთვისაც ყველა მათგანი 2008 წლის ომის შედეგად დაზარალებულია. ცოტამ თუ იცის, რომ წეროვანში მაცხოვრებელთა შორისაც ორი „ჩვენ“ ჯგუფი გამოიყოფა: ნაკლებად დაზარალებული ახალგორელები და მეტად ტრავმირებულები გორის რაიონიდან (ქენქაძე 2013: 21): როგორც თავად დევენილები აღნიშნავენ, *„მათ უფრო მეტი ტკივილი ჰქონდათ გადატანილი, ვიდრე ჩვენ (ახალგორელებს)“*; *„ისინი უფრო დაზარალებულები იყვნენ, მათ ყველაფერი დაკარგეს“* (ქენქაძე 2013: 22). დევენილთა იდენტობამ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მკვეთრი ცვლილება განიცადა: მთელი საზოგადოებისთვის ისინი დევენილები გახდნენ, ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, სად ცხოვრობდნენ ისინი ომამდე; მაგრამ ამან მნიშვნელობა შეინარჩუნა თავად დევენილებისათვის, რომლებიც თავიანთი ძველი იდენტობის შენარჩუნებას ცდილობენ: დანომრილ უბნებს სახელები თავად დევენილებმა შეარქვეს; აქ ნახავთ „ერედველების“, „ახალგორელების“ და სხვათა უბნებს.

პოსტტრავმული სტრესი გავლენას ახდენს და აწუხებს არა მხოლოდ კოლექტიური ტრავმის მონაწილე უფროსი თაობის წარმომადგენლებს, არამედ წეროვანის მცირეწლოვან მაცხოვრებლებსაც. აქ არ აღუმართავთ მემორიალი, თუმცა, ზეპირი ისტორიების წყალობით, ომის დეტალები ყველა ბავშვმა იცის. მრავალი მათგანი წეროვანში ომის მოგონებებით ან ომზე მონაყოლით ცხოვრობს. მათი საყვარელი თამაში ომობანაა, პატარების ნაწილს კი ყველაზე მეტად იარაღი უყვარს: *„ბაღში ვთამაშობ ხოლმე, სამხედრო თვითმფრინავიც მყავს და ტანკიც. დიდი რომ*

გავიზრდები, ნამდვილი თოფი უნდა ვიყიდო“, ამბობს 4 წლის პაატა (იხ. დანართი, სურ. 13, 14).⁵⁸

„ეს ომი მუდამ დარჩება ისტორიაში და თაობიდან თაობებს გადაეცემა“.

„მე ისეთი განცდა მაქვს, რომ ჩემს შთამომავლობას არასოდეს დაავიწყდება ეს ომი“.

„არა, ეს ომი არ დაავიწყდებათ. მით უმეტეს, სანამ არ დავბრუნდებით“.

„გავატარე ლალი ბავშვობა, მაგრამ აგვისტოში დაიწყო ომი“.

„ჩემი შვილი, რომელიც მხოლოდ 5 წლის არის, ხშირად ტირის ხოლმე, აჩაბეთში მინდაო“.

„ჩემი შვილიშვილი 8 თვის იყო, იქაურობა რომ დავტოვეთ. ახლა გვეუბნება ხოლმე - როგორ მენატრება ერედვიო. მას, რა თქმა უნდა, არ ახსოვს, მაგრამ ჩვენ ვუყვებით ხოლმე“ (ქენქაძე 2013: 5), - ასე აღწერენ ამ საკითხისადმი დამოკიდებულებას წეროვანში დასახლებული დევნილები.

სახლს უკავშირდება წეროვანელი ბავშვების სურვილების უმეტესობაც - იმას, რაც ძალიან ბუნდოვნად ახსოვთ, მაგრამ სჯერათ, რომ უკეთესია.⁵⁹ დევნილთა დასახლებებში ყველა ბავშვის ისტორია ერთმანეთს ჰგავს, ახალმა თაობამ აგვისტოს ომის შესახებ მონაყოლით იცის, ამიტომ ისინი ვრცლად ვერ საუბრობენ ომის გამოცდილების თაობაზე: „რომელიღაც სახლთან გუნდად შეკრებილან უფროსკლასელები. ბავშვებს სათქმელი მაინცდამაინც დიდი არაფერი აღმოაჩნდათ. ადგილობრივ პირობებს შეეგუვნენ; სკოლაში დაიწყეს სიარული; მეგობრები გაიჩინეს. მოკლედ როგორღაც ფეხი აუწყვეს ახალ ცხოვრებას... პასუხები არც ისე მრავალფეროვანია, მათი ისტორია კი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. თანაც მომეჩვენა, რომ უკვე შეეგუვნენ იმ ამბავს, რომ ძველ სახლში ვეღარ დაბრუნდებიან. ისე

⁵⁸<http://mariakhsiasvili.wordpress.com/tag/> (მარია ხისიაშვილის ბლოგი, ხელმისაწვდომი იყო 17/05/2012)

⁵⁹http://www.tavisuplebaschool.ge/index.php?option=com_content&view=article&id=210:2013-03-05-122352&catid=47:press&Itemid=131#.VO6w5nyUfoE (ხელმისაწვდომი იყო 11/01/2015).

წეროვანაში მათთვის გასართობი ცენტრიც არის და სხვადასხვა სპორტის სახეობებზეც დადიან.⁶⁰

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დევნილები, ტრავმის შედეგად დაზარალებულები ერთად დააბინავენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ტრავმული გამოცდილების კოლექტიურად დაძლევა შედარებით იოლია. აქ მცხოვრები ადამიანები კოლექტიური ტრავმის მსხვერპლნი არიან, მათ გაზიარებული წარსული აკავშირებთ. დევნილთა საკითხზე მომუშავე ანთროპოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ელიზაბეთ დანი ამბობს: „როცა დევნილი ხდები, კარგავ არა მარტო მატერიალურ ქონებას, ყანას, საქონელს ან სახლს, ამავე დროს, კარგავ ყველაფერს, რაც საზოგადოებაში შენს ადგილს განსაზღვრავდა“.⁶¹ წეროვანაში მყოფი დევნილების იდენტობა კოლექტიური ტრავმის წყალობით ერთმანეთს დაუკავშირდა. მათ საზიარო ისტორია აკავშირებთ. წლების მანძილზე დევნილები ერთმანეთს ეხმარებიან ტრავმის დაძლევაში. დროსთან ერთად წეროვანის მოსახლეობა ცალკე ჯგუფად ჩამოყალიბდა საზოგადოების შიგნით.

დევნილთა საერთო სასაუბრო თემა 2008 წლის აგვისტოს ომია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრავმაზე საუბარი მისი დაძლევის ერთ-ერთი წინაპირობაა. ისინი ერთმანეთს უზიარებენ ტრავმულ გამოცდილებას და დევნილთა ერთად ყოფნა კოლექტიურ გლოვას ემსგავსება. *„წეროვანის შუა დასახლებაში ერთი დიდი ხე დგას. იმ ხის ქვეშ იყრიან ხოლმე თავს და ლაპარაკობენ. სადარდებელი რამდენი აქვთ, ვინ მოთვლის.“*⁶² ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დევნილთა ერთად ჩასახლება დადებითია მათივე რეაბილიტაციისთვის.

„საუბრობთ თუ არა ხშირად ამ ომით გამოწვეულ ტკივილზე? ამ კითხვაზე დევნილების პასუხები არაერთგვაროვანი იყო. ზოგიერთი ამბობდა, რომ ამ თემაზე დევნილ მოსახლეობაში თითქმის ყოველდღიურად საუბრობენ:

„თავიდან უფრო მეტს ვსაუბრობდით, მაგრამ ახლაც ხშირად ვსაუბრობთ“.

„ხშირად ვსაუბრობთ. გუშინაც ვისხედით და ვსაუბრობდით ამ თემაზე“.

„საკმაოდ ხშირად გვიწევს ამ თემაზე საუბარი“.

⁶⁰<http://studinfo.edu.aris.ge/2013/11/20/werovani-5-wlis-shemdeg/> (ხელმისაწვდომი იყო 15/03/2015)

⁶¹<http://liberali.ge/gza-tavshesapridan-sakhlamde> (სტატია, ხელმისაწვდომი იყო 17/05/2012)

⁶²<http://www.kvirispalitra.ge/public/956-tserovani-ckhadshi-dabrunebamde-unda-gavudzloth.html> (ხელმისაწვდომი იყო 15/02/2015)

„ყოველდღე ვსხედვართ და გულს ვიფხანთ ხოლმე მეზობლები“.

„სულ ვსაუბრობთ. თანდათან კიდევ უფრო გვენატრება და უფრო ხშირად ვსაუბრობთ“.

დევნილთა ნაწილი პასუხობდა, რომ ცდილობს საერთოდ არ ისაუბროს ამ თემაზე (ქენქაძე 2013:15). ტრავმის უგულვებლყოფა/იგნორირება პოსტტრავმული სტრესის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია (Sztompka 2001: 28).

„წეროვანის „ახალი“ დასახლების ბინადარნი, ძირითადად, წარსულს იხსენებენ - იმ დროს, როცა არცთუ ისე უდარდელი და იოლი ცხოვრება ჰქონდათ, თუმცა, როგორც ამბობენ, მაშინ საკუთარ მიწაზე მაინც ცხოვრობდნენ. უკლებლივ ყველას, ვინც დღეს წეროვანის „ველზე“ ცხოვრობს, ძალიან უნდა შინ დაბრუნება.

“ჩემი მიწა-წყალი დავტოვე იქ, ჩემი სახლის დარჩენილი საძირკველი მირჩენია აქ სასახლეებს“.

„ჩემი მამაპაპეული ადგილი დავკარგე“.

„გული მწყდება, რომ დავკარგეთ ახალგორი, სადაც დავიბადეთ და გავიზარდეთ“ (ქენქაძე 2013: 14).

„ჩემთან, სოფელში ჩიტის რძე რო მოგეკითხა, მქონდა... სულ გადამიბუგეს ყველაფერი. ეხლა ვაშლი მენატრება. აი, ნერგები კი იყიდა ბიჭმა. ეს ვაშლია, ესეც ატამი, ეს კიდევ ლენკროტს რომ ეძახიან, ალუჩა... ბავშვმა მომიკითხა ამას წინათ, - აბა, ეს რა სოფელია, ეს რა სახლია, არაფერი გვაქვს. ყველაფერი იქ დაგვრჩა - ალუჩაც, ატამიცა და ბალიცაო. ხილი რა სახსენებელია, ჩემს სოფელში გავლა-გამოვლა ოცნებად მაქვს.

კარგად ვცხოვრობდი, ჰექტარნახევარზე ხილის ბაღი მქონდა გამწვანებული, კომბაინი გვეყვანდა, სამხიდიანი გვეყვანდა. სახლი გვექონდა დიდი, მამაჩემი არ ისვენებდა, კიდევ უნდა მივუმატოო, გასართობი რა გვექონდა? თამარაშენში აგვიშენა პრეზიდენტმა კლუბი გასართობად... დაგვამხვეს კიდევ თავზე რუსებმა. მთელი ზაფხული ვმუშაობდი, მთელი ზამთარი წელი მტკიოდა. ნეტა იმ დროს!.. ახლა წელმა დაისვენა და გული სკდება. გვერდები მტკივა უსაქმობისაგან“⁶³.

⁶³<http://www.kvirispalitra.ge/public/956-tserovani-ckhadshi-dabrunebamde-unda-gavudzloth.html>
(ხელმისაწვდომი იყო 15/02/2015).

საქართველოს მთავრობის მონაცემებით, 2008 წლის ოქტომბრისათვის კოლექტიურ ცენტრებსა თუ ნათესავენთან დარჩა ლიახვისა და კოდორის ხეობებიდან ადგილნაცვალი დაახლოებით 36,000 დაზარალებული ადამიანი, 21,949 – თბილისში და 15,448 – საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებული მონაცემებით, იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა 26,264 ადამიანია, მათგან 20,800 პირმა მიიღო საცხოვრებელი ახალ დასახლებაში (სულ 38 ახალი დასახლებაა), 4,100 ცხოვრობს თბილისში, კვლავ კოლექტიურ ცენტრებში, 1,364 კი – რუსთავეში, გორსა და ქუთაისში, ასევე კოლექტიურ ცენტრებში.⁶⁴

დომინანტი ნარატივის, „გმირის“ განხილვისას ჩვენ უკვე შეგვხვდა მსხვერპლის მცდელობა - ზებუნებრივი იერი მიეცა მომხდარი ამბებისთვის. ჰოროვიცის მიხედვით, ტრავმის სიზმარში ნახვა პოსტტრავმული სტრესის ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი ნიშანია (Horowitz 1997: 37). სიზმრები ტრავმაზე აწუხებდა აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს. გამონაკლისი არც წეროვანის მაცხოვრებლები არიან.

„დამეძინება და ვხედავ, ჩემს საქონელს მივდექ, საძოვარზე მივერეკები, თან სარწყავის დარდი მაქვს - ბაღში უნდა გადავაგდო... გამომეღვიძება, მეტირება... ისევ თვალს ვხუჭავ, სიზმარი მაინც გაგრძელდეს, რო არ დამავიწყდეს, როგორ ვიღლიდი მარჯვენას. ახლა იქით გაიხედავ - მაგისტრალი გადის, მიწის დამუშავება გეკრძალებათო... თორე ზოგმა იყოჩაღა, მოხნა. დაატოვებინეს - არ შეიძლებაო. ჯაგნარში გადავიდა ზოგი - გავჩეხავთ, ხახვს მაინც დავრგავთო... ეგ მიწა სხვისიაო“⁶⁵.

„წუხელისაც სიზმარში იქ ვიყავი.“

„ყოველ ღამეს სიზმარში სულ იქ ვარ.“

„ყოველ ღამით სიზმარში ვხედავ ჩემს სოფელს“ (ქენქაძე 2013: 16).

დეპრესიისა და მელანქოლიის დანახვა ამ ადამიანების ინტერვიუებში ადვილად შეიძლება. ტრავმის უგულვებელყოფის გვერდით კი გვხვდება ტრავმის აღიარებისა და მასთან შეგუების შემთხვევებიც. აშკარაა დევნილთა დისკომფორტი

⁶⁴<http://www.ireporter.ge/%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%90%E1%83>(ხელმისაწვდომი იყო 13/02/2015).

⁶⁵იქვე.

ახალ გარემოში. თავდაპირველ დეზორიენტაციას (ერთნაირ სახლებში ცხოვრებამ მათ საკუთარი სახლის ცნობა გაურთულა) თან ერთვის სხვა პრობლემები, რაც ისედაც უცხო ტერიტორიას უფრო არასასურველს ხდის.

„რომ გვენატრება, ნაღია, მაგრამ რა ვქნათ. ვის არ მოენატრება, შვილო, თავისი ხელით ჩარგული ხეები. წყაროები მკლავს, წყაროები მადარდებს, გაივლიდი, ყოველ ნაბიჯზე წყარო გქონდა. საცა გინდა, დამჯდარიყავი, პური გეჭამა წესიერად. აქ რომ მოვედი, მაღლიდან რო გადმოვიხედე, ფუტკრის სკები მეგონენ. ახალი მოსულები რო ვიყავით, ძლივს ვაგნებდით სახლსა. ახლა კიდევა გველებიო, ვილაცას გველი უნახავს სახლში... გველილა გვაკლია, ისედაც გაძლებაზე ვართ, შვილო.18 წელი ვინახეთ ხეობა და ნახევარ საათში გადმოგვრეკეს. 63 წელი გავატარე დიდი ლიახვის ხეობაში, ერთი წელია, აქა ვარ, მაგრამ აქა ვარ ტყვეობაში. დატყვევებული ვარ, მა რა ვარ!“⁶⁶

მოსახლეობა თავად ამბობს, რომ მომხდარი მოვლენები მათთვის მოულოდნელი და შოკისმომგვრელი იყო. ადგილობრივები „სხვა ჯგუფსაც“ განსაზღვრავენ: ესენი რუსები არიან, რომლებიც ოსებს ფულს უხდიდნენ.

„ეგრეა, მიწას ხელით რო შეეხები, სუ მამა-პაპით არ არის გასისხლული? - დინჯად ამბობს ვახტანგ გუნდიშვილი, - იმას მოვიფიქრებდი, სიბერის დროს გამომადგებდნენ სახლიდან? პაპაჩემის პაპა სახლში მოეკლათ ოსებს, ადრე უარესი იყო. მაგრამ შიში ახლა მეტია. მაშინ ჯოხებითა და დანებით ხოცავდნენ ხალხს. ახლა ავტომატი ჰქონდა ყველა ოსის ოჯახს. ოსებს მიწაზე შრომა არ უყვარდათ. მარტო საქონელსა ზრდიდნენ. რუსები ფულს უხდიდნენ განა მარტო კოკოითსა, ხალხსაცა. იმიტო იყვნენ იმისკენ. ოსები ხედავდნენ, ჩვენი მთავრობა მარტო ადგილობრივ სანაკოვეის მთავრობას აჭმევდა. იმიტომაც გაიჩიეს რუსეთისკენ. აბა, ეხლა ხო გამოჩნდა, ვინ ვინ არის? ომი რო დაიწყო, პირველი ჩვენი მთავრობის ხალხი გამოიქცა“ (ჯიყაშვილი 2009).

ზოგისთვის ტრავმის დაძლევა სხვებზე რთულია, ისინი უიმედოდ არიან.

⁶⁶ იქვე.

„69 წელი რაც ვიშრომე, ვიშოვე - ნახევარ საათში დავტოვე ყველაფერი, - მეუბნება და თოხის ტარს ეყრდნობა, მერე სხვებივით ისიც ოცნებას მიჰყვება: - ნეტავი იქ დამსვა, ჩემს სოფელში... ტერეზას კაკლებს ვეძახდით, იმის ქვეშ გვიყვარდა შეკრება. ნეტავ იმ დროს! აქ რომ დაგვასახლეს, თავიდან ძნელი იყო, ახლა თვალი მიეჩვია. გული ვერ ეჩვევა ჯერ... დაბრუნების იმედი ჰადაჰა, ძლივსდაძლივს გვაქვს. ეგრეა ცხოვრება. რუსი თავისას გაკვივის. ჩვენ კიდე სიზმრებს ვხედავთ, სიზმრებში ვბრუნდებით!“⁶⁷

წეროვანის დასახლებისთვის საგანგებოდ აიგო სკოლა იმ ბავშვებისთვის, რომლებიც საგანმანათლებლო სივრცეს მოსწყდნენ. ამავე დროს, სკოლის გახსნა წეროვანში იმის საწინდარი იყო, რომ დევნილები ცხოვრების ჩვეულ პრაქტიკას დაუბრუნდებოდნენ. კოლექტიური ტრავმის დასაძლევად და იმისთვის, რომ დევნილებს რესოციალიზაციის პროცესი ეფექტურად წარემართათ, საჭირო იყო შთაბეჭდილების შექმნა, რომ სახლი ახლოს იყო და რომ ცხოვრება ჩვეულებრივ უნდა გაეგრძელებინათ. სოფელ წეროვანის საჯარო სკოლა 2009 წელს, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, TBC ბანკის TBC ფონდის, აგრეთვე დონორების თანამონაწილეობით აშენდა. სკოლის მშენებლობა 2008 წლის ნოემბერში დაიწყო და 10 თვეში დასრულდა. საქართველოს პრეზიდენტმა ახალი სასწავლო წლის დაწყება ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ მოსწავლეებს სოფელ წეროვანის ახლადაშენებულ სკოლაში პირადად მიულოცა... სკოლის ყველა პირველკლასელს დაურიგდა სასკოლო წიგნები და ჩანთები. ასევე სასკოლო სახელმძღვანელოებით დასაჩუქრდა წეროვანის სკოლის ყველა მოსწავლე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სკოლა ახალი მერხებით, 2 კომპიუტერული კლასით და უკაბელო ინტერნეტით აღჭურვა. TBC ფონდმა შეიძინა ქიმია-ბიოლოგიისა და ფიზიკის უახლესი ლაბორატორიები და საოფისე ინვენტარი. სკოლა უზრუნველყოფილია თანამედროვე ტიპის სპორტული დარბაზითა და სასადილოთი... პრეზიდენტმა ოქროსა და ვერცხლის მედლებით დააჯილდოვა რუსეთის აგრესიის შედეგად ოკუპირებული ტერიტორიებიდან დროებით გადაადგილებული მოსწავლეები, რომლებმაც წარჩინებით დაამთავრეს სკოლა 2009 წელს. სკოლის გახსნის

⁶⁷<http://www.kvirispalitra.ge/public/956-tserovani-ckhadshi-dabrunebamde-unda-gavudzloth.html>
(ხელმისაწვდომი იყო 15/02/2015).

ცერემონიას დაესწრნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ირინე ქურდაძე, TBC ბანკის გენერალური დირექტორი მამუკა ხაზარაძე, TBC ფონდის დირექტორი ნინო დარჩიაშვილი, ასევე დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.⁶⁸

ტრავმის დაძლევისა და დევნილთა რეზილიტაციას ემსახურებოდა ახალგაზრდული ანსამბლის ჩამოყალიბებაც. 2009 წელს წეროვანში შეიქმნა ანსამბლი „ქორალი“. „ქორალი“ ლათინური სიტყვაა და გუნდურ საგალობელს ნიშნავს. წეროვანში მცხოვრები ბავშვები ერთიან ჯგუფად აღიქმებიან. მათთვის ყველაზე ახლოს სწორედ მათთან ერთად მცხოვრები ბავშვების განცდები და ცხოვრების წესია. ამიტომ არ გვიკვირს, რომ დევნილებმა თავისი იდენტობის ხაზგასმა დაიწყეს და ამისთვის სხვადასხვა ხერხს მიმართეს. ერთ-ერთი მათ შორის მუსიკალური ანსამბლის ჩამოყალიბება იყო.

“ჩვენი ანსამბლი უკვე 3 წლისაა. ის დევნილ ბავშვთა ბაზაზე დავაფუძნეთ. აქ თითქმის ყველა ასაკის ბავშვი დადის, ისინი მონდომებით მეცადინეობენ, რის შედეგადაც ანსამბლმა უკვე სახელი მოიხვეჭა. დღემდე არაერთ კონკურსსა და ფესტივალზე მივიღეთ მონაწილეობა და მიხარია, რომ ხელმოცარულები არასოდეს დავბრუნებულვართ. განსაკუთრებით გასული წლის შედეგებია აღსანიშნავი, როდესაც ევროპის 12 ქვეყანას შორის გამართულ კონკერტზე ჩვენმა ანსამბლმა პირველი ადგილი აიღო. 26 ივნისს მივდივართ თურქეთში ქალაქ ალანიაში, სადაც გაიმართება ფესტივალი და ვნახოთ, შედეგებს დაველოდებით”, – განაცხადა ანსამბლის დამფუძნებელმა. „მოსწავლეების გარდა, გასტროლებზე წასვლა მშობლებსაც უხარიათ – სურთ, რომ მათი შვილები ღირსეული და წარმატებული ქართველები გაიზარდონ“.⁶⁹

წეროვანის მოსახლეობამ გადაწყვიტა საკუთარი საფეხბურთო გუნდიც შეექმნა. წეროვანი და კოდა დევნილთა ორი ყველაზე დიდი დასახლებაა, შესაბამისად, მათ ორი საფეხბურთო გუნდი ჰყავთ, რომლებიც ძირითადად სკოლის

⁶⁸http://www.mes.gov.ge/old/index.php?module=multi&page=detals&multi_id=1&id=1842 (ხელმისაწვდომი იყო 11/03/2015)

⁶⁹<http://reporter.ge/devnilta-ansambli-qorul/> (ხელმისაწვდომი იყო 11/03/2015)

მოსწავლეებითაა დაკომპლექტებული. ორივე გუნდი მონაწილეობს სხვადასხვა სპორტულ ჩემპიონატებში.⁷⁰

ომის შემდეგ 7 წელი გავიდა. წეროვანის დასახლებაში მცირედი ცვლილებები მოხდა, თუმცა ის მაინც დევნილთა დასახლებად რჩება. აქ არის აფთიაქი, კაფე-ბარები და გასართობი ცენტრი. ადგილობრივები კი ყოველდღე იკრიბებიან და საუბრობენ.

„უკვე 5 წელია გასული ომიდან. სახლები რაღაცნაირად შეცვლილია. ბევრმა ლტოლვილმა, რომლებმაც აქაურობას თავი ვერ დააღწიეს, გადაწყვიტა სახლი გაეფართოვებინა. ის გეომეტრიული სიმეტრია, რომელიც დასახლების გაჩენისას ასე თვალშისაცემი იყო, ნელ-ნელა ირღვევა. სახლებს გარშემო ბაღები აკვრია. ზოგან ვენახია გაშენებული, ზოგან ხეხილი, ზოგ სახლსაც კი ლამაზი ყვავილები ამშვენებს და ამ დასახლებას ცოტა ლაზათს სძენს. აქ ყველა სახლის თავზე დაინახავთ სატელიტურ თევშებს, რომლებიც სახელმწიფომ დევნილებს დაურიგა. დავდივართ წეროვანის ქუჩებში და ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ყველაფერი მეორდება: სახლები, რომლების უმრავლესობასაც დამატებით აქვს რაღაც მიშენებული; თოკზე გაფენილი ტანსაცმელი, რომელიც ცხადად მიგვანიშნებს, რომ იქ ვიღაც ცხოვრობს; აქა-იქ მოთამაშე ბავშვები, რომლებსაც ბედნიერი სახეები არ აქვთ და დაუძლურებული მოხუცები, რომლებსაც სახელმწიფოს დახმარების იმედი გადაეწურათ,“⁷¹ აღნიშნავს ჟურნალისტი გურანდა ძამელაშვილი.

სოფელ წეროვანის მნიშვნელობა მხოლოდ აგვისტოს ომის გახსენებითა და საკრალიზებით არ შემოიფარგლება. არც ის არის შემთხვევითი, რომ დევნილთა სოფელი გზასთან ახლოსაა. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგების დანახვა ცოცხალ მაგალითზეა შესაძლებელი. პირდაპირ სამანქანე გზასთან მდებარე სოფელი ნათლად აჩვენებს დევნილთა გასაჭირს და მომავალი თაობებისთვის საგანმანათლებლო ფუნქციასაც ასრულებს. ამრიგად, წეროვანი არა მხოლოდ დევნილთა საცხოვრებელია აგვისტოს ომის შემდეგ, არამედ მოდელია, რომელიც ყველა ადამიანს უქმნის წარმოდგენას 2008 წლის აგვისტოს ომზე. წეროვანი, ერთი მხრივ, კოლექტიური ტრავმის შედეგის ნათელი ამსახველია, ხოლო მეორე მხრივ,

⁷⁰<http://soff.ge/index.php?show=330> (ხელმისაწვდომი იყო 11/03/2015)

⁷¹<http://studinfo.edu.aris.ge/2013/11/20/werovani-5-wlis-shemdeg/> (ხელმისაწვდომი იყო 15/05/2015)

კოლექტიური ტრავმის დამლევსთვის შექმნილი დასახლებაა. მასში კომპაქტურად დასახლებული დევნილები კოლექტიური თერაპიის ნაწილი ხდებიან.

ცნობილია, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში კოლექტიური ტრავმის მსხვერპლთა ჩასახლება კომპაქტურად ხდება. ქარიშხალ კატრინას შემდეგ, 2005 წელს, შეერთებულ შტატებში 35,000-ზე მეტი ადამიანის ევაკუაცია მოხდა. ქარიშხლის ჩადგომის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება დევნილთა კომპაქტური დასახლების შესახებ. შედეგად შეიქმნა შელბის ბანაკი მისისიპიში, სადაც 35,000 დევნილი ერთად ჩასახლეს. ამ ნაბიჯმა მოსახლეობის მწვავე კრიტიკა გამოიწვია, თუმცა მთავრობამ პოზიციები არ დათმო, განაცხადა რა, რომ დევნილებს ასე უფრო გაუადვილდებოდათ რე-სოციალიზაციის პროცესი.⁷²

მოცემული მაგალითი ნათელს ხდის პოსტ-ტრავმული სტრესის დამლევს ერთ-ერთ სტრატეგიას - ეს არის კომპაქტური დასახლებების შექმნა კოლექტიური ტრავმის მსხვერპლთათვის. ამავე დროს, ეს ერთგვარი მეხსიერების ადგილია, რომელიც მომხდარის შესახებ ინფორმაციას აწვდის მათ, ვისაც ეს ინფორმაცია არ აქვს.

კოლექტიური ტრავმისა და მისი დამლევს განხილვისას ყურადღება უნდა მივაქციოთ კიდევ ერთი ტიპის მეხსიერების ადგილებს - ფოტოგამოფენათა სერიას სახელწოდებით „ავისტოს ომი“.

⁷²http://en.wikipedia.org/wiki/Hurricane_Katrina#Government_response (ხელმისაწვდომი იყო 26/05/2015)

თავი 4. ტრავმის დაძლევის სხვა ხერხები

§ 1. ფოტოგამოფენა „აგვისტოს ომი“

ანთროპოლოგი ბელტინგი აღნიშნავდა, რომ ფოტოებს განსაკუთრებული ძალა აქვთ. ისინი მედიუმები არიან, რომლებიც დანაკარგის განცდას ანაზღაურებენ და გადააქცევენ მას სხვა სახის ყოფნად. ფოტოები ძალიან საინტერესო მედიუმებია. ისინი მუდმივად შეგვახსენებენ მომხდარ მოვლენას და, ამავე დროს, ინფორმაციის წყაროს წარმოადგენენ მომავალი თაობებისთვის.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რამდენიმე ფოტოგამოფენა მოეწყო. 2013 წლის 8 აგვისტოს ოკუპაციის მუზეუმში გაიხსნა აგვისტოს ომისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა. აქ ისევ უნდა გავიხსენოთ ევიათარ ზერუბაველი და „ხიდის გადება“ წარსულთან. აგვისტოს ომის ფოტოგამოფენისთვის შეირჩა სიმბლური ადგილი: ოკუპაციის მუზეუმი. ამით ფოტოგამოფენა სიმბოლურად დაუკავშირდა ოკუპაციას.

„საქართველოს ოკუპაციის მუზეუმში ფოტოგამოფენა სახელწოდებით "2008 წლის აგვისტოს ომი" გაიხსნა. რუსეთ-საქართველოს ომის ხუთი წლისთავზე ოკუპაციის მუზეუმში წარმოდგენილია საომარი მოქმედებების დროს კონფლიქტის ზონაში მყოფი ფოტორეპორტიორების გიორგი აბდალაძის, ირაკლი გედენიძის, ივანე შლამოვის და ზურაბ ქურციკიძის ფოტომასალა, რომელსაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს და ომში დაღუპულ ჟურნალისტებს ეძღვნება.“⁷³

„სახეები, რომლებსაც ამ ფოტოებზე ვხედავთ, სამხედროები, ჩვენი მოწინააღმდეგეები, შეგვახსენებენ ერთადერთს: რომ ისტორიიდან უნდა გამოვიტანოთ სწორი დასკვნები და მე დარწმუნებული ვარ, ჩვენი მეომრების მხედრული სული, რომელიც გაუტეხელი იყო ასწლეულების მანძილზე, მომავალშიც იქნება საფუძველი ჩვენი ქვეყნის განვითარების, ჩვენი დამოუკიდებლობის შენარჩუნების. ვიდრე ჩვენი დაჭრილი სხეული არ გამთელდება, მანამდე ჩვენი ყველას უპირველესი მოვალეობაა დეოკუპაციაზე ზრუნვა, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობაზე ზრუნვა,“⁷⁴ - განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა. თავისი სიტყვით მან ხაზი გაუსვა ჩვენი გმირების დაპირისპირებას

⁷³ <http://www.palitrav.ge/akhali-ambebi/sazogadoeba/34407-2008-tslis-agvistos-omi-4-fotoreportioris-thvalith-gamofena-okupaciis-muzeumshi.html> (ხელმისაწვდომი იყო 13/08/2015)

⁷⁴ იქვე.

უცხო, დამპყრობლურ ძალებთან, უპირველეს მოვალეობად კი ოკუპანტებისგან გათავისუფლება დასახა.

მინისტრის სიტყვაში ჩანს პოსტტრავმული სტრესის რამდენიმე ნიშანი: იგი საუბრობს ჩვენი ძალების გმირობაზე და სხვების ოკუპანტობაზე; ხაზს უსვამს, რომ მომხდარი ჩვენ არასოდეს დაგვავიწყდება და იქამდე ვერ ვიქნებით შემდგარი ქვეყანა (ნახსენებია, რომ საქართველო ამ წუთას დაჭრილია), სანამ დეოკუპაცია არ მოხდება.

„ადამიანები, რომლებმაც ეს გამოფენა შექმნეს და რომლებმაც მსოფლიოს აჩვენეს, რა აგრესია იყო საქართველოს მიმართ, გმირები არიან. არანაკლები გმირები, ვიდრე ის მებრძოლები, რომლებიც სამშობლოს დასაცავად იღვწოდნენ,“ - ასეთი იყო ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის განცხადება.

2008 წლის აგვისტოსადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა მხოლოდ 2013 წელს არ ყოფილა. ფოტო მედიუმია ტრავმული მოვლენის შესახსენებლად. რაც მეტი დრო გადის 2008 წლის აგვისტოს ომიდან, ტრავმის შეხსენება და მისი არდავიწყება უფრო აქტუალური ხდება.

2015 წლის 8 აგვისტოს 2008 წლის ომისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა გაიხსნა ეროვნულ ბიბლიოთეკაში. 6 ფოტოგრაფი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მუშაობდა აგვისტოს ომის ქრონიკების შესაქმნელად. მათი ნამუშევრები ერთ გამოფენაში გაერთიანდა და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი 2015 წელს გახდა. სულ გამოფენილი იყო 50 ნამუშევარი, 50 ცნობილი კადრი აგვისტოს ომის შესახებ, რომელმაც ეს ომი მსოფლიოს გააცნო. ფოტოგამოფენას პრემიერ-მინისტრი, თბილისის მერი და მთავრობის წევრები ესწრებოდნენ. მათ თავიანთ გამოსვლებში მოგონებების მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი. ეს ფაქტი თავად გამოფენასთან ერთად კიდევ ერთხელ გვარწმუნებს კოლექტიური ტრავმის ფენომენის არსებობასა და მისი კვლევის აუცილებლობაში. ომის პატივსაცემად მოწყობილი გამოფენა კიდევ ერთხელ ახდენს ომის ვიზუალიზაციას მედიუმების, ფოტოების მეშვეობით.

„მე მახსოვს ეს შემზარავი კადრები და მართლაც დასაფასებელია ეს თქვენი გმირობა. მე მინდა მადლობა გადაგიხადოთ, პირველ რიგში, რომ მაშინ საკუთარი სიცოცხლე გარისკეთ და ჩვენს ჯარისკაცებთან და პოლიციელებთან ერთად ფრონტის წინა ხაზზე იყავით და დააფიქსირეთ ყველაფერი ის, რაც ხდებოდა. ეს არის ტრაგედია, რაც ჩვენმა ქვეყანამ გამოიარა, ჩვენმა ხალხმა, ამის გახსენებაც კი

მზარავს მე პირადად და ჩვენ ყველას, ალბათ. ვისურვებთ, რომ ომი აღარასოდეს განმეორდეს. არა მხოლოდ ჩვენ ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოში,“ - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა⁷⁵.

თავის სიტყვაში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა გახსენებას და ტრავმის დაძლევის ერთ-ერთი ნიშანი გამოავლინა: სწორება მომავალზე. ის გამოთქვამდა სურვილს, რომ ომი აღარ განმეორდეს, რაც ერთგვარ სამომავლო გეგმას ჰგავს: ტრავმის დაძლევისთვის მასთან შეგუება და მომავალზე სწორებაა აუცილებელი.

„კარგია, რომ შემორჩა ეს ყველაფერი ისტორიას და ეს ყველაფერი მომავალშიც ბევრმა ადამიანმა უნდა ნახოს, თუ რა იყო და როგორ იყო, რათა არასოდეს განმეორდეს ასეთი რამ და მე მინდა, მაღლობა ვუთხრა თითოეულ მათგანს, ვინც ეს კადრები შემოგვინახა, ვინც გადაიღო და ვინც დღემდე მოიტანა ეს ყველაფერი. ეს მართლაც არის გმირობის ტოლფასი, რაც მათ ამ მძიმე ომის დღეებში გააკეთეს,“⁷⁶ - ასეთი იყო თბილისის მერის კომენტარი.

ფოტოგამოფენები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აგვისტოს ომის მნიშვნელობას და შეახსენებს საზოგადოებას მომხდარის შესახებ. ფოტოების, როგორც ვიზუალური ხატების მეშვეობით აღდგება წარსულის სურათი, რაც ტრავმასთან მუდმივ მიბრუნებას იწვევს.

§ 2. კომპიუტერული თამაშები

არსებობს ტრავმის დაძლევის კიდევ ერთი ხერხი, რომელიც ჩვენ თეორიულ ჩარჩოში ვახსენეთ. ესაა მოვლენათა გამეორება ანუ სიმულაცია (LaCapra 2001: 43). სიმულაციის დროს შედეგის შეცვლა მიღწევადია, შესაბამისად, ტრავმა დაძლევადაც ხდება. ვფიქრობთ, ამ კუთხით საინტერესოა ვიდეოთამაშები, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეიქმნა.

ტრავმული გამოცდილების დასაძლევად საჭიროა, რომ შესაძლებელი იყოს შედეგის შეცვლა, ამისთვის კი საუკეთესო ადგილი ვირტუალური სივრცე იყო. ესაა გარემო, სადაც მტრის მრავალრიცხოვნება და კლიმატური პირობები ხელისშემშლელი ვერ იქნება. ყველაფერი მოთამაშის სტრატეგიასა და მოხერხებაზეა

⁷⁵ <http://www.imedi.ge/index.php?pg=nws&id=53648&ct=3> (ხელმისაწვდომი იყო 13/08/2015)

⁷⁶ იქვე.

დამოკიდებული. ვიდეოთამაშები ვიზუალურ ხატს ქმნის, რომელიც ნათელ და ბნელ ძალებს ერთმანეთთან აპირისპირებს. ვიდეოთამაშის ხელოვნურ გარემოში ადამიანს კოლექტიურ ტრავმულ მოვლენაში მონაწილეობა და შედეგის შეცვლა შეუძლია. იქმნება ვიზუალური ხატი, ხდება დანაკარგის მატერიალიზება და ტრავმა სახეს იცვლის (Belting 2010: 345).

ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ ვირტუალურ ბაზარზე ქართული ვიდეოთამაშები გამოჩნდა. პირველი ასეთი ვირტუალური თამაში, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, 2010 წელს შეიქმნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსებითა და ინიციატივით, „პოლიცია“ იყო. ვიდეოთამაშის შემქმნელები შინაგან საქმეთა სამინისტროს პროგრამული უზრუნველყოფის ცენტრის თანამშრომლები იყვნენ. თამაშის არსი კრიმინალებისა და ბანდიტების დევნაა. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში კი შესაძლებელია მათი ლიკვიდაცია. რიგითი მოქალაქე პოლიციელი ხდება. ერთი შეხედვით, ამ თამაშში განსაკუთრებით საყურადღებო არაფერია, თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ, ადგილობრივი კრიმინალების გარდა, ვირტუალურ პოლიციელს რუსი ჯაშუშების დევნაც უხდება, თამაში საყურადღებო გახდება.

კოლექტიური ტრავმის გამომწვევი მხარის ვიზუალიზაცია თამაშში რუსი ჯაშუშების ფორმით ხდება. 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველომ ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია რუსეთის ჯარებს, თუმცა ომის ბედი გაურკვეველი დარჩა. საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტის ნაწილი ამტკიცებდა, რომ ჩვენ ომი მოვიგეთ, ვინაიდან დამოუკიდებლობა შევინარჩუნეთ, ნაწილი კი პირიქით, ამტკიცებდა, რომ საქართველომ ომი წააგო. მოცემული სიტუაცია ყველაზე მეტ პრობლემას საზოგადოებას უქმნიდა. კოლექტიური ტრავმა გამართლებული უნდა იყოს, საზოგადოებაში იმედგაცრუების გაჩენა კი საყოველთაო ნიჰილიზმს იწვევს. ამიტომ მოცემული კომპიუტერული თამაში გართობის საშუალებაც იყო და რუსი ჯაშუშების დევნის შანსაც იძლეოდა. თუ რეალურ ცხოვრებაში ომის შედეგი გაურკვეველი დარჩა, ვიდეოთამაშში სასურველი შედეგის მიღწევა შესაძლებელი იყო.

„მერაბიშვილმა ... განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაქირავებული პროგრამული უზრუნველყოფის გუნდი პირველ ქართულ კომპიუტერულ თამაშს – „პოლიციას“ – ქმნის, სადაც მოთამაშეები მონაწილეობას

მიიღებენ კრიმინალების და რუსი ჯაშუშების ვირტუალურ დევნაში. თამაში ინგლისურ ენაზე იქნება ხელმისაწვდომი, რომელიც, მინისტრის თქმით, თავისუფლად გავრცელდება მთელ მსოფლიოში.⁷⁷

თამაში ინგლისურ ენაზე არ უთარგმნიათ, თუმცა ის დიდი პოპულარულობით სარგებლობდა საქართველოში. მას მეორე ნაწილიც დაემატა და, საბოლოოდ, თამაში „პოლიცია“ ორნაწილიან სრულყოფილ ვირტუალურ გამოძიებად გადაიქცა. პირველ ნაწილში პოლიციელები ადგილობრივ კრიმინალთა დაჯგუფებას უმკლავდებიან, მეორე ნაწილში კი დეტექტივები რუსი ჯაშუშების აღმოჩენითა და დაკითხვით არიან დაკავებული.

„პოლიცია“ არ ყოფილა ერთადერთი თამაში, შექმნილი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა მეორე კომპიუტერული თამაში, სახელწოდებით „დაამარცხე ოკუპანტები“. თავად სათაური უკვე მიგვანიშნებს თამაშის მთავარ თემაზე. თუმცა მანამ, სანამ თამაშის დეტალურ განხილვას შევუდგებით, ერთი ფაქტი უნდა გავიხსენოთ.

2008 წელს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეგიდით (საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი, #7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტი), „მეომრის ბიბლიოთეკაში“ მე-5 ნომრით გამოიცა ბროშურა „ქაქუცა ჩოლოყაშვილი – საქართველოს ეროვნული გმირი“. შესავალში ნათქვამია: „სერიის მიზანია ქართველი მეომრის და, იმედია, არა მარტო მისი, პატრიოტული აღზრდა და ცოდნის მიწოდება მისაღებ ფორმებში... სერიის გარეკანზე მოთავსებული წარწერა და დიდი დავითი ყველას შეახსენებს, რომ ბრძოლა საქართველოსთვის დღესაც გრძელდება.“⁷⁸

კოლექტიური ტრავმის მსხვერპლთათვის გამოცდილების გაზიარება მისი დაძლევის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. ამავე დროს, მსხვერპლმა ტრავმას პატივი უნდა მიაგოს (Alexander 2004: 300). საზოგადოება ცდილობდა კოლექტიური ტრავმის შესახებ ინფორმაციის მომავალი თაობებისა და ფართო მასებისთვის გადაცემას.

⁷⁷<http://www.civil.ge/geo/article.php?id=23341> (ხელმისაწვდომი იყო 26/05/2015)

⁷⁸http://www.geworld.ge/View.php?ArtId=3632&Title=winaswar+wagebuli+TamaSi,+anu+rogorc+miSam+_+agvi+stoSi...&lang=ge (ხელმისაწვდომი იყო 26/05/2015)

ამავე დროს, ტრავმის მსხვერპლისთვის დამახასიათებელია აწმყო ტრავმის წარსულთან დაკავშირება (Sztompka 2004: 300). ამის მაგალითები ჩვენ დავინახეთ ნარატივების და „გმირთა მონუმენტის“ განხილვისას. იმავე ტენდენციის შემჩნევა შესაძლებელია მოცემული ვიდეოთამაშის შესწავლისას. ამ შემთხვევაში, 2008 წლის აგვისტოს ომის ტრავმა დაუკავშირდა 1924 წლის აჯანყებას და მის გმირ ლიდერს ქაქუცა ჩოლოყაშვილს. ამ აჯანყების დროსაც, აგვისტოს ომის მსგავსად, საქართველოს მტერი რუსეთი იყო.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი საქართველოს თავისუფლებისთვის მეტრძოლი უდრეკი და მამაცი ადამიანის სიმბოლოა. ამიტომ არავის გაუკვირდება, რომ ეს ისტორიული გმირი ახალი კომპიუტერული თამაშის გმირი გახდა. თამაშიც მიზანი 1921 წლის ოკუპაციის თავიდან აცილებას. ამრიგად, შეიცვალა ზოგი ისტორიული ფაქტი. თუ სინამდვილეში ქაქუცა ჩოლოყაშვილი 1924 წლის აჯანყებას მეთაურობდა, ვირტუალურ რეალობაში ის 1921 წლის საქართველოს ოკუპაციის წინააღმდეგ იბრძვის. თამაშის შექმნელები გვაუწყებენ: *„თამაში დაფუძნებულია 1921 წლის ისტორიულ მოვლენებზე. სიუჟეტად აღებულია ბრძოლები საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ, ხოლო თამაშის მთავარი გმირია ცნობილი ქართველი სამხედრო მოღვაწე ქაქუცა ჩოლოყაშვილი.“* თამაშს ფონად გასდევს სიმღერა „ჩემო კარგო ქვეყანავ“ და მოთამაშის მთავარი მისია ქაქუცა ჩოლოყაშვილის დახმარებაა. აქვეა 1921 წლის მოვლენების მოკლე მიმოხილვა:

„იუნკრები საბრძოლო დავალებების შესასრულებლად და თბილისის მისადგომების დასაცავად 17 თებერვალს დილითვე გაემშურნენ. თბილისის ქუჩებში ხალხი ცრემლითა და ყვავილებით მიაცილებდა თხელ პალტოებში გამოწყობილ, მწყობრი ნაბიჯით მიმავალ 20-23 წლის ბიჭებს. პირველი „წითელი“ იერიშების მოგერიება მამაც იუნკრებს საბრძოლო პოზიციებზე ასვლისთანავე მოუწიათ. იუნკერთა პოზიციების გარღვევა მეთერთმეტე არმიამ ვერც ბაქოელი კურსანტებისა და ვერც პირველი ქართველი კომკავშირელის, ბორის ძნელაძის გარჯის შედეგად მოახერხა.“⁷⁹

⁷⁹<http://gm.ambebi.ge/games/view/id/30/module/10/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%90%20%E1%83%A9%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83> (ხელმისაწვდომი იყო 26/05/2015)

თამაშის წაგების შემთხვევაში დამწუხრებული ქაქუცა ჩოლოყაშვილი ოთახში ჩნდება, უსმენს გრამოფონს, საიდანაც ისმის დები იშხნელების სიმღერა „არ დაიჯერებ“, ფანჯრიდან ეიფელის კოშკი მოჩანს. კედელზე ლენინის სურათია, რომელსაც შუბლში დანა აქვს ჩარჭობილი. თუმცა ეს შემდეგ, 1930 წელს მოხდება, მანამდე კი ქაქუცა 1924 წლის აჯანყებას უხელმძღვანელებს და დამარცხდება.⁸⁰ კედლის მეორე მხარეს სერგო ორჯონიკიძის ფოტოა, რომელსაც დემონის წვერი და რქები აქვს მიხატული. თამაშის მოგების შემთხვევაში კიდევ ორი ტურია გასავლელი, თუმცა თამაში იმდენად რთულდება, რომ მოგება შეუძლებელია. არაფერია ნათქვამი თავად 1924 წლის აჯანყებაზე.

კომპიუტერული თამაშები, შეიძლება, კოლექტიური ტრავმის დაძლევის კიდევ ერთ ხერხად მივიჩნიოთ. მართალია, თამაში 2008 წლის აგვისტოს ომს არ ეხება, თუმცა მასში ქართველი სამხედრო ლიდერი ოკუპანტებს ებრძვის. რიგით მოთამაშეს აქვს საშუალება, დიდი გმირი და სამხედრო ლიდერი გახდეს, ამავე დროს, გაუსწორდეს მრავალ რუს ჯარისკაცს, რომელსაც ჩაფხუტზე წითელი ვარსკვლავით ადვილად ამოიცნობთ. ვირტუალური რეალობა ქმნის შესაძლებლობას გამარჯვებისთვის - იმ გამარჯვებისთვის, რომელიც 2008 წლის აგვისტოში საეჭვო გახდა.

კოლექტიური ტრავმის დაძლევის კუთხით, მოცემული კომპიუტერული თამაშები ძალიან საინტერესოა, ვინაიდან ისინი გვიჩვენებენ დამოკიდებულებას საკუთარი თავისა და მტრის მიმართ. ინდივიდი საკუთარი თავის განსაზღვრასა და სამოქმედო სივრცის შექმნას ვიდეოთამაშის მიხედვით ახერხებს, რაც ტრავმაზე შექმნილი ნარატივების ერთ-ერთი ნიშანია (Bamberg 1998: 3). ვიდეოთამაშები ამბაფრებს საერთო მტრის ხატს და სიძულვილს საბჭოთა თუ რუსი მტრის მიმართ. ეს კი საზოგადოებაში მეტი აგრესიისა და ნეგატიური განწყობის დანერგვას უწყობს ხელს. ამავე დროს იქმნება და მბაფრდება ჯგუფური იდენტობა სხვასთან დაპირისპირების გზით.

მეორე მხრივ, ტრავმასთან შეგუება პოსტ-ტრავმული სტრესის დაძლევის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია. როდესაც ინდივიდი ეგუება აწმყოს და მომავალ პერსპექტივას ხედავს, მისი რე-სოციალიზაცია შესაძლებელი ხდება. მუდმივი

⁸⁰იქვე.

მელანქოლია და დეპრესია ტრავმის მსხვერპლს ხელს უშლის სრულფასოვანი ცხოვრებისკენ მიბრუნებაში (Freud 1966: 15). საჭირო იყო მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და მტრის ხატის დაძლევის ხელშეწყობა.

2015 წელს დაიწყო კიდევ ერთი ვიდეოთამაშის შექმნა, რომელიც განსხვავებულია ზემოთ განხილული მტრული ვირტუალური რეალობისგან. თამაში გაეროს ორგანიზაციის დაფინანსებით შეიქმნა და სახელად „მშვიდობის პარკი“ ჰქვია. ეს არის ონლაინ-თამაში, რომელმაც უნდა მოახერხოს და გააერთიანოს ადამიანები, ახალგაზრდები, რომლებიც კონფლიქტის ხაზის სხვადასხვა მხარეს იმყოფებიან. თამაშის მიზანია ასწავლოს ადამიანებს ისეთი სივრცის შექმნა, სადაც ყველა კმაყოფილი და ბედნიერი იქნება. ამისთვის შემქმნელებმა გასართობი პარკი გამოიყენეს, სადაც დადიან ბავშვები, მშობლები, ბებიები და პაპები, რომლებსაც, მართალია, სხვადასხვა რამ მოსწონთ, მაგრამ კონკრეტული ნივთების ან ატრაქციონების სიყვარული აერთიანებთ. მოთამაშემ უნდა მოახერხოს და პარკში ყველაფერი ისე განალაგოს, რომ ყველა კმაყოფილი დარჩეს.

თამაში ორგანიზაცია „ელვას“ პროექტის ფარგლებში შეიქმნა, გაეროს განვითარების ფონდისა და ევროკავშირის ერთობლივი ინიციატივის - „COBERM“-ის დაფინანსებით. თამაშზე StormBringerStudio-მ იმუშავა. თამაშის ერთ-ერთი შემქმნელი, ალექსანდრე ლაშხი, „მშვიდობის პარკის“ კონცეფციის შესახებ ამბობს: „მთელი აზრი ის არის, რომ თითო კარიბჭესთან იკრიბება თითო ოჯახი. ამ ოჯახის თითოეულ წევრს აქვს საყვარელი ნივთები და დამოკიდებულება აქვთ ამ ნივთებთან: ვიღაცას, ვთქვათ, ჭადრაკი უყვარს, ვიღაცას ნაყინი უყვარს, ვიღაცას საქანელები უყვარს უფრო მეტად და ამ ოჯახებს აქვთ ერთმანეთთან დამოკიდებულება: ვიღაცას ვიღაცა არ მოსწონს, ვიღაცას ვიღაცა მოსწონს, ანუ ყველაფერი ამისგან შედგება. შენ უნდა იპოვო თამაშში ის წერტილები, ის გადაკვეთები, რომლებიც მათ დაამეგობრებს ერთმანეთთან. შეიძლება A ოჯახის წევრს არ მოსწონს B ოჯახის წევრი, მაგრამ ორივეს ისე უყვარს, მაგალითად, ჭადრაკი, რომ დათმობენ ამ ბრაზს და ჭადრაკს ერთად ითამაშებენ“.⁸¹

კომპრომისი და მტრის გაგება ან მის ადგილზე თავის წარმოდგენა ამ თამაშის მთავარი ელემენტებია. მისი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მახასიათებელი

⁸¹<http://www.radiotavisupleba.ge/content/kompiuteruli-tamashi-mshvidobistvis/26850860.html> (ხელმისაწვდომი იყო 25/05/2015)

ძალადობის იარაღების არქონაა. როგორც არ უნდა დაიძაბოს სიტუაცია, მოთამაშეს სხვაზე ძალადობის ბერკეტი არ აქვს. ყველა პრობლემა მშვიდობიანად უნდა მოგვარდეს. თავად შემქმნელებიც ამას თამაშის ყველაზე დადებით მახასიათებლად თვლიან:

„ჩვენს თამაშში არ არის არანაირი არც ერთმანეთის მოკვლა, არც სროლა, ასეთი არაფერი. იუზერს არასდროს აქვს ისეთი ფაილი, უბრალოდ, იმ ტურში ვერ იღებს ისეთ ქულებს, რაც საჭიროა, რომ შემდეგი ტური გახსნა. არ ვაიძულებთ იმას, რომ შენ წააგე და მორჩა, არა! შეგიძლია ითამაშო და ითამაშო, ჩვენ გვინდა ის გრძნობა გავუღვივოთ იუზერს, რომ კონკრეტული პრობლემის გადაჭრის, რომელიც ამ ლეველშია, სხვადასხვა გზები მოძებნოს“.⁸²

თამაშებით სოციალური პრობლემების მოგვარება ახალი მოვლენა არ არის. ბოლო წლებში განსაკუთრებით აქტიურად იქმნება კომპიუტერული თამაშები, რომლებმაც წვლილი უნდა შეიტანონ კონკრეტული პრობლემის მოგვარებაში. არსებობს თამაშები კონფლიქტების მოგვარებისთვისაც, მაგალითად, PeaceMaker, რომელიც ისრაელსა და პალესტინას შორის კონფლიქტს ეხება. ორგანიზაცია „ელვას“ პროექტების მენეჯერი ნინო ნანიტაშვილი ამბობს, რომ, ამ პრაქტიკებზე დაყრდნობით, სურდათ რამე ახალი შეექმნათ. ჯგუფმა იმუშავა მკვლევარ ეთნოგრაფებთან, აფხაზ და ქართველ ახალგაზრდებთან, რათა შეექმნათ კონცეფცია, რომელიც გაითვალისწინებდა რეგიონში არსებულ სიტუაციას და ყველა მხარისთვის მისაღები იქნებოდა.⁸³

ცხადია, ვირტუალური თამაშები რეალურად არსებულ მრავალ სოციალურ პრობლემას ვერ მოაგვარებს, თუმცა მას შეუძლია ხელი შეუწყოს დევნილთა ინტეგრაციას საზოგადოებაში, მათ რე-სოციალიზაციას. ამგვარი ვიდეოთამაშები, შესაძლოა, კოლექტიური ტრავმის დაძლევის ხერხი გახდეს.

ერთი მხრივ, გვაქვს თამაშები, რომელიც ომის სცენარს იმეორებს და ცდილობს საზოგადოების აგრესია მტრის ვირტუალური ხატის წინააღმდეგ მიმართოს: საქმე ისაა, რომ ვირტუალური მტრის ხატი ნამდვილს ემთხვევა.

⁸² იქვე.

⁸³ <http://www.radiotavisupleba.ge/content/kompiuteruli-tamashi-mshvidobistvis/26850860.html> (ხელმისაწვდომი იყო 26/05/2015)

საზოგადოების აგრესია მატულობს და იმ ძალისკენ მიემართება, რომელიც ნამდვილ, რეალურ უბედურებებშია დამნაშავე. ვირტუალური რეალობა შურისძიებისთვის კარგი ასპარეზი ხდება. მეორე მხრივ, თამაშები ინფორმაციის წყაროა მათთვის, ვინც არ იცის, რა მოხდა 1921 წელს ან ვინ იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი. შესაძლოა, ფაქტობრივი ინფორმაცია შეცვლილი იყოს, თუმცა ის გამარტივებული, უტრირებული სახით აცნობებს მოთამაშეს, ვინ არის მტერი და ვინ - მოყვარე.

ვირტუალურ თამაშთა სხვა ტიპი მეტადაა კონცენტრირებული საზოგადოებებს შორის კომუნიკაციის დამყარების მცდელობაზე. ამგვარი ვიდეოთამაშებიც ქმნის წარმოდგენას დევნილთა შესახებ საზოგადოებაში და მათ რე-სოციალიზაციას უწყობს ხელს. დევნილს შეუძლია თავისი ბაღი და პარკი დაიბრუნოს, შექმნას ძველის მსგავსი ვირტუალური სივრცე საზოგადოების სხვა წევრთა დახმარებით. თავის მხრივ, საზოგადოებას მეტი წარმოდგენა შეექმნება წეროვანის ან, თუნდაც, აფხაზეთის მოსახლეობაზე და ნაკლებად მოაქცევს მათ რაიმე ჩარჩოსა და სტერეოტიპში.

ყველა მოცემული წიგნის, მემორიალის, ადგილის თუ ვიდეოთამაშის განხილვის მთავარი მიზანი 2008 წლის აგვისტოს ომის კოლექტიურ ტრავმად განხილვაა. თითოეული ზემოთ განხილული მონუმენტის თუ წიგნის მიზანი ამ კოლექტიური ტრავმის დამახსოვრება, წარმოჩენა და პატივის მიგებაა.

დასკვნა

ჩვენი ნაშრომის მიზანი იყო კოლექტიური ტრავმის ფენომენის შესწავლა 2008 წლის აგვისტოს ომის მაგალითზე. რამდენად შესაძლებელია 2008 წლის აგვისტოს ომი კოლექტიურ ტრავმად განვიხილოთ? რა მახასიათებლები აქვს 2008 წლის აგვისტოს ომს, როგორც კოლექტიურ ტრავმას? როგორია პოსტ-ტრავმული საზოგადოების მდგომარეობა, როგორც დილობს საზოგადოება კოლექტიურ ტრავმაზე პასუხის მონახვას? ეს იყო ჩვენი ნაშრომის ძირითადი საკვლევითი კითხვები. საკითხი შევისწავლეთ აგვისტოს ომისადმი მიძღვნილი ტექსტური ნარატივების, აგვისტოს ომის შედეგად დევნილთა დასახლების, მემორიალებისა და კომპიუტერული თამაშების ანალიზის საფუძველზე.

ნაშრომში გაანალიზებულია 2008 წლის აგვისტოს ომით გამოწვეული კოლექტიური ტრავმა, როგორც კულტურული ფენომენი, მისი ძირითადი მახასიათებლები და შესწავლის მნიშვნელობა; განსაზღვრულია თეორიული ჩარჩო, რომლის ფარგლებში შესაძლებელია კოლექტიური ტრავმისა და მისი თანმდევი პოსტ-ტრავმული მდგომარეობის კვლევა; შესწავლილია არა მხოლოდ თავად ტრავმა, არამედ მასზე პასუხებიც, რადგან სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას ტრავმული მოვლენისადმი.

ჩვენ ვვარაუდობდით, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი უნდა განვიხილოთ, როგორც კოლექტიური ტრავმა - მტკივნეული გამოცდილება, რომლის დაძლევასაც ქართველი საზოგადოება სხვადასხვა ხერხით (მონუმენტის შექმნა, წიგნის დაწერა, დევნილთა დასახლების შექმნა) ცდილობს. ვარაუდის საფუძველს გვაძლევდა ის გარემოება, რომ ომი მოულოდნელად დაიწყო და სულ 5 დღეს გაგრძელდა; მან დიდი გავლენა იქონია საზოგადოებაზე და უდიდესი კვალი დაამჩნია ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებას. როგორც ცნობილია, კოლექტიურ ტრავმას დისონანსი შეაქვს საზოგადოების ცხოვრებაში, იგი ანგრევს ძველ სისტემას და აყალიბებს ახალს. კოლექტიური ტრავმისადმი საზოგადოებას სრულიად განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს. ამრიგად, 2008 წლის აგვისტოს ომი შეიძლება კოლექტიურ ტრავმად განვიხილოთ.

ჰიპოთეზის შემოწმებას ემსახურებოდა ნაშრომის ძირითადი ნაწილი, რომელიც ეთმობა საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებებისა და სხვა *მეხსიერების არეების* ანალიზს, კერძოდ, ესენია: თამთა მელაშვილის “გათვლა”, თაკო ფხაკაძის “გმირი”, ზაზა ბურჭულაძის რომანი „ადიბასი“, ლაშა ბუღაძის „ლიტერატურული ექსპრესი“, ანა კორძაია-სამადაშვილის „მე მომკლეს, დე...“, ჟურნალისტთა ჩანაწერები „აგვისტოს დღიურები“, დევნილთა დასახლება წეროვანში, ორი მემორიალი: მუხათგვერდის “ძმათა სასაფლაო” და “გმირთა მონუმენტი” თბილისში, აგვისტოს ომის შემდეგ შექმნილი კომპიუტერული ოთამაშები და ფოტოგამოფენები.

მოცემულ ნაშრომში პირველად შევისწავლეთ საზოგადოების რეაქცია აგვისტოს ომზე, როგორც ტრავმულ მოვლენაზე. ომს დიდი დანაკარგი მოჰყვა. დანაკარგიკოლექტიური ტრავმის მთავარი შემადგენელი ნაწილია, ტრავმა გულისხმობს დანაკარგს და ამ დანაკარგით გამოწვეულ განცდას, რომელსაც პოსტტრავმულ სტრესს უწოდებენ. 2008 წლის აგვისტოს ომმა გამოიწვია ორგვარი დანაკარგი: ბრძოლაში დაიღუპა სამასი ქართველი ჯარისკაცი და საქართველომ ტერიტორიები დაკარგა. ამას დაემატა ოკუპირებული ტერიტორიებიდან წამოსულ დევნილთა დიდი რაოდენობა, რომელსაც საზოგადოებაში სრულფასოვანი ცხოვრების გაგრძელება სჭირდება. გლოვა და საკრალიზაცია ორი მიმართულებით მოხდა. მთელმა საქართველომ, ისევე როგორც ოჯახებმა, დაიტირა დაღუპულები, ხოლო დევნილებმა მიიღეს მხარდაჭერა. კოლექტიური ტრავმა უნდა დაიდლოს, ჩვენი საზოგადოება კი ჯერაც პოსტტრავმული სტრესის მდგომარეობაშია, ეს ჩვენი ნაშრომის აქტუალობას განაპირობებს.

რაც შეეხება **თეორიულ ჩარჩოს**, რომლის ფარგლებში შესაძლებელია კოლექტიური ტრავმისა და მისი თანმდევი პოსტ-ტრავმული მდგომარეობის კვლევა, ჩვენთვის ეს გახლდათ კოლექტიური ტრავმის თეორია, რომლის თანახმად, დროში შეზღუდულმა, შოკისმომგვრელმა მოვლენამ შეიძლება დამლუპველი ეფექტი იქონიოს საზოგადოების ცხოვრების მრავალ მხარეზე. კოლექტიური ტრავმა იწვევს პოსტტრავმულ სტრესს, მელანქოლიას, დეპრესიას.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებული იყო კვლევის თვისებრივი მეთოდი - შინაარსობრივი ანალიზი - და ე.წ. შემთხვევის - 2008 წლის აგვისტოს ომი,

როგორც კოლექტიური ტრავმის შესწავლა (Casestudy). კონკრეტული შემთხვევის შესწავლისათვის გამოვიყენეთ ზემოთ დასახელებული ტექსტური ნარატივებისა და მებსიერების მონუმენტური არეების შინაარსობრივი ანალიზის (contentanalysis) მეთოდი.

ჩვენ მიერ გაანალიზებული ტექსტები და მონუმენტები პოსტტრავმული სტრესის შედეგად შექმნილი ნარატივებია, რომელთაც კონკრეტული ნიშნები ახასიათებს და რომელთა მიზანია არა მხოლოდ ტრავმის დაძლევა ან მის შესახებ დეტალური ინფორმაციის მოწოდება, არამედ საზოგადოების ფსიქოლოგიურ-მენტალური მდგომარეობის გადმოცემაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში განასხვავებენ დომინანტ და არადომინანტ ნარატივებს. დომინანტი ნარატივის მიზანი მომხდარი ისტორიული მოვლენის შესახებ გაბატონებული და საყოველთაოდ მიღებული აზრის შექმნაა. ასეთი ნარატივია თავო ფხაკაძის წიგნი „გმირი“. არადომინანტი ნარატივებისთვის, რომლებიც სხვაგვარად არასოციალური ნარატივების სახელით არის ცნობილი, დამახასიათებელია პირად ისტორიებზე აგებული თხრობა მეტი ინდივიდუალური ელემენტით. მიუხედავად პირადი გამოცდილებისა, თითოეული ავტორი ტრავმის მონაწილე და ტრავმული გამოცდილების თანაზიარია, შესაბამისად, მათ ნაწარმოებებში, გარკვეული დოზით, მთელი საზოგადოების მდგომარეობაც აისახება. ასეთი ნარატივებია ზაზა ბურჭულაძის „ადიბასი“ და ლაშა ბუღაძის „ლიტერატურული ექსპრესი“. არადომინანტ ნარატივებში ცალკე შეიძლება გამოიყოს პოსტ-ტრავმული სტრესის გამომხატველი ტიპური ტექსტები. ამგვარი ნარატივები მეტად ემოციურია და ყურადღებას საზოგადოების მდგომარეობაზე ამახვილებს. ასეთებია თამთა მელაშვილის „გათვლა“ და ანა კორძაია-სამადაშვილის „მე მომკლეს, დე...“

თავდაპირველად განვიხილეთ არადომინანტი ნარატივები, შემდეგ კი ყურადღება დომინანტ ნარატივებზე გავამახვილეთ. არადომინანტი ნარატივი - ზაზა ბურჭულაძის „ადიბასი“ - შეესაბამება პოსტ-ტრავმული ნარატივის რამდენიმე ნიშანს: 1) მასში ასახულია ომის მსვლელობა: ომი აღწერილია სატელევიზიო ახალი ამბების, რადიო გადაცემების და ჟორების მეშვეობით. 2) ჩანს მსხვერპლი (თუმცა მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტად), რომელიც ომის მსვლელობისას დაზარალდა. 3) კიდევ

ერთი საჭირო ელემენტი მტრის ჩვენებაა -ვის ეკისრება პასუხისმგებლობა მომხდარის გამო. „ადიბასში“ გვაქვს კონკრეტული მინიშნება: რუსული ტანკები შემოდინან ქალაქში, რუსული ავიამზვერავები და ავიაგამანადგურებლები უტევენ მოსახლეობას.

ზაზა ბურჭულაძის „ადიბასის“ შესწავლამ გვიჩვენა, რომ კოლექტიური ტრავმის შედეგად გაჩენილი პოსტ-ტრავმული სტრესი საზოგადოებაში სხვადასხვაგვარ რეაქციას იწვევს. პერსონაჟთა ნაწილი ომის იგნორირებას ირჩევს და ფროიდისეულ გლოვის ჩაკეტილ წრეში ექცევა. კოლექტიური ტრავმის დაძლევისთვის ჯერ ტრავმის გააზრებაა საჭირო. ამას კი ზაზა ბურჭულაძის მიერ აღწერილი საზოგადოება თავს არიდებს. ავტორი ცდილობს ქართველი საზოგადოების იმ ნაწილის მდგომარეობა გადმოსცეს, რომელიც ცხოვრების სტილს ოდნავაც არ იცვლის და ტრავმის უარყოფის გზას ირჩევს. ისინი ისე ცხოვრობენ, თითქოს არც არაფერი მომხდარა. ეს, ერთი მხრივ, შეიძლება მოქალაქეთა გულგრილობად ჩავთვალოთ, მეორე მხრივ კი - ტრავმაზე პასუხად.

ჩვენ შევისწავლეთ მწერლის პირად გამოცდილებაზე აგებული კიდეც ერთი არადომინანტი ნარატივი, რომელიც ინდივიდუალური პოზიციიდან იწერება - ლაშა ბუღაძის „ლიტერატურული ექსპრესი“. მან გვიჩვენა კოლექტიური ტრავმის გავლენა მწერალზე, რომელიც მოვლენათა განვითარების დროს ქალაქში არ იმყოფებოდა. „ლიტერატურულ ექსპრესში“ მთავარი გმირი ტრავმირებულია. მისთვის 2008 წლის აგვისტოს ომი დროის ერთგვარი საზომია. ყველაფერი ომამდე ან ომის შემდეგ ხდება. პოსტ-ტრავმული ნარატივისთვის დამახასიათებელია სხვა ჯგუფის, მტრის განსაზღვრა, აგრესია და გაუცხოება მის მიმართ. საერთოდ, მწერალს რუსების მიმართ არ აქვს გაღიზიანება, თუმცა ლიტერატურულ კონკურსზე პირველივე რუსის დანახვისას ცალსახად მტრული რეაქცია უჩნდება. მტრის ხატი აქ დელიკატურად იქმნება სხვა პერსონაჟების მონათხრობის წყალობით. „ლიტერატურულ ექსპრესს“ აქვს პოსტ-ტრავმული ნარატივის სხვა ნიშანიც: სხვა ტრავმული ტექსტების მსგავსად, ის ნათლად აღწერს მსხვერპლს, ანუ იმ ჯგუფს, რომელიც აგვისტოს ომის შედეგად დაზარალდა და რომელიც მომხდარში არ არის დამნაშავე. ლაშა ბუღაძე ერის ვიქტიმიზაციას ახდენს, ანუ მას „სხვა ჯგუფის“ აგრესიის მსხვერპლად წარმოაჩენს.

ქართველი ერი მის რომანში მუდმივად დაჩაგრულ ერთან ასოცირდება, რომელსაც გამუდმებით ავიწროებენ.

არადომინანტ ნარატივებში გამოვყავით ტექსტები, სადაც პერსონაჟთა და მწერალთა პირადი გამოცდილება, მათი პირადი დამოკიდებულება ომის მიმართ განსაკუთრებით თვალსაჩინოა. ასეთი ნარატივები ჩვენთვის გასაკუთრებით საინტერესო იყო აგვისტოს ომის, როგორც კოლექტიური ტრავმის შესწავლის კუთხით. ეს ტექსტებია თამთა მელაშვილის „გათვლა“ და ანა კორძაია-სამადაშვილის „მე მომკლეს, დე...“ ორივე ნარატივი ტრავმაზეა შექმნილი და 2008 წლის აგვისტოს მოვლენებზე მოგვითხრობს. თამთა მელაშვილის პერსონაჟები ტრავმის არაპირდაპირი მსხვერპლის კატეგორიას განეკუთვნებიან. ესენი არიან კონფლიქტის ზონაში მაცხოვრებლები, მშვიდობიანი მოსახლეობა და არა ომში უშუალო მონაწილე ჯარისკაცები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოლექტიური ტრავმა მთელ საზოგადოებაზე ახდენს გავლენას და მხოლოდ მასში უშუალო მონაწილეები არ შეიძლება ჩაითვალოს ტრავმის მსხვერპლად. „გათვლაში“ გაძლიერებულია ემოციური ფონი, ამავე დროს, ნაწარმოები აკმაყოფილებს ტრავმული ნარატივის ტიპურ ნიშნებს: აქ “ჩვენ” ჯგუფის მძლავრი განცდაა და მტრის ხატი მესამე პირის ნაცვალსახელებით მოიხსენიება: “ისინი”, “ის”, “მან” და ა.შ. მართალია, მტერი რომანში კონკრეტულად არ არის დასახელებული, თუმცა ზიზღი და შიში მტრის მიმართ ყოველ ნაბიჯზე ჩანს. „ჩვენ“ ჯგუფი სრულიად განსხვავებულია „მათგან“, რომლებიც „ჩვენ“ ჯგუფს ანადგურებენ, ხოცავენ და არაადამიანურად ექცევიან. მთელ წიგნს გასდევს ტრავმის მძაფრი განცდა. იგი ეძღვნება ტრავმული პერიოდისა და გამოცდილების გახსენებას (მახასიათებელი 1 – მოვლენათა აღწერა). ხაზი ესმება ამ გამოცდილების უკვე არსებობას (მოცემული ტრავმა არაა პირველი საზოგადოებისთვის). ომი არა მხოლოდ მათთვისაა, ვინც იბრძვის, არამედ მათთვისაც, ვინც მას ვერ გაექცა და კონფლიქტის ზონაში ცხოვრობს. კონფლიქტის ზონაში მაცხოვრებელთა ჩვევები ომის მიხედვით იცვლება, შესაბამისად, ომი ყოველდღიურ პრაქტიკასა და ჩვევებს ცვლის. ნაწარმოებში სრულადაა ასახული პოსტ-ტრავმული სტრესის დამახასიათებელი ნიშნები: გლოვა, დანაკარგის განცდა, იმედგაცრუება, ტრავმის იგნორირება (*“მამაჩემი ღმერთია, მამაჩემს რა მოკლავს”*). ნაჩვენებია დაზარალებული ჯგუფი: მართალია, წიგნი უშუალოდ ჯარისკაცების

ცხოვრებას არ ასახავს, თუმცა, ავტორის თანახმად, მიზანი კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ქალებისა და ბავშვების ცხოვრების ჩვენება იყო (მახასიათებელი 3 – ტრავმის განხილვა არამხოლოდ მიზნობრივი ჯგუფის საშუალებით). ამრიგად, ნაჩვენებია ტრავმის არაპირდაპირი მსხვერპლის მდგომარეობა. წიგნში ნათლადაა ასახული დამნაშავეც, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა: ავტორი აღწერს მაღალი, ტანადი, ცისფერთვალეა „სხვების“ არაადამიანურ ქმედებას, თუმცა კონკრეტულად რუსი ნახსენები არ არის (მახასიათებელი 4 – დამნაშავის ჩვენება, შეფარულად თუ ცხადად).

ანა კორძაია-სამადაშვილის ჩანახატი „მე მომკლეს, დე...“ ასევე პოსტტრავმული სტრესის ამსახველ ნარატივებს მიეკუთვნება და ინდივიდუალური გამოცდილების ხაზგასმით გამოირჩევა. „მე მომკლეს, დე...“ გადმოსცემს ომის ტრაგიზმს კონკრეტული პერსონაჟების ტრაგედიით. აგვისტოს ომმა მთელი საზოგადოება მოიცვა, ცხოვრების ჩვეული წესი მკვეთრად შეიცვალა და პერსონაჟებიც თავის პოზიციას რაიმე ქმედებით გამოხატავენ. ომის დასასრული რამდენიმე ეფექტური ფრაზით გამოიხატება, რომელიც სრულად ასახავს აგვისტოს ომის შედეგებს, დანახულს ქართველი ერის თვალთ. თითოეული ფრაზა ომის შედეგს და სხვადასხვა პოზიციის მქონე ადამიანის განწყობას გადმოგვცემს. ისინი შეიცავს ტრავმის იგნორირებას: ჩვენ არ მოგვკლეს, კოდორის ხეობაში დროშები ფრიალებს (მერე რა, რომ ეს ჩვენი დროშები არაა), ნაძალადევი ოპტიმიზმს: რუსებმა თბილისი ვერ აიღეს, ყველამ გაიგო, რომ რუსები ცუდები არიან. საბოლოოდ, ყველა ეს ფრაზა საზოგადოების პოსტტრავმულ მდგომარეობას ასახავს.

ნარატივებს ერთმანეთისგან წლები აშორებს. ყველაზე გვიანდელი („მე მომკლეს, დე...“) 2011 წელს მიეკუთვნება. გამოდის, რომ წლების შემდეგაც 2008 წლის აგვისტოს ომის ტრავმა აქტუალურია, და არა მხოლოდ აგვისტოს ომი. შესაძლოა, გასაკვირი არაა, რომ საზოგადოება სამი-ოთხი წლის წინანდელ ტრავმას უბრუნდება, მაგრამ როდესაც ყველა ამ ნაწარმოებში ნახსენებია აფხაზეთიც, რომელიც ათეული წლებითაა დაშორებული თანამედროვე საზოგადოებას, ფროიდისეული ტრავმასთან მიბრუნების იდეა აზრს იძენს.

ჩვენთვის საყურადღებო იყო ჟურნალისტების პირადი ჩანაწერები - არაორგანიზებული ნარატივების კიდევ ერთი სახე. ჟურნალისტები ჩვენთვის

განსაკუთრებით საინტერესო პროფესიული ჯგუფია, ვინაიდან ისინი მასობრივი ინფორმაციის წყაროს წარმოადგენენ. ჟურნალისტები ერთგვარი მედიუმები არიან, რომელთა წყალობითაც ინფორმაცია ვრცელდება. 2013 წელს ერთ-ერთ ბლოგზე განთავსდა ჟურნალისტთა პირადი ჩანაწერები - არაორგანიზებული, არასოციალური ნარატივი, რომელსაც ჰქვია „აგვისტოს დღიურები“. აქ სხვადასხვა არხის წარმომადგენელი ჟურნალისტები გვიზიარებენ თავიანთ ისტორიას. აგვისტოს ომიდან 5 წლის თავზე შექმნილი ეს ჩანაწერები ამჟღავნებს 2008 წლის აგვისტოს ომის, როგორც კოლექტიური ტრავმის რამდენიმე მახასიათებელს: 1) ყველა ავტორი თვლის, რომ ტრავმული მოვლენა უცებ მოხდა და სწრაფადვე დასრულდა, შესაბამისად, ისინი ხაზს უსვამენ კოლექტიური ტრავმის ნიშანს - ტრავმული მოვლენა სწრაფად სრულდება. 2) ჟურნალისტების უმრავლესობა დაზარალებულ ჯგუფს აღწერს და საკუთარ თავსაც ამ ჯგუფს მიაკუთვნებს. დაზარალებული, ტრავმის მატარებელი ჯგუფის ჩვენება პოსტტრავმული ნარატივის ერთ-ერთი ნიშანია. 3) კიდევ ერთი მახასიათებელი, რაც ჩანაწერთა უმრავლესობაში გამოვლინდა, პასუხისმგებლობის მატარებელი ჯგუფის ჩვენებაა. ჟურნალისტები ერთხმად მოიხსენიებენ უარყოფით კონტექსტში რუსეთსა და მის ჯარისკაცებს. ამ მახასიათებლებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჟურნალისტებიც ისევე გახდნენ კოლექტიური ტრავმის მსხვერპლი, როგორც მთელი საზოგადოება.

თამარ ფხაკაძის “გმირი” დომინანტ ნარატივებს მიეკუთვნება და, როგორც ამ ჯგუფის ნარატივები, აგვისტოს ომის ოფიციალურ ვერსიას გვთავაზობს, ამიტომ ის ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო. მას ტრავმული ნარატივისთვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს:

1) თითოეული ჯარისკაცის ოჯახის წევრი დეტალურად აღწერს მომხდარ მოვლენას, თავისი ნებით გადმოგვცემს ოჯახისა და ოჯახის დაღუპული წევრების ცხოვრებას 2008 წლის აგვისტოში (პირველი ნიშანი - ხდება მოვლენათა ზედმიწევნით აღწერა); წიგნში გაერთიანებული ისტორიების უმრავლესობა თავად ჯარისკაცთა ოჯახის წევრების მიერაა დაწერილი, ეს კი ხელს უწყობს ტრავმის დაძლევას (ტრავმაზე საუბარი მისი დაძლევის ერთ-ერთი უმთავრესი ხერხია). დაზარალებული ჯგუფი ტრავმაზე წერს და ამით ტრავმული გამოცდილებისგან თავისუფლდება.

2) „გმირი“ ეძღვნება სამიზნე ჯგუფს, ანუ იმ ადამიანებს, ვინც აგვისტოს ომს შეეწირა, შესაბამისად, აქ ნათლად არის განსაზღვრული ჯგუფი, რომელიც კოლექტიური ტრავმის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა; ეს პროექტი და მასში შესული ისტორიები კოლექტიური ტრავმის საკრალიზებას ემსახურება.

3) ტრავმის დაკავშირება სხვა ჯგუფებთან და მისი განზოგადება იმ ოჯახის წევრების მეშვეობით ხდება, რომლებმაც დაწერეს მომხდარის შესახებ. ჯარისკაცთა გმრობის ამბები აღწერს არამხოლოდ გმრობის ისტორიას, არამედ ოჯახების მდგომარეობას ომის დროს და ომის შემდეგ. ამით კი ტრავმული გამოცდილების განზოგადება ხდება. იქმნება სავსებით მართებული შთაბეჭდილება, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი მთელ საზოგადოებას შეეხო, ყველაზე მოახდინა გავლენა.

4) ყოველგვარი შეფარვის გარეშე მოცემულია მკაფიო განსაზღვრება: ყველა ამ უბედურებაში დამნაშავე რუსი დამპყრობლური ძალაა, შესაბამისად, ამ ნარატივში მტრის განსაზღვრა იოლია, მოცემულია „სხვა“ ჯგუფი, რომელთანაც დაზარალებულმა საზოგადოებამ საკუთარი თავი უნდა დააპირისპიროს.

„გმირში“ ნათლად ჩანს ორი მთავარი პრინციპი, რომელსაც ტრავმირებული საზოგადოება ემორჩილება: მტრისგან მაქსიმალური დისტანცირება და საკუთარი უპირატესობის, საკუთარი გმრობის ხაზგასმა, მტრისთვის ყველა უარყოფითი თვისების მიკუთვნება. ვამიკ ვოლკანის მიხედვით, აუცილებელია „ჩვენ“ და „სხვა“ ჯგუფს შორის მკაფიო საზღვრის გავლება, განსხვავება ცხადი უნდა გახდეს. „ჩვენ“ ჯგუფი, „გმირის“ მიხედვით, უმთავრესია. მეორე მხარეს კი დგას მტერი, *სხვა*, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს. ეს *სხვა* ჯგუფი ომში მონაწილე მეორე მხარეა. მას არ შეუძლია გმრობის ჩადენა, ის მხოლოდ სასტიკი და ადამიანის სახის არმქონე ჯგუფია. კოლექტიური ტრავმის ამსახველმა ნარატივმა უნდა წარმოაჩინოს მტრის არაადამიანობა და მთელი სისასტიკე. რუსი მთელ წიგნში სიკვდილთან, მტერთან ასოცირდება. ქართველთა უბედურება და დანაკარგი მისი ბრალია.

წიგნში 2008 წლის აგვისტოს ომი რამდენჯერმეა დაკავშირებული აფხაზეთის დაკარგვასთან. ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი, რადგან ორივე მოვლენა ტრავმული იყო და ორივე მათგანმა გამოიწვია საზოგადოების დეზორიენტაცია. 2008 წლის აგვისტოს ომსა და აფხაზეთის მოვლენებსაც დევნილთა დიდი ტალღის გაჩენა მოჰყვა. ამ ადამიანებმა პოსტ-ტრავმული სტრესის მდგომარეობა და დანაკარგის

გრძნობაც გამოსცადეს. ამრიგად, სხვა ნარატივთა მსგავსად, წიგნი „გმირიც“ იყენებს ისტორიულ ანალოგიას. ისეთი კოლექტიური ტრავმა, როგორცაა ომი, წარმოქმნის დანაკარგსაც და სიამაყესაც საკუთარი ერთი. იმის ცოდნა, რამდენი გმირი ყოფილა ქართველი, აღვიძებს ეროვნულ გრძნობებს და ხელს უწობს ნაციონალური იდენტობის აღზევებას. მომავალი თაობებისთვის სწორედ ეს ხდება მაგალითის მიმცემი. ამიტომ კოლექტიური ტრავმის შესახებ ახალი თაობებისთვის ინფორმაციის მიწოდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

არსებობს კიდევ ერთი და, ალბათ, უფრო მასშტაბური ხერხი ტრავმის საკრალიზებისთვის; ესაა მემორიალების აღმართვა, რაც ჩვეული მოვლენაა პოსტ-ტრავმული საზოგადოებებისთვის. როგორც ჰანტი აღნიშნავს, ტრავმული მოვლენისთვის პატივის მისაგებად საზოგადოებები აღმართავენ მემორიალებსა და მონუმენტებს, რათა გაუაზრებლად დაკავშირებულნი დარჩნენ ტრავმასთან და ამას ტრავმის ერთგულებით ხსნიან (Hunt 2010: 10). ტრავმის ერთგულება გულისხმობს მასთან მუდმივი კავშირის დამყარებას მოგონებების, ნივთებისა და სხვა მედიუმების საშუალებით.

2008 წლის აგვისტოს ომისადმი მიძღვნილი მემორიალების შესწავლამ დაგვანახა საზოგადოების დამოკიდებულება ტრავმის მიმართ და ის, თუ რა გავლენა ჰქონდა აგვისტოს ომს საზოგადოებაზე, რომლისთვისაც მონუმენტი ტრავმის სიმბოლო ხდება.

მემორიალმა, ერთი მხრივ, პატივი უნდა მიაგოს დალუპულებს და ხელი შეუწყოს ტრავმული მოვლენის დამახსოვრებას, მეორე მხრივ კი უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მომხდარი მოვლენის შესახებ მომავალ თაობებს. ამიტომ მემორიალებს ყველა საზოგადოებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გაჩნდა მემორიალები შინდისში, გორში, თბილისსა და სხვა ქალაქებში, რომელიც პატივს მიაგებს ცალკეულ ადამიანებს ან მცირერიცხოვან ჯგუფს. ჩვენ განვიხილეთ ის მემორიალები, რომელიც 2008 წელს დალუპულ ყველა ადამიანს მიეძღვნა და რომლებმაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა შეიძინა. ისინი საქართველოში სახელმწიფოს ინიციატივითა და დაფინანსებით შეიქმნა.

სასაფლაო მეხსიერების ადგილია, რომელიც გარკვეულ მოგონებებთან ასოცირდება, იგი შეგვახსენებს ტრავმულ მოვლენას და არყოფნა-არქონის დანაკარგს

სიმბოლურად ავსებს. სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოს სახელსაც: 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირები ერთსა და იმავე მისიას შეეწირნენ, ერთი ერის შვილები იყვნენ და საქართველოს იცავდნენ - ისინი ერთმანეთისთვის ძმები არიან. მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს კონფლიქტიდან მხოლოდ ერთი წელი იყო გასული და მრავალი პრობლემა კვლავაც მოუგვარებელი იყო, მემორიალის აღმართვა, თითქოს, უმნიშვნელოვანესი გახდა, იმიტომ რომ ეს არამხოლოდ სახსოვარი იყო, არამედ იმის გარანტიაც, რომ მის შემხედვარეთ მუდმივად გაახსენდებოდათ აგვისტოს ომი. მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე, დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად, შეიქმნა მემორიალიც. რომელსაც ტაძრის სილუეტის ფორმა აქვს.

მემორიალმაც და სასაფლაომაც, როგორც კოლექტიური მეხსიერების ადგილებმა, 2008 წლის აგვისტოს ომის სიმბოლიზება და საკრალიზება მოახდინეს. მოცემული მემორიალი საზოგადოებისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდებოდა, თუ მას სხვა (თუნდაც ქრონოლოგიურად დაშორებული) ისტორიული მოვლენაც დაუკავშირდებოდა. აწმყოსა და წარსულის დასაკავშირებლად გამოიყენება მათ შორის „ხიდის გადების“, კავშირის გაბმის (bridging) სხვადასხვა ხერხი. ეს მენტალური აქტია, თუმცა ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ მის დაფუძნებად მყარ და ხელშესახებ რეალობაზე. ერთ-ერთი ასეთი ხერხია “იგივე დროის” გამოყენება წარსულის გასაცოცხლებლად. დამოუკიდებლობის დღე ყველა სახელმწიფოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. დამოუკიდებლობის დღეს მონუმენტის გახსნა ტრავმული მოვლენის საკრალურობას გაუსვამდა ხაზს და განსაკუთრებულად მნიშვნელოვანს გახდიდა გაღებულ მსხვერპლს. 2009 წლის 26 მაისს პატივი მიეგებოდა 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველოს თავისუფლების შენარჩუნებისთვის მებრძოლთა ხსოვნას. მემორიალის 26 მაისს გახსნით 2008 წლის აგვისტოს ომის კოლექტიური ტრავმა სხვა ისტორიულ მოვლენასაც დაუკავშირდა - 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს. 1918 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა რუსეთის საუკუნეზე მეტი ხნის მმართველობის შემდეგ მოიპოვა. „სხვა“ ჯგუფი ამ შემთხვევაშიც იყო რუსეთი. ამიტომ ძმათა სასაფლაოს 26 მაისს გახსნას რამდენიმე დატვირთვა ჰქონდა: 1) 2008 წლის აგვისტოს ომში მებრძოლები საქართველოს დამოუკიდებლობასა და

თავისუფლებას იცავდნენ, ანუ იმ ღირებულებებს, რომელიც საქართველომ 1918 წლის 26 მაისს დაიბრუნა; 2) 2008 წლის აგვისტოს ომში ქართველები იბრძოდნენ რუსების წინააღმდეგ, ისევე როგორც 1918 წელს საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვებას რუსებისგან ცდილობდა.

შემთხვევითი არ არის, რომ აგვისტოს ომის მემორიალის გახსნის დროს წარმოთქმულ სიტყვაში ქვეყნის პირველმა პირმა აფხაზეთიც ახსენა. ისევ და ისევ გამოჩნდა ისტორიული ანალოგიის მოხმობის სურვილი, კოლექტიური ტრავმის სხვა ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირების მიზნით. ასეთი კი ისევ გახდა აფხაზეთის ომი. ორი კოლექტიური ტრავმა ერთმანეთს დაუკავშირდა საერთო მტრის გამო. საქართველოს პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ორივე კოლექტიური ტრავმის პროცესში საქართველოს მტერი ერთი და იგივე იყო. საერთო მტერმა ნაციონალური იდენტობა უნდა გააღრმავოს და ერთიანობის შეგრძნება წარმოშვას: ჩვენი ჯარისკაცები ერთსადაიმთხვე მიზანს შეეწირნენ აფხაზეთშიც და ცხინვალშიც. ეს მტერი მთელი საზოგადოების მტერია, ამიტომ საზოგადოების ყველა ჯგუფი ერთი, საერთო მტრის წინააღმდეგ უნდა გაერთიანდეს.

2009 წელსვე არსებობდა იდეა, რომ აგვისტოს ომში დაღუპულთათვის სხვა მემორიალიც უნდა შექმნილიყო: უფრო მასშტაბური, ისეთი, რომელიც გამვლელებს მუდმივად შეახსენებდა გმირობის ამბავს. ამასთან ერთად, იგი იქნებოდა ინფორმაციის წყარო ახალი თაობებისთვის. ტრავმული მოვლენის უკვდავსაყოფად ტრავმაში ჩართული ადამიანების უკვდავყოფაც უნდა მოხდეს. ამისთვის საუკეთესო ხერხი მათი სახელების და გვარების იმ მემორიალზე მოთავსება გახდა, რომელიც ქალაქის ცენტრში დაიდგმებოდა. ყველაზე საინტერესოა კვლავ საერთო მტრის ხატის შექმნის მცდელობა და ის, თუ როგორ შეიცვალა გმირთა მემორიალის თავდაპირველი ჩანაფიქრი.

მონუმენტის შექმნის იდეის გაჟღერებისას მემორიალი მხოლოდ 2008 წლის ომში დაღუპულ გმირებს უნდა მიძღვნოდა. მაგრამ რადგან მონუმენტი ყველაზე დიდი და გამორჩეული უნდა ყოფილიყო, კონცეფციაც განზოგადდა და მემორიალიც რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ მეომარ ადამიანებს მიეძღვნა. გმირთა სახელების უკვდავყოფა რამდენიმე ხერხით მოხდა. აქ ისევ „მუშაობს“ კოლექტიური ტრავმის თეორია და ტრავმის დაძლევის საშუალებები.

საერთო მტრის ხატის შექმნა ხაზს უსვამდა სხვა ისტორიული ტრავმების დროს იმავე მტერთან ბრძოლაში დაღუპული ქართველების ღვაწლს. გმირთა მემორიალზე ასახულ ყველა ისტორიულ ტრავმაში საქართველოს მტერი რუსეთი იყო. ამავე დროს, შეგვიძლია ვისაუბროთ ქართველი ერის თვითვიქტიმიზაციის მცდელობაზეც. ის ფაქტი, რომ 2008 წლის აგვისტო არ ყოფილა პირველი ისტორიული შემთხვევა რუსეთთან დაპირისპირებისა, ქართველ ერს უბიძგებდა საკუთარი თავის რუსეთის მსხვერპლად დანახვისკენ.

დამოუკიდებლობის თარიღის გამოყენება სიმბოლურ კავშირს ამყარებს 1918 წლის 26 მაისთან, როდესაც საქართველომ რუსეთის იმპერიისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამ ქმედებით წარსულის გამოცდილებასა და აწმყოს ტრავმას შორის „ხიდი გაიღო“. 2008 წლის აგვისტოს ომშიც საქართველო რუსეთს (იგივე მტერს) ებრძოდა დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის.

აგვისტოს ომის, როგორც კოლექტიური ტრავმისა და მისი დამღევის მცდელობათა შესაწავლის თვალსაზრისით, საინტერესო იყო დევნილთა დასახლების კვლევა, რამაც გვიჩვენა ტრავმის უშუალო მსხვერპლთა ჯგუფის მდგომარეობა და საშუალება მოგვცა, შეგვესწავლა პოსტ-ტრავმული სტრესის ნიშნები. ომის შედეგად დევნილთა დასახლებლად შეიქმნა სოფლები, კომპაქტური დასახლებები, სადაც თავი მოუყარეს დევნილებს. გაზიარებული გამოცდილება საუკეთესო გარემოს ქმნის კოლექტიური ტრავმის გაანალიზებისა და მისი დამღევისთვის (Kansteiner 2006: 31). ჩვენ ყურადღება ერთ-ერთ დასახლებაზე - წეროვანზე შევაჩერეთ, სადაც აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა ცხოვრობს. ტრავმის მსხვერპლთა შორის სოლიდარობის ხარისხი მაღალია, შესაბამისად, იქმნება „მსხვერპლთა“ ჯგუფი, ყალიბდება წეროვანის მცხოვრებთა ჯგუფური იდენტობა. თავად სოფელში სხვადასხვა უბანი გამოიყოფა, იმის მიხედვით, თუ რომელი სოფლებიდან არიან იქ მაცხოვრებლები, თუმცა საზოგადოებისთვის ისინი 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დევნილთა ჯგუფია. ფართო ჯგუფის ტრავმა განაპირობებს ტრავმის მატარებელი ჯგუფის მიერ საკუთარი თავის მუდმივ დაპირისპირებას მოწინააღმდეგესთან. ასევე იქცევიან წეროვანის მაცხოვრებლები: ისინი რუსებთან დაპირისპირებას და მოწინააღმდეგე მხარის დემონიზებას ახდენენ, მათ ყველა უარყოფით თვისებას მიაწერენ.

ტრავმასთან შერიგება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი ან ინდივიდი ანალიზებს, რომ მომხდარი წარსულში დარჩა. ჯგუფი ან ინდივიდი ხედავს მომავალ შესაძლებლობებს. მართალია, ტრავმული გამოცდილება მასთან რჩება, თუმცა ტრავმასთან შერიგება რესოციალიზაციის წინაპირობაა (LaCapra 2001: 45). ეს ნიშანი ნათლად ჩანს წეროვანის დასახლებაში.

სოფელ წეროვანის მნიშვნელობა მხოლოდ აგვისტოს ომის გახსენებითა და საკრალიზებით არ შემოიფარგლება. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ დევნილთა სოფელი გზასთან ახლოსაა. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგების დანახვა ცოცხალ მაგალითზეა შესაძლებელი. პირდაპირ სამანქანე გზასთან მდებარე სოფელი ნათლად აჩვენებს დევნილთა გასაჭირს და მომავალი თაობებისთვის საგანმანათლებლო ფუნქციასაც ასრულებს. ამრიგად, წეროვანი არამხოლოდ დევნილთა საცხოვრებელია აგვისტოს ომის შემდეგ, არამედ მოდელია, რომელიც ყველა ადამიანს უქმნის წარმოდგენას 2008 წლის აგვისტოს ომზე. წეროვანი, ერთი მხრივ, კოლექტიური ტრავმის შედეგის ნათელი ამსახველია, ხოლო მეორე მხრივ, კოლექტიური ტრავმის დაძლევისთვის შექმნილი დასახლებაა. მასში კომპაქტურად დასახლებული დევნილები კოლექტიური თერაპიის ნაწილი ხდებიან.

კოლექტიური ტრავმის განხილვისა და დაძლევის პროცესის ანალიზისათვის საყურადღებო იყო კიდევ ერთი სახის ნარატივი - ფოტოგამოფენათა სერია „აგვისტოს ომი“. როგორც ლიტერატურაში აღინიშნება, ფოტოებს განსაკუთრებული ძალა აქვთ. ისინი ძალიან საინტერესომედიუმები არიან, რომლებიც დანაკარგის განცდას ანაზღაურებენ და გადააქცევენ სხვა სახის ყოფნად (Belting 2001:124). ისინი მუდმივად შეგვახსენებენ მომხდარ მოვლენას და, ამავე დროს, ინფორმაციის წყაროს წარმოადგენენ მომავალი თაობებისთვის. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რამდენიმე ფოტოგამოფენა მოეწყო. 2013 წლის 8 აგვისტოს ოკუპაციის მუზეუმში გაიხსნა აგვისტოს ომისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა. აქ ისევ უნდა ვახსენოთ ევიათარზერუბაველი და მისი *ხიდის გადება წარსულთან*. აგვისტოს ომის ფოტოგამოფენისთვის შეირჩა სიმბოლური ადგილი: ოკუპაციის მუზეუმი. ამით ფოტოგამოფენა სიმბოლურად დაკავშირდა ოკუპაციასთან.

2015 წლის 8 აგვისტოს 2008 წლის ომისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა გაიხსნა ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ექვსი ფოტოგრაფი ერთმანეთისგან

დამოუკიდებლად მუშაობდა აგვისტოს ომის ქრონიკების შესაქმნელად, მათი ნამუშევრები ერთ გამოფენაში გაერთიანდა და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი 2015 წელს გახდა. სულ გამოფენილი იყო 50 ნამუშევარი, 50 ცნობილი კადრი აგვისტოს ომის შესახებ, რომლებმაც ეს ომი მსოფლიოს გააცნო. ფოტოგამოფენას პრემიერ-მინისტრი, თბილისის მერი და მთავრობის წევრები ესწრებოდნენ. მათ თავიანთ გამოსვლებში მოგონებების მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი. ეს ფაქტი, თავად გამოფენასთან ერთად, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს კოლექტიური ტრავმის ფენომენის არსებობასა და მისი კვლევის აუცილებლობაში.

არსებობს ტრავმის დაძლევის კიდევ ერთი ხერხი, რომელიც ჩვენ თეორიულ ჩარჩოში ვახსენეთ. ესაა მოვლენათა გამეორება ანუ სიმულაცია (LaCapra 2001: 43). ტრავმული გამოცდილების დასაძლევად საჭიროა, რომ შესაძლებელი იყოს შედეგის შეცვლა, ამისთვის კი ვირტუალური სივრცე საუკეთესო ადგილია. სიმულაციის დროს შედეგის შეცვლა მიღწევადია, შესაბამისად, ტრავმა დაძლევადი ხდება. ამ კუთხით, საინტერესო იყოვიდეთამაშები, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეიქმნა. ესაა გარემო, სადაც მტრის მრავალრიცხოვნება და კლიმატური პირობები ხელისშემშლელი ვერ იქნება. ყველაფერი მოთამაშის სტრატეგიასა და მოხერხებაზეა დამოკიდებული. ცხადია, ვირტუალური თამაშები რეალურად არსებულ სოციალურ პრობლემებს ვერ მოაგვარებს, თუმცა მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ დევნილთა ინტეგრაციას საზოგადოებაში, მათ რესოციალიზაციას და, ამგვარად, კოლექტიური ტრავმის დაძლევის ხერხად იქცნენ.

აღსანიშნავია უახლესი გეგმაც, რომლის შესახებ ცნობილი 2015 წლის 8 აგვისტოს გახდა. იგი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის კოლექტიური ტრავმა ჯერაც დაძლევის პროცესშია: ქართული ჯარის პოპულარიზაციისა და ახალგაზრდებში პატრიოტული სულისკვეთების ამაღლების მიზნით, საქართველოს თავდაცვის, იუსტიციის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები ერთობლივ პროექტების განხორციელებისათვის მზადყოფნა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით დაადასტურეს. თავდაცვის მინისტრმა მემორანდუმის გაფორმების ცერემონიაზე განაცხადა, რომ თანამშრომლობის შესახებ დოკუმენტის გაფორმება 8 აგვისტოს სიმბოლურად დაინიშნა: „ჩვენ გვინდა, რომ საქართველოში ახალგაზრდები არა მხოლოდ წინაპრების გმირების მაგალითებით

იზრდებოდნენ, არამედ, მათი დროის, მათი თაობის გმირებით, მათი მშობლების თაობის გმირებით. ამიტომ მისასალმებელია ეს ინიციატივა, რომ საშუალო სკოლებში მოსწავლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, იმავე აგვისტოს ომის გმირებს იცნობდნენ. ეს მნიშვნელოვანია მათი სახელების უკვდავსაყოფად და მომავალი თაობის სწორად აღზრდისთვის, იმის გაცნობიერებისთვის, რა გამოწვევების წინაშე ჩვენი ქვეყანა და რა მოთხოვნებს გვიწესებს 21-ე საუკუნე“. მხარეები შეთანხმდნენ, რომ თანამშრომლობის ფარგლებში ერთობლივი სასკოლო კონკურსები, ქართულ საჯარისო დანაყოფებში კი საინფორმაციო-საგანმანათლებლო ექსკურსიები მოეწყობა. მემორანდუმის თანახმად, საჯარო სკოლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზე განსაზღვრული არჩევითი საგნისთვის - „სამხედრო ისტორია და ეროვნული თავდაცვა“ - საგანმანათლებლო რესურსები ერთობლივად მომზადდება.

თავდაცვის, იუსტიციისა და განათლების სამინისტროები ასევე ითანამშრომლებენ პროექტის „წერილები ჯარისკაცებს“ ფარგლებში, რომელიც IV-V კლასების მოსწავლეების მიერ დაწერილი წერილების საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე ქართველი ჯარისკაცებისთვის გაგზავნას ითვალისწინებს. კონკურს „თანამედროვე გმირების“ ფარგლებში კი VII-VIII კლასის მოსწავლეები აგვისტოს ომის გმირების შესახებ ვიდეორეპორტაჟებს მოამზადებენ. წარმატებული ვიდეორეპორტაჟები სამინისტროების ოფიციალურ ვებგვერდებზე აიტვირთება.⁸⁴

ამგვარად, ჩვენი საკვლევი ჰიპოთეზა დამტკიცდა: დადასტურდა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი კოლექტიური ტრავმაა, თანმხლები პოსტტრავმული სტრესით. ის, რომ საზოგადოება ჯერაც პოსტტრავმული სტრესის დამღევის პროცესშია, დასტურდება ჩვენს მიერ შესწავლილი ნიმუშების მაგალითზე.

კოლექტიური ტრავმის შესწავლა ნებისმიერი საზოგადოებისთვის საინტერესოა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოლექტიური ტრავმა ქმნის სტრესულ გამოცდილებას, რომელმაც, შესაძლოა, ახალი ღირებულებები წარმოშვას. საქართველოს ჰყავს ეთნოკონფლიქტებისა თუ სამოქალაქო ომების შედეგად დაზარალებულთა დიდი რაოდენობა, რომელთაც საზოგადოებაში სრულფასოვანი

⁸⁴<http://news.ge/ge/news/story/146965-sami-saministros-memorandumi-qartuli-jaris-popularizatsiistvis>
(ხელმისაწვდომი იყო 24/04/2014)

ინტეგრაცია სჭირდება. თუ არ გვეცოდინება, სად არის პრობლემა, მისი აღმოფხვრის
საშუალებაც არ გვექნება.

ბიბლიოგრაფია

1. გაანალიზებული ნარატივები

„აგვისტოს დღიურები“, ბლოგის ჩანაწერი,

(<https://sshorena.wordpress.com/2013/08/06/>)

ბურჭულაძე, ზ. ადიბასი. ბაკურ სულაკაური, თბილისი 2009. გვ. 78

ბუღაძე, ლ. ლიტერატურული ექსპრესი, ბაკურ სულაკაური, თბილისი 2010. გვ. 170.

კორძაია-სამადაშვილი, ა. მე მოძვლეს დე..., ბლოგის ჩანაწერი

(<http://samadova.wordpress.com/2011/08/02/>)

მელაშვილი, თ. გათვლა. დიოგენე, თბილისი 2010. გვ. 53

ფხაკაძე, თ. გმირი. პრაიმტიმის, თბილისი 2011. გვ. 363

2. სამეცნიერო ლიტერატურა

ჭაბაშვილი 1989: ჭაბაშვილი, მიხეილი. *უცხო სიტყვათა ლექსიკონი*. განათლება, თბილისი 1989.

ალექსანდერი 2004: Alexander, Jeffrey. *Cultural Trauma and Collective Identity*.

University California Press Ltd. London, 2004.

ალბერშტეინი 1994: Alberstein, Michael. *Collective Trauma*. Stanford University Press.

1994.

ანტე 1996: Antze, Paul. *Tense Past: Cultural essays in Trauma and Memory*. Routledge,

1996.

ბეგერი და მაკადამსი 1999: Baeger, David and McAdams, Paul. *Life story coherence and its relation to psychological well-being*. Princeton University Press, 1999.

ბამბერგი და მაკაბი 2000: Bamberg, Michael and McCabe, Alyssa. *Narrative*

Inquiry. Narrative Identity. John Benjamins Publishing Co. 2000.

ბელტინგი 2010: Belting, Hans. *An Anthropology of Image*. Princeton University Press,

2010.

ბრაბეკი 2008: Brabeck, Kalina. *The Narration of Collective Trauma*. Rhode Island College Publication, 2008.

დოუსონი 1999: Dawson, Graham. *Trauma and Life Stories*. Routledge, 1999.

ვასკესი 2007: Vazquez, Carmelo. *Planning Needs and Services after Collective Trauma*.

Invention, 2007.

- ვეერმანი 2001: Veerman, Alexander. *Communities Coping With Collective Trauma*. Paper presented at the conference for the Psychology of Religion, 2001.
- ვილსონი 2005: Wilson, R.A. *Collective Memory, group minds and the extended mind thesis*. Cognitive Processing, 2005.
- ვოლკანი 2007: Volkan, Vamik. *Massive Trauma*. Review of French Psychoanalysis 4: 1041-1054.
- ზერუბაველი 2004: Zerubavel, Eviatar. *Time Maps, Collective Memory and the Societal Shape of the Past*. Chicago and London, 2004.
- კანსტეინერი 2006: Kansteiner, Wulf. *The Politics of Postwar Europe*. Cambridge Press, 2006.
- კარპენტეი 2007: Carpentier, Nico. *Culture, Trauma and Conflict*. Cambridge Scholars Publishing, 2007.
- კრანკლი 1963: Krankl, Viktor E. *Man's search for Meaning*. New-York: Pocket books, 1963.
- კროკი 1969: Krook, Dorothea. *The Elements of Tragedy*. Yale University Press, 1969.
- ლაკაპრა 2001: LaCapra, Dominick. *Writing History, Writing Trauma*. JHU Press, 2001.
- ლეხოუ 2006: Lebow, Richard. *The Politics of Postwar Europe*. Cambridge Press, 2006.
- ნეიმეიერი 2006: Neimeyer, Robert A. *Re-storying loss: fostering growth in the post traumatic narrative*. Cambridge Press, 2006.
- ნილი 1998: Neal, Arthur. *National Trauma and Collective Memory*. Armonk Sharpe. 1998.
- ნორა 1989: Nora, Pier. *Between Memory and History: Les Lieux de Memoire*, University of California press. 1989.
- ნორა 2005: Нора, Пьер. “Всемирное торжество памяти”. *Память о войне 60 лет спустя. Россия, Германия, Европа*. М., 2005.
- ოკირნი და პერო 2006: O’Kearney Richard and Perrot Kelly. *Trauma Narratives in Posttraumatic Stress Disorder: a review*. Cambridge Press, 2006.
- ფროიდი 2005: Freud, Zigmund. *Group Psychology and Analysis of Ego*. Fischer Verlag. Vienna 62-117.
- შტომპკა 2004: Sztompka, Piotr. *The Trauma of Social Change*. University California Press Ltd. London, 2004, pp.300-345.
- ჰანტი 2010: Hunt, Nigel. *War and Trauma*. Cambridge, 2010. pp.356-375.
- ჰერმანი 1992: Herman, Judith L. *Trauma and Recovery*. London - Pandora, 1992. pp.200-240.

ჰოროვიცი 1979: Horowitz, Mardi J. *Impact of Event Scale: a measure of subjective stress*,
Oxford, 1979. pp. 197-203

3. ელექტრონული რესურსები

1. ხარბედია მალხაზ: სტატია „თამთა მელაშვილის გათვლა - კრიტიკული განხილვა“,
ბლოგი „არილი“ http://arili2.blogspot.com/2011/07/blog-post_12.html
(ხელმისაწვდომი იყო 26/02/2012);

2. ხარბედია მალხაზ: სტატია „თამთა მელაშვილის გათვლა“, რადიო „თავისუფლების
ბლოგი“
<http://www.radiotavisupleba.ge/content/article/2284527.html>(ხელმისაწვდომი იყო
12/03/2012)

3. გონგაძე თამარ: სტატია
http://www.ptpress.ge/index.php?option=com_content&view=article&id=1358:2011-01-03_11-24-13&catid=3:0103sazogadoeba&Itemid=3(ხელმისაწვდომი იყო 15/03/2012)

4. სტატია „ექსპრესნიუსის“ ბლოგზე, <http://www.epn.ge/?p=21543>(ხელმისაწვდომი
იყო 22/03/2012)

5. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდი
<http://www.mod.gov.ge/index.php?page=772&lang=0&type=0&Id=1177>
(ხელმისაწვდომი იყო 25/03/2012, სტატია)

6. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდი
<http://www.mod.gov.ge/index.php?page=772&lang=0&type=0&Id=1272> (ხელმისაწვდომი
იყო 25/03/2012, სტატია)

7. „ავისტოს ომი“, ქართული ვიკიპედია,
<http://ka.wikipedia.org/> (სტატია, ხელმისაწვდომი იყო 03/04/2012)

8. „მიხეილ სააკაშვილი გმირთა მონუმენტის გახსნაზე“, სტატია ვებ-გვერდზე
<http://geonews.ge/category/8/politics/news/12662/mixeil-saakashvili-uwmindesi.html>

9. ზაქაძე ბელა: სტატია „მუხათგვერდის ძმთა სასაფლაო“, სტატია „პალიტრა-
ტევეს“ ვებ-გვერდზე <http://www.palitratv.ge/akhali-ambebi/politika/7432-mukhathgverdis-dzmatha-sasaflao-saqarthvelos-prezidentma-da-patriarqmagvirgvinitshsheamkes.html>(ხელმისაწვდომი იყო 03/04/2012, სტატია)


10. ვიდეო რეპორტაჟი „მუხათგვერდის ძმთა სასაფლაო“, <http://1tv.ge/news-view/4650>(რეპორტაჟი, ხელმისაწვდომი იყო 05/04/2012)

11. ვიდეო რეპორტაჟი „გმირთა მონუმენტი“, <http://1tv.ge/news-view/4652>(რეპორტაჟი, ხელმისაწვდომი იყო 05/04/2012)

- 12.მათეშვილი თინათინი: „გმირთა მონუმენტი“, სტატია
<http://www.bfm.ge/society/1083-memoriali.html>(ხელმისაწვდომი იყო 03/05/2012,)
13. <http://forum.ge/?f=51&showtopic=34118713&st=0> (ხელმისაწვდომი იყო 15/05/2012, თემის განხილვა ფორუმზე)
14. ალბერტო დომინგო კაბოს ინტერვიუ ინტერნეტგაზეთში
http://www.georgiatoday.ge/article_details.php?id=8781 (ხელმისაწვდომი იყო 15/05/2012, ინტერვიუ კაბოსთან)
- 15.სტატია „ავვისტოს ომი“ <http://warreporter.wordpress.com/tag> (ხელმისაწვდომი იყო 15/05/2012, სტატია)
- 16.სტატია „დაუსრულებელი მონუმენტი და თავდატეხილი თავისუფლება“
<http://portxlebi.wordpress.com/2011/05/26/26-ma/>(ხელმისაწვდომი იყო 20/05/2012, ფოტო რეპორტაჟი)
17. „ინტერპრესნიუსის“ სტატია „ავვისტოს ომი“
<http://www.epn.ge/?p=13072>(ხელმისაწვდომი იყო 25/05/2012, სტატია)
18. „ოთხი წლის თავზე“, სამხედრო ჟურნალისტთა ასოციაციის ვებ-გვერდი
<http://warreporter.wordpress.com/>(ხელმისაწვდომი იყო 25/05/2012, სტატია)
19. ფოტოგალერეა „ავვისტოს ომი“ <http://www.epn.ge/?p=13072>(ხელმისაწვდომი იყო 15/05/2012)
20. „ალბერტო დომინგო კაბო, როგორც „გმირთა მონუმენტის“ შემქმნელი“
<http://forum.ge/?f=51&showtopic=34118713&st=105>(ხელმისაწვდომი იყო 23/05/2012)
- 21.“პრეზიდენტმა ძმათა სასაფლაო გვირგვინით შეამკო“, ვიდეორეპორტაჟი
<http://www.itv.ge/?m=16&CID=22071>(ხელმისაწვდომი იყო 15/05/2012)
- 22.დევილთა განსახლების რუკა
http://www.idp.ge/geo/index.php?option=com_content&view=category&layout=blog&id=28&Itemid=72&lang=ka(ხელმისაწვდომი იყო 17/05/2012, დევილთა განსახლების რუკა)
23. ჭითანავა ეკა: სტატია „გზა თავშესაფრიდან სახლამდე“
<http://liberali.ge/gza-tavshesapridan-sakhlamde>(ხელმისაწვდომი იყო 17/05/2012)
24. ალფარსლან ნასის სტატია „ტრავმა ფროიდსა და ლაკანთან“, სტატია ბლოგზე
<http://zenfloyd.blogspot.com/2009/08/notes-on-trauma.html>, ხელმისაწვდომი იყო 16/04/2014)

დანართი

სურათი 1. ომის მემორიალი სომში



სურათი 2. ძმათა სასაფლაოს პროექტი მუხათგვერდში



სურათი 3. მუხათგერდის ძმთა სასაღაოს მემორიალის პროექტი



სურათი 4. სახელმწიფოს სიმბოლო მუხათგერდის სასაფლაოზე



სურათი 5. მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოს გახსნა



სურათი 6. გმირთა მონუმენტი გმირთა მოედანზე (ხედი დღისით)



სურათი 7. გმირთა მონუმენტი გმირთა მოედანზე (ღამით)



სურათი 8. გმირთა მოედნის გზის პროექტი



სურათი 9. მემორიალი ერთიანი საქართველოსთვის



სურათი 10. გმირთა მონუმენტის გახსნა



სურათი 11. გმირთა მოედნის მონუმენტის თავდაპირველი ჩანაფიქრი



სურათი 12. მონუმენტის საბოლოო სახე



სურათი 13. სოფელი წეროვანი 2008 წლის აგვისტოს ომამდე.



სურათი 14. სოფელი წეროვანი ომის შემდეგ, 2008 წლის დეკემბერი.

